

114  
1947/2



# მნათობი

6

---

თბილისი  
1947



# მნათობი

საულიად-საქართველოს საბჭოთა მწიგნობის  
კავშირის ურველთვიური სალიბრატარო  
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო  
ჟურნალი

წელიწადი ოცდამეოთხე

# 6

4375633528



19

სახელოვნო  
036060

საქართველოს  
საბჭოთა მწიგნობის  
კავშირის  
ბეჭდურობა  
47



გაბრიელ ჯაბუხაძე

## ლექსები



### სახალხო ბანძი

მთელს დუნიაზე დამქუხარებენ  
ლექსნი გასულნი მაღალ ჩარგლიდან,  
ვაჟა კი იყო კაცი ღარიბი, —  
თავათ ხნავდა და თავათ მარგლიდა.

ვით დაბნეული ბავშვი დაფასთან,  
იმგვარად იღვა ქალაქის კართან,  
და მისი ნიჭი მაშინ დაფასდა,  
ოდეს წკვარამი წალეკეს ქართა.

ვზივარ და ვფიქრობ, ხალისის განცდით;  
რა მოგვი გვეყავდა — ბრძენი ზღაპრული,  
დასტოვა სიტყვა, — სახალხო განძი, —  
სამარადეთოდ დაუხაფვრელი.



### არხოტის მთებს

მე თქვენს უმკაცრეს ქარიშხალებს ვეტრფილები,  
თქვენს მიუწვდომელ კლდის ქიმებზე მიყვარს ოცნება;  
მოაქეთ გრიგალებს ნამქერების თეთრი ალაფი,  
მე თქვენს უმკაცრეს ქარიშხალებს ვეტრფილები,  
გმოსავთ ნისლები ელვა-მეხის ეტლიანები  
თქვენს ქარაფებში ვაჟას ლანდი მესაოცრება,  
მე თქვენს უმკაცრეს ქარიშხალებს ვეტრფილები  
თქვენს მიუწვდომელ კლდის ქიმებზე მიყვარს ოცნება.



## ძაშვის გზაზე



მივდივარ ჩუმი და უწყინარი,  
თეთრი ტყემლები მომდევნ ახლოს,  
თითქოს ქვეყანა ასე მცინარი  
ამ დღეს პირველად მე დამენახოს...

შორს... შორს გზა გარბის და იხაფრება,  
თითქოს ცის კიდეს შიახლებია,  
უსტვენენ სირნი მეტ გამძაფრებით,  
დედავ, რამდენი ყვავილებია...

მივდივარ მშვიდი, ტლუ, უზაკველი,  
თეთრი ტყემლები მომდევნ ახლოს,  
თითქოს ქვეყანა კარგი და ქველი  
ამ დღეს პირველად მე დამენახოს...



## რ ი უ რ ა შ ი

ეს მძინარე კლდეც, ნეტავ, ამღერა,  
როგორც წკრიალებს ზარი ფრინველის,  
თითქოს პირველად ვხედავ ამ სერებს  
და ზეცის ხილვაც არის პირველი.

თითქოს პირველად ჩქრობს ყოველი, —  
ის მთა-მინდორი, ის ტყე, ეს ველი,  
თითქოს მნათობი მოოქროვილი  
ახალ სიცოცხლის იყვეს მთესველი.

მზე დგება, რათა მთებს სამძიმარი  
შეხსნას და ვერცხლით აუვისოს თეჭა,  
შეხედეს იალალს მარად-მღიმარი, —  
ფოთლებს, ყვავილებს, ღვიას და დეკას.



## სიმღერა მაშინდელი

იმავე ტყეს მივდევ, იმავე ბილიკებს, —  
შენსკენ მთებში რომ წინათ ველტოდი,  
აქ მე და ხეებს წვიმა გვირიგებს  
წვეთებს, და სცვივათ წვიმა სველ ტოტებს.

იმავე გზით მივალ...

შენზე ფიქრებით

გადაეწვდი, გაეცდი დღეს ამ მთა და ბარს,

მოგონებები შემოვიყრიბე

და კვლავ გეძახი... ნეტავ სადა ხარ!

როგორც ქარები, ან წისქვილები, —

შემოტრიალდნენ დღენი იმფერად,

რა კარგად მახსოვს ან ის დილები

და მაშინდელი ჩვენი სიმღერა...



### ს უ რ ვ ი ლ ი

მზემ გორის ფხაზე დაბუჟა თვალი,  
შეუჩნდათ ხრამებს სიბნელის ჩრჩილი  
და მთვარე—მიწის დედინაცვალი  
ვეღარ აუღის გაბნეულ ჩრდილებს.

დილა, ხვალ, ისევ, მზეს მოიყოლებს  
და ქვეყნის ვრცელ წიგნს გაშლის უცილოდ,  
დააქცევს შუქით ბინდების ყორეს,  
საეანეს მისცემს მთვარეს უძილოს.

ნეტავ მეც ასე, —

თვალმინაბული,

როდესაც გავლევ ცხოვრების ბილიქს, —

ვით ეს მნათობი, კვლავ, მომაბრუნა

და დამანახვა ქვეყანა ტკბილი.

## პირსხლის ბეჭედი

ნოვებლა<sup>1</sup>

I. გვარდიის კაპიტანმა როგავამ თავის ერთადერთ ხელში აიღო ორივე კამათელი ნარდისა, დუშაშიო, ჩაუთქვა და გაისროლა. როცა კამათლები კიდემდის მიგორდნენ, დუშაში დაისვა მართლაც, კარები გადამიკეტა, გამოიღიმა და თავისი გრძელთითებიანი ხელი დაადო ნარდს.

სწორედ ამ დროს შევნიშნე მის მარცხენაზე ვერცხლის ბეჭედი, რომელსაც ამშვენებდა სერდოლივის გემმა, უცნაურად ვარვარებდა ელექტრო-შუქზე სხივის ციაგი, გასიბულ სიბრტყიდან ამღვარი.

კაპიტანი როგავა ჩემი ძველი მეგობარი იყო, ამიტომაც უკითხავად წავიპრე ბეჭედი, რადგან მე გემების მოყვარული გახლავართ ოდითგანვე.

დაეხედე გემმას:

ბეჭდის თვის ზედაპირზე ამოტვიფრული იყო ფარი, ფარზე კი, —ჯიხვი, რომელსაც რქები მოუდერია ლომისთვის, ხოლო ლომს, როგორც სჩანს, შემკრთალს, თავი უკან გადაუხეწია.

უცნობ ოსტატს დიდის ხელოვნებით ამოუტვიფრავს ცერის სივანე სიბრტყეზე უშიშო მამაცობის ემბლემა:

ლომთან მორკინე ხარჯიხვი?!

II. მე ვითვლებოდი ოდესღაც გემების მცნობად. თითქმის ყოველი ხალხისა და ყოველი ეპოქის გემმა დამითვალეირებია, ფლორენციის, ვენეციის, რომის, ლუერისა და დრეზდენის კოლექციებში, თუმცა სიჭაბუკეში მათი შესაძენი ფული არასოდეს მქონია, მაინც დაუცხრომლად დავხეტიალობდი, მოცილილობის ქაშს, ანტიკვარულ მაღაზიებში, ვეძებდი ახალსა და ახალ გემმას, ეს იყო და ეს, მართოდენ ჰერეტიით ვიკმაყოფილებდი ამ უცნაურ ვნებას, ამიტომაც ნარდის თამაში მივატოვე და დაუფუყე ამ გემმას ჰერეტა.

ჩემმა გონებამ ლანდის სისწრაფეზე გაიბრინა საუკუნოები.

ეგვიპტური გემები მოვიგონე და მათი მოტივები, ჰინდუსტანის გემები, გემები პართელთა, ძველ ბერძენთა და რომაელთა, ეტრუსკებისა, ასურელებისა და ბაბილონელებისა, სასანიდთა და არაბთა გემები, მშვენიერი გემები რომაული ანტიკისა, რომელნიც ამასწინათ აღმოჩნდნენ მცხეთასამთავროს სამარხებში და ასეთი მოტივი?

ლომთან მორკინე ხარჯიხვი?

ბევრი ვიფიქრე, ბევრი ვიმტვრიე თავი.

წინა-დღეს ბოლნისიდან ვიყავი ჩამოსული და მომავგონდა: სწორედ მე-ხუთე საუკუნის ქართული ტაძრის პორტალზეა ასეთი ბარელაფი. სხვა-

<sup>1</sup> პირველი, ნოვებლების ციკლიდან: „შვიდი რაინდი“.

გან, არც გემმაზე, არც რომელიმე ბარელიეფზე, ასეთი მოტივი არაოდეს მინახავს.

ბოლნისშიაც ხარჯიხვს თავისი გადაზნექილი რქებით იერში მიაქვს სიბრტყეზე მჯდომარე ლომზე, ხოლო შემკრთალ ლომს ზომამზე მერტად უკან გადაუწევიდა თავი.

**III. ვეკითხები კაპიტანს: „საიდანაა აქვს ეს გემმა, უჩა?“**

როცა ნარდის თამაში მოვათავეთ, კაპიტანმა როგავამ გემმა გამომართვა, ისევ გაიკეთა ცერზე და მიიასუხა:

„ამ გემმას გრძელი ისტორია აქვს, ამ ამბების თხრობა ბევრ იარებს განმიხლებს, მოგონებაც მეზარება მათი, მაგრამ რაკი მოხოვეთ, შევეცდები, მოკლედ მოგითხროთ ერთი მათგანი.

ფრონტზე მიღებული ჭრილობების გამო ფრიალ რთული ოპერაციები დამჭირდა, ამიტომაც მოსკოვს წარმგზავნა ლაზარეთის მთავარმა ექიმმა.

კრემლის საავადმყოფოში არმიის გენერალმა დამიმეგობრა ერთმა. როცა გაიგო, ისევ ჩემს დივიზიაში უკან გაბრუნებას ვაპირებდი უკვე განკურნებული, შემომთავაზა: თუ გსურთ, სმოლენსკის ფრონტზე წაგიყვანთ, ჩემს შტაბში მოგაწყობთო ენების ექსპერტად.

დიდი მადლობა მოვახსენე გენერალს: მოვიბოდიშე, მე სულ ორიოდ ენა ვიცი მეთქი, იგიც ცოტა ცოტა: თურქული, პოლონური, გერმანული და ძალიან ცუდად ფრანგული.

უნდა გამოგიტყდეთ, არ გაუფიქრებელი მას, რომ მე დასავლეთის რამდენიმე ენა ვიცი, რადგან გემის კაპიტანი ვიყავი მრავალ წელს, 12 წლის ბიჭუნა გავებარე მამაჩემს ფოთიდან, გემზე ამიყვანეს ჯერ იუნგალ, მერმე ბოცმანად, ათ წელიწადში თითქმის მთელი მსოფლიო მაქვს შემოვლილი. ინდო-

ეთში კუქის ტყვიოლი შემეყვრა და ამიტომაც, ომის დაწყებისას, დავთმე ჩემი საყვარელი ზღვევად უხელუეთის არმიის გადავარიცხნე.

გარდა ამისა, უკვე მიმელიან-მეთქი ჩვენები, მოვახსენე არმიის გენერალს. მართლაც ჩვენს დივიზიას, ჩვენს ბიჭებს ისე შევეჩვიე, არ მინდოდა მათი დათმობა.

დივიზიაში მიცდიდნენ ჩემი სიყრმის მეგობარი მაიორი ზედგენიძე და ტფილისელი ბიჭები, საქართველოდან ჩემთან ერთად წამოსულნი, ოთხ სხვადასხვა ფრონტზე ბრძოლაში გამობრძმედილნი.

განსაკუთრებით მიყვარდა ვახტანგ ზედგენიძე; ორ წელს მხარდამხარ იბრძოდა იგი ჩემს გვერდით, შეუღარებელი სნაიპერი და გულადი ვაჟაკი.

უცნაური ეგ იყო: ამ ხნის მანძილზე ფრჩხილიც არ ასტყენია მას. ხუმრობდნენ კიდევაც ჩვენები: გრძნეული ფარაჯა აცვიათ ზედგენიძეს, ალბათ, მიტომაც არ ეკარებათ მის სხეულს ტყვია.

სამჯერ უვნებლად გამოძვრა იგი გერმანელების ალყიდან, ორჯერ კონცლაგერში იყო. ლაზარეთიდან გაიპარა.

რამდენჯერმე მეც ზედგენიძემ გადამარჩინა ტყვეობას. უკანასკნელად ბრძოლის ველიდან გამომიყვანა თავში დაჭრილი და შვიდი კილომეტრი მათრია ზურგით.

სავსებით ლეგენდარული ამბები დადიოდა ჩვენს დივიზიებში მისი ვაჟაკობის, თავგანწირულობის და წრესგადასული სითამამის გამო.

მეც ბევრი მათრია ამ ცხოვრებაში ბედმა, მაგრამ ერთი რამ მივინიშნე: გადაჭარბებული სითამამე ხშირად ისე მავნებელია, როგორც სულწასულობა.

ჩვენ ურთიერთის დამატება ვიყავით თითქოს.

მეც ფოლადივით ფიცხი ვარ ხანდა-  
ხან, მაგრამ ათზე მეტ წელს მაცივებ-  
და, ამიტომაც ოდნავ მოღუნებული  
ტემპერამენტი მაქვს და წესადა მაქვს  
დათქმული: სერიოზულ გადაწყვეტი-  
ლებას ნაჩქარევად არასოდეს მივიღებ.

ჩემ სიახლოვეს ცვილივით მოქნილი  
ვახტანგი, სავსებით დაუოკებელი იყო  
მარტო დარჩენილი. ერთხელ მან, 30  
ხიშტის იმედით, ტყვედ წამოიყვანა  
გერმანული დივიზიის მთელი შტაბი,  
ჩერნიგოვის მახლობლად, სადღაც  
ტყეში დაბანაკებული.

მას მინიშნებული ჰქონდა ოდითგან-  
ვე ცნობილი სიბრძნე: მოულოდნელო-  
ბა რომ აბჯარს აპყრის ზოლზე უდიდეს  
რაინდსაც ხანდახან.

ამას ყოველივეს იგი აცეთებდა ისე-  
თის არტისტიული სიმსუბუქით, კაცს  
ეგონებოდა ან გიგიაო, ან თავზნებელა-  
ლებული, სიკვდილის მამებარი ჩაუქი  
ვინმე.

მუდამ შოაცებდა მისი დაუცხრომე-  
ლი ტემპერამენტი, რომელსაც არ  
ღლიდა არც გრძელი და გაუთავებელი  
მარში უკრაინის უღვევი ტერიტორიის  
მანძილზე (ნაპოლეონს ისტორიკოსე-  
ბი აღიდებდნენ იმის გამოც, 16 დღეს  
იჯდაო ზედიზედ ცხენზე, ზედგენიძე  
28 დღეს განუწყვეტლად ცხენზე იჯ-  
და და ამის შესახებ არავის არაფერი  
დაუწერია), არც ხანგრძლივი ბი-  
ვაკები, არც უძილო ღამეები დასაზვე-  
რად-წასულს, არც მტრის წინააღმდეგ  
მიტანილი იერიშები, თავდასხმები, და  
არც შოგერიებითი ბრძოლა, რომელ-  
საც რამდენიმე ასეული კილომეტრის  
მანძილზე აწარმოებდა წითელი არმია  
სამამულო ომის პირველ პერიოდში.

ეს კაცი იწვოდა ენერჯის სიჭარბო-  
საგან.

ერთი რამ ახასიათებდა მას, რაც  
ჩემს თვალში მას ღიდის პატივისცე-  
მით მოსაგდა: იგი არასოდეს, ბრძო-

ლის ველიდან ახლადდებოდა უნებელიც,  
სიტყვას არ დასძრავდა საკუთარი მკლავ-  
ვის ძალით ჩადენილ უმეორების გამო,  
მუდამ თავის თანამებრძოლებს ატებდა  
და აღიდებდა.

IV. უნდა მოგახსენოთ, მე ძალიან  
მაწუხებს ის ამბავი, რომ ქვეყანას  
მრავალი უსახელო გმირი ჰყავს, რო-  
მელთა უანგარო თავგამეტების ამბე-  
ბი თუნდაც უდიდესმა სიტყვის ოს-  
ტატებმაც რომ ასწერონ, ქაღალდზე  
არ დაეტევა ეს ყოველივე და შესაძ-  
ლოა, ზოგი რამ არც კი დაიჯეროს  
ბევრმა.

აღამიანურ ყოფას მრავალგვარი  
ტრაველია თან ახლავს. ის გმირობა,  
რომელიც უსახელო კაცის მიერ ჩადე-  
ნილია, ვთქვათ, რომელიმე უსიერ  
ქაობში, ან ტყეში, თუ მომთხრობი არ  
გამოუჩნდა ჯეროვანი, შეუშინვეელი  
რჩება თვისტომთათვის და მთელი  
ქვეყნისათვის.

ეგ საგრა, ხშირად მაქებარი წარ-  
მატებაში უზიარდება საქებარს, მაგრამ  
ესაა: მარტოოდენ ქება როდი კმარა  
საქებარისა, გააჩნია ვინ აქებს მას და  
როგორ? და იგიც ცხადია, უნიჭო  
მაქებარს ნიჭიერი მამაგებელი სჯობია  
ხანდახან.

ამიტომაც ჩვენ კარგად არ ვიცით,  
თუ ვინ იყო უფრო ღიდი გმირი, ნა-  
პოლეონი, რომელიც არავითარ საშუა-  
ლებებს არ ერიდებოდა მის მიერ ჩა-  
დენილ გმირობის გამოსამზერებლად,  
იმანჭებოდა, არტისტობდა, კლოუნობ-  
და, მუდამ ხმალზე ხელი ჰქონდა დაყრ-  
დნობილი, რომანტიულად აბრიალებდა  
თვალებს, ღიდი მწერლებსა და მხატ-  
ვრების წინაშე კოკეტობდა, მატერია-  
ლისტებთან საუბარში „რელიგიურად  
განწყობილ კაცად“ მოჰქონდა თავი,  
რომის პაპს, იეზუიტებს, ეპისკოპო-  
სებს და მორწმუნე კათოლიკებს ამა-

პულებდა და ალბანეთში 10.000 ავსტრიელი ზარბაზნებით დაახოცენა გახუცითხად, ყოველთვის მზად იყო, ათასები დაეხოცა, ათათასები მოესრნა ვისაც მისი დაფნები არა სწამდა, მუდამ ჯამუშებით იყო გარსემოტყმული.

ყველას უდიდესი ემვით შესცქეროდა, თავის სსახლის სეფექალებს ქვედასაცვალსა და წინდებს ხდიდა, ეგებ რაიმე იდუმალი წერილი ვიპოვნო, ბავშვებს ჯამუშობას ასწავლიდა, რომელიმე ქალაქს აიღებდა, ათორმეტი წლის ბიჭუნებს დაიქირაებდა, შეგზავნიდა დაპრობილ ქვეყნის, ან ქალაქის მთავრების სახლებში მათხოვრებად, მსტოვარებად და მათზე ამყარებდა დაზვერვის პოლიტიკას.

რევოლუციამ და თავისუფლებისმოყვარული ხალხის გენიამ აიყვანა იგი იმპერატორის ტახტზე, ხოლო თავათ ცინიკურად ოხუნჯობდა: თავისუფლებისა და პროგრესის ვეჭილები უდიდესი იდიოტები არიანო.

იგი საფეხებით ამართლებდა იტალიურ კალამბურს: „თუ ვსურს წარმატებას მიაღწიო, სიკეთეს უნდა განერიდო როგორმე“.

თავათ აღიარებდა: „ყველა მძულს ამ ქვეყანაზე, ყველას უნდობლად ვუცქერი, ჩემი ძმის ეოზეფის გარდა, და ეგეც ჩვეულების ბრალია ალბათ, ხოლო ჩემი გენერლები ნეხვისაგან შეეკმენი, როგორც თიხისაგან ადამიღმერთმა“.

მე აღარ ვიცი, ვინ არის უფრო დიდი და კეთილშობილი გმირი, ნაპოლეონი, რომელსაც არა მარტო საფრანგეთის, არამედ საფრანგეთისადმი იმეხად მტრულად განწყობილი ქვეყნების ინგლისის, გერმანიისა და რუსეთის დიდმა პოეტებმა უმღერეს,—თუ ის გრენადერები, რომელთაც უჩუმრად,

უტრაბახოდ, უბოროტად ნამდვილი, ხალასი გმირობა გამოიჩინეს იტალიაში, ეგვიპტეში, აუსტრალიაში, ბონაპარტის დინოში და შარლერუაში, თუ ნაპოლეონის მეტოქე გენერალი ჰომ, რომელიც მუხანათურად მოაკვლევინა ბონაპარტემ, რადგან კარგად გრძნობდა, რომ ის, ჰომ, მზეს დაუბნელებდა და გმირობითაც გადააჭარბებდა მის.

ამიტომაც მე გულდამწვარი ვარ იმ გმირების გამო, რომელთა დიდება ჯერ არავის უცნობებია ქვეყნისათვის.

მე ტყვიამ გამიარა მარჯვენა ფილტვში, ბევრი ლაპარაკი აკრძალული მაქვს ექიმებისაგან, მაგრამ შინც მინდა გამბოთ, ეგებ თქვენ საჭიროდ დაინახოთ, ჩემი უმწურო, არამწვერმეტყველი ენით ნათხრობი ამცნოთ თქვენს მკითხველებს და ჩვენს ქვეყანას.

მაიორ ზედგენიძის ამბავს გამბობთ დღეს, მოკლე ხანში მომელის ფრიად სერიოზული ოპერაცია და თუ გადავრჩი, დანარჩენს მერმე მოგიტხრობთ.

ვიმეორებ: გმირს მაქებათ თუ არ გამოუჩნდა, მისი გმირობა უცნობი იქნება შემდგომი თაობების თვალში.

განა თქვენს მწერლობაშიაც აგრე არაა, ხანდაზან ხელმოცარულ მწერალს უფრო მეტად აქებენ თანამესუფრენი, კიდრე მათ, ვისაც მხოლოდ სიკვდილი აკლია კლასიკოსად გასახდომად, რადგან სიკვდილი ისეთივე გამომცდელი საშუალებაა ნამდვილი მეომარისა და ხელოვანისათვის, როგორც გავარჯარებული დომნები ფოლადისათვის.

მოსკოვში ყოფნისას წარამარა მწერდა ვახტანგი: მოუთმენლად მოგვლითო დივიზიაში.



IV. უცნაურად შეუპოვარი ვაჟაკი იყო ზედგენიძე, მხოლოდ ერთი რამ ჩვევოდა: ტყვედ ჩაეარდნის სიკვდილზე მეტად ეშინოდა. მოსკოვს წასვლის წინა ღამესაც მითხრა: „მე რომ აქ დამპყრან, ვინ გამომიყვანს ბრძოლის ველიდან, უჩა?“

დავტუქსე კიდევაც ამისათვის: „ერთი რომ — მეომარმა დაჭრის შიში არც უნდა გაივლოს გულში, გარდა ამისა, რას ამბობ, ვახტანგ, ვანა ჩემზე ნაკლები ვაჟაკები რჩებიან ჩვენს დივიზიაში?“

წინადაც მეტყოდა ხოლმე ხუმრობით, ცალკებად: ვინცობაა ამ ძაღლთაბირებმა დამპყრან, ან მომკლან, იცოდე, ჩემი ძელები არ დასტოვო მათ სიახლოვეს.

კიევში ყოფნისას ერთი დეტალი შევნიშნე: გერმანელთა ტყვეობაში, ქართველ ოფიცერს ვინმე იამანძეს, მასთან ძმად შეფიცულს, ეს ვერცხლის ბეჭედი უჩუქნია მისთვის. ჯიბიდან ამოიღო იგი და ცერზე წამოიცვია.

„რად გინდა ფრონტზე ეპ ბეჭედი, ბიჭო?“

— შეეეკითხე ღიმილით.

აგრე მომიგო:

„ვინ იცის რა მოხდება, უჩა, ამ ბეჭდით გამომიცნო ვინძლო დაჭრილი.“

ორგზის ტყვედნამყოფს აძავაეგებადა გერმანელების ლაზარეთებისა და კონცლაგერების მოგონებისაგან. გერმანელების კონცლაგერი და ლაზარეთი ეს სიკვდილის ვესტიბულიაო, ამბობდა.

უკვე დივიზიაში მიბრუნებულს ცუდი ამბები დამახვედრა მაიჯრმა ზედგენიძემ: ტფილისელი ოფიცერებისა და წითელარმიელებისაგან მხოლოდ სამნი გადარჩენილიყვნენ: თავათ იგი, სერ-

ჟანტი უგრეხელიძე და ქალაქელი შოფერი გოლა.

„ჩვენი ქოჩორა ბიჭების სისხლი უნდა ავიღოთ“...

მითხრა ხმადაბლა ზედგენიძემ, როცა რკინიგზის სადგურიდან დივიზიის შტაბისაკენ მიმავლებდა ჩამოსვლის ღამეს. და მეც გადავწყვიტე: ჩვენი ბიჭების სისხლის ასაღებად წავეყოლოდი მას ბნელეთის კიდემდის.

ჩვენი დივიზია ერთი უკრაინული ქალაქის მისადგომებთან ვერხვების ტყეში იდგა შენიღბული; ახლადჩასულმა ფარაჯის ვახდაც ვერ მოვასწარი და ატყდა საშინელი რიარია.

გერმანელებმა „ტიგრის“ ტიპის ტანკები შემოუშვეს ბრძოლებში. ჯერ არავის ენახა „ტიგრი“, მაგრამ ლეგენდარული ამბები ისმოდა ამ „ტიგრების“ გამო, მალემრწმენები, სულმოკლენი და შშიშარები ჩურჩულებდნენ დამალაობით: ახლა წავიდა ჩვენი საქმე, ეს „ტიგრები“ მოგვიღებენო ბოლოს.

ზედგენიძე უშიშო და უზადო რანდი იყო, აგრე ამბობდა იგი: „ვეფხვები კი არა, ლომებიც რომ მოიშველიონ, მათი საქმე წასულია. არც ჩვენ დაუხვდებით მაგ არამზადებს კატებად“.

ჩვენმა საზენიტო არტილერიამ სულ მცირე ხანში განდევნა შტრის აერობლანები.

გაუხდელს წამძინებოდა ტყეში, ერთ თავლაში, სადაც მე და ჩემი წითელარმიელები და ჩვენი ცხენები ვათევდით ღამეს.

ტბილი, ტბილი ძილით გვეძინა, შამშები უსტვენდნენ გათენებისას, მაგრამ მალე დადუმდნენ შამშები, რადგან მესსერაშმიტებმა და ჰაუბიციებმა გვამცნეს გერმანელების შემოტევა.

მერმე აგრიალდნენ ჩვენი შიმშე ქვეშეხები. აგრე გეგონებოდათ, სადა-



ცა მიწა გალხევა და ცეცხლის ქარ-  
ბორბალა წაღეკავს ქვეყანას.

სქეტემბრის მშვენიერი დღია იყო.  
არასოდეს დამავიწყდება ვერხვების  
ახოში გამართული საარტილერიო  
დღეული. ლელივით იკეცებოდნენ  
ცეცხლშემოგზნებული ვერხვები.  
სქდებოდნენ ყუმბარები, რიალებდნენ  
ჰაერში ტყვიამფრქვევების, ზარბაზნე-  
ბის, ტანკების ნაწილები, ცხენის თა-  
ვები და ადამიანთა სხეულის კიდუ-  
რები.

მტერმა ჩვენს გასწვრივ მდებარე  
ტყის სიღრმეში უკან დაიხია. როცა  
ბრძოლა მიწყნარდა, მაიორი ზედგენი-  
ძე მოეკითხე, მაგრამ მთელს ლეგიონ-  
ში აღარავინ აღმოჩნდა მისი მნახველი.

შეტყვის დაწყებისას თვალი მოვკა-  
რი, თუ როგორ გაუძღვა იგი თავის  
რაზმეულს და იყვირა:

„სამშობლოსათვის, სტალინისათვის,  
ურაჰ!“

ღამემ გავგყარა მებრძოლნი.

V. სამი დღე გავიდა, არსად სჩანდა  
ზედგენიძე. ერთხელ, ნაშუადღევს, მე  
თავით ვაპირებდი ვერხვების ახოში  
გადასვლას, მაგრამ ამასობაში კვლავ  
შემოგვიტია მტერმა, ჩვენ იძულებული  
ვავხდით ვერხვების ახო და მის ქვე-  
მოდ მდებარე ტყის ზოლი დაგვეთმო  
დროებით.

შელამებულზე ერთი მოზრდილი  
რაზმეული ტყის სიღრმეში შეგვაგზავ-  
ნა უფროსმა, გვიბრძანა: შენიღბვა,  
ბლინდაეების მოწყობა და აბსოლუ-  
ტური სიჩუმის დაცვა.

ნამდვილი გულთმისანი იყო ჩემი  
შოფერი გოლა. ნაშუადღევს მოწყენა  
შემამჩნია და მითხრა:

„ამხანაგო კაპიტანო, მოდი ერთი  
ვერხვების ახოში გადავიპაროთ... ვინ  
იცის, რა მოუვიდა ზედგენიძეს!“

„როგორ თუ რა მოუვიდა?“ — შეკით-  
ხები ყასიდად.

„არა, მე ამას არ ვხედავ, ჩვენი ნა-  
წილის ბიჭები დაბრუნდნენ, თვით  
მშვერავებიც... მხოლოდ სამი კაცი  
იგვიანებს, მაიორი ზედგენიძე, სერჟან-  
ტი უგრეხელიძე და მაიორი სმიჩნოვი.  
ზომ იცით, ცოცხალი თავით არავის  
დანებდებოდა ზედგენიძე.“

„თუ წასვლაა, მართო მე წაველ, შენ  
როზროზა ხარ და თავაწყვეტილი, გო-  
ლა. შენ სროლასა და ალიაქოთს ასტეხ  
უთუოდ, არაა საჭირო მტერმა იყო-  
დეს, თუ სადა გვაქვს ქვემეხები შენიღ-  
ბული ამჟამად.“

მართო გადავიპარები ვერხვების  
ახოში და მოვჩხრეკ იქაურობას რო-  
გორმე. შენ აქ ცხენებს მოუარე, თუ  
შემავიანდეს, ნუ დალონდები“.

მართლაც, დიდი თავნება ვინმე იყო  
გოლა, მაგრამ ჩემს ურჩობას ვეღარ  
ბედავდა.

გამოვედი თუ არა ბლინდაეიდან,  
უკან გამოვიდგა, ჩამაცივდა: ჩემი სა-  
ტევარი თან წაიღეო, — ეს იყო ციდა-  
ნახევარი სატევარი, ისეთი, როგორსაც  
ბავშვებს დაჰკიდებენ ხოლმე საქარ-  
თელოში. გოლას მუდამ თან დაჰქონდა  
განუყრელად იგი.

„შე კაიკაცო, სამი ხელბომში მიმაქვს  
და აეტომატი. რა ჭირად მინდა შენი  
სატევარი? ჯერ ცივი იარაღით არავინ  
მომიკლავს, გოლა“.

მთვარის ამოსვლას მოვუცადე, მერ-  
მე გადავიკიდე აეტომატი, ავიღე ხელ-  
ბომები, ჩემი ბრაუნინგი და ელფა-  
ნარი, ჩვენს გუშავებს ჩავუარე ტყეში  
და ზოხვით გადავედი ვერხვების ახო-  
ში.

ორ გერმანელ გუშავს უწყინარად  
გავეპარე თვალსა და ხელს შუა, მესა-  
მემ ფოთლების ფაჩუნს ყური მოჰკრა,  
წამოვიდა, ოციოდე მტერის მანძილზე  
შესდგა თოფმეპართული.

— ვინ ხარო? — შემომძახა.

ნადირივით ვავილურსე, ავტომატი ხელში ავიღე.

სჩანდა: იგი ვერა მხედავდა ძედეს აფარებულს, მე კი მთვარის შუქზე მისი სახის ყოველ ნაკვთს ვარკვევდი.

მცირე ხანს ასე ვიყავი გაბევებული და როცა იგი უკან ვაბრუნდა, მარჯვედ გაესრიალდი ცხენის ლეშებსა და მოშლილ ზარბაზნებს შორის.

მშვიდად ეძინათ ახლად მკერდგანგმირულ ვაქვაციებსა და გრანატებისაგან გადამსხვრეულ ახალგაზრდა ვერხვებს.

საღლაც ჭოტი იძახოდა ტყეში. ადამიანის ჭაჭანება არსად ისმოდა.

მივძვრები ჩირგვებში ფრთხილად. რომელიღაც ცხოველი გაიშლივინებს ძეძვებში, ახლაც არ ვიცი, ძაღლები იყვნენ, თუ მგლები?..

ცხენების ლეშებსა და ქვემეხების ნამუსრევთა შორის ეყარნენ მკვდრები. ზოგი პირალმა იწვა ვაშოტლი, მთვარეს უჭვრეტენო ოცნებაში წასულნი თითქოს, ზოგიც მკლავებგამოლილი ჩახუტებოდა დედამიწას, ისე როგორც მთვრალი, შეყვარებული, ან უზომოდ დაქანცული ჩაეხუტება ზოლმე მას, ჩვენი მუდმივ სამკვიდროს, ჩვენი დასვენებისა და განსვენების იმედიან საყვანეს.

სათითაოდ დავათვალიერე ცხედრები, არსად სჩანდა ჩემი მეგობრის გვამი.

ცხენების ფრუტუნი მომესმა შორიდან, ძლიერ შორიდან, ცხენების ფრუტუნი და ფლოჭვების ტკაპუნი.

გავხედი და ვერხვს მივეფარე წაქცულს. მიწაზე დავეცი და დავძაბე სმენა. საღლაც უსტვენდა ვიღაცა...

დაუსტვენდა და შესდგებოდა.

ისევ დაუსტვენდა.

მოუჩნდა ყოველივე, წამოვდექი და ვირბინე, ვირბინე და, როგორც სჩანს, მხარი ამეჭკა.

ვიხედები ირგვლივ: ეს ასე აღარაა, რომელიც წელან გამოვიარე, საურმე გზაზე გავედი, გავხედე. მანქანები გაქიმულ გზას, ძხორს (არის) არსად ჭაჭანებს, მხოლოდ დაღეწილი ავტომანქანები ჰყრია და რამდენიმე ლეში ცხენისა.

ამ გზის ვადაღმა უკვე არც ვერხვები და არც ჩემთვის ნაცნობი შემოგარენი. მუხნარი დაიწყო, ჩვენი ზარბაზნებისაგან დაღეწილი მუხნარი.

უზარმაზარი მუხები წვიან რომ გორც თავუქრილი დევეების ლეშები. მარტოხელა ჭოტი იძახის საღლაც...

ვიხედები ირგვლივ...

ალარც კი ვიცი, საიდან მოვედი, ან საითკენ წავიდე?

ასეთი გრძობა მაქვს, თითქოს პარაშუტით ჩამომსვესო ამ ჯოჯოხეთში, საღლაც დაღეწილ მუხნარში, ცხენის ლეშების, ადამიანთა ცხედრების, ტყვიამფრქვევთა ნამსხვრეების მეტი არაფერია და მხოლოდ ერთადერთი ჭოტი კივის ბედიითად.

მთვარე ზედ დაპქათქათებს ამ იაგარქნულ ტყეს, ვლავენ ზარბაზნების საკეტები, თოფები და უპატრონო მუზარადები ჩირგვებს შორის.

თვით უშამაცესი ადამიანიც შეკრთება და დაიბნევა ერთხელ.

თუ არა ეცდები, ნაპოლეონი ამბოზს საღლაც: ყოველ ბრძოლაში დგება ზოლმე ერთი მომენტი ისეთი, როცა უშამაცესი ჯარებიც, სავსებით გმირული ბრძოლების შემდეგაც შედრეებიან და უაუქცევისკენ გადახრებიან. შეკრთომა საყუთარი თავის იმედთანაა დაკავშირებული.

როგორც სჩანს, მეც შევკრთი და დავიბენი ამ არნახული ვარამის ჭაჭაში.

გაქცევა დაგაბირე, მაგრამ მიმართულებათა შეცნობის უნარი წამერთო.

სუნთქვაშეკრული მივბოხაე, ნელ-

ნელა მივიწიე წინ და თანაც ვათვალიერებ გადაცილებით გარემოს.

ახლა სხვაგვარი სანახები დაიწყო.

საშინელი სუნი სდის ტყეში, სისხლის ტბორებია ირგვლივ, კატისოდენა ვირთხები სისხლის ხერეპას შიატოვებენ და გარბიან ჩემი ნაბიჯის ჩქამის შემცნობნი.

ზოგან თვალნათლივ ვხედავ დაღეწილ მანქანებისა და ცხენების ლეშების გვერდით დაცუქტულ მკვდრებს. ერთნი ზედლაკვდომია ქვემეხების ლულებს, სხვანი თავდაყირა გადაუტყორცნიათ ბომბების მიერ ვაკეთებულ ორმოებში.

უკვე მოთავებული მქონდა ახო, როცა ცხენის ლეშების მთელი ყორე ვნახე და სამიოდე დაღეწილი, დამუნჯებული ტანკი, „ტიგრისი“ ტიპისა, ჩვენი არტილერიის მიერ გაჩანაგებული საესებით.

მივებალე ამ ნამუსრევებსა და ვხედავ: უზარმაზარ ორმოში, ჩვენი ყუმბარების მიერ ამოთხრილ ხრამში, მუზარადები ვარვარებენ მთვარის შუქზე.

ეს არ იყვნენ უკვე უბატრონო მუზარადები, მუხის ლანდებს ავეფარე, ვიფიქრე: ეგებ რაზმეულია-მეთქი ჩასაფრული.

ვუცქერი: წრეში დამსხდარან ფოლადის მუზარადიანი გერმანელები და თათბირობენ რაღაცას თითქოს.

გულმა ცემას მოუბშირა, გრანატისკენ წავიღე ხელი, ერთი ზელბომბიც ეყოფა ამ „დარბაისელ გვამთა კრებს“-მეთქი, მისაწვდნენ მანძილზე წავიწიე, ვაშტერლები, ვაკვირდები, მზერად ვიჭეცი.

არცერთი მათგანი არ იძვრის.

ჭიდევ დაფინაურდი ორიოდე ნაბიჯი და რას ვხედავ: ყველანი მიწაში არიან თითქმის მკერდამდის ჩაფლულნი. მუზარადიანი მიცვალებულებს მივაცქერდი მხერადამაბული.

თავდაბრლინი იყვენენ.

თავჩაქინდრულნი, თითქოს მიწას აღლევნო სალამს.

მაგრამ ჰოა, საშინელუბაყვე ვმუშარადიან მიცვალებულთა მხარისკენითი შეინძრა ჩემი ორანის შემცნობი.

წამოდგა.

მუზარადი ეხურა მასაც. მაგრამ არა ისე, როგორც სხვებს, სახისკენ დახენქილი, არამედ სწორად ეხურა თავზე მთვარის შუქზე მოლაპლავე წოწოლა მუზარადი, რომელიც ყველა სხვათა მუზარადისაგან განირჩეოდა ეშმაკის რქასავით წაწვეტებული ხეთავითა, ხოლო დანარჩენებს ვოგრიტებ მომრგვალო მუზარადები ეხურათ.

ეს ლანდი მკვდრებს შორის იყო დაცუქტული, აქედან ისე მოსჩანდა იგი, თითქოს ენურჩულებოდაო რაღაცას მუზარადიან მკვდრებს, ისიც შეენიშნე, თუ როგორ წამოდგა და გაბარვას დაადგა.

თვლები მოვიფშენიტე, მოჩვენება მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ არა, სავსებით გარკვეულად ვხედავ: წალასლასდა, წალასლასდა და აყირავებულ ჯავშნიან მანქანას მიეფარა ერთს.

ავტომატი მოვიმარჯვე, დაფინაურდი.

ფრთხილად ჩავუარე თავჩაქინდრულ მიცვალებულთა რაზმეულს და ახლა ჯავშნიან მანქანიდან გამომერა იგივე, რომელსაც წოწოლა მუზარადი ეხურა, წელში ვაიმართა, ხელები ჩაუშვა და მკახე ხმით მიყვირა: „Wer kommt?“<sup>1</sup>

და როცა პასუხი არ მიიღო, ისევ ჩაცუქტდა აყირავებულ მანქანის გაღდამა. მე ასე დავასკენი: ალბათ შეერთა და შემალემა, ან სასროლად მოეშხადა-მეთქი.

ბევრი ფიქრის დროც აღარ იყო, თავათ არ მახსოვს, როგორ ავმხტარე ვარ ფოცხვერავით და რევოლვერ-

<sup>1</sup> ვინ მოდის?

ამოწვედილი მუზარადიანს დაეხტომი-  
ვარ მხრებზე.

გავუცდი, რა შევიცანი — არაეი-  
თარ წინააღმდეგობას არ მიწევდა ეს  
ფაფუკი კაცი. ერთი შევანჯღრიე მაგ-  
რად, როცა გაიტერინა, მოვეშვი.

სოლდატურად გაიჯგინა და სწორედ  
ამ დროს შევნიშნე: ადამიანის მკლავი  
ეჭირა ხელში.

ეგ რა არის მეთქი, — ვეკითხები.

თუ არ მომკვლავ, გეტყვიო.

ხომ საძულველია მტერი, მაგრამ ლა-  
ჩარი მტერი ორკეც სიძულვილს იწ-  
ვევს ხოლმე ვაეკაცის გულში.

იგი აღმოჩნდა გერმანელი ჯარის  
ეფრეიტორი ვინმე სეროკა. მას ხელო-  
ბა ჰქონია თურმე ასეთი: მოთავდებო-  
და თუ არა ბრძოლა, ბლინდაჟიდან  
გაეპარებოდა ამხანაგებს, ჩამოუვლი-  
და მკვდრებს და არხეინად ძარცვავდა.

ვეკითხები:

„ეგ მკლავი ვის წააჭერი, ძაღლო?“

„არავის, ღეთისმშობელს გეფიცე-  
ბი, წმიდა მარიაჰს, ცხენის ლეშის  
გვერდით ეგდო, სხეულს მოწყვეტი-  
ლი“.

ხელიდან წავგლიჯე, დაეხდე მთვა-  
რის შუქზე, ზედგენიძისეული ვერცხ-  
ლის ბეჭედი შევიცანი, მკლავიც მისი  
იყო, მარცხენა, რომელსაც უსახელო  
თითი და ნეკი აკლდა ამ ბრძოლის  
დაწყებამდისაც. იგი შრაბნელმა მო-  
სწყვიტა.

თავისი ეროვნება არ გასთქვა სერო-  
კამ.

ჩეხი თუ ხარ-მეთქი?

არაო.

პოლონელი?

არც ეგაო.

არც სერბი ვარო და არც კროატი.

ვინც არის, რა მენადლეუბა ეს ოხრის  
შვლია, გავიფიქრე.

ბულგარელობა არ მიკითხავს და ახ-  
ლაც მგონია, არც ბულგარელი უნდა  
ყოყილიყო იგი.

მომკლა სეროკა?

ცივი იარაღი თან არა მქონდა, რე-  
ვოლვერის გასროლა შეეძლო. ჩამკვდებოდა  
საფრთხეში. ვინანე: გოლას რომ არ  
დაუუჯერე და მისი სატეფარი არ წა-  
მოვიღე.

ახლა ერთი რამ განვიზრახე: წასა-  
ხრილობად წაეტანებოდი, მაგრამ უზარ-  
მაზარი სჩანდა და შესაძლო იყო შე-  
მოგეთენებოდა ბრძოლაში.

მთავარი მაინც ეს იყო, ვზას რო-  
გორ გავიგნებდი მხარაქცეული ამ ჯო-  
ჯობებითდან?

ცა ფითრთებოდა უკვე...

ახლა მტყიცე ტონით მოვთხოვე: იმ  
აღგილამდის მივეყვანე, სადაც ეს  
მკლავი იბოუნა.

კვლავ დაბეჯითებით მარწმუნებდა:  
ცხენის ლეშის გვერდით ვიბოუნეო  
მკლავი.

შეეფიქრიანდი. ცხენი არა ჰყოლია  
ზედგენიძეს, ეს ამბავი მტყიცედ ვიცო-  
დი, იგიც განვსაჯე: რა ინტერესი ჰქონ-  
და სეროკას ამ შემთხვევაში ეცრუენა?

ცხადი იყო: მკლავი მან იმიტომ  
აიღო, რომ ბეჭედი ელავდა ალბათ  
მთვარის შუქზე.

ახლა თავისიანების, გერმანელების  
გინებას მოჰყვა სეროკა: ცოცხლებს  
თავათ ძარცვავენ, მკვდრებს შე მო-  
მიგდებენო.

„სეროკა, ვეუბნები, თუ გინდა სუ-  
ლი შეგარჩინო პირში, ადექი ახლავე  
და მომაძებნინე ამ მკლავის პატრონი“.

ფაცა-ფუცით წამოვარდა სეროკა და  
წელში წაეუხული წამომყვა ტყისკენ.  
უსიტყვოდ მიმიხედა ის ვირეშაქა,  
რომ მე დიახაც მეშინოდა გათენე-  
ბას არ მოეწრო ამ ტყეში ანაზღად  
ჩემთვის.

„მე შენთვის ვამბობ პან, უკვე რიყ-  
რაეი იწყება და საშიშია პრუსაკებმა  
არ მოგვისწრონ. მაგ მკლავის პატ-  
რონს ამ ჯოჯობებით ვინ იბოუნის,  
ხომ ხედავ, ღორის ჯიგარივით არეუ-

ლია აქ აღამიანისა და ცხენის ფაშე-  
ბი. თუ მომკლავ, მომკალი, შენი ნებაა  
რასაც მიზამ“.

ყოველი შემთხვევისათვის გაჩხრი-  
კე, იარაღი თუ აქვს მეთქი რაიმე. ჯი-  
ბის დანაც არ აღმოაჩნდა ერთი. ჯი-  
ბებში ვუპოვნე ხურდა ფული, გერ-  
მანული და პოლონური ალუმინის მო-  
ნეტები, იაფფასიანი მძივები, მკერდზე  
დასაკიდებელი მედალიონები, სწორედ  
ისეთნი, როგორსაც ატარებენ ხოლმე  
გერმანელი ნოქარი ქალები.

ეს ყოველივე ალბათ ჯარისკაცებს  
ამოაყალა ამ სვავმა, გერმანელი  
გრეტხენების სურათები იყო ამ მედა-  
ლიონებში. კრელჭრულა ყუთები და  
უგემური პორტიგარები, ქალის კუ-  
ლულები, წერილები, თითფერის ჯვრე-  
ბი და სხვა მისთანანი ელაგა მათში.  
რამდენიმე ოქროს კბილი და მთელი  
ბლუჯა ვერცხლის, ფოლადისა და ფა-  
იფურის კბილებისა, ბალახებში გადა-  
ვუყარე ეს გულისამრევი ხარახურა.

მობობლავდა სეროკა, ჩემთან ერთად  
მოჩოჩაედა ტყისკენ, ხანდახან მომიბზ-  
ლოვდებოდა.

თან მომდევდა ხოხეით და მიჩურჩუ-  
ლებდა:

„ხომ ზედავ, თენდება პან, გიჯობს  
არ იარო ველდაველ, ახლა მხარმარცხ-  
ნივ გავეხვიოთ, ტყის პირი ისაფრე  
და ისე წადი თქვენებისაკენ, ღვითი,  
ქალწული მარიამ იყოს თქვენი მფარ-  
ველი“.

რიცრაეი დაიწყო. ახლოს, სულ ახ-  
ლოს მომსდევდა სეროკა გვერდით,  
მეჩურჩულებოდა:

„გაფრთხილდით, ჩვენები სულ რამ-  
დენსამე ნაბიჯზე არიან ჩასაფრულნი,  
ამ ტყის ბოლოს. ქალწულმა მარიამ  
დაგიფაროს, შე და თქვენ ერთად რომ  
შეგვიპყრონ აქ, თქვენ ხომ დიღუბე-  
ბით, მაგრამ არც შე მაკმევენ შაქარს,  
პან.“

ჩვენი კომანდრები გაცოცხლებული  
არიან, ამ ბრძოლაში თქვენმა მზვერა-  
ვებმა ხელბომბებით აგვიფეოქეს  
„ტიგრები“. მათ ასევე გვიჩვენეს მეუ-  
მუსერელი არიან „ტიგრები“.

ეგაა პიტლერის უკანასკნელი იმე-  
დი. სამასი „ტიგრი“ შემოუშვეს გუ-  
შინწინ ბრძოლაში.

მხარმარცხნით იარეთ, ახლა დავ-  
შორდეთ რამდენიმე ნაბიჯზე ერთი  
მეორეს“.

ესა სთქვა და მუზარადი მოიხადა,  
ქვაბივით მოაქონდა თითქმის დაცუც-  
ქულად შორაულს, მოფრთხავდა ეს  
უზარმაზარი, გაბერილი კაცი ჩირგვებ-  
ში, ზედ ეტყობოდა ფრთხევაში და-  
ხელოვნებული ყოფილა იგი თავიდან.

ახლა მუზარადივით ვარჯარებდა  
მთვარის შუქზე მისი მწარე კვაბივით  
წაგრძელებული, უჯიშო თავი.

ტყისპირად დაეცილდით ერთმა-  
ნეთს. ერთ წამს შესდგა სეროკა და  
მეუბნება: „თქვენ კაიკაცი ყოფილ-  
ხართ, მაგრამ ეს არ უნდა გენებები-  
ნათ, ის ოქროს კბილები რომ გადამი-  
ყარე, შე სწორედ სამი კბილი მაკლია  
ქვედა ყბაზე, ჩემთვის მინდოდა ის  
ოქროს კბილები, პანი“

როცა ხმა არ გავეცი, „ღამე ნებისა,  
ქალწული მარიამ იყოს თქვენი მფარ-  
ველი, პან“, —

მომამახა გახარებულმა სეროკამ.

არაოდეს დამავიწყდება ამ საძაგელი  
კაცის სახე.

არა მარტო სახე, არამედ ხმაცა. ალი-  
გატორის კბილებისებრი, ლაშებს ვად-  
მოცდენილი, ფოლადის კბილები  
უელავდა ყურებამდის ჩახეულ პირში,  
და ამ ვეება ვაეკაცს ისეთი წვრილი,  
წვრილი ხმა ჰქონდა, თითქოს დიაცის  
გვამიდან ამოდისო იგი...

გულამღვრელი მიებრუნდი ბლინ-  
დაეში, მქენჯნიდა სინდისი, ეს სვავი  
რომ ვერ მოგკალი, ვწყველიდი ჩემს  
თავს, გოლას სატევარი რომ არ წავი-

ლე თან, რათა განშორების უამს ყელი გამომეღარა მისთვის.

შესროლა უკანგაბრუნებულისათვის ხელყუმბარა, ან ავტომატი?

უპველად გაეთქვამდი ჩვენი პოზიციის სამყოფლოს და სეროკას მოტელებილი თავი არც ღირდა ამაღ.

ჩვენი რაზმეულის ბლინდაყში ჯერაც არ ჩამქრალიყო შუაეცხლი. თავლაში ყველას ეძინა, მხოლოდ ცხენები ფრუტუნობდნენ გარეთ.

ასე ვინუგეშე თავი: თუ ცოცხალი გადავრჩი, ამ ბეჭედს მაინც ჩაფუტან-მეთქი ზედგენიბის უბედურ დედას. ცერზე ვაფიქეთ იგი.

ჩემქმების გახდაც ვერ მოვასწარი, გოლა დაუცქდა ჩემს ფერხთით.

„რა ჰქენით, ამხანაგო კაპიტანი?“

როცა ყოველივე ვუამბე, სეროკას ამბაემა გააცოფა გოლა.

„ათსუს, სად ვიყავ, ჩემს სატეუარს ისე დავეტრიალებდი მაგ არამზადას გვაშში, მოხარშული მაკარონივით გამოვაყრევენებდი წელგებს!“

გოლას უყვარდა მაკარონი, ამიტომაც მას ადარებდა ავსა და კარგს.

სამი კვირა ვიყავით იმ ბლინდაყებში და მერმე ისევე ატყდა ვრიალ-ვრიალი.

ღილის ექვს საათზე დავიწყეთ შეტევა.

გოლამ ბრძოლის დაწყების წინ მითხრა: „მე არავინა მყავს დამტირებელი ამქვეყნად, არც დედა, არც მამა, არც ცოლი, ერთი ბეხრეკა მამიდა მყავს დიღომში, ვინძლო მაგ ძალთაბირებმა მომკლან, ეს ოკროს საათი, თუ სადმე იპოვნო, მიუტანე იმ საწყალ მამიდას.“

ომში წამოსვლის წინ მამიჩემისეული საათი გამომატანა, თუ ძალიან გაგიჭირდეს, მოიხმარეო, დამამბარა... მიუტანე ეს საათი ბედშავ მამიდას... ჩემს გარდა არავინ ჰყავს მას გამოკითხავი.

მაგრამ ვად, თუ ის ობერი სეროკა გადამაწყდა შენზე ადრე“.

„ადრდი ნუ გაქვს, გოლა, ნუ განხოდეს, სამი რამ უნდა არეკვეთოს ვაკეთავანს ყოველს:“

შიშის,

შიშშილის

და სიკვდილის ხსენება.

მაშინ ყველაფერი კარგად იქნება, გოლა.

მაინც და მაინც რად ვარაუდობ აგრე, ერთიც ვნახოთ და შენ გადააწყდი დაჭრილ სეროკას, როგორც სჩანს, მისი დივიზია ჩვენი პირისპირ დგას.

რაო, ჩვენი ზარბაზნების ყუმბარები არა სჭრიან, თუ როგორ გგონია, გოლა?!“.

„მოგეცეს ლხენა, თუ ის სეროკაა, თუ რალაც ჩემი ფეხებია, სადმე მოვიხელთე, დაჭრილიც რომ იყოს, დავითრევე და ღორივით გამოვშიგნავ მაგ ღორისდასმულს.“

თქვენ ხომ იცით, ვიდრე მე შოფრობას დავიწყებდი, ყასაბი ვიყავი, გამოშიგვნა და ოთხში ამოღება ეს ჩემი ხელობაა, კაპიტან“.

VI. შვიდი კვირა ვიბრძოდით ამის შემდეგ იმ ტყეში. რა გავაგრძელო და მრავალ ათას ფრიცს დაეაყრევიანეთ მე და ჩემმა წითელარმიელებმა წელგები, გოლას ენით რომ ვთქვათ: „მოხარშული მაკარონივით“.

ერთ საღამოს მაიორი სმირნოვი და სერჟანტი უგრეხელიძე დავვიბრუნდა, გერმანელების ალყიდან გამოაბარულნი. სენსაციური ამბავი მოედო მთელს ჩვენს დივიზიას: ზედგენიძეს და სმირნოვს სამი გერმანული „ტიტრი“ აეფეთქებინათ ხელყუმბარებით, ორივენი საბჭოთა კავშირის გმირებად წარადგინა ჩვენმა პოლკოვნიკმა.

სმირნოვმა მიიღო კიდევაც, ხოლო ზედგენიძე ვერ ეღირსა ამ მაღალ ჯილ-



დოს, რადგან იგი ყუმბარას უმსხვერპ-  
ლია ბრძოლის დროს.

ძვირად დაუვსვით გერმანელებს ჩვე-  
ნი ქოჩორა ბიჭების სისხლი, მაგრამ  
უკანასკნელ, ხელჩართულ ბრძოლაში  
ავტომატის ტყვია მომხვდა მარჯვენა  
მკლავში, გერმანელი ცხენოსანი ოფი-  
ცერი თავზე წამომაღლა, ხმალი გადა-  
მიქნია, ასე მეგონა: შეიღ ეკლესიაზე  
ჩამორეკესო და ამის შემდეგ აღარაფე-  
რი მახსოვს, ცნობაწართმეულს...

ამ ბრძოლაში დავკარგე მარჯვენა.

**VII.** გამომეღვიძა ერთ ბინძურსა  
და დუბჭირ ლაზარეთში. ექთანმა მა-  
რიამ მიჩურჩულა: „გერმანელების  
ხელში ვართო“.

„რაო?!“

„ჩვენებმა მოგიყვანეს, ახლა გერმა-  
ნელები დაეპატრონენ ქალაქსა და ლა-  
ზარეთს“.

მე და გოლა ერთად გამოვუთრევი-  
ვართ ვერხვების ტყიდან, ჩვენთან ერ-  
თად ოცდაშვიდი რუსი, ცამეტი უკ-  
რაინელი და რამდენიმე ებრაელი, ყვე-  
ლანი ჩვენი დივიზიის მეთაურები და  
წითელარმიელები.

ხუმრობის გუნებაზე აღარ იყო გო-  
ლა. როცა მისი ჯანმრთელობა მოვი-  
კითხე, ხელი ჩაიქნია: წასულიაო ჩემი  
საქმე.

**VIII.** აღარ იღიმებოდა მულამ მზია-  
რული, როზროზა გოლა, აღარ ანგლობ-  
და, არ იგინებოდა თავისებურად. მიც-  
ვალბულს უფრო მეტად წააგავდა,  
ვიღრე დაქრილს.

ექთანმა მარიამ ეგვი გვამცნო:

ტიფიანების იზოლიატორად აქციესო

2. „მნათობი“, № 6.

ეს ლაზარეთი გერმანელებმა. უმთავ-  
რესი ეს იყო: ეს ლაზარეთი ხელიდან  
ხელში გადადიოდა ხშირად.

ლამლაშობით საზენიტო ზარბაზნე-  
ბი ჰქუხდნენ. იმ უბანში ჩამოცვენილი  
ბომბების დეტონაციისაგან ილუწებო-  
დნენ ფანჯრების მინები.

ჩვენ მიმედღაქრილები დავრჩით,  
მოხუცებული ექთანი მარია არ გვეცილ-  
დებოდა, დღისით ქსოვდა და ლამლა-  
შობით გვერდით გვიჯდა და პუტუ-  
ნებდა თავის ლოცვებს.

ხან ჩვენი ექიმები შემოდიოდნენ,  
დააკვირვებდნენ, მოგვივლიდნენ, გვი-  
აქიმებდნენ მეორე დღეს ლაზარეთში  
ღარჩენილ ჩვენს ექიმებს წამოუსვამ-  
დნენ ხელს, სადღაც გააქრობდნენ.

დილას და საღამოს გაისმოდა მკაც-  
რი და შეუბრალებელი გერმანული  
სიტყვები. მუსიკის გრიალი, ერთობ-  
ლივი მარში და შიგადაშიგ გერმანული  
ფელდფებელების ჩხავილი:

„აინს, ცვაი,


აინს, ცვაი.

„ახტუნგ“.

ქარი ჰქროდა, საზენიტო ზარბაზნე-  
ბი ჰქუხდნენ, ხოლო ექთანი მარია  
კითხულობდა თავისთვის იობის წიგნს:

„და დასცა იობ წყლულებითა ბო-  
როტითა ფერხთაგან ვიდრე თავამდე;  
მოილო იობ კეცი, რათა იხვეტდეს  
წყლულებათა თვისთა და დაჯდა იგი  
სკორეთა ზედა გარეშე ქალაქსა“.

**IX.** ერთ საღამოს ექთანმა მარიამ  
ამბავი მოგვითხრო: ამ ლაზარეთის უფ-  
როსად დაუნიშნავთ გერმანელებს ვინ-  
მე ექიმი ბოკმაიერი, რომელსაც გაუ-  
გონარი სიმკაცრითა დაფიქსირებულნი  
დაქრილებს შორის არიან.



მას ორი ვაჟი მოუკლეს თურმე ჩვენს ფრონტზე და შურს იძიებსო ახლა.

განსაკუთრებით ებრაელებს ემტერებო იგი.

„ამხანაგო კაპიტანო, თქვენ შავი წვერი გაქვთ, ყვრიშალებთან დაფანჩული და ნიკაბთან შეთხელებული, მე შეშინია გალიციელი პეისებიანი ებრაელი არ ეგონათ მაგ გარეწარს.“

მოდი გაიპარსეთ ეგ წვერი“.

მოკრძალებულად დასძინა მარიამ.

ექთანე მარია იყო ჩვენი ერთადერთი ჭირისუფალი ამ ლაზარეთში. მან ებრაელებს ურჩია: დაეფარათ თავიანთი ეროვნება და ჩვენთაგანი ყოველი დაინამუსა: აღმინისტრაციისათვის არ გავგეშხილა, თუ რომელი და რომელი იყო ებრაელი ჩვენ შორის?

მე ჰკუთხე დამიჯდა ეგ თათბირი, სხვა ლაზარეთებში მსუბუქად დაჭრილები მპარსავდნენ, ხოლო ამ დასაწვავში ყველანი ისე მძიმედ იყვნენ დაკოდილი, საკუთარ ქუთუთოებს ძლივს სწევდნენ მაღლა.

ერთი კოჭლი დალაქი გვყავდა და იგიც წინაღამეს გაქცეულიყო ბოშბარდირების შიშით. ვხედავ ეს წვერი სიკეთეს არ მიქადის, მაგრამ რა მექნა, ხელით ხომ არ შემოვიცილიდი წვერს?

აფსუს, ჩემი გოლა რომ არ წაქცეულიყო, იგი იყო ჩემი კარის დალაქი, დანას თუ ვერ იშოვნინდა, თუნუქს გალესავდა, ან შუშით გამპარსავდა ხოლმე.

ამ ფიქრში გართულს ფაცი-ფუცი მომესმა, ექთანეები და სანიტარები გართოდ-გამორბოდნენ. ბოლოს გამოჩნდა ცხვირგაბუსტული, სახედაფლავა ბერიკაცი, რომელიც გაანჩლებული აბრიალებდა გამოკუსულ თვალებს ოქროს პენსნეს ვადაღმა. მას ბარე შეიდი ექიმი მოსდევდა უკან.

ზიზღისაგან სახედამანჭულმა ერთი

დამხედა და საჩვენებელი თითით/მომიშვირა.

„შენ ურია ხარ, არა? არა ვარ-მეთქი ურია, მიეუბნე.“

უცებ მზერა მოშწვიცა, დაფეთებულივით მიმოავლო საწოლებს თვალში და გაწმობებულმა სთქვა:

„მამ ვინაა აქ ურია?“

როცა არავინ გასცა პასუხი, გაცეცხლდა ბერიკაცი და ისტერიული ხმით გაიმეორა:

„Sagt ihr Schweinehunde, wer ist unter euch ein Jude?“<sup>1</sup>

ბოლოს ისევ მე მომალდა და დაეინებით შევითხევა:

„უნდ არის აქ ურია?“

„არ ვიცი, პერრ, ალბათ ვინც ჭირსტიანი არაა, იგი ებრაელი იქნება, ან მაჰმადიანი“ — მიეუბნე მე.

„ეგ კაცი ხომ ურიაა, არა?“

სთქვა და გოლას მიაშვირა თითი.

არც ეგაა მეთქი ებრაელი, მიეუბნე მშვიდად.

გოლამ თვალი გაახილა და მკითხა:

„რა უნდა ჩემგან ამ ვირიშვილს, ნეტა?“

„იცოდე, შენ არაფერი წამოგცდეს ხუმრობითაც“ — გაეაფრთხილე ჭართულად გოლა.

„თავი დამანებოს ერთი, თორემ საიქიოს თან გაეიძლოლებ მაგ ბებერ ძაღლს, მაგის... (აქ ისე მაღიანად შეუქურთხა გოლამ, მე ველარ ვებედავ, ბატონო კონსტანტინე, მის გამეორებას თქვენთან).“

ექიმი ბოკმაიერი ისევ მომიბრუნდა გაფიცებულად:

„თუ თქვენ ურეები არა ხართ, რად მოგიშვიათ წვერი?“

„რასა ბრძანებთ, ექიმი, განა ებრაელების გარდა არავის ასხია წვერი? ვარდა ამისა, აქ ერთადერთი გერმანე-

<sup>1</sup>„თქვით, თქვე ღორძალებო, ვინ არის თქვენთაგანი ურია?“.



ლი დალაქი დაგვიხვდა და იგიც გაქცეულა ბომბარდირების შიშით.

„მამ გერმანელები მშიშარები ყოფილან, არა? გერმანელი და მშიშარა, გერმანელი და გაქცევა, თქვენ ალბათ სიტყვ გაქვთ, ყმაწვილო“.

„განა თუ ყველა, ეგ ერთი გამოგრევიათ მშიშარა, ჰერ დოქტორ. თქვენ ყველანი გმირები ბრძანდებით, ჰერ“...

„შენ რაღად ლელავ, ყმაწვილო, დაშიყვავა ბოკმაიერმა, განა არ იცი, ჩვენ აღარას ვერჩით ურიებს, ჩვენი ფაურერის უკანასკნელი ბრძანების შემდეგ, ჩვენ ყოველ რელიგიას სათანადო პატივისცემით ვეკიდებით, მხოლოდ ეგ გვინდა, საზრდო გაფუშგობესოთ ურიებს, ამ ლაზარეთში ღორის ზორცის მეტი არაფერი გვაქვს და ამიტომაც ვეკითხებით“.

პალატის კიდეს სავსებით განკერძოებულად ეძინა ერთ დაქრილს. მას ამ ყვირილზე გამოეღვიძა. საბანი თავიდან გადაიძრო და მიკნაეებული ხმით თქვა:

„შე ვარ ებრაელი, ბატონო“.

ზოგი ჩვენგანი შეეკვდა, მართლაც იმ კვირას ბარე ორჯერ გვაჭამეს ღორის ზორცის ყაურმა.

როგორც ბოლოს გავიგეთ, ეს კაცი კაპუკი ყოფილა, გვარად ბამატი. დიდი ხუმარა ვინმე, რომელსაც, როგორც ქვემოთ დაეინახეთ, ძვირად დაუჯდა ეს ხუმრობა.

უცნაურია ადამიანების მოღვა. მე ძალიან მიყვარს ხუმარები, მაგრამ ერთი სენი სჭირთ მათ: ხანდახან რიგიათნი ოზუნჯობისთვის თავს გასწირავენ ხოლმე.

ვარდა ამისა, ერთი მღვდმარეობაც უნდა მივიღოთ მხედველობაში: ეს კაცი ეკუთვნოდა უმეორეს ერთგანს შთელ მსოფლიოში; ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობს კაპუკთა ტომი, რომელიც ერთადერთი თემისაგან შესდგება.

იმ წამსვე ცხერის ბორში მართვეს კაპუკის. ბოკმაიერმაც კაპუკის იცვალა ბეწვი. შემდეგ იცვალა არა დილით, თავის „გუტენტაგ“-ს შემოგვაგებებდა თავაზიანად, დაგვიყვავებდა, მზრუნველობით- აღსაესე გამომეტყველებით გესინჯავდა.

ჩვენი პიტლერი ატილა როდია, ლეთის რისხვად მოევილინოსო კაცობრიობას, ჩვენ კაცობრიობის მხსნელნი ვართო, ცივილიზაციისა და კულტურის მედროშენი.

მხოლოდ პარტიზანებს არ ესმით ეს.

მიუხედავად ამისა, მეტწილად ტრესკის, ან ტარნის სუქს გვაქმევდნებ, რომელშიაც აქა-იქ დაცურავდა. თევზის კუდი, ზორცემოცილი, ხერხემალი თევზისა, ან ფხა, ზოლო იმ კაპუკს „მსევლო ებრაელს“, ცხერის ზორცის ბორშის.

როგორც კი გააძღეს, ფერი იცვალა ჩვენმა კაპუკმა.

ჩვენს დამწუხრებულ პალატაში სიცოცხლე და სიცილი შემოიტანა. ფრიად დახელოვნდა ბოკმაიერის გამოჯავრებაში.

დაიკოსებდა ცხვირზე თავის მეზობლად მწოლარე ებრაელის სათვალეს. ბოკმაიერისავით გაიყინებოდა და ვითომ ბრაზმორეული შორთავდა ხავილს, თანაც ისე რსტატურად ბაძავდა გერმანული ენის ინტონაციას, რუსულადაც თითქმის უწიგნიერი კაც გეგონებოდათ მართლაც გერმანულად ლაპარაკობსო.

ახლა გოლამ წამოაყო თავი.

„იცი, ამხანაგო კაპიტანო, ისე მშია, ისე მშია, ვგონებ იმ კაპუკისავით, მეც ვიკისრო ებრაელობა ახლავე. მახელებს ამ ცხერის ზორცის სუნი. პაპ, პაპ, პაპ, რა მადიანად გეახლებოდი!“.

ტყვედ ჩავარდნამდის უცნაურად ბეერსა სკამდა გოლა.

ერთხელ, როცა ჯერ კიდევ ნალჩიკში იდგა ჩვენი პოლკი, გოლამ სადღაც ხევში იპოვნა ერთი ერკემალი, მანქანისგან თავწაწყვეტილი.

ტყეში წაგვიყვანა: ზედგენიძე, უგრეხელიძე და მე, დიდი კოცონი დაანთო წყაროს პირად. თვით ვაბყავა, გარეცხა ცხვარი, შამფურზე წამოაგო და მთლიანად შესწვა, მდელოზე გააწყო სუფრა.

ჩვენ სამი ძლივს მოვერიეთ ერთ ბარკალს.

თავით მიადგა თითქმის მთელ ცხვარს. „პაპ, პაპ, პაპ“—იძახოდა.

აქებდა სათითაოდ ცხვრის სხეულის ნაწილებს.

„ეს ჩალაღაჯია, ყველასგან ნაჭები, ერთი ნიორი მომცა, წიწკა, ძმარი და ქინძი.“

ეს ბეჭია, ეს პირველი ანტრიოტი, ეს მეორე, ეს საყვენტელა ნეკნები.

ოპ, რა ზაში გამოვიდოდა ამ თავფეხებისგან“.

თანაც იმ ნაწლებებისა და გულღვიძლისაყენ აბრიალებდა თვალს, წყაროს პირად რომ დარჩა გაუწმენდელი.

უნდა გენახათ, რა დიდის ყოფით ემზადებოდა ჭამისთვის გოლა. ნამდვილი რიტუალი! კაცს ეგონებოდა მღვდელმსახურებისთვის ემზადებო.

ამ ტყვეობაში დაცლილ რუმბსავით დაიფშუტა მისი უზარმაზარი სხეული, გადაუვიდა ლაწეის თავებიდან და ცხვირიდან ის ზომაზე მეტად დაქლაჟა სიწითლე, რომელიც ლოთებს გადაჰკრავს ხოლმე სახეზე.

დაბატარავდა თითქმის კიდევაც. გაყვითლდა, თვალის უბეები ჩაუცივდა. ნიკაპს ქვემოთ ფაფუკი ლაბაბები ჩამოეკიდა კამჩის ბულასავით სქელ ჰედზე, ნაკეც-ნაკეცად დაეკიდა ფერგამკრთალი ტყავი, ისეთი დაჭმუჭენი-

ლი, როგორც ხარს გაუჩნდება ხოლმე კისერზე, შეუბრალებლად და ხანგრძლივად უღელში ნაბამქონეული.

„ცუდადაა ჩვენი საქმე—ამხანაგთკაპიტანო,—მეუბნება გოლა,—ერთი ლოთიანად გამაძლო სიკვდილის წინ და მერმე ჩემი თავ-ფეხი ბოკმაიერის...“

ერთი ჩალაღაჯი მაჭამა ქონდრითა, ნივრითა და ძმრით შეზავებული, ტფილისური ზაში ნივრითა, ზედ არაყი და წითელი, მთლად სისხლისფერი ნაფარეული, კახურად, მრგვლად მოხარშული დედალი, ნივრის წვენითა და რამერუმეებითა, ან მამა-პაპური ბოზბაში, პაპ, პაპ, პაპ!

ან მტკვრის ლოქო, ძმრითა და ქინძით, ან ცივი, ცივი ხრამული, ან ზუთხი, რიონის ზუთხი, გესმით, მოხარშული კი არა, შემწვარი, შამფურზე ჯიგრიანად შემწვარი და ზედ კოწახურის წვენი, ან ტყემალი, გინა ნაშარაბი.

პაპ, პაპ, პაპ!“

ისეთის დიდი მღვლევარებით მიაბობდა გოლა ამას, მეც მომადგა ნერწყვი.

თქმისაგან, როგორც მოგეხსენებათ, მწუხარება მცირდება, მაგრამ ტკბობის სუბლიმირებაც მისგანვე ხდება. ამით შორისაა სადღაც სიტყვისა, თქმის სიძლიერის სამანი.

ტყვილის გამოთქმა და სურვილის განცხადება, ეს ნიჭი რომ არ მიეცა ჩვენთვის განგებას, ჩვენ ისე უბედურნი ვიქნებოდით, როგორც ლორი, ჩემის აზრით ყველაზე უმწეო და უბედური ცხოველი ამ ქვეყანაზე, საჭმლის მაძებარი მუდამ მიწას რომ დასცქერის თავჩაქინდრული და რადგან თავის შალა აწევა არ შეუძლიან, ამიტომაც არც ის ბედნიერება გამოუცდია მას, რომელსაც ჩვენ ვგარჩნობთ, როცა მზეს შეეცქერით, ან ცას, ვარსკვლავებით მოოჭვილს.

მე არც მწერალი ვახლავართ და არც ორატორი, ამიტომაც ვერ ვადმოგეცემთ, თუ როგორის მკვერმეტყველ-

ზით აქებდა „გასტრონომი“ გოლა ჩვენს კერძებს, ამიტომაც უცნაურად გაშიშვალდა სიმშლის გრძნობა.

თავათაც აღელვებული ვეუბნები გოლას:

„ქიდევ რას ინებებდი გოლაჯან“?

„ახლა შილა-ფლაგი, ან ლულა-ქებაბი, გინა ფითი, ვახის წალამზე შემწვარი ძეძულთა ბატენის მწვადები, მცვრიანი სუკები, გნებათ დეკეულის ბეჭი, ტყემლის წვენითა, რეჰანიით და ქინძით შეკაზმული. ინდოურის საცივი, ან იხვის კუჭმაქი და იხვის ფეხები, დაშაშული ბატის ხორცი, ან ზემომიერული შაშხი, მოყვითანო, მოყვითანოკი არა, ქარვისფერი, შამფურზე შემწვარი გოჭი, რომელსაც შორიდან დაუყენებენ ცეცხლს და როცა შეიფეება, მისი კანი ტყიციანებს პირში.

ნუ იტყვი, ნუ იტყვი, ამხანაგო კაპიტან, რა უბედურები, ვართ, რომ ეს ამბები გაცილებით შორსაა ჩვენგან, ვიდრე გერმანული „ტიგრები“.

ერთი მამა-პაპურად გამაძლო, და მერმე თუ მოგვკვდები“,—და აქ ისევ შეუტურთხა ვენის უნივერსიტეტის პროფესორს, ტფილისელმა შოფერმა გოლამ.

ვიდრე მე და გოლა ჩვენი შესანიშნავი გასტრონომიის ჩამოთვლას მოვითავებდით, ბარე ცამეტი ებრაელის ეროვნება გამოარკვია ბოკმაიერმა.

მესამე დღეს, ექთანმა მარიამ გვამცნო: ცამეტი ებრაელი და მათ შორის ის უბედური ხუმარა კაპუჭი ცოცხლად დამარხესო ნაშუალამევს.

კაპუჭი გაცხარებული ყვიროდა თურმე, ეიხუმრე, თორემ ებრაელი არა ვარ, კაპუჭი ვარო, მაგრამ გერმანელები, როგორც წესია, ეთნოგრაფიის ცოდნაში მოიკოჭლებენ.

თვით მთავარმა ექიმმა, პროფესორმა ბოკმაიერმა არ იცოდა თურმე, რომელი „რასის“ ხალხია ეს მოდგმა კა-

პუჭებისა, ამის გამო დიდიხანა ის ბედშავი ბამატი, რომელიც ჩინებული მებრძოლი ყოფილა, ექმვეთვად ცულობიერი ამხანაგი, მაგრამ ეს მკვდარს გახუმრებას გადააყოლა თავი ამ უბედურმა კაცმა.

ექიმ ბოკმაიერს პროზექტურაში გაუწერია თურმე მძიმედ დაჭრილები, იქიდან დახურული აეტობით გაუქანებით სასაფლაოზე ისინი.

ერთ ღამეს კვლავ აწრიალდნენ მძიმე ქვემეხები და საზენიტო ზარბაზნები. უკანასკნელი მიწებიც ჩაგვიღწვა ბომბების დეტონაციამ. ჩვენ ისე განაბული ვიყავით, როგორც ნიბლიები ქორის ჩამოჭროლების მოლოდინში.

ჩვენი ლაზარეთის სამზარეულო და საწყობის შრამელები დაიღწვა.

ნაშუალამევს უამრავი დაჭრილები მოჰყარეს გერმანელებმა, თავისიანები და რუმინელები.

დილას ბოკმაიერი უქმურივით შემოგვივარდა:

„ვინც მომაკვდავია, მოკვდნენ ბარემ,—ყვიროდა პროფესორი ისტერიული ხმით.—პროზექტურაში გასწერეთ ვინც მომაკვდავია, მაგ კაცაბებისათვის კი არა, ჩვენებისათვის არა მყოფნის საწოლები და საბნები“.

გოლამ მთხოვა გადამეთარგმნა, მაგრამ ვერ გავიგე მეთქი, არ მინდოდა დამეშინებია ისედაც დასიცხული ავადმყოფი.

„მე კარგი ვქენი, ურიობა რომ არ ვიკისრე, თორემ იმ საწყალ კაპუჭს გამყოლებდნენ, ქოთნების საკეთებლად, მამალმერთთან“,—იხუმრა გოლამ.

მეორე დღეს უცნაური ამბავი მოხდა.

ასზე მეტი დაჭრილი შემოათრიეს და მათ შორის, იცით ვინ?

სეროკა.

მარცხენა მკლავი მიულეწია ვიღაც ჩვენთაგანს. უცნაურობა ბევრი ხდება ამ ქვეყანაზე და მოხდა ისე, ჩემსა და გოლას შორის დააწვინეს იგი.

კბილით შეჭირა გოლა.

„ერთი ისეთი ჩავაფარო, რომ აქედან თელეთი მოელანდოს მაგ პირდაღლს“.

სეროკას მუზარადის ნაცვლად რაღაც ჩაჩი ეხურა თავზე, მე მან ვერ მიცნო. გამეცინა და გავჩუმდი.

„ჰაი გიდი,—იქადნება გოლა: — ღმერთმა ინებოს, ჩვენებმა აიღონ ეს ქალაქი, ბოკშიაერს თხლესავით გავუხვდი ცხვირს“.

„სეროკას?“

ვეკითხები მე.

„მოგეცეს ღებნა, სეროკას ცხვირის ჩალეწვას როგორ ვაკადრებ, ოთხში ამოვიღებ მაგ სახეძალს, სატიკე თხას რომ ამოიღებენ ოთხში“.

სამი დღეც არ გასულა და გოლამ მიჩურჩულა:

„ამხანაგო კაპიტანო, ნუ თუ ვერ ამჩნევთ, ეგ წუნკალი როგორ უბრიალებს ჩემს საათს თვალებს“.

მართლა, მეც შენიშნული მქონდა: როცა გოლა ბალიშიდან თავის ოქროს საათს გამოაცოცებდა და ექთან შარას აჩვენებდა სიცხის გაზომვისას, სეროკას ანაზღად უბრწყინდებოდა ღორული, წვრილი, წვრილი თვალები.

გარდა ამისა, ეგეც შენიშნული მქონდა: არც ვერცხლის ბეჭედს უცქეროდა იგი გულგრილად, ჩემ ცერზე წამოცობილს.

კიდევ ერთი კვირა გავიდა და სეროკა უკვე სასეირნოდ გამყავდათ.

როგორც ექთანმა მარიამ გვიამბო, იგი სეირნობის გარდა, სხვა საქმეებსაც აკეთებდა თურმე: ლაზარეთის ადმინისტრაციას უამბობდა ყოველ ჩვენთაგანის ნათქვამს, ნახუმრევს, უნებლიე ამოძახილს.

ჩვენმა დაჭრილებმა „ისტუქანო“ დაარქვეს მეტ სახელად მას; რაიცა ნიშნავს ისეთ მოქმედებას, როცა კინძვადმინისტრაციას უკაქუნებს კარებზე! ე. ი. სიგნალს აძლევს.

სამოსო ნიჭიც შესწევდა ამ ძაღლთაპირს, ცოტ-ცოტა ყველა ენა იცოდა, უნგრულიც, რუმინულიც, გერმანულიც, პოლონურიც და უკრაინულიც.

არც ერთ ენაზე ადამიანური მეტყველების უნარი არა ჰქონდა. ყველა ენას „ფლობდა“, ყველას თანაბრად ამტკრეჭდა და არც ერთი ხეირიანად არ იცოდა. ამიტომაც დღემდის არ ვიცი, რა ეროვნების იყო იგი.

ერთ საღამოს გოლამ მითხრა:

„წუხელ მე არ შინებია, ხამსიას სუპმა მუცლის გერემა მომგვარა, სეროკა ბორგავდა, მე თვალდაბუქული ვუთვალთვალედი. როცა ყველას გეძინათ, იგი ლოგინზე წამომჯდარი გამოიღებდა საათებს, ბეჭედებს, ოქროს კბილებს და პორტსივარებს, ითვლიდა, წვრილ პარკებში ალაგებდა და სათითაოდ ფუთვნიდა მათ“.

ისევე ატყდა გრიალგრიალი.

X. შელეწილ ფანჯრებიდან ქარი შემოდის და ახრჩოლებს ჩვენს სასთუმალთან დადგმულ ჭრაქებს.

ჩვენ გატვრინული ვწევართ, უღონონი და უმწეონი, აღარ ვიცი, საიდან გვეპარება სიკვდილი, ჩვენი მოუვლელი ჭრილობებიდან, ღია ფანჯრებიდან, თუ აეროპლანებიდან?

კიდევ ერთი გზა ჰქონდა ჩვენსკენ გაკვალული მას: მკბენარები შემოგვესია.

დაჩლუნგებულან ჩვენი იოგები, უბრალო გვერდის გამრცვლაც გვიძძის. წევხარ ბურანში, ჭრილობები გეწვის

და ასეთ დროს მლიღების ლაშქარი დასეირნობს შენს სხეულზე.

რუმინელი დაჭრილები წამოდგებიან, იხდიან პერანგებს და ტიციანტიციანი გაუღის მწერებს.

იქექებიან, იქექებიან ირველივ, ტიღების ლაშქარი შემოგვესია რუმინელი დაჭრილების მოყვანის უმალ.

როცა სიცხე ამიწვეს, კოშმარული ჩვენება ამეკვიტება.

მოიწვეს ჩემსკენ ხორბლისფერი მასსა, ჯერ ფეტვის მარცვლებისებრ მოციმციმებენ, მერმე იზრდებიან, დიდდებიან, ვხედავ, თვალნათლივ ვხედავ ბუსუსებიან, ჭრელჭრულა ტიღებს... სიკვდილი და ტიფი მოაქვთ ამ საძაგელ არსებებს, მაჟრიალებს, მთელ სხეულზე შექავება, იღოებში, მქვავება მხრისთავზე, სადაც სამი ნატყვიარი ჯერაც არა მქონდა მოშუშებული, მკლავის სახსრებში და კვირისთავის ქვემოთ.

ქეშმარიტად დიდი ინკვიზიტორი ყოფილა ექიმი ბოკმაიერი, რომელსაც სასტიკი ბრძანება მიუცია ექთანებისათვის: რუსებს და სხვა „კაცებებს“ ლოგინის საცვლებს ნულარ უცვლითო.

განსაკუთრებით გამწარდა გოლა. მას ორი ნატყვიარი აქვს ბარძაყში აქოთებული ტამპონებით გამოტენილი, ყვრიმალში ხიშტი აქვს ნაკრავი, თელგამი და ზინთი იღვრება იქიდან, მაგრამ მაინც წამოიჭოტება ბედშავი, ზის და რუმინელი „კულტურტრეგერების“ მაგალითზე, ხილავს თავის დაკონკილ პერანგს, მისთვის ჩვეული სახრჩობელას ჰუმორი მაინც თან ახლავს და გადმოშობახს:

„ამხანაგო კაპიტანო, მე ვარ ამიერიდან ტიღების შაჰ-აბაზი“.

უთენია მოვიდა ექთანის მარია და წაგეჩურჩულა:

„წუხელ ნაშუალამევს მესამე. პალატიდან ოცდაშვიდი რუსი და ცამეტი უკრაინელი სადღაც გააქრეს.

მათ ორგვარი ბრალდება წაუყენეს: ურიები ხართ და პარტიზანებიო. ლეიტენანტი კიბორცხვილიძე ვაზუაზე წაიყვანა „გესტაპომ“. მას უფრო დიდ რამევებს აბრალებენ: პარტიზანების მეთაური ხართ“.

დანამდვილებით ვიცი, ამბობს ექთანის მარია: „ლეიტენანტი კიბორცხვილიძე დაპყრობილ ტერიტორიიდან მოიყვანეს გუშლამ მხრებგაკოჭილი“.

თორმეტ საათზე, გერმანული პუნქტუალობით, შემოვიდა ბოკმაიერი.

„ქაბუკო, რად მალავ შენს ეროვნებას, გამოტყდი, ურია რომ ხარ, ცხვრის ბორშს გაქმევთ...“—მომმართა მე.

იგივე მივუგე, რაც წინათ, სამგზის. თანაც დავსძინე:

„არ მიყვარს ცხვრის ბორში, ექიმო. მეზიზღება ცხვრის ხორცი, ჰერა“.

როცა ბოკმაიერი წამავდა, ექთანის მარია სასთუმალთან დაცუქქდა:

„მოდი, ბერძენი ვარ თქო, ეგა სთქვით, თქვენ და გოლამ“.

მე ეგ ამბავი მარიაზე აღრე ვიფიქრე, მაგრამ კარგად ვიცოდი, თითქმის ყოველმა განათლებულმა გერმანელმა იცის ბერძნული და ერთიც ვნახოთ, გვეითხოს რაიმე, მე კიდევ მოვახერხებდი ერთ თრ ბერძნულ სიტყვას, მაგრამ გოლა რაღას იზამდა?

დაერწმუნდი, არ ივარგებდა „ბერძნობა“.

სალამოს მარიამ გავგაფრთხილა, ხეალ დილით ჩხრეკა იქნება, რადგან ლეიტენანტი კიბორცხვილიძის საცვლებში ფინური დანა უპოვნიათო.

გოლამ თავის ოქროს საათი და სატყვარი ლაჯებში ჩაიღო.

იკლანებოდა: ჩემ ლაჯებში საათი  
კი არა, ტყვიამფრქვევი დაიმალება.

**XI.** ექთანმა მარიამ ახალი ამბავი  
მოგვიტანა ერთ დღეს.

პროფესორ ბოკმაიერს ახალი, სავ-  
სებით უცნაური აპარატები მოსვლია  
ვენიდან. ღამლამობით ჩაიკეტებოდა  
თავის ლაბორატორიაში და ათასგვარ  
ცდებს აწარმოებდა მტრედებზე, ბა-  
ჭიებზე, ზღვის ღორებზე, ძაღლებსა  
და ვაცებზე.

ზოგს გულს ურგავდა, ზოგს კანქვეშ  
უშხაპუნებდა მალარიის, ხოლერის და  
ტიფის ბაცილებს, აწარმოებდა ქსოვი-  
ლების გადარგვას.

„აუტანელი სუნი დგას ამ „ლაბორა-  
ტორიაში“, — ამბობს მარია.

ერთ რუმინელ ჯარისკაცს, რომელ-  
საც შრანელისგან დაშეებული ჰქო-  
ნია კვრცხები, ვაციანი გადაურგა  
თურმე.

გალვანიზირებისა და ინტოქსიზირე-  
ბის მეთოდებს მიმართავდა არა მარტო  
ცხოველების, არამედ დაჭრილ რუმი-  
ნელების მიმართაც. ზოგ შემთხვევაში  
დადებით შედეგებსაც აღწევს, დას-  
ძინა ექთანმა მარიამ.

**XII.** კიდევ ერთი კვირა გავიდა და  
ჩვენმა ტერმომეტრებმა ცული ამბები  
გვანიშნეს: სიცხე ორმოც გრადუსამდე  
აგვივარდა მე და გოლას.

ეს მოხდა 17 აპრილს.

მე მინდა ყოველივე, აქ მოთხრობი-  
ლი, ჩემი სინდისის მიხედვით გაუწ-  
ყოთ, ამიტომ წინასწარ ვაცხადებ:  
დღესაც არ ვიცი, რა მოგვივიდა მე და  
გოლას.

ტიფი აგვიცრა ბოკმაიერმა, თუ ის  
ჯერაც აუხსნელი ავადმყოფობა, რო-  
მელსაც ეჭიმები კატალეპსიას უწო-  
დებენ.

მესამე დღეს სიცხე დაეარდა, ეჭიმი  
ბოკმაიერი თავისი ამალითურთ გვეწ-  
ვია მე და გოლას, მხოლოდ მე და გო-  
ლას, მარჯვენა მკლავი გამოგვაყოფი-  
ნა საბნიდან და რაღაც სითხე შეგვი-  
შხაპუნა მხარს ქვემოთ.

ვეღარც ამას მოგახსენებთ ხელაღ-  
ებით: ტიფის, ან რაიმე სხვა სნეუ-  
ლების საწინააღმდეგო შხამი იყო ეს  
სითხე, თუ ისეთი ჯადოსნური რამ წა-  
მალი, რომელიც კატალეპსიას გამოიწ-  
ვევს ხოლმე (ეგვიც უნდა ითქვას: ჯერ  
მედიცინამ არ იცის, თუ რა იწვევს კა-  
ტალეპსიას).

მე სულ უმნიშვნელო ცნობები მო-  
მეპოვება მედიცინის გამო.

შუა-საუკუნეში ეჭიმობა ჯადოსნო-  
ბას უკავშირდებოდა.

ჩვენს დროში, როგორც ყოველ პრო-  
ფესიაში, ხელოვნებათა და ხელობათა  
მასიურად გახდომის გამო, გამრავლ-  
დნენ ეჭიმები, ისე როგორც მწერლე-  
ბი, მხატვრები, პროფესორები და ინ-  
ჟინერები, მაგრამ ერთი რამ ურყევად  
მჯერა: ეჭიმთაშორის არაერთია ისე-  
თი, რომელნიც თავიანთ პროფესიულ  
საიდუმლოებათ ისე ინახავენ, როგორც  
ძველი ეგვიპტელი ან ინდოელი მოგ-  
ვები.

მე მგონია, ასეთი ჯადოსნური ბუ-  
ნების, საერთოდ დემონიური ბუნე-  
ბის, კაცი უნდა ყოფილიყო ის საძა-  
გელი ეჭიმი ბოკმაიერი, ვენის უნივერ-  
სიტეტის პროფესორი, რომელმაც ამ-  
დენი სიმძიმელი შეგვაძობვია.

ამ უშხაპუნების შემდეგ პირველი  
გრძნობა ასეთი იყო: თითქოს პაშიში  
მასვესო.

სისხლი ამორგდა ჩემს ძარღვებში  
საფეთქლებში ჩაქუჩებს მცენნო, ასე  
მეჩვენებოდა: გული საგულედან ამოხ-



ტომას ლამობდა, მწოლარეს აგრე მე-  
გონა: განზე მკიდია მეთქი გული.

მთელ სხეულში ერთნატილი მივლი-  
და ისეთი მძაფრი, ტილების მისვლა-  
მოსვლასაც ვეღარა ვგრძნობდი.

აგრე მეგონა: მავთულებით გაჭიმუ-  
ლი გწვევარ-მეთქი ამ საძაგელ, მავთუ-  
ლებგამოჩრილ, დანჯღრეულ, რკინის  
საწოლზე, რომელიც საწოლი როდი  
იყო, ადამიანის სხეულის დასასვენებე-  
ლი, არამედ სარეცელი, რომელზედაც  
(ექთანა მარიას ცნობით) ათასზე მეტი  
ახალგაზრდა კაცი გამოსალმებია წუ-  
თისოფელს.

იგიც გვახსოვდეს, რომ ექთანა მარია  
სრული სამი თვე მოღვაწეობდა ამ  
დავსილ ლაზარეთში, რომელიც სამ-  
კურნალო ადგილი როდი იყო, არამედ  
სამარის წინაკარი.

მე არ მინდა ყოველივე გაიშვით,  
რაც მისგან გამოვიწვია. კარგად ვიცი,  
თუმცა თქმისგან, წარმოთქმისგან მსუ-  
ბუქდება განცდილი მწუხარება, მაგრამ  
გამოთქმული სიმძიმის მომსმენს  
გაცილებით მეტ ტკივილს ანიჭებს იგი,  
რადგან მთხრობელს ეს ყოველივე გან-  
ცდილი აქვს უკვე, ხოლო მომსმენე-  
ლი, თუმცა უფრო მკრთალად, მაინც  
ითვისებს სიტყვებისგან წარმოშობილ  
ტანჯვას...

ახლაც მაქრიალებს მთელ სხეულში,  
როცა ამ ლაზარეთის კედლებს ვიგო-  
ნებ, ტილების, ბაღინჯოების და ადა-  
მიანების სისხლით მოთხერილს, უცნა-  
ური იეროგლიფების დარად მოჩხაპ-  
ნულს.

შვიდი საშინელი დღე გათენდა და  
დაღამდა.

რუმინელები ტილებს ხოცავდნენ,  
ვილაც გერმანელი — უნტეროფიცერი  
კენესოდა და მიკნაგებული ხმით  
ეაღერსებოდა თავის დედას:

„მუტი, მუტი, კოამ.“

დედაცო, დედიკო, აქ მოდიო.

პირმშვენიერი უნგრელი კავალერიის

კორნეტი თავის სატრფოს ეძახდა:  
„ლისბეტ“...

რუმინელი ჯარისკაცები დედანა აგი-  
ნებდნენ გერმანელებს, ხოლო სერბთა,  
ეს ბრძოლის ველის სვავი, აჩხრიალებ-  
და ოქროს ბეჭდებს, პორტსიგარებს და  
საათებს.

ხანდახან ისეთი გრძნობა მაქვს,  
თითქოს ყვეზეთ მიმართევენ სადღაც  
უკუნეთში, ბნელეთის კიდისკენ, უცებ  
ვილაც გამაგდებს ხელიდან, ჩემი ძვლე-  
ბი მოადენენ უცნაურ რაჩუნს, მერმე  
როგორც კაცი, რომელიც ორმა გო-  
ლიათმა ზე აისროლა ჰაერში, წამოვა  
ტრიალ-ტრიალით ზევიდან უფსკრულ-  
ში და გადაეშვება შავეთში, ასე მიგეკა-  
ნები ძირს,

შევეკრები,

თვალს მოვიფშვინიტავ, ეძაგაგებ და  
ვთრთი...

„ნუ გეშინია, ამხანაგო კაბიტა-  
ნო“, — მიურჩეულებს ექთანა მარია და  
მე ვხედავ ცრემლები მოწანწკარებენ  
მის დამპყნარ ლოყებზე.

დაჯდებოდა იგი, თავჩაქინდრული  
ექთანა მარია, პუტუნებდა თავისთვის:

„ხოლო იხილეს იგი შორითგან და  
ვერა ცნეს, და დალაღყვეს ხმითა დი-  
დითა, დაისხნეს მტვერი თავსა თვისსა  
და დასხდეს მისთანა შვიდ დღე და  
შვიდ ღამე და არაეინც მათგანი იტ-  
ყოდა სიტყვასა მისა მიმართ, რამეთუ  
ხედვიდეს წყლულებსა მძინვარეს და  
დიდსა ფრიად“...

XIII. ერთ დღეს გოლაც გამოშკო-  
ბინდა. იგი თავდაპირველად პირქვე  
დამხობილი ეგდო, მეშინოდა კიდევაც,  
ხომ არ მოკვდა-მეთქი.

დაშლისა და დარღვევის წინაშე იღ-  
ვა მისი გოლიათური სხეული.

სდუმდნენ გახუმრების მონატრული  
მისი ბაგენი, უმწეოდ ფოფინებდნენ

მის დიდრონ გუგებზე გრძელი და შავი წამწამები უამიდანეამზე.

დაძახება მინდოდა, მაგრამ ხმა აღარ მყოფნიდა, გამხნეება მინდოდა და თავათაც არ გამაჩნდა მხნეობა.

ერთხელ, ნაშუალამევზე, წამოდგა გოლა, თავისი ცხენური კბილები მომანათა და მითხრა:

„იცი, ამხანაგო კაპიტანო, გუშინ მთელი ჩვენი დივიზიის ბიჭები ველზე მივსდევდით გერმანელებს, უცებ კოკისპირული წვიმა დაუშვა, გერმანელებმა მოჰკურცხლეს და ჩვენ ეს ვნახეთ:

ჭარხლები ამართულიყვნენ მუხისოდენანი ველზე. ჩვენც ცხენებიანად შევედით მათ ჩეროში და გადავიწვიმეთ ჭარხლების ნეშოს ქვეშ“.

მე გამეცინა და მივუვტე:

„იცი, ჩემო გოლა, უფრო კარგი რამ უნდა გიამბო ახლა: გუშინ მეც ცხენით მივდიოდი კიევისკენ. ერთ სამქედურს გავუარე, ვხედავ: ხუთასი კაცი აკეთებდა ერთ ქვაბს“.

„ჰო, მაგრამ რად უნდოდათ ის ქვაბი?“

„შენი ჭარხლების მოსახარშავად, გოლა“.

როცა ჩვენი ვონება უცნაურად შეზავებული ბანგიდან გამოერკვეოდა, ასეთი სისულელეებით ვირთობდით შე და გოლა თავს.

საზენიტო ზარბაზნები ჰქუხდნენ, ტყვიამფრქვევები კაკანებდნენ, თვალს მივლულავდით და გაიხსნებოდა ყუმბარების ჯოჯოხეთური დეტონაცია.

გერმანელი, რუმინელი და უნგრელი დაკოდილები ებრძოდნენ ტილებს, ჭრილობებსა და კოშმარულ სიზმრებს.

ბორგავდნენ,

ბოღავდნენ,

ყვიროდნენ,

ხაოდნენ.

ერთადერთი ჭეროცა ფხიზლობდა, ლამის გუშავს არწმუნებდა: შარღზე

გასვლა მინდოდა, ეშმაკმა, რკინა, სად მიდიოდა, მიდიოდა და მოდიოდა. უთენია, კამერაში რა ხდებოდა ვერ ვხედავ, ტილებს ეძებდა, ბაღში ფეხსმძვინვარეობდა და ხვნენმოდა...

ხანაც რაღაც გაუგებარ სიტყვებს ჯლოყინებდა ძილში, რომელთა მიწაგვარი, ჩემს ცნობიერებაში მყოფ, არცერთ ენაში არ მეგულებდა.

მისი უსაპირო ბალიშის ბურტყული ზედ ჩემ ნესტოებთან მოფარფატობდა და ჭრილობებისაგან ღონემიხდილს იმდენი ღონე არ გამაჩნდა, ეს ჭინჭლი მომეშორებინა ნესტოებიდან როგორმე.

მახელებდა მთელ ღამეს, მეზმანებოდა, თითქოს ცოცხი გამირჩვესო ნესტოში, ვიხრჩობოდი, ყვირილი მინდოდა, მაგრამ დაყვირებისთვისაც არ მყოფნიდა ღონე.

მობობლავდნენ ჩემსკენ ტანკებისოდენა მხეცები, ტანკები კი არ იყვნენ ესენი, არამედ რაღაც მაჯლაჯუნა ცხოველები, რომელთაც მესსერსმიტებივით თეთრი ქერკეტი ჰქონდათ და მუცელზე ისეთი ხორკლიანი ხრახნილები, როგორსაც ტანკებს უკეთებენ ხოლმე ჩვენს დროში.

ისინი ქშინავდნენ როგორც კოლხთა მეფის აფეტისის ცეცხლისმფრქვეველი ხარები და სისხლისფერ ღრუბლებს ისვრიდნენ დაბჩენილ ხახიდან.

ხოლო ექთანნი მარია თავჩაქინდრული იჯდა და ცრემლმორეული პუტუნებდა:

„შემდგომ ამისა განახვანა იობ პირი თვისი და დასწყევანა დღენი თვისნი, მეტყველმან: რათა წარწყმდეს დღეი, რომელსა შინა ვიშვე და ღამე იგი, რომელსა შინა თქვეს: აჰ არს წული...“

ხოლო გარედან ისმოდა ზარბაზნების მღვრინავი რაბრაზი, გამუღმებული მარში, დაფდაფების ცემა და გერმანელი ფელდფებლების მკაბე კოშახდა:



„აინს, ცვაი“,  
„აინს, ცვაი“,  
„ახტუნგ“.

**XIV.** ისევ მოდიოდა საზარელი ღამე. ხოლო ღღისით საზენიტო ზარბაზნები ჰქუხდნენ, - რუმინელები ხროტინობდნენ, გერმანელები ხოდნენ, სეროკა ხან იხრჩობოდა ხველებისაგან, ხანაც პაპიროსის მოსაკიდებელ ცეცხლს ეძებდა, საბანწამოსხმული დაჩოჩავდა, როგორც სამარიდან გამოსული ჩვენება, ხანაც დაუცქული იჯდა საწოლზე, ტილებს ხოცავდა და ბოდავდა ისეთ ენაზე, რომელსაც გოგისა და მაგოგის ხალხები თუ ხმარობდნენ ოღესმე აღბათ.

„მე ვიცი, თუ რაშია მაგის მუცლის გერემა, იჯღანებოდა გოლა, მიტომაც ხენეშის, გული მისდის, რად არ უკვდებით მე და შენ“.

ექთანო მარია მოვიდა და მიჩურჩულა: ლეიტენანტმა კიპორენკომ დაგებართათ: „თუ კიდევ მოგადგეთ ბოკმაიერი, ღმერთი არ გაგიწყრეთ და არ დააწებოთ შესამხაპუნებლად მკლავი“.

გოლამ თავი გამოჰყო საბნიდან: „ენის მეტი აღარაფერი მოძრაობს ჩვენს სხეულზე, თუ ბიჭი ხარ და ნუ დააწებებ ხელს. აი დედაჩემის ღმერთსა, ძველებურად მკლავი მიჭრიდეს, ნიყვივით დავახეთქებდი მაგ სულძალს მიწაზე“.

მეორე დღეს, მართლაც, ჩამოიარა ბოკმაიერმა და მისმა ამაღამ.

უკითხავად აიღო ჩემი მკლავი და თავათ შემისხაპუნა. კიდევ დაგვიტახა:

„იუდე, იუდე?“

ურია თუ არა ხარ, გერმანული საიდან იციო?

მიუგე: გერმანელების კოლონიაში ვმსახურებდი და იქ ვისწავლე-მეთქი.

„სად, სად?“

მკითხა გამალებულმა.

ენის წვერზე საქართველოდ დაწვდოდა, მაგრამ ერთბაშად შემეცვალა ჰეჭვნება და მივიძახე: ვოლგაზე.

გოლა გაახელა ამოდენა დაკითხვამ: რას ილანძლება ეს პირძალლი, რად გვიძახისო იუდას? იუდაც მაგაა, ერთიც მეტი“.

მე განუვმარტე, „იუდე“ გერმანულად ებრაელს ჰქვია-მეთქი.

გოლამ წაიბუტბუტა: „მე მაგას ახლავე ვაჩვენებ, თუ ვინცა ვარ!“

ესა სთქვა, საბანი გადაიხადა, პერანგის ამხანავს წაებლაუჭა, რათა თვალნათლივ დამეტკიცებინა ბოკმაიერისთვის, რომ წინადაცვეთა არა ჰქონდა, მაგრამ მე შეეუბღვირე და ისევ გადაიხურა საბანი.

ბოკმაიერმა კარგად შენიშნა გოლას საეშაოდ ცინიკური ეესტი, მაგრამ ანაზღად დააფახულა თავისი მწითური წამწამები, განზე გაიხედა, თითქოს არაფერი შეემჩნიოს.

ოღნაეღარცხვენილმა წაიბუტბუტა:

„ვთქვათ, თქვენ ორივენი ურიები არა ხართ, მაგრამ ამ ლაზარეთში ჩვენებისათვის არა გეყოფნის საწოლები და ზეწრები, ხვალვე გაგწერთ, ამ ქალაქში კიდევ ბევრნი არიან რუსები, ურიები და თქვენისთანა კაცაბები“.

ერთ საღამოს ბოკმაიერი შემოვიდა პალატაში მარტოკა.

მე და გოლას მოგვაშურა პირდაპირ. წამოგვაცყენა და თავის ქალის სიგრძე და სოვანე გავვიზომა.

მერმე მოშაინური ღიმილით მეუბნება:

„გამართლდა ჩემი ეკვი, ჰერო.“

მე ძველი ანტროპოლოგი ვარ, რას-სოლოგის ლეშანის მოწაფე.

თქვენ ქართველი ხართ, ბრაზიკეფალოს!

თქვენ იცით რა არის ბრაზიკეფალოს?

არ ვიცი მეთქი, მივუგე.

„მოკლე თავისქალა.

არც თქვენა ხართ არიელები.

გარდა ამისა, ჩვენ ფაშისტები ვანა მართო ებრაელებს ვებრძვით, ყველას, ვინც სლავებსა და ინგლის-საქსონელებს მხარში უდგას ამ გადამწყვეტ ომში.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში, თქვენმა უკანასკნელმა მეფემ გაუღო დარიალის კარები რუსებს და მთელი აღმოსავლეთის დასაპურობი ტრამპლინი შეუქმნა კავკასიაში მათ.

იცოდეთ, ყველას შეუბრალებლად გაგუჟეთ, ვინც ჩვენთან არა ხართ“.

ესა სთქვა, მაჯის საათს დახედა და გაგვეცალა.

კარგად არ ვიცი, მართლაც ანტროპოლოგიური ნიშანის მიხედვით შეიძენო ჩემი და ვოლას ეროვნება დოქტორ ბოკმაიერმა, თუ სეროკამ გაგვივო რამენაირად ეგ.

უნდა მოგახსენოთ, სეროკა ვამალებული ყურს გვიგდებდა ქართულად ლაპარაკის დროს, ერთ ორჯერ კიდევაც გვკითხა, რა ენაზე საუბრობთო?

... ვინ იცის, ეგებ რამდენიმე სიტყვა ქართულიც სცოდნოდა მაგ ეშმაკის კერძს?

**XV.** მეორეჯერ შესაბუნებამ საესებით მომთენთა. საბანი დამძიმდა.

სად იყო საბანი? საბანი კი არა ტყვიის საბურველი მაფენია-მეთქი მკერდზე, ავრე მეგონა: ჩემი სხეული თითქოს დადნა, ყურებში უცნაური ხშული მქონდა გამღვარი.

სეროკა საზარლად ხროტინებდა, ვოლა ბოდავდა: „მამიდა, მამიდა, ჩემს ოქროს საათს გიგზავნი როგავეს ხელით. გიკვდები, მამიდა, არ მოიწყინო,

ჩემო მამიდა. არ დაშვარხო, ჩემო მამიდა... მატლების მეშინია, მამიდა“...

გარეთ ტყვიამფრქველები უკუანებდნენ, საზენიტო ზარბაზნები მჭიმდნენ, ყუმბარების დეტონაციისაგან ისეთი ქარი შემოდოდა კამერაში, საბხები ეხდებოდა ავადმყოფებს.

ექთანი მარია იჯდა და მომესმოდა ლამეული პუტუნო:

„და შეიბურეს ივინი ბნელმან და აჩრდილმან სიკვდილისამან, რათა მოვიდეს მის ზედა ნისლი, წყველ იყვანდღე იგი და ლამე იგი და ეწიოს მას წყვილიადი, რათა არა იქნეს დღესა შინა წლისასა, არცა აღრიცხულ დღეთა შინა თვეთასა, არამედ ლამე იგი... რათა დაბნელდინ ვარსკვლავნიცა მის ლამისანი“.

**XVI.** გვიან გავიგე ბევრი რამ. ტფილისში მობრუნებულს შემთხვევით ხელში ჩამივარდა ამერიკული ჟურნალის „The Journal of American medicale Association“-ის<sup>1</sup> რამდენიმე ნომერი, თურმე ფაშისტი ფიზიკოსები და ექიმები ბოკმაიერისებურ ცდებს აწარმოებდნენ აუშვიცის და დახაუს საკონცენტრაციო ლაგერებში.

ნაღურბერგის პროცესში გაასამართლეს 29 გერმანელი ფიზიკოსი, რომელთა გაუგონარი გულშეცობის ამბავი მოახსენა სამსჯავროს ამერიკელმა

<sup>1</sup> ავტორის შენიშვნა: მე მართლაც შევამოწყე კაპიტან როგავეს ჩვენება, გამოქვეყნე ამერიკელ ექიმთა ასოციაციის ჟურნალი: Journal of the American medical Association 1946 წლის №12, 13, 1, 9. მათში მოთავსებულ წერილებში: The Brutalities of Nazi phisican (ფაშისტი ფიზიკოსებს მხელობა). „The Treatment at Shock from prolonged Exposure to cold“. „German Experiments at Auschwitz Camp“. „Experiments on Mann“.

საზარელი ამბებია მოთხრობილი მეცნიერ ექიმთა ხელით გაკეთებული.

დოქტორ ივიმ: ფიზიკოსები კან ქვეშ უშხაუნებდნენ თურმე ტყვეებს ტუბერკულოზის და ტიფის ბაცილებს, აწარმოებდნენ ფაჩინიერი ნაწილებიდან გლუ ადგილებზე თმების გადარგვას.

აწყობდნენ ხელოვნურ დაორსულებას, სტერილიზაციას და აბორტებს, იწვევდნენ აბსოლუტურ გაბრუებას და ლეტარგიას.

პროფესორ პირტს სპეციალური ლაბორატორია ჰქონდა თურმე შტრას-სბურგში მოწყობილი, სადაც იგი ტყვეებს ისევე იყენებდა საექსპერიმენტოდ, როგორც გვინების შტრედებს. მან მრავალ ათასს სხვადასხვა პასაჟის სამხედრო ტყვეს შეუშაპუნა ებიდემიური ბაცილები, „ესეველებს“ ფორმაში გამოწყობილი მეცნიერი ამას ყოველივეს ჩადიოდა „გესტაპოს“ მითითებით.

ნორვეგიაში გერმანელი დოქტორი პაულსენ ტოქსიკურ ვაზებს უტყრიდა ბოშებს და ებრაელებს, ხელოვნური ვაყინვის, გათოშვის და ლეტარგიის მომგვრელ წამლებს უსხამდა ვენებში ტყვეებს.

„ესეველებს“ შტურმფიურერ ვირტის მითითებით, პროფ. სამუელმა აუშვიცის ლაგერში ელექტროს მოკლე ტალღები გამოცადა ქალების საკვრცხეებზე, 200 ტყვე ქალი შეეწირა ამ ექსპერიმენტს.

სადიშმისა და მანოხიზმის სავსებით უბადლო მაგალითია დოქტორ რაშერის მიერ დახაუს კონცლაგერში მოწყობილი ცდები, ხელოვნური გაცივების ეფექტების გამოსარკვევად.

ამას აწყობდა ხსენებული ექიმი და მისი ცოლი, ნინი, ჰიმლერის პირადი მდივანი და ხასა, ტერმინალექტრული მოწყობილობებით.

ამ გზით იწვევდნენ სისხლისა და ტინის გაყინვას. მრავალი ათასი რუსი

და ებრაელი ემსხვერპლა ამ ექსპერიმენტსა.

დოქტორ რაშერი ბოლანს დახმარებინა ჰიმლერმა, რადგან მისი დასჯელ მიანიხნდა იგი.

ამ ოპერაციების დროს ლაბორატორიებში შემდეგი თანრიგი ჰქონიათ დაცული: ჯერ ებრაელები მიყავდათ აბორატებთან, მერმე ბოშები, არაგერმანელი კათოლიკე ხუცები, პოლიტიკური დამნაშავენი და სხვ.

მე თავათ არ მინახავს პროფესორ ბოკმაიერის ლაბორატორია, მაგრამ ექთანი მარიას ცნობით, იგი ნამდვილი „ქინკების სამზარეულო“ ყოფილა, უამრავი ელექტრო აპარატებით და ფიზიკური ხელსაწყოებით სავსე.

ბოკმაიერი თვით ასისტენტებსაც არ უშვებდა შიგ წამლების ხარშვის და ცდების დროს.

ვირთხების წუწუნი, ძაღლების ყმული, თხების ბღავილი, შტრედების კუთვა და ადამიანების კენესა ისმოდა დამლაშობით პროფესორ ბოკმაიერის ლაბორატორიის დახშული კარებიდან.

ერთი შავი, ნახშირით შავი, დობერმან პინჩერის ჯიშის ძაღლი ჰყავდა ბოკმაიერს ლაბორატორიაში.

კარგად არ ვიცი, ეგ საცდელი ძაღლი იყო, თუ მისი პირადი. იგიც შესაძლებელია ამ უბედურ ცხოველზე ცდიდა ბოკმაიერი რომელიმე შხამიანი პრეპარატის ხანგრძლივ შემოკმედებას და ეს აწუხებდა ცხოველს.

ბოკმაიერის ლაბორატორია ჩვენი პალატის გასწვრივ იყო ენოში.

ეს სამკლე გადმოდგებოდა ფანჯრის რაფაზე, ყმუოდა; არ ვიცი სიკვდილია მოლოდინში ყმუოდა, თუ მასაც ეშინოდა ავიობომბების დეტონაციისა?

ჩვენ მინიშნებული გვქონდა, ეს ცხოველი წინასწარ გრძობდა ბომბარდირების დაწყებას. „გესტაპოს“ აგენ-

ტიო“ ეს ძალი, ზუმრობდნენ ჩვენები.

არაფერი ისე არ მოქმედებს ჩემზე, როგორც ცხოველის წუხილი.

როგორც სჩანს, რაკი აღამიანს ბუნებისაგან მინიჭებული აქვს სიტყვის, ცრემლის, სიმღერისა და მუსიკის საშუალებით მწუხარების გამოთქმა, მისი ტირილი ისე ამაზრუნენ არაა, როგორც თუნდაც ლომის ბუხუნი, ხარის ბლავილი, მგლისა და ძაღლის ყმუილი.

ერთხელ მთელ ღამეს არ დამაძინა დობერმან პინჩერის ყმუილმა:

**XVII.** დილაადრიან სეროკას ხერინვამ გამომადვიდა. ფანჯრებიდან იხედებოდა დებალი ცა, ღარიბების საცვლევით გახუნებული ღრუბლები.

ლევა,

უნუგეშო და ქვიშისფერი.

ვახტანგ ზედგენიძე შემოვიდა სუღარით მოსილი.

კვამლით შემოლილი მკლავი მარცხენა ხელში ეჭირა. საცეცხლურივით მიქნევდა და მევედრებოდა:

„ჩაუტანე ეგ მკლავი დედაჩემს გორში, უჩა, უთხარი, მამაჩემის გვერდით დამარბოს, უჩა.

გამომართვი,

გამომართვი,

არა გრცხვენია,

ეგაა შენი ვაჟკაციური სიტყვა, უჩა?“

ვწუხვარ,

ვწრიალებ,

მინდა ზეწამოვდგე და ზედგენიძის მოკვეთილ მკლავს ვავუწოდო ხელი, მაგრამ ღონე აღარ მერჩის,

ხმაც აღარ მყოფნის, რომ ვიყვირო.

„რას ღრიალებ?“—შემომესმა გერმანულად.

ექიმო ბოკაიერი ჩადგა ჩემსა და სუღარიან ჩვენებას შორის.

**XVIII.** ხანდახან ცნობიერება ასეე მიბრუნდება. ვიცი, კვლავ მწუხარეო რომ ვიმყოფები და კატალექტიკურ ძილს ვეძლევი....

უკვე აღარ ზუმრობს გოლა, აღარც ბორგავს. მიცვალებულივით გახევებული წევს, ჩამქრალა, ბებერივით დაქმუქვნია სახე, ნაკეცნაკეცად დაღარული ნაოქვები შემოსევნიან მის ჩაშავებულ თვალის უბევებს.

„გოლა, ჰაუ, გოლა, იფხიზლე, იცოდუ!“ გავსძახი.

მეც მეძინება, მაგრამ ძალას ვატან ჩემს თავს, მეშინია სანიტრებმა არ გაგვიტანონ და პროზექტურაში არ გადაგვათრიონ მე და გოლა.

ღამომობით სხვაგვარი შიში მომიცავს: სეროკამ ზედგენიძის ბექვდი არ მომპაროს-მეთქი და ცოცხლად არ დამფლან იქვე, სადაც დაქრილი ებრავლები დაუმარხავთ.

ექთანე მარია მოვიდა: უკრაინელები და რუსები საღდაც გააქრესო წუხელ.

„მარია, რა უყავი ზედგენიძის მკლავი?“

ვეკითხები მეთათსჯერ.

„შენახული მაქვს, შენახული მაქვს“ მანუგეშებდა-თურმე ექთანე მარია.

დაღამდება და ისევ ეს მელანდება: მობობლავს სეროკა და ზედგენიძის მკლავის მოპარვას აპირებს.

ერთ ღამეს გამომადვიდა ფაჩუნმა. თვალი გავახილე: სეროკა დაცუტკულიყო ჩემი საწოლის წინ. საშინელი გულისცემა ამიტყდა.

„ასანთი ხომ არა გაქეთ?“

მკითხა და გამშორდა.

**XIX.** კატალექსიის გამო უწინაც მცირე რამ ამომიკითხავს სამედიცინო ჟურნალებიდან.

1811 წელს, საფრანგეთში, კატალექ-

ტიური ძილის დროს დამარხეს თურმე მადემუაზელ ელიზა ლაროშ.

მისმა მიჯნურმა ვინმე შარკუტიემ მოიწადინა მიცვალებულისთვის კუბოში ჩატანებული რუბინების მანიაკი ამოეღო უჩუმრად.

ქალის მშობლების უკითხავად, დამარხვიდან სამი დღის შემდეგ, სამარე გასთხარა და სულთმობრძავე ქალწული საფლავიდან ამოიყვანა.

კიდევ ერთი მაგალითიც: 1864 წელს ინდოეთში ტიფისაგან გარდაიცვალა სერ რობერტ პალმერსტონ. იგი უცოლო კაცი იყო.

მისმა სახლთუხუცესმა დიდხანს ეძება პალმერსტონის საგვარეულო ბრილიანტები და რა ვერ იპოვნა, იფიქრა, ალბათ სამარეში თუ ჩაიტანაო, ღამით მავზოლეი გაახსენებინა პალმერსტონის მსახურ ზანგებს. სახლთუხუცესი კუბაზე შეირყა, რადგან პალმერსტონ ცოცხალი აღმოჩნდა, ეს ამბავი ერთმა ნეგრმა შეატყობინა პალმერსტონის ნათესაებს, რომელთაც დროზე მიიღეს ენერგიული ზომები.

პალმერსტონ ძალზე მოქანცულიყო კუბოს სარკველთან ზრძოლისაგან, ამიტომაც გალენური ბატარეის მოხმარება დასჭირდათ.

ეს ყოველივე მოხდა მშვიდობიანობის დროს, ჭირისუფლების სიახლოვეს.

ვთქვათ, ბოკმაიერის ბრძანებით გადავიტანეს პროზექტურაში, იქ ეს უხეში სანატრები ჩაგვაგდებენ საბარგო ავტოში და ძმათა სასაფლაოში ჩაგვყრიან.

ვინა გვყავდა პატრონი, ან გამკითხავი მე და გოლას?

მოხუცმა ექთანმა მარიამ კიდევაც თვალი მიგვადევნოს, სამარეს როგორ გასთხარა მისი უსუსური ხელები? დღედაღამ ეს აზრი მაქვს აკვიტებულ, ვებღაუჭები სიცოცხლეს, არ დაიძინო-მეთქი, წარამარა ვეძახი გოლას, მაგრამ ამაოდ...

ვატყობ, მეც მერევა ძილი და განსვენება. ერთადერთი სანატრელია ჩემი: გალენური ბატარეები. მოგვაცენონ მე და გოლას ჩრგორში. მაგრამ ვის ცხელა ჩვენთვის?

ექთანმა მარიამ შუბლზე ხელი დამადო, როცა თვალი გავაბილე ეს მითხრა:

„წუხელი სეროკას ვუნახე ლეიტენანტ კიპორენკოს ვერცხლის პორტსიგარი.“

დანამდვილებით ვიცი, გუშანწინ დახვრიტეს ლეიტენანტი კიპორენკო.

ჩემი ქმარი სასაფლაოს დარაჯია, მას ყოველდღე მოაქვს ახალი ამბები ძმათა სამარხიდან.—დასძინა მარიამ.

აჰ! ვამბობ მუ ჩემთვის:

მამსადამე სეროკა ღამღამობით ძმათა სასაფლაოზე მიიპარება და კვლავინდებურად ძარცვავს მიცვალებულებს. აფსუს, რად არ დაეხალე მაგ პირძალს ჩემი ბრაუნინგო ვერხვების აბოში!

ასე სამარცხვინოდ იღუპება ყოველი კაცი, ვინც შტერს თუნდაც ერთხელ დაზოგავს.

ვკითხავ ჩემს თავს: შე ჯაბანო, ჯაბანო, რად არ ჩააძალე იმ ღამესავე სვავი!

ისევ შემიქცია ძილმა. ხანდახან ვთვლემ და ვხედავ, თვალნათლივ ვხედავ.

წელში მოდრეკილი, თმებგაწეწილი მიახლოვდება დედა, იჩოკებს ჩემი საწოლის წინ და მოსთქვამს.

მის უკან დგანან საბჭავტრეცილი, წვერებგაშვებული მამა ჩემი, აწ მიცვალებული, ჩემი ორი ძმა და დები, აგრეთვე ამ სოფლიდან გასულნი, ძველი, გახუნებული ფოტო-სურათებივით მოსჩანან მათი სახეები.

გაოცებულნი შემომტკერიან მკვდრები, რადგან წვერი გამზრდია ისეთი, ნაბადივით ზედ მახურავს მთელს სხეულზე და ფეხის ფრჩხილებთან მიხინებს წვერი...

„იუდე, იუდე“, მიყვირის ვილაც, თვალს გავახეულ, არაფერია სჩანს, ოქროს სათვალე ცეკვავს და ყვირის „იუდე“.

ლაზარეთში მჭვარტლი სცვივა, შავი მჭვარტლი მეყრება დაწვებზე. ქუთუთოებზე მიხიჩინებს რბილი და ტფილი მჭვარტლი და აგრე მგონია, მჭვარტლი მეყრება მეთქი თვალებში, პირში და ნესტოებში...

ყმუოდა ბოკმაიერის ლაბორატორიაში ძალი...

**XX.** კაცთა მოღვმის ჩვევათაგანია ერთი: სანამ ჩვენ რომელიმე სენი არ შეგვეყრება, საკმარისად არ ვუფიქრდებით მას. მე მინახავს მრავალი ქლექიანი, რომელთაც ამ სენით ავადგახდომამდის არც კი სცოდნია თუ რა არის ქლექი და შემდგომ ამისა დამსხდარან და საფუძელიანად შეუსწავლიათ როგორც გამომწვევი მიზეზი მისი, ისე მკურნალობის მეთოდი.

იმ უბედურების შემდეგ, რომელიც შეგვამთხვია იმ წყეულმა ბოკმაიერმა, ფრიად დამაინტერესეს კატალებსიამ და მრავალი უცნაური ამბავი გავიგე.

მე გახლავართ ერთი საცსებით უბირი მხედარი, მაინცდამაინც დიდი განსწავლისთვის არც კი მომიცლია. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ზღვაზე და ფრონტებზე მაქვს გატარებული. უნდა მოგახსენოთ საცსებით გულწრფელად, როგორც ბუნების, ისე ადამიანური გენის მიერ შექმნილ კულტურის საოცრებათა შორის, განსაკუთრებით მაკვირებდა მულამ დრიამ:

ფენომენი სიტყვისა და ფენომენი მუსიკისა.

სიტყვის საშუალებით მართავენდენ მულამ ბელადები და წინასწარმეტყველები თაუთაიანთ ერებს, სიტყვისა და

მუსიკის ძალით მიჰყავდათ ისინი ომებში.

მომხუსხენელ ძალას მატყვისა და მუსიკისას ნადირებზე და მჭვარტლივალეებზე იყენებენ ტრენერები და გველის მგეშავები.

კალკულტასა და ქაიროში ხეტილის დროს ხშირად მინახავს თუ როგორ აწარმოებდნენ ფაქირები, მარჩობელების, კვერნებისა და ბაჭიების კატალებსიას.

ამ მოქმედების შესატყვისი ვგონებ მოგვეპოვება ქართულში, თუ არა ეცდები, საქართველოს აღმოსავლეთში „გაპკირი“ ეწოდება არსების ამ რიგად მონუსხვას, ხოლო დასავლეთში გაპქარხვას, ან განხიბვას იტყვიან.

მე იგიც მინახავს თუ როგორ დაუკრავდა ინდოელი ფაქირი სალამურს და ბულბულებს ჩამოიყვანდა ხიდან. ერთბაშად კი არა, ნელ-ნელა, შტოდან შტოზე, (ისე როგორც კიბის უმალღეს ხარისხიდან თანდათანობით ძირს ჩამოიყვანო კაცი), ან ჯუნგლებიდან როგორ გამოიტყუებდა გველს.

ქაიროს ბაზრებზე არაბი ფაქირები ხელის გულზე ნახშირით დაიხატავენ წრეს, გამოიყვანენ მაკქერალს რომელიმეს ბრბოდან, ეჩიჩინებთან, ეჩიჩინებთან, უბრძანებენ თვალი არ მოაშორონ წრეს და „გაპკირავენ“.

სხვანაც ბევრი მინახავს ბომბეისა და დეჰლის ფაქირები, თეფშებზე მელნით მოხაზავენ ორმაგ სამკუთხედს, აჩვენებენ ობიექტს, ან ბროლის ბურთებს ატრიალებენ ხელში, და კატალებსიას იწვევენ ამ გზით.

გვიან გავიგე, ევროპაშიაც ცნობილი ყოფილა ეს ამბავი თურმე. შტრასსბურგის ლაზარეთის უფროსი ექიმი პიპოლიტ ლარეი, ქათმებს ჩიზბაუდა ამ გვარად.

ცნობილმა კირხერმა 1614 წელს რომში გამთაქვეყნა წიგნი: Ars magna, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ



დააწვენდა იგი თავდაღმა მამალს, იატაკზე დაადებინებდა ნისკარტს და ნისკარტის „გაგრძელებად“ ნახშირით გაავლებდა ხაზს და გაჩხიბავდა ფრინველს.

წინათაც ვიცოდით, კალიოსტრო წყლით სავსე გრაფინს დასდგამდა, ენერგიული ლამპარაკით შთაგონებდა პაციენტს დაეინებული მშერით ემზირა გრაფინისათვის და ბოლოს გაჩხიბავდა.

გაჩხიბვას ეწეოდა კალკუტაში დოქტორ კოდალი ამგვარად: ზანგს დააწვენდა შეზღონზე თვალგაბედილს, პაციენტს უბრძანებდა მიშტერებოდა ზანგის თვალებს და ამ გზით გაქარჩხავდა მას.

ამგვარი ამბავი მრავლადაა მოთხრობილი ამ წიგნში, რომელიც ამასწინათ ჩამივიარდა ხელში:

L'histoire merveilleux dans les temps modernes. გაგრდა შთაგონებისა, კატალეპსიას სხვა მიზნებიც მოეპოვება მრავალი: მელანქოლია, შიში, ელდა და დიდი მწუხარება. ამ გზითაც ხდება ორგანიზმის გაცივება და ნებისყოფის აღკვეთა.

ფრანგულ სამედიცინო გაზეთში: „Gazette des hopitaux“, პოსპიტალეების გაზეთში, ასეთი ამბავი ამოვიკითხე:

„დილის 11 საათზე მადამ ტურნეფორს მოესმა არსენალის აფეთქება. შემკრთალი ქალი კედელს მიეყრდნო და ასე გაქარჩხული იდგა მთელ კვირას.

მუსიკით მოაბრუნეს იგი. ეს მოხდა მაისის 15-ს.

ყოველ წელს, ამავე თვის იმავე რიცხვში, სრულ პირველ საათზე ისევ ვარდებოდა იგი კატალეპტიურ მდგომარეობაში.

ინგლისელი დოქტორ ბრეიდ მოგვითხრობს: ათონელი ბერები ექსტატიურ ლოცვის დროს შეიპყრო კატა-3. „მნათობი“, № 6.

ლეპტიურმა ძილმა. მენასტრის წინამძღვარმა სიტყვით გამოაბრუნა ისინი.

ტულუზის ჟურნალში: „Journal de medecine et de chirurgie“, მოთხრობილია ასეთი შემთხვევა:

სტუდენტი ფარიალი სემინარიის კარებში შედიოდა, კარის ალაგზე გახვედა მოულოდნელად. ინსპექტორმა იცოდა, მუსიკა რომ უყვარდა ამ ყმაწვილს. ორკესტრი მოაყვანიდა და გამოათხიზლა იგი.

განუხომელი მნიშვნელობა აქვს სიტყვის და მუსიკის ომშიაც.

ნაპოლეონი მოგვითხრობს: „არკოლასთან მთელი ბრძოლა მოვიგე 25 მეომრის საშულალებით. უკვე შეჰკრთენ მხედრები, ყოყმანი შექმნეს, მე ვისარგებლე მომენტით, ყოველ მათგანს თითო ფლეიტა მივეცი ხელში და ერთი მუჟა ადამიანების ხელით ვძლიე კიდევაც მტერს“.

ასე მოიგო თურმე ნაპოლეონმა არკოლის ბრძოლა 25 ფლეიტით.

ჩემის აზრით, ქრისტე არავითარი ღმერთი არ ყოფილა.

ეს იყო ალბათ ერთი უბირი ბრძენკაცი, რომელიც სხვა ებრაელებსავით დატობავდა იმეამინდელი იერუსალიმის ტალახიან შუკებში.

სიტყვებსა და იგავებს ამბობდა მოედნებზე, ქორწილებისა და ქელებების ხშირი სტუმარი.

ხანაც უღაბნოში დახეტიალობდა, ემალებოდა თავის ერს, რათა ებრაელებს თვალი არ შეეჩვიათ მისთვის და არ მითამამებოდნენ.

ალბათ მისი მოპირდაპირენი, მწიგნობრები და ფარისეელებიც, ბლაჯინდნენ რალაცას, ივინიც ამბობდნენ სიტყვებსა და იგავებს იერუსალიმის მოედნებზე, მაგრამ არაფერი გამოუდიოდათ.

ბოლოს ქრისტემ სიტყვის ძალით ისე მონუსხა თავისი ერი, შეეშინდათ მწიგ-



ნობრებსა და ფარსელებს ღმერთად არ გამოაცხადოსო ამ კაცმა თავი, მერმე ის თუო რომაელებთან დააბეზღეს იესო და ჯვარს აცვეს იგი.

მისი „სასწაულების“ სმბავიცი მისი სიტყვის მომწუსხველი ზეგაუღნიდან გამომდინარეობდა. იგი ასწავლიდა თავის მოწაფეებს, რომ რწმენა და შთაგონება. განკურნებისა და გამარჯვების იარაღია, ხორცისმიერ ტკივილი მეტწილად სულისმიერი სიძაბუნის შედეგი რომ არის.

სიტყვისაგან წარმომდგარი შთაგონებით ქალუცინაციებს აღუძრავდა ხშირად თავის ხალხს. სიტყვით გამოადვიდა მან კატალეპტიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილი ლაზარე და როცა მას ბრმა მიპგვარეს, თიხას დაფურთხა. იოანე ჩემზე უკეთ იტყოდა ამას:

„ნერწყვა ქვეყანასა და შექმნა თიხაი ნერწყვისაგან და სცხო თიხაი თვალთა მისთა ბრმისათა და ჰრქვა: წარვედ მას საბანელსა სილოამისასა“.

უბედურია ის ერი, რომელსაც გასაჭირის უამს ერთი კაციც არ აღმოაჩნდება სათაყვანებელი, რომლის სიტყვას მიენდობა და გაჰყვება.

ჩვენს თვალსწინ, სულ ორიოდე კვირის მანძილზე, კეცის ფეხებიან კერასავით წაიქცა ლუდოვიკო მზეთამეფისა და ნაპოლეონის საფრანგეთი, საფრანგეთი, რომელმაც პატრიოტიზმისა და ბრძოლის მაღალი კლასისი უჩვენა გერმანელებს ვერდენსა და ბელფორშტ.

რად მოხდა ეს?

ეგ იმიტომ, რომ საფრანგეთს არ აღმოაჩნდა არცერთი ბელადი ერისა, რომელსაც შესძლებოდა სიტყვით და ელექტრონება ფრანგი ხალხის“.

აქ შესდგა კაპიტანი როგავა, პაპიროსი აილო, ცეცხლი მთხოვა, მოსწია და განაგრძო:

„მე კარგად ვგრძნობ, კონსტანტინე ბატონო, სიტყვა რომ გამიგრძელდა.

შესაძლოა ისეთი რამეებიც გამოვთვალო, რაც თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ! აბა მე, ძველს მეზღვევრქვამ და მხედარს, სად შემიძლია ჩემი დასაგებულად მოგიტხოთ ეს საშინელი ამბები, როგორც თქვენ გააკეთებდით ამას, მაგრამ რომაელების ანდაზა ხომ გახსოვთ: „fecit quod potui“.\*

როცა მათორი მირნოვი პოლკში დაგვიბრუნდა, იმ ღამესვე შევეკითხე ჩემს გვერდით მწოლარეს, ბლინდაეში:

„საკვირველია, როგორ გაძბედეთ შენ და ზედგენიქმ შიშველ თემშარაზე ათიოდე წითელარმიელებისა და ხელბომბების იმედით შებმოდით გუდერიანის „ტიგრებს“?

იცით, რა მომიგო სმირნოვმა?

„როცა ბრძოლა მოთავდა და ჩვენებმა მუხნარი დასთმეს, ტყეში ღამემ მოუსწრო ჩვენ რაზმეულს.

უგრეხელიძე ბეზე ავგზავნეთ და მან გემცნო: გერმანელების ალყაში ვართო. გერმანელების კავალერისტები და სატანკო კოლონები დადიანო ამ ტყის გარშემო.

ალარ ეიცოდით, რა გვექნა.

დაქანცულნი ვიყავით სამი დღელამის მშვირ-მწყურვალნი.

ზედგენიქმ აიჩემა ამაღამვე ტყის ჩხრეკას შეუდგებიან გერმანელი მზვერავები, გავიდეთ ტყიდან და სოფელს შევეხიზნოთო რომელიმე მახლობელს.

მუტელზე ხოხვით გამოვქვერით ტყიდან და ერთი უკრაინული სოფლის სკოლის სარდაფში შეგვიყვანა ვილაც ბიჭუნამ, რომელსაც მკლავი ჰქონდა გაქცევისას ნაღობი და მწარედ სტიროდა ლაფში ჩავარდნილი.

უთენია, ცოტაოდენი პური და გაზეთის ქაღალდში შეხვეული უკრაინული ძეხვი მოგვიტანა მანვე. დაენაყრდით თუ არა, ამ გაზეთს დაუწყვით

\* გააკეთე, რაც შემიძლია.

კითხვა და შიგ აღმოჩნდა მორიგი ბრძანება.

იმავე წუთში, უცნაურის სისწრაფით აღსდგა ბრძოლის ტინი ჩვენს მოქანცულ სხეულში და ის იყო, საღამოს ტყისპირად დაეხედით 9 კაცი გერმანულ „ტიგრებს“ და ხელბომბები დაესცხეთ.

ნაპოლეონის გამო სწერდნენ: სიტყვებითა და გამხმეებით ვადატანიანო მან ეგვიპტის უღაბნოები ფრანგების ჯარს. რაც ნაპოლეონის საექსპედიციო არმიას ეგვიპტეში შეემთხვა, იგი მარტოოდენ ჩვენი პოლკის თავგადასავლის ერთ ეპიზოდად არ იქმარება.

XXI. მე გატყობთ, კონსტანტინე ბატონო, თქვენ ის გნებავთ უწინარეს ყოვლისა გამცნოთ, თუ როგორ გადავურჩი მე იმ პირველ კატალეპსიას, რომელიც მომგვარა იმ წყეულმა ბოკმაიერმა.

არაფერი ისე არ მიაოცებს თანადროული ტექნიკის უცნაურობათა შორის, როგორც რადიო.

ჩემის აზრით, ეგ არის უდიდესი სასწაულთაგანი, რომელსაც მიიღწია ადამიანურმა გენიამ ჩვენს ეპოქაში.

მე რადიო არ მიყვარს, რადგან ზარბაზნების გრიალმა და ავიობომბების დეტონაციამ ისე ამიწეწა ნერვები, ყოველივე ხმაურობა მძაგს.

მაინც უნდა მოგახსენოთ, უდიდესი მისნობაა რადიო.

ვიდრე გერმანელები ჩვენ ქალაქს აიღებდნენ, ჩვენი პალატის ერთ კუთხეში რადიო რეპროდუქტორი გქონდა ერთი. მისვლისთანავე გერმანელებმა საკუთარი გაყვანილობა მოაწყვეს, მაგრამ აგრეც ხდებოდა ხანდახან: მათი გადმოცემები ჩაეჩხირებოდა ჩვენსაში ანაზღად. ასეთ შემთხვევაში გერმანელები კონტრტალეებს დაუშ-

ვებდნენ და ამგვარად დაახლოებდნენ ხოლმე ჩვენებისას.

ჩემი წამების აღსანიშნავი შემდეგ მიაბმო ექთანმა მარხამ:

„ერთ საღამოს საესეებით მოულოდნელად შემოვიდა ექიმი ბოკმაიერი. პირდაპირ მოგაშურათ თქვენ და გოლას, დავხედათ და წაიბუტბუტა:

„როგორც იქნა დავაძინე ეგ გარეწარები“.

ექიმი ბოკმაიერის ვასელის შემდეგ ხუთს წუთსაც არ გაუვლია, ჩვენების მორიგი ბრძანება ვადმოსცეს რადიოში და დაუშინეს გერმანელებმა დამხმობი ტალეები.

მე გამოვფხიზლდი, მაგრამ გოლა ისევ იწვა განუძრეველად, პირაღმა. თვალეები გამოკარკლული დარჩენოდა, წამწამები წარბებს მიბჯენოდნენ, გუგები ღა მოუჩნდა ზეადმართული თვალეებისა, თეთრი, მარლია კამეჩის თვალეით თეთრი.

სახე უცნაურად დამანკვოდა, დაბჩენილ ტუჩპირიდან სიმიდის მარცვალეით ყვითელი კბილეები მოუჩანდა, საერთოდ უპატრონო ცხედარს დამგვანებოდა, მიცვალებულს, რომელსაც სიკვდილის წუთებში არავინ დასწრებია და არც გაპატოსნება მოუწყვია ვინმეს.

თვალი ავარიდევ ამ სანახაობას.

ექთანი მარია ვაბარებული მომიჯდა, ჩემი ხელი უკითხავად გამოილო საბნიდან, მაჯა გამისინჯა და მითხრა:

„პულსი მოგიბრუნდათ, კაპიტან“.

და როცა გულისტივილი გამოვსთქვი იმის გამო, რომ გოლა არ იღვიძებს, თანაც დავსძინე: შემზარავი სახე აქვს-მეთქი გოლას, ექთანმა მარიათ გაშიღიმა და მითხრა:

„თქვენც ასეთივე გამომეტყველება გქონდათ 5 წუთის წინ, კაპიტან“.

გუშინდამ აპირებდა თქვენს გაწერას პროზექტურაში ექიმი ბოკმაიერი, მაგრამ ნაშუადღევს დეპეშა მოუვიდა ე-

ნიდან, მესამე ვაჟის სიკვდილი შეუმცხადეს თურმე.

დღეს მთელი დღე თავის კაბინეტში იყო ჩაკეტილი. მაგიდაზე თავს ურტყამდა და სტიროდა\*.

ეს მაუწყა ექთანმა მარიამ და ვაჟი-და, რადგან მისი შემცველი ექთანი შემოფრატუნდა უკვე.

ეს აშარი დიაცი ბოკმაიერმა მოაყვანინა საიდგანდაც. ერთი უხიაგი, აფორიაქებული დედაკაცი, რომელსაც მხოლოდ ნერვიულობის ატმოსფერო შემოჰქონდა ჩვენს პალატაში.

მუდამ ბუზღუნებდა, წრიალებდა, პაპიროსის ნაწვევებს იატაკზე ნუ ჰყრიოთ, ღრიალებდა და იმავე ნაწვევებს თავთ აგროვებდა, გაზეთის ქალაღში გახვევდა, მოსწვევდა და თავთაც ძირს ჰყრიდა.

შემოვიდა, გაიარ-გამოიარა ოლეებში და რაკი ყველას ეძინა და წაჩხუბება ვერავის მოუხერხა, იბორიალა, იბორიალა მცირე ხანს და სადღაც წაშავდა.

ყველას ისე მშვიდად ეძინა, თითქოს მთელი პალატა გაუჩხიბავთო. თვით აბუზარი სეროკაც არ ბორგავდა, არ ხროტივებდა. მხოლოდ ძაღლის ყმული ისმობდა ბოკმაიერის ლაბორატორიიდან გულის წამლები და სისხლის გამყინველი. ყმუოდა ეს სამგლე: ალბათ ჩვენი ბომბთდამშენები გვეწვევიან მეთქი ამაღამ, გაფიფქრე და საბანი გადავიფარე თავზე.

უცებ პალატის კარი გაიღო ისეთის სიძლიერით, თითქოს ქარბორბალამ შემოაღო იგი.

ჩარჩოებში გამოჩნდა შავ ფრაკში გამოწყობილი დოქტორ ბოკმაიერი, უცნაურად მოლაპლაპე აპარატი ეჭირა ხელში და მოხეიმიე გამომეტყველებდა ჰქონდა თავათაც.

კარის ზღურბლიდანვე შემოანათა ოქროს პენსესგან ამდგარმა ელვარებად. პალატაში შემოსვლის უმაღლესე მე მომამურა, თითქოს ჩემს მეტი არავინ ეგულებოდა აქ.

მდუმარედ მომეახლა.

ტაბურეტზე ჩამოჯდა და ჩურჩულით მითხრა:

„თქვენ კიდევ არ გმინავთ, პერა“?

მუხლის თავზე აპარატი დაიდგა ცალი ხელით, ხოლო მეორეთი ჩემი ერთადერთი ხელი აიღო, გადააბრუნა, დიდხანს ამტერდებოდა ზედა და ლათინურად ბუტბუტებდა რალაცას, სწრაფად, ძლიერ სწრაფად.

ახლაც არ ვიცი კარგად, კათოლიკური ლექსი იყო ეს, თუ რომელიმე სტრიქონი „Malleus maleficarum“-დან ამოღებული.

მხოლოდ რეფრენი დამამახსოვდა ამ ბუტბუტისა ერთი:

„ჩვენ დიაბოლუს დავასამარეთ და ამოგქოლეთ სამოთხის კარი“.

ასეთ რამეებს ბუტბუტებდა და თანაც ფრჩხილით ხახავდა რალაც ფიგურებს ჩემი ხელის გულზე, რამდენადაც მახსოვს სამკუთხედებს, ორმაგ სამკუთხედებსა და სამმაგ წრეებს.

ჩემი მხერა იმ უცნაურმა აპარატმა მიიმკრო.

შვად გალაკულ ფიცარზე ფოლადის რიკით დადგმული იყო უცნაურად მბრწყინავი ფოლადის მუზარადი, რომელზედაც სპილოსძელისაგან გაკეთებული მინიატურული თავისქალა იყო გამოზატული ცენტრში, გარდიგარდად დადებულ ძელებზე, ისეთი როგორიც გერმანულ სიკვდილის ჰუსარებს ჰქონდათ ხოლმე.

მუზარადი სამფერად იყო შედებილი. სამი ზოლი აჩნდა მას: ცისფერი, ყვითელი და შავი.

ზედადგარის შვად გალაკულ ფიცრის ლინგზე ეწერა:

„Casque vibrant“.

მორიალე მუზარადი.

ზედადგარის ქვეშ ელექტროს პატარა ბატარეა იყო მოწყობილი, აგრეთვე მბრწყინავი ლითონისაგან გაკეთებული.

ბოკმაიერმა ბუტბუტი შესწყვიტა, მარჯვენა ხელით ზეასწია ეს აპარატი, მარცხენა ხელიდან გაუშვა ჩემი მარცხენა, შტეპსელი შეურქო ბატარეას და საშინელის სისწრაფით დაბზრიალდა ფოლადის მუზარადი.

უცნაური ზუნი მოისმა, სწორეთ ისეთი, როგორც დიდი, შავი ხოჭოს ოთახში შემოფრენისას მოგვესმის ხოლმე. სწორედ ასეთი.

დამიძინდნენ ქუთუთოები, მომეთნთა სხეული, რადგან დამალა ამ ზუნმა და აპარატის რიალის თვალის დევნებამ, რადგან ცისფერის, ყვითლისა და შავი ფერის სრბოლა უცნაურ კომბინაციას იწვევდა ფერებისას.

„თქვენ გეძინებათ, პერრ...“

თვალი გაახილეთ, აპარატს ნუღარ უყურებთ, მე შემომხედეთ ჯიქურად თვალებში, მიცქირეთ, მიცქირეთ, პერრ“.

აგხედე მის დაფანჩულ წარბებს ქვეშ შეხიზნულ ხორბლისფერ თვალებს.

ოქროს ბუდეში ჩასმულ პენსნეს გაღალმა მოუსვენრად დაწრიალებდნენ ისინი, სჩანდა: ეწადათ, ჩემი გულის-თქმის ამოკითხვა სახის უმციერეს ნაკეთვიაც.

მერმე ისევ წამავლო მარცხენაში მარცხენა, მუხლის თავზე დასდო და ნელა სულ ნელა უფხაქუნებდა ჩემი თითების კიდურებს ფრჩხილებით. ლათინურად ბუტბუტებდა კვლავ, მხოლოდ რეფრენს ამზობდა უკეთ ვასაგონად:

„ჩვენ დიაბოლუს დავაშოშმინეთ და ამოვქოლეთ სამოთხის კარი“.

მერმე ხელი შემიშვა, წამოდგა ანაზღად, მარჯვენათი ზეასწია მორიალე მუზარადი, მარცხენათი ცისფერი ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან, პერრში შეატრიალა და სთქვა:

„თვალი აარიდეთ როგორც შავს, ისე ყვითელს, მხოლოდ ცისფერს უმზირეთ, პერრ“.

ნებაწართმეული დღემორიალე და ეს აპარატი მთლად ცისფერი მეჩვენა ლანდისუსწრაფეს რიალში.

„ხომ ხედავთ პერრ, ეგ თქვენში სამშობლოს ზღვია, ზურმუხტის მასსივად ქცეული. სამარადემოდ გაყინულან მასში ტალღები. საუკუნოდ შემდგარა მისი მიმოქცევა. ლაბისლაზულის ცადაქნილი ზედ დამზობია ზღვასა და ხმელს.“

უცქირეთ მორიალე მუზარადს, პერრ, ყური უგდეთ მის ზუზუნს.

ცისფერი მოლალურები შემომსხდარან ლაბისლაზულის ფერ ციტრუსების შტოებზე, ხომ გესმით მათი ელურტული, პერრ“.

მართლაც, მორიალე მუზარადის ზუზუნში იადონების ელურტული მომესმა, ისეთი, როგორც კოლხურ გაზაფხულზე უთენია გამიგონია.

შტეპსელი გამორთო ბოკმაიერმა, დაჯდა.

ახლოს,

სულ ახლოს მოჰქონდა პენსნეს გაღალმა აწრიალებული ხორბლისფერი თვალები, მაშტერდებოდა სახეზე, თითქოს ყოველი უმციერესი ატომის გარჩევაც მოუწადინებიათ.

ისევ წამოდგა, მორიალე მუზარადი ზეასწია, ცალი ხელით შტეპსელი შეურქო, ცალითაც ყვითელი ცხვირსახოცი შეაფრიალა პერრში და

მიბრძანა:

უმზირეთ მორიალე მუზარადს.

„ზაფხული მოსულა თქვენს ქვეყანაში, პერრ, ქარვა დამდნარა ეენახებსა და ყანებში.“

ყვითელი ყურძნის მტევნებით დატვირთულან ვაზის ლერწები, გაყვითლებულ ციტრუსების შტოებზე სხედან ყვითელი იადონები და უსტვენენ“.

გამორთო შტეპსელი, სასთუმალთან დამიჯდა და მცირე ხანს ბუტბუტებდა რიტმიზირებულ, ლათინურ ლექსს.

მერმე აღდა მოზეიმე გამომეტყვე-  
ლებით, კვლავ შეურთო შტეპსელი ზე-  
აწეულ აპარატს, შავი კაშმირის ცხვირ-  
სახოცი ააფრიალა თავის გამხმარ ხელ-  
ში, როგორც შავი დროშა უბედურე-  
ბის მცნე და მიბრძანა:

„ახლა დროა, თქვენმა წამწამებმა  
შესწყვიტონ ხამხამი, თქვენი თვალე-  
ბი მოიქანცნენ უკვე. თვალი არიდეთ  
ცისცერსა და ყვითელს, პერარ.

უმზირეთ შავს.

ეგეტ თქვენი ქვეყანა ძაძით შემოსი-  
ლი, ეპა შავად გადაბუჯული თქვენი  
მიწა, რომელიც ჩვენ მოგიტანეთ,  
ჩჩეულმა რასსამ.

დანახშირებულ ხეებზე ყორნები  
სხედან, რომელიც უკან მოჰყვება  
ცეცხლის ხაზს ჩვენსას, გესმით ყორ-  
ნების ყვილი, პერარ? ეს შავი დროშა  
მე და ჩემს რასას გვიჭირავს ხელში.

ეს ის ძაძაა, რომელსაც თქვენთვის  
და თქვენი ქვეყნისთვის ჩაიცვამენ მა-  
ლე თქვენი დედები, ცოლები და ღები.

ეს შავი დროშა უნდა აღმართოს  
მთელ დედამიწაზე გერმანულმა რას-  
სამ, პერარ, მისი ტარი ლერძად უნდა  
გაერჭოს ორივე ჰემისფეროს მიწისას,  
პოლავსიდან პოლავსამდის, პერარ.

კარგად დააცქერდით მორიალე მუ-  
ზარადს, მუხისოდენა შავ ყვაეილს  
შავი პეპელა ზედ დასჯდომია. თქვენ  
გადამწვარ მიწაზე ამოსულა ეს შავი  
ყვაეილი, მას ტკბილი და ბანგის დარი  
წვენი აქვს.

პეპელა წუწუნის და თვრება...

თქვენი სხეული უკვე მოითენთა,  
პირი მოჰკუმეთ, მძიმედ ისუნთქეთ  
ნესტოებიდან, თქვენ დაიქანცეთ, პერარ,  
რადგან მე ალუმიინის საბანი დაგახუ-  
რეთ.

მკლავები მოგიდუნდათ, თითები მა-  
ჯებს არ ემორჩილებიან, მაჯები  
იდაყვს, იდაყვი მხარს და ყველანი ვრ-  
თად თქვენ სხეულს, პერარ!

„კასკ ვიბრან“... შესძახა მოზეიმე

ხმით მორიალე მუზარადს ბოკმაიერმა,  
ისე როგორც კავალერიის კორნეტი  
უკივლებს ხოლმე ბარჩხვანს გაოჩ-  
ნებულ ცხენს და ანლა ამ აპარატმა  
ისეთი რიალი მორთო, თვალს ველარ  
ეუწვედენდი სრბოლას.

და მისგან ამდგარი ქარი მცემდა სა-  
ხეში უკვე.

„უკვე დათვრა შავი პეპელა, სადაცაა  
იგი თვალებზე დაგეცემათ, პერარ“.

მეჩურჩულება ეს საძაგელი კაცი,  
თანაც მიხიჩინებს ხელის გულზე, მინდა  
გამოვვლიჯო მკლავი და გაეაწნა სი-  
ლა, მაგრამ მართლაც მეძინება და ჩემი  
იოგები მე აღარ მემორჩილებიან უკვე  
და ვგრძობთ შეფერთიანი პეპელა და-  
მეცა ორივე თვალებზე, მისი ფრთები  
მეირე ხანს ფარფატებდნენ, ზედ დამ-  
ფოფინებდნენ თვალებზე და ბოლოს  
დამაქვდნენ ზედ. ეზოდან მოისმოდა  
საშინელების მაუწყებელი ხმა. შემ-  
ზარადად ყმუოდა ბოკმაიერის შავი  
ძალი იმ ღამეს.

და მორიალე მუზარადის ზუნი თან-  
დათან, თანდათან მინელდა, თითქოს  
შავი, მფრინავი ხოჭოების ლაშქართ  
აივსოვო პალატა და ამის შემდეგ არც  
ხმა მსმენია და არც სიტყვა.

მხოლოდ ბუნდოვანი, ფრიად ბუნ-  
დოვანი მოგონება შემომჩა ხსოვნაში.

ასე მეგონა დავსივდი, მთასავით დავ-  
სივდი, მუთაქასავით გამიხნდა მკლავე-  
ბი. ვილაცებმა შემომტვრირეს კარები,  
შავად ჩაცმული კაცები შემოცვივდ-  
ნენ, ხელფეხში ხელები წამავლეს,

ამწიეს და დამწიეს,

გამწიეს და გამომწიეს,

ამაქანეს და დამაქანეს, ისე რო-  
გორც გამოსარეცხ რუმბებს ანჯღრე-  
ვენ ხოლმე სირაჯები, ამილეს და გო-  
ჯოხეთურ ხერელში ჩამავდეს სადლაც-

. . . . .  
. . . . .  
. . . . .

**XXII.** რაც ამის შემდეგ მოგვივიდა მე და გოლას, ან როგორ და გაიშობოთ.

ექთანი მარიას სიტყვებიდან ვიცი ზოგი რამ. იმ დამეს, როცა მთავარი ექიმის, ბოკმაიერის ბრძანებისამებრ პროზექტურაში გაგვწერეს მე და გოლა, სეროკა ლაზარეთიდან გაპარულა.

ექთანი მარია მეორე დღეს თავისუფალი ყოფილა. ძმათა სასაფლაოზე წასულა ქალაქს გარეთ, ის-ის იყო სეროკას ჩენი სამარე გაუთხრია და ამოველივართ.

ექთანი მარია თავზე წადგომია, კივილი მოურთავს, სეროკა გაქცეულა, გოლას ოქროს საათი და ზედგენიძესული ვერცხლის ბეჭედი თან წაეღო მაგ მკედარძაღლს, ხოლო ჩვენ სულთმობრძანეი თავის ბინაზე წაუყვანივართ მარიას და მის ქმარს, სასაფლაოს დარაჯს.

**XXIII.** როცა ჩვენებმა ქალაქი აიღეს, ელექტრიზაციით გვიაქიმეს, გაქამეს, მოგვიარეს, სულ ორიოდ კვირაში გამოვეჯობინდით. უკვე ჩვენმა ლაზარეთის უფროსმა ექიმმა სეირნობის ნება დაგვართო.

გოლა მთელი დღეები გადაკარგული იყო ლაზარეთიდან, რამდენჯერმე ნა-

შუალამევს მობრუნდა. თურმე ძმათა სასაფლაოზე დადიოდა, თავისი სატე- ვარი თან დაჰქონდა.

ბოლოს, როგორც იქნა, წააწყდა სეროკას, რომელიც გაქცეულ გერმანე- ლებს თან არ გაჰყოლია თურმე...

მიცვალებული წითელარმიელი საფ- ლაეიდან ამოეთხარა, ოქროს კბილს აძრობდა.

მერმე ის იყო, დაითრია ეგ ბრძო- ლის ველის სევაი გოლამ და „მოხარ- შული მაკარონივით“ დააყრევინა ნაწ- ლაეები, როგორც გოლა თავათ იტყო- და ხოლმე, ოქროს საათი და ვერცხ- ლის ბეჭედი დაიბრუნა ისევ.

**XXIV.** ხოლო მე, ამ უბედური ამბე- ბის გადამტანმა და მოხრობელმა, ვერ- ცხლის ბეჭედი ჩაუტანე ზედგენიძის დედას გორში, მაგრამ დედა მისი ორი წლის წინათ გარდაცვლილიყო, მისი ქოზი გამოკეტილი დამიხედა და იმ დღიდან ვატარებ ამ ბეჭელს უშიშო რაინდის, გვარდიის მაიორის, საბჭოთა კავშირის გმირის, ვახტანგ ზედგენიძის მოსაგონარად.

დაიწერა 1946 — 47 წლებში, ტფილისში.

## ალამიანაჲო, მე თჳანე მიყვარლით!



### რუსული ტემპის მთარგმნელის წინასიტყვაობა

იულიუს ფუნიკს პრაღა კარგად იცნობდა — ეს იყო ხუშუჭომიანი ატლერი, მკვირცხლი, ცოცხალი და გამსჭვალავი თვალბოთ. ის იყო ნიჭიერი ჟურნალისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, რედაქტორი, უწინარეს ყოვლისა კი რევოლუციის მებრძოლი, მგზნებარე, კომუნისტი.

იულიუს ფუნიკი დაიბადა 1903 წლის 23 თებერვალს მუშა — მელითონის ოჯახში სმიხოვზე (პრაღის ძველი სამრეწველო რაიონია). ოჯახი მუსიკალური იყო, მამას ძლიერ უყვარდა სიმღერა, მუსიკის სიყვარული შვილებზეც გადავიდა. ბავშვობაში იულიუსი სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში სხვადასხვა როლს ასრულებდა. როდესაც პილზენის რეალურ სასწავლებელში შევიდა, იმავე გატაცებით შეუდგა ისტორიის კითხვასა და შესწავლას.

13 წლის ფუნიკი უშვებს სასკოლო ჟურნალებს: „თავისუფალი აზრი“ და „ჩები“, რომლებსაც თავიდან-ბოლომდე თვითონ სწერდა სხვადასხვა ფსევდონიმით, თვითონ ასურათებდა და ჰყენდავდა.

ახალგაზრდაობაში იულიუსი თავს კერძო გაცუთილებით ირჩენდა, იყო სპორტის მწვრთნელი, მუშაობდა მშენებლობაზე, როგორც ცოცხალი რეკლამა დადიოდა ქუჩებში, ისმენდა ლექციებს კარლოვის უნივერსიტეტში ლიტერატურის, ფერწერისა და მუსიკის ისტორიიდან.

უნივერსიტეტში ყოფნის დროს ფუნიკი დიდ დროს ანდობდა კომუნისტური სტუდენტობის ორგანიზაციას, დაუღალავად თანამშრომლობდა ჩეხის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალურ ორგანოში „რუდე პრაგო“, „ალო ვაზეტა“, ჟურნალებში „ტერობა“, „კმენი“ და სხვ... იულიუს ფუნიკის მონაწილეობა რევოლუციურ მუშათა მოძრაობაში ჟურნალისტიკით არ განისაზღვრებოდა. ის ხელმძღვანელობს მეშახტეთა დიდ გაფიცვას დუბოეცკის რაიონში, საკუთარი ხელით ბეჭდავს პროკლამაციას — მოწოდებას მუშებისადმი. მალე ამის შემდეგ ფუნიკი საბჭოთა კავშირში მიემგზავრება და იქიდან დაბრუნების შემდეგ სწერს ბრწყინვალე წიგნს საბჭოთა კავშირზე.

როდესაც გერმანელებმა 1939 წელს ჩეხოსლოვაკია დაიპყრეს, ფუნიკი სოფელში განაპროვებდა, სადაც დასწერა მნიშვნელოვანი გამოკვლევა ჩეხური კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელ ქალზე ბოჟენე ნეცოვაზე.

რეჰპაციის დროს ფუნიკი თავისებური გატაცებით ჩაება იატაკქვეშეთის ორგანოს „რუდე პრაგოს“ გამოცემის საქმეში. მხოლოდ სამი წლის შემდეგ შესძლეს ფუნიკს მისი დაპატიმრება. იგი აწამეს, მთელი წლის განმავლობაში დაიკოხებებით აწვლებდნენ, ბუღინში (ბაცენში) გადაგზავნეს, იქიდან კი ბერლინში გასასამართლებლად.

მის მიერ დატოვებულ ჩანაწერებს უფლება გვაქვს ვუწოდოთ არა მხოლოდ სიკვდილმემდგომი, არამედ უკვდავიც — ისეთი მაცოცხლებელი სინათლით, ისეთი გმირული აღწერით, რომლებით ბრწყინავს ნაჩქარევად, ფანქრით დაწერილი ეს 150 ფურცელი ქაღალდი. ჩეხოსლოვაკია პატივს სცემს ამ წიგნის ავტორს, როგორც თავის ეროვნულ გმირს. ამ ნაწარმოებში, რომელიც მრავალ ენაზე გადათარგმნა, უკვდავყოფს ავტორის სახელი თავის სამშობლოში.





**სოლის წინასიტყვაობა**

რავენსბრუკის საკონცენტრაციო ბანაკში მე პატივებისაგან გავიგე, რომ ნაცისტურმა სასამართლომ ბერლინში 1943 წლის 25 აგვისტოს ჩემს ქმარს იულიუს ფრიხს სიკვდილი მიუსაჯა.

ჩემი ცდა, რომ მისი შემდგომი ბედის შესახებ რაიმე გამეგო, ამო გამოდგა. პიტლერული გერმანიის განადგურების შემდეგ საპყრობილეებიდან და საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოვიდნენ პატიმრები, რომლების წამება ან მოკვლა ფაშისტებმა ვერ მოასწრეს. მათ შორის მეც ვიყავი.

დაებრუნდი გათავისუფლებულ სამშობლოში. თბილისით ადამიანები დაემბდნენ თავიანთ ქმრებს, ცოლებს, ბავშვებს, მამებს, დედებს, რომლებიც გერმანელმა ოკუპანტებმა ურიცხვ დილაგებში შერყვეს.

მე გავიგე, რომ ჩემი ქმარი სიკვდილით დასაჯეს ბერლინში მეთოთხმეტე დღეს განჩენის გამოტანიდან.

მის გარდა, გავიგე, რომ პრალის პანკრაციის საპატიმროში უოუნის დროს იულიუს ფრიხი სწერდა წიგნს. მას ეხმარებოდა ამაში ჩემი — საპატიმროს მეთვალყურე, რომელსაც კამერაში მიღულად მოჰქონდა ქაღალდი და ფანქარი, დაწერილი ფურცლები კი მიჰქონდა.

მე შევხედი ამ მეთვალყურეს. თანდათან მოვახერხე ყველაფრის შეგროვება, რაც პანკრაციის საპატიმროში იულიუს ფრიხმა დასწერა. დანომრილი ფურცლები სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა პირთან შეენახათ. შევკრებე ისინი და მკითხველებს ვთავაზობ. ეს არის იულიუს ფრიხის უკანასკნელი წიგნი.

**გუსტაო ფრიხი.**



**თავი პირველი**

**ოცდაოთხი საათი**

იჯდე გამოქიმული, დამაბულად გამართული, მუხლებზე ხელებდაბჯენილი და გამოძიებაში მყოფთათვის სალოდინო ოთახის გაყვითლებულ კედელზე თვალმიპყრობილი პეტჩეკის სასაზღუში, სადაც პრალის გესტაპოა მოთავსებული, — ეს როდია ფრიხის მოხერხებული მდგომარეობა ფიქრისათვის. მაგრამ მაინც ვინ აიძულებს ფიქრს, რომ იგი იჯდეს გამოქიმული?..

ვიღაცამ ოდესღაც — ახლა სწორედ შეუძლებელია მიგნება ვინ — გამოძიებაში მყოფთა სალოდინო ოთახს პეტჩეკის სასაზღუში „კინოდარბაზი“

დაარქვა. შესანიშნავი შედარებაა. დიდი ოთახი, მწკრივად დადგმული ექვსი მერხი, მერხებზე უძრავი ადამიანები, მათ წინ ეკრანივით ტიტველი კედელი. მსოფლიოს ყველა კინორეჟისარ არ დაუხვევია იმდენი ფილმი, რამდენიც დაუპროექტებია ამ კედელზე ახალი დაკითხვის, წამების, სიკვდილის მოლოდინე ადამიანთა თვლებს. მთელი ბიოგრაფიები და უკინისი ეპიზოდები, ფილმები დედაზე, ცოლზე, ბავშვებზე, განადგურებულ სამშობლოზე, დაღუპულ სიცოცხლეზე, ფილმები გულად ამხანაგებზე, გამცემლობაზე, ვინმესთვის გადაცე-

მულ პროკლამაციაზე, სისხლზე, რომელიც კვლავ დაიდურება, ხელის მაგრად ჩამორთმევაზე, რომელიც გავალდებულებს, შიშითა და სიმტკიცით, სიძულვილითა და სიყვარულით, სევდიითა და იმედით სავსე ფილმები. მსოფლიოს მიმართ ზურგშეშეკრული, ყოველი ადამიანი აქ ყოველდღე ცხადად ხედავს საკუთარ სიყვდილს. მაგრამ ყოველი ადამიანი მეორედ არ იბადება.

აქ მრავალჯერ მინახავს ჩემი ცხოვრების ფილმი, ათასობით მისი წვრილმანები. შევეცდები გიამბოთ მათ შესახებ, თუ ჯალათი ყულფს უფრო ადრე მომიჭერს, ვიდრე ამბავს დაგამთავრებ, დარჩებიან ადამიანთა მილიონები, რომლებიც ბედნიერ დასასრულს ბოლომდე დასწერენ.



ხუთი წუთის შემდეგ საათი ათჯერ დარეკეს. 1942 წლის 24 აპრილია, გაზაფხულის გრილი საღამო. მე მივიჩქარი — იმდენად, როგორც შეჭერის იმ ხანში-შესული კოჭლი მასწავლებლის გარეგნობას, რომელსაც წარმოვადგენ, სტუმრად ელინეის ოჯახში, რათა მანამდე მივიღე, სანამ შეკარე წინაშესასვლელს დაჰკეტავდეს. იქ შელოდება ჩემი თანამემუწე მირეკი. ვიცი, რომ ამჟამად მას ჩემთვის არავითარი ახალი ამბავი არა აქვს, არც მე მაქვს მისთვის რაიმე სათქმელი, მაგრამ ჩემს მიუსვლელობას დათქმულ შეხვედრაზე შეეძლო არეულობა გამოეწვია. ამას გარდა, არ მინდა, რომ ამ კეთილ ელინეებს ზედმეტი საზრუნავი გავუჩინო.

მე უკვე მიცდის ჭიქა ჩაი და მირეკი... მასთან ერთად კი ცოლ-ქმარი ფრიდები. ისევ გაუფრთხილებლობა! ამხანაგებო, ან თქვენ დაიცავთ კონსპირაციის წესებს, ან მოგიხდებით მუ-

შაობას თავი დაანებოთ, რადგან საკუთარ თავსა და სხვებს საფრთხეს უქმნით, გასაგებია?

— გასაგებია.

— რა მომიტანეთ?

— „რუდე პრაეოს“ საპირველმანისო ნომერი.

— დიდებულია. მირეკ, შენ რას იტყვი?

— ახალი არაფერია. მუშაობა კარგად მიდის.

— სულ ეს არის. უნდა დავიშალოთ. პირველი მაისის შემდეგ ვინაზულებთ ერთმანეთს. მიიღებთ ჩემს მითითებებს. ნახვამდის.

— კიდევ ჭიქა ჩაი, უფროსო.

— არა, არა, დიასახლისო, აქ მეტად ბევრი ვართ.

— ერთი ჭიქა რა, გთხოვთ.

კარის ზარი რეკს.

ასე გვიან? ვინ უნდა იყოს?

კარის კაკუნი.

— გააღეთ! პოლიცია!

სწრაფად ფანჯრებისაკენ! გაიქეციით! რევოლვერი მაქვს, უკან დახევას დავიცავ.

გვიან არის! ფანჯრის ქვეშ გესტაპოელები დგანან და რევოლვერს გვიმიზნებენ.

ახჯამებიდან სამზარეულოს კარს ჩამოპლუჯენ და შემოიჭრებიან პოლიციელები, ოთახებშიც შემოცვივდებიან. ერთი, ორი, სამი... ცხრა კაცი. ჯერ კიდევ ვერ მხედავენ, იმ კარის უკან ვდგევარ, რომელიც ამ წუთში ჩამოპლოჯეს, და, მამასაღამე, სროლა დაუბრკოლებლად შემიძლია. მაგრამ ცხრა რევოლვერი უმიზნებს ორ ქალსა და სამ უიარაღო მამაკაცს. როგორც კი გავისვარი, გესტაპოელთა ტყვიები ჩემზე უფრო ადრე ამ ადამიანებს განგვირავენ, თუ არ გავისვარი, ისინი ნახევარ წელიწადს იქნებიან საპატიმროში, შეიძლება უფრო მეტ ხანს, მერე გადატრიალება მათ

გაათავისუფლებს, შავი დღე მხოლოდ მე და მირექს დაგვადგება. ჩვენ გვაწამებენ... ჩემგან ვერაფერს ვაიგებებს, მირექსაგან კი? ადამიანი, რომელიც ესპანეთში იბრძოდა, ორ წელიწადს საფრანგეთში იყო საკონცენტრაციო ბანაკში და ომის დროს პრალაში არალეგალურად ჩამოვიდა, — ასეთი ადამიანი ხიფათში არ ჩავაგდება. მაშ ასე, ფიქრისათვის ორი წამი მაქვს, ან სამი?

გასროლა — ნიშნავს, ვერაფერს ვუშველო, მხოლოდ თავიდან ტანჯვა ავიცილო, ამისათვის კი უმიზნოდ ოთხი ამხანაგის სიცოცხლე ვავსწირო. ასე? ასე.

გადაწყდა.

კარს ვშორდები..

— აჰ, კიდევ ერთი!

პირველი სილა გამაწნეს.

— ხელები ზევით!

მეორე სილა. მესამე.

ყველაფერი ასე წარმომედგინა.

სანიმუშოდ დალაგებული ბინა უკვე გადაბრუნებული ავეჯისა და ნამსხვრევების გროვად გადაიქცა.

კვლავ, გვეცემენ ხელებითა და ფეხებით.

— იარ!

მანქანაში შემადგეს. რევოლვერების ლულები ჯერ კიდევ ჩემზეა მოშვერილი. გზაში დაკითხვა იწყება.

— ვინა ხარ?

— მასწავლებელი გორაკი.

— სტყუი!

მხრებს ვიჩეჩავ.

— სთქვი, ან გესერი!

— მესროლე!

მაგრამ სროლის მაგიერ მუშტი მხედება.

ტრამეის ვაგონს ჩავუვლით. მგონია, რომ იგი თეთრი გირლანდებით არის შემკული. ეს რა არის? საჭორწინო ტრამეიი ღამით? სჩანს, ზურგება მეწყება.

პეტრეკის სასახლე. არ ვფიქრობდი, რომ აქ ცოცხალი მოვხვდებოდი. ჩრდილად მეოთხე სართულზე ვეყავარ. სახელგანთქმული „II — A — I“ — განყოფილება კომუნისტების საქმეთათვის. ეს შეიძლება საინტერესოც არის.

აყლავუდა გამზდარი გესტაპოელი გამოძიებელი, რომელიც ჩვენს ბინას თავს დაესხა, რევოლვერს ბუდეში სდებს და თავის კაბინეტში მიყვავარ. პაპიროსს მაწოდებს.

— ვინა ხარ?

— მასწავლებელი გორაკი.

— სტყუი!

მისი ხელის საათზე თერთმეტია.

— განხრიკეთ!

ჩხრეკა იწყება.

— პირადობის მოწმობა აქვს.

— ვის სახელზე?

— მასწავლებელ გორაკის.

— შეამოწმეთ.

ტელეფონით ეკითხებიან.

— ჰო, რასაკვირველია. გაწერის ადგილას არ იცნობენ.

— სად მიიღე მოწმობა?

— პოლიციაში.

ჯოხს მარტყამს. მეორედ, მესამედ.

— სახელი? სთქვი! მისამართი?

სთქვი! ვისთან ხარ დაკავშირებული?

სთქვი! შესახვედრი ადგილები? სთქვი!

სთქვი! თორემ ცემით მოგკლავთ!

რამდენ დარტყმას აიტანს ჯანმრთელი ადამიანი?

რადიომ შუალამე გამოაცხადა. რესტორანები და ყავახანები იკეტება, უკანასკნელი სტუმრები შინ მიდი-მოდინ, შეყვარებულები ჭიშკართან ერთ ადგილას ფეხს ინიაცვლებენ, ერთმანეთს ვერ შორდებიან.

პოლიციის გამოძიებელი, გრძელი და გამზდარი, ოთახში შემოდის და ჩაიცინებს.

— ყველაფერი წესრიგშია, ბატონო რედაქტორო!



ვინ გამცა, რომ რედაქტორი ვარ? ელინეკებმა? ფრიდებმა? მაგრამ მათ ჩემი სახელიც კი არ იცოდნენ.

— ხომ ხედავ, ჩვენ ყველაფერი ვიცით? სთქვი. იყავ კეთილგონიერი.

თავისებური ტერმინოლოგიაა: იყო კეთილგონიერი ნიშნავს იყო გამცემი. მე არ ვარ კეთილგონიერი.

— შეჭკარით! მაგრად შეახურეთ!

ლამის პირველი საათია. უკანასკნელი ტრამპეები პარკში მიდიან, ქუჩები ცარიელდება, დიქტორი რადიომსმენელებს ღამე ნებისას უსურვებს.

— კიდევ ვინ შედის ცენტრალურ კომიტეტში? სად არის რადიოგადამცემები? სად არის სტამბები? სთქვი, სთქვი, სთქვი!

ახლა უკვე დარტყმის დათვლა მშვიდად შემიძლია. დაკბენილი ტუჩები მტკივა მხოლოდ.

— გაზადეთ.

დიახ, ჯერ კიდევ ფეხისგულები არ გამშეშებია, ამას ვგრძნობ.

...მეხუთე შეეჭვსე, მეშვიდე დარტყმა.

ჯოხი თითქოს ტვინში შედის.

ლამის ორი საათია. პრაგას სძინავს.

— სთქვი, სთქვი!

პირში ენას ვანძრევ, ჩამტვრეული კბილების დათვლას ვცდილობ. თვლა მესლება. თორმეტი, თხუთმეტი, ჩვიდმეტი, არა, თორმეტი, — ეს რიცხვია გესტაპოელებისა, რომლებიც „ჩვენებას მართმევენ“.

ლამის სამი საათი. საღლაც ქალაქგარეთ დილა იზადება. მემწვანილები ბაზრებში მიდიან, მეეზოვენი ქუჩის დასაგველად გამოდიან. სჩანს, ერთი დილა სიცოცხლე კიდევ მიწერია.

ჩემი ცოლი შემოპყავთ.

— იცნობთ ამ კაცს?

მე სისხლს ველაპავ, რომ ცოლმა არ დაინახოს. ალბათ, ეს სისულელეა, რადგან სისხლი ყოველი ფორიდან მდის, თითების წვერებიდანაც კი.

— იცნობთ ამ კაცს?

— არა.

ცოლმა თავისი შიშის გამოხატა, კი არ გამოამჟღავნა. ყოჩაღ. პირობა გაამართლა — მე არასოდეს ვეცნე, თუმცა ახლა ეს უკვე უსარგებლოა. მაგრამ მაინც ვინ უთხრა მათ ჩემი სახელი?

ცოლი გაჰყავთ. მე გამოვეთხოვე მხნე გამოხედვით, რომლის უნარიც კიდევ შემრჩენია. არ ვიცი, რამდენად მხნე იყო იგი.

მე ვილაცას ვარტყამ და იატაკზე ვეცემი. წიხლებს პირტყამენ, ფეხებქვეშ მთელენ. ახლა დასასრული ახლოა. შავი ესესელი ამწვეს წვერებით და კმაყოფილად ილიძება, მიჩვენებს მოგლეჯილი თმების მთელ ბლუჯას. ეს, მართლაც, სასაცილოა. ტკივილებს უკვე აღარ ვგრძნობ.

ხუთი საათია, ექვსი, შვიდი, ათი, შუადღე. მუშები სამუშაოდ მიდიან და სამუშაოდან ბრუნდებიან, ბავშვები სკოლაში მიდიან და სკოლიდან ბრუნდებიან, მალაზიებში გაქრობენ, სამზარეულოებში სადილები იზარშება, დედამ, ალბათ უკვე გამიხსენა, ამხანაგებმა, უთუოდ, უკვე იციან, რომ დაპატიმრებული ვარ და, შეიძლება, ზომებს იღებენ... იმ შემთხვევისათვის, თუ მე აელაპარაკდები... არა, ნუ გეშინიათ, ეს არ მოხდება. ცემა, მერე წყალს მასხამენ, მერე ისევ ცემა და „სთქვი, სთქვი, სთქვი!“ და მე კიდევ ცოცხალი ვარ.

დღე თავდება. ხუთი საათია. ყველა დაიღალა. დარტყმა ახლა იშვიათად მხედება, დიდი პაუზებით, ეს უკვე მხოლოდ ინერცია არის. და უცბად შორიდან, უსაზღვრო სიშორიდან მოისმის მშველი წყნარი ხმა:

— ეყოფა.

მერე ვუზივარ მაგიდას, რომელიც ჩემს თვალებში ქანაობს. ვილაც წყალს მასმევს, ვილაც მაწოდებს პაპიროსს,



თავი მეორე  
კვლევა

რომლის ხელში დაკავება არ შემოიძლია. ვილაც ცდილობს ფეხსაცმელები ჩამაცვას და ამბობს, რომ ფეხი არ ჩამდის. მერე მათ ნახევრად მიეყავარ, ნახევრად მიმათრევენ კიბეზე დაბლა, ავტოში ჩამსვამენ, მივემგზავრებით, ვილაც რევოლვერს ისევ მიმიხნებს, მე ეს მხოლოდ მაინებს. გვერდს ჩავუვლით თეთრი გირლანდებით შემკობილ საქორწინო ტრამვაის, მაგრამ ყველაფერი ეს, ალბათ, ხურგება, ან კვდომა ან უკვე სიკვდილია, იმიტომ, რომ კვდომა ხომ მძიმეა, ჩემთვის კი ახლა არაა მძიმე, თავს ბუმბულივით მსუბუქად ვგრძნობ, ამოსუნთქვა—და დასასრული...

აყლაყულა ესეგელი თავზე მადგას და წიხლებს შირტყამს, რომ ავდგე. მაგრამ ეს უმიხნოა. ისევ წყალს მასხამენ, ისევ ვზივარ, ვილაც ქალი წამალს მაძლევს და მეკითხება, რა მტკივა. მე მგონია, რომ ყველაზე უფრო გული მტკივა.

— შენ გული არა გაქვს, — ამბობს აყლაყულა ესეგელი.

— არა, მაქვს! — არ ვეთანხმები და უეცრად ვგრძნობ სიამაყეს: ჯერ კიდევ მყოფნის ძალა ჩემს გულს გამოვექომაგო.

მერე ყველაფერი ჰქრება: კედელი, ქალი, წამლები და აყლაყულა ესეგელი.

მე საპატიმროს კამერის გაღებული კარის წინა ვარ: სქელი ესეგელი შიგ მიმათრევენ, პერანგის ნაფლეთებს მხდის, ლეიბზე მაწვენს, გასიებული ტანს მისინჯავს, ბრძანებას იძლევა — კომპრესები გამიკეთონ.

მერე ისევ შორიდან, უსაზღვრო სიშორიდან მესმის ხმა:

— დილაღე ვერ გააწვეს. ათს ხუთი წუთი აკლია. საუცხოო გრილი საღამოა, 1942 წლის 25 აპრილის გაზაფხულის საღამო.

„ოდეს თვალეში ჩაჰქრება შუქი და ცოფილ სხეულს დასტოვებს სული...“

ორი ადამიანი, ხელიხელჩაკიდებულნი, მძიმე პატარა ნაბიჯებით სამლოცველოს თეთრ კამარებ-ქვეშ დადის და გაბმულად ხმაშუქყობლად საეკლესიო სვედიან სიმღერას გალობენ:

„ოდეს თვალეში ჩაჰქრება შუქი და ცოფილ სხეულს დასტოვებს სული, სადაც არ შეფობს ღამის წყვდიადი, იქ მოგვიწოდებს ჩვენ შემოქმედი...“

ვილაც მოკვდა. ვინ? თავის მიბრუნებას ვცდილობ... ალბათ, დავინახე კუბოს მიცვალებულით და ორ სანთელს სასთუმალთან.

შეეძელ თვალების გახელა. ვერვის ვხედავ. არავინ არის მხოლოდ ისინია და მე: ვის უგალობენ სულთბრძოლის ლოცვას?

„აქ სამუდამოდ ამობრწყინდა უფლის ვარსკვლავი...“

ეს დაკრძალვაა. მაინც ვისი დაკრძალვაა? აქ ვინ არის? მხოლოდ ისინი არიან და მე. აჰა, დიახ მე! მაშასადამე, ეს ჩემი დაკრძალვაა! გამიგონეთ, ადამიანებო, ეს გაუგებრობაა. მე მკვდარი არა ვარ, ცოცხალი ვარ. ხედავ: გიყურებთ, თქვენთან ვსაუბრობ. მომეშვით, ნუ მკრძალავთ!

„უფანასკენლად პატეხას სობოვს ყველას, ვინც მისთვის ძვირფასი იყო...“

არ ესმით. დაყრუდუნენ, თუ რა არის? განა მე საკმაოდ ხმაძალა არ ვლაპარაკობ! ან, შეიძლება, მე მართლა მკვდარი ვარ. და მათ უსხეულო ხმა არ ესმით?

ჩემი სხეული დევს აქ პირქვე და მე საკუთარ დაკრძალვას ვუცქერი. სასაცილოა!

„ესასი სასობით თვალს მივაყარობი!“

ვისხენებ რა მოხდა. ვიღაც გაპირვებით მაყენებდა და მაკმევდა, მერე საკაცით წამიღეს, დერეფანში დაქედილი მძიმე ჩექმების კაკუნი ისმოდა... მერე... სულ ეს იყო. შემდეგ ვერაფრის ვახსენებას ვერ ვაზერხებ.

„სადაც არ შეფობს ღამის წველიაღი...“

მაგრამ ყველაფერი ეს სისულელეა. მე ცოცხალი ვარ. ბუნდოვანად ვგრძნობ ტკივილსა და წყურვილს. მკედრებს ხომ არ სწყურდებათ? მთელ ძალას ვიკრებ ხელის გასანძრევად და რაღაც სხვისი არაბუნებრივი ხმით ვამბობ:

— წყალი!

ძლივს ორი ადამიანი წრეზე სიარულს შესწყვეტს. ჩემსკენ დაიხრებიან, ერთი მათგანი თავს ამიწვევს და ტუჩებთან წყლიან პატარა თასს მომიტანს.

— მეგობარო, უნდა კამოთ რამე. აი, ორი დღე და ღამეა, შენ სულ სევამ და სევამ.

რას ამბობ? ორი დღე-ღამე? დღეს მაშ რა დღეა?

— ორშაბათი.

— ორშაბათი! შე კი პარასკევს დამაპტიმრეს. თავი როგორ მისკდება. და წყალი როგორ მაგრილებს. ძილი დამაძინეთ...!

როდესაც ისევ ვიღვიძებ, უკვე სამშაბათის საღამოა. თავზე ძალი მადგას. ქოფაკი. იგი ჰკვიანი წითელი თვალებით მომაშტერდა და მეკითხება:

— სად ცხოვრობდი?

ოთწაბათი.

ორი ადამიანი, რომლებიც ფსალმუნებს გალობდნენ, ახლა მაგიდან უსხედან და თიხის ჯამებიდან სკამებს. მათ უკვე ვიცნობ. ერთი უფრო ახალ-

გაზრდაა, მეორე ხნერი. ბერებს ისინი არ გვანან და სამლოცველო უკვე სამლოცველო კი არ არის, არამედ საპატიმროს კამერა, როგორც სხვა შრავალი: ხის იატაკი, მძიმე ბნელი კარი...

კლიტეში გასაღები რაჩუნებს, ორივე ტუსალი წამოხტება და ფეხზე გაიჭიმება, ორი წესელი შემოდის და ბრძანებს, რომ ჩამაცვან. არასოდეს მიფიქრია, რომ ამდენი ტკივილის მოყენება შეეძლო ყოველ სახელს, შარვლის ყოველ ტოტს... საკაცეზე მდებენ და კიბეზე ქვევით წამილებენ. დაქედილი მძიმე ჩექმების გუგუნი ისმის დერეფანში... სად მიდის ეს გზა, რომელ ჯოჯოხეთში?

საპატიმროს ნახევრად ჩაბნელებულ პირქვე კანცელარიაში ტუსალების მისაღებად საკაცეს იატაკზე სდგამებ და გულკეთილი ჩეხური ხმა სთარგმნის მძინვარე ღრილს გერმანულ ენაზე.

— იცნობ ამ ქალს?

მე ნიკაპით ხელზე ვეყრდნობი. საკაცის წინ სდგას ახალგაზრდა ფართოსახიანი ქალი. სდგას ამაყად, გამართული, თავაწეული, არაგამოშფევეად, მაგრამ ღირსებით. მხოლოდ თვალები ოღნავ დახრილი აქვს, სწორედ იმდენად, რომ დამინახოს და შემოხედვით მომესალმოს.

— არ ვიცნობ.

მაგონდება, იგი უკვე ვნახე ძალიან ცოტა ხანს იმ ღამეს პეტრეკის სასახლეში. ახლა ჩვენ ერთმანეთს მეორედ ვნახულობთ. სამწუხაროა, რომ მესამედ ეს არ მოხდება. მე კი მინდოდა მისთვის ხელი მაგრად ჩამომერთმია იმ სიამაყისთვის, როგორითაც ის მაშინ იდგა. ეს ქალი არნოშტ ლორენცის ცოლი იყო. იგი სიკვდილით დასაჯეს სამხედრო-საველე სასამართლოების პირველ დღეებში, 1942 წელს.

— მაგრამ ამ ქალს კი უეჭველად იცნობ.

ანია ირასეკოვია ღმერთო ჩემო, ანია, თქვენ აქ როგორ მოხვდით? არა, არა, თქვენი სახელი მე არ წარმოგიტყვამს, არ მიცნობთ, მე თქვენი ნაცნობი არა ვარ. გესმით, თქვენი ნაცნობი არა ვარ.

— ამ ქალს არ ვიცნობ.

— იყავით კეთილგონიერი, პატიმარი.

— არ ვიცნობ.

— იული, ეს საჭირო არ არის, — ამბობს ანია, და მხოლოდ შეუმჩნეველი მოძრაობა თითებისა, რომლებიც ცხვირ-სახოცს კმუჭუნის, ამჟღავნებს მის მღელვარებას. — ეს საჭირო არ არის. მე უკვე მიცვენს.

— ვინ?

— ხმა გაიკმინდეთ! — შეაწყვეტინეს ანიას და სასწრაფოდ უკუაგდეს ჩემგან იმ დროს, როდესაც დაიხარა და ზელზე ზელი მოშკიდა.

ტკივილს არა ვგრძნობ, თითქოს მკვრეტელი ვარ და ჭრა მონაწილე ყოველივე ამისა, როგორღაც გარედან ვგრძნობ ორ ესეგელს, როგორ მიეყავარ უკანვე კამერაში, საკაცეს როგორ აქანავებენ და სიცილით მკითხებიან, ზომ არ გინდა კისერზე ყულფით ქანაობაო.

ხუთშაბათი.

მე უკვე ვიწყებ გარემოს გარჩევას. ერთ ჩემს ამხანაგთაგანს კამერაში კარელი ჰქვია. უფროსს იგი „მამილოს“ ეძახის. იგი თავის შესახებ რაღაცას მიაშობს, მაგრამ მე თავში ყველაფერი მერევა... რაღაც შახტი, ბავშვები მერბებზე... ზარის რეკა ისმის, სადმე ხანძარი ზომ არ გაჩენილა?

ჩემთან ყოველ დღე მოდიან ეჭიმი და საპატიმროს ფერშალი. მეუბნებიან, არც ისე ცუდად ზარო, დრო გაივლის სულ მორჩები და ისევ ყოჩაღად იქნებიო. „მამილო“ ამას დაქინებით მიმეორებს. კარელი კი მას გულმოდგინედ კვერს უკრავს და მე, მიუხედავად ჩემი მდგომარეობისა, ვგრძნობ, რომ ისინი ცდილობენ

წმინდა ტყუილი ჩამაგონონ. სამწუხაროა, რომ არ შემიძლია მათ დაეუჯერო.

დღეა.

კამერის კარი იღება და უზმეუროდ ძალი შემოირბენს, ჩემს სასთუმალთან ვაჩერდება და ისევ დამამტერდება. გვერდით ისევ ორი წყვილი ჩქემაა. ახლა უკვე ვიცი, ვინ არიან ეს ადამიანები, — ერთი წყვილი ძალის პატრონს, პანკრაცის საპატიმროს უფროსს ეკუთვნის, მეორე — გესტაპოს ანტიკომუნისტური განყოფილების უფროსს, რომელიც იმ დამეს ჩემს დაკითხვას შეთაურობდა. აი კიდევ გვამი სამოქალაქო ტანსაცმელში. მის სახეს ავხედავ, დიახ, ვიცნობ მას, ის არის აყლაყუდა გამხდარი გესტაპოელი, რომელიც ჩემს დამტუსაღებელ ოპერატიულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

იგი სკამზე ჯდება, და დაკითხვა იწყება.

— თამაში წააგე, თავი მაინც ვადირჩინე. სთქვი.

პაპიროსს მაწოდებს. არ მინდა. თითებში მის დაჭერას ვერ შეეძლებდი.

— რამდენ ხანს ცხოვრობდი ბაკსებთან?

ბაკსებთან! როგორ, ესეც კი იციან! მათ ვინ უთხრა?

— ბედავ, ჩვენ ყველაფერი ვიცით. სთქვი.

დაკითხვა ერთ საათს გრძელდება. დამკითხველი არ ყვირის, მოთმინებით იმეორებს კითხვებს და პასუხს რომ ვერ იღებს, მაძლევს მეორეს, მესამეს, მეათე კითხვას.

— ნუთუ შენ არ გესმის? ყველაფერი გათავებულია, თქვენ თამაში წააგეთ.

— მხოლოდ მე წავაგე.

— შენ კიდევ გჭამს კომუნის გამარჯვება?

— რასაკვირველია.



— კიდევ სწამს? — ეკითხება გერმანულად უფროსი, აყლავუდა გესტაპოელი კი უთარგმნის: „კიდევ სწამს რუსეთის გამარჯვება?“

— რასაკვირველია, — ვეუბნები, — სხვანაირად შეუძლებელია.

დავიღალე. ძალონეს ვძაბავდი, დაკითხვის დროს ფხიზლად ვყოფილიყავი და ახლა გონს მალე ვეარგავ. საღამოა.

ორ ადამიანს ერთმანეთისთვის ხელი ხელში ჩაუვლია, წრეზე დადის და გაბმულად, ხმაშუქყობლად სევდიან სიმღერას გალობს.

„ოდეს თვლებში ჩაქრება შეკი და ცოდვილს ხელს დასტოვებს სული...“

ეი, ადამიანებო, შესწყვიტეთ! შეიძლება ეს სიმღერა ვინმესთვის ცუდი არ არის, მაგრამ დღეს ყველაზე საუკეთესო, ყველაზე სასიხარულო დღესასწაულის, პირველი მაისის წინაღღება. ვცდილობ რაიმე მხიარული ვიმღერო, მაგრამ სჩანს, ჩემი სიმღერა კიდევ უფრო პირქუშად ისმის, ვიდრე მათი სიმღერა, იმიტომ, რომ კარელი პირს მიიბრუნებს „მამილო“ კი ცრემლებს იშქენდს, მაგრამ მე არ ვნებდები და სიმღერას განვგაგრძობ, სანამ ისინი არ ამყევიან. კმაყოფილს ჩამეძინება.

პირველი მაისის განთიადია. საპატომროს კოშკის საათი სამჯერ რეკს. პირველად მესმის გარკვევით საათის რეკა. დატუსაღების შემდეგ პირველად მაქვს სრული ცნობიერება. ვგრძნობ, გაღებული ფანჯრიდან ჩემი ლეიბსაკენ როგორ მოედინება გრილი ჰერი, ჩემს მკერდსა და მუცელ-ქვეშ ვგრძნობ ნამკებს. სხეულის ყოველი უჯრედი მტკივა ათასნაირად. სუნთქვა მიჭირს. ანაზღად, თითქოს ყურთამდე გაღებული ფანჯრიდან შემოჭრილი სინათლე ყოფილიყოს, აზრი გამიღვლებს: ეს დასასრულია, მე ვკვდები.

დიდხანს არ მოდიოდი, სიცოცხლო. მე მიინც იმედი მქონდა, რომ ჩვენ მრავალი წლის შემდეგ შეხვედნებით ერთმანეთს, რომ მე კიდევ თავისუფალი ცხოვრებით ვიცოცხლებდი, ბევრს ვიმუშავებდი, ბევრს შევიყვარებდი, ბევრს ვიმღერებდი და ქვეყნად ბევრს ვიხეტიალებდი. მე ხომ მხოლოდ სიმშვიდის ასაკს მივალწიე, მე ისე დიდი, დიდი ძალა მქონდა, ის აღარა მაქვს. უკანასკნელად ვსუნთქავ...

სიცოცხლე მიყვარდა და მისი გულსათვის დავიწყე ბრძოლა. ადამიანებო, მე თქვენ მიყვარდით და ბედნიერი ვიყავი, როდესაც სიყვარულით მიპასუხებდით, და ვიტანჯებოდი, როდესაც ვერ გამიგებდით. დაე, ჩემმა სახელმა არავის სევდა არ მოგვაროს. ეს ჩემი ანდერძია თქვენთვის, მამავ, დედავ და დებო, შენთვის ჩემო გუსტინა, თქვენთვის, ამხანაგებო, ყველასთვის, ვისთანაც თავს კარგად ვგრძნობდი. თუ ცრემლები დაგეხმარებდათ, თვალთავან სევდის ჰისტი რომ ჩამოირეცხოთ, იტირეთ. მაგრამ არ შემობრალეთ, ვცოცხლობდი ცხოვრების სიხარულისათვის, ვკვდები მისი გულისათვის და სწორი როდი იქნებოდა, ჩემს საფლავზე მწუხარების ანგელოზი რომ აღგემართათ.

პირველი მაისი. ამ დროს ჩვენ უკვე ვიღვიძებდით ქალაქების განაპირა უბნებში და ჩვენს დროშებს ეამზადებდით. ამ დროს მოსკოვის ქუჩებში უკვე მიდიან პირველი სამხედრო მწკრივები, პირველი მაისის პარადისათვის ემზადებიან. ახლა კი, მაისის დღეებში, ადამიანთა მილიონები გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებენ კაცობრიობის თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლაში ათასები დაეცემიან. მე ერთი იმათგანი ვარ. იყო უკანასკნელი ბრძოლის ერთი მეომართაგანი — ეს მშვენიერება!

მაგრამ კვლამა არ არის მშვენიერება. სული მეხუთება. პაერი არ მყოფნის. ჩემს ყელში ხიხინი მესმის. ასე მე ამხანაგებს გავალვიძებ. ნეტავ წყლით ყელი გამასველებინა. მაგრამ დოქში წყალი სულ დალეულა. სულ რაღაც ჩემგან ექვსიოდე ნაბიჯზე, კამერის კუთხეში წყალია. მაგრამ განა მეყოფა ძალა იქ მისალწვევად?

მუცლით მიფეორთხავ, ჩუმაღ, ფრთხილად, აი მიფეორთხდი და წყალს ვსვამ, ვიგულები.

არ ვიცი, ეს რამდენ ხანს გავრძელდა, უკან რამდენ ხანს მიფეორთხედი, გული ისევ მიმდის. მაჯისცემის ვეძებ და მას ვერ ვპოულობ. გული საღდაც ყელთან მივიდა და სწრაფად ისევ ჩამოვარდა. მეც ვეცემი და კარელის ხმა მესმის:

— მამილო, მამილო! კვდება საბრალო!

დილას ექიმში მოვიდა. ამის შესახებ უფრო გვიან ვაფიგე. გამსინჯა და თავი ვადაქნია. მერე ლაზარეთში დაბრუნდა, დახია წინადლით ჩემს სიკვდილზე შედგენილი პატარა პატაკი და სპეციალისტის პატივისცემით სთქვა:

— ცხენის აგებულება აქვს!

**თავი მისამი**

**ტამარა № 267-ე**

შვიდი ნაბიჯია კარიდან ფანჯრამდე, შვიდი ნაბიჯია ფანჯრიდან კარამდე.

ეს უკვე კარგად ვიცი.

რამდენჯერ გავზომე ეს მანძილი საპატიმროს კამერის ფიცრის იატაკზე! სწორედ ამ კამერაში ერთხელ მე უკვე ეიჯექი იმისათვის, რომ მეტად ნთლად ვხედავდი, როგორი დამღუპველი იყო ხალხისათვის ჩეხელი ბურჟუების პოლიტიკა. და აი ჩემს ხალხს ჯვარს აცვამენ, კამერის წინ ღერეფანში გერ-

მანულები — მეთვალყურეები დადიან, საღდაც საპატიმროს გარეთ კი ბრმა პოლიტიკური მეთვალყურეები საღდაცის ძაფს ისევ ხლართავენ. რამდენი საუკუნე სჭირდება ადამიანს იმისათვის, რომ მიხვდეს, მის გარშემო რა ხდება?

საპატიმროს რამდენი ათასი კამერა უკვე გაუფლია კაცობრიობას პროგრესის გზაზე? და კიდევ რამდენს გაივლის? და ჯერ კიდევ არა სჩანს დასასრული გზისა ვადარჩენისათვის. მაგრამ უკვე მსოფლიოს მაინც აღარ სძინავს, აღარ სძინავს!

შვიდი ნაბიჯი იქით, შვიდი ნაბიჯი აქეთ. ერთ კედელზე გადმოსახსნელი საწოლია, მეორეზე უშნო წითელი პატარა თარო თიხის ჭურჭლით. დიახ, ყველაფერ ამას ვიცნობ. ახლა, მართლა, აქ ზოგი რამ მექანიზებულია: მოწყობილია ცენტრალური გათბობა, პარაშის მაგივრად დაუღვამთ უნიტასი, უმთავრესი კი ის არის, რომ მექანიზებულია ადამიანები. პატიმრები აეტრამატებს დამსგავსებთან. დილს თითი დაპირეთ, ესე იგი კლოტეში გასალები გააჩხარუნეთ, და პატიმრები წამოხტებიან, რასაც არ უნდა აეთებდნენ, სიმბიეთ გაიჭიმებიან, კარებს მოფელავენ და კამერის მამასახლისი სულმოუთქმელად წამოიძახებს:

— ახტუნგ! ნომერ ორას სამოცდაშვიდ კამერაში სამი პატიმარია, ყველაფერი წესრიგშია.

ასე, 267. ეს ჩვენი კამერაა.

მაგრამ ჩვენთან აეტრამატი დაზიანებულია: მხოლოდ ორი წამოხტება. მე ფანჯარასთან ვწევარ ლეიბზე, ვწევარ პირაქვე ერთი კვირია, ორი კვირა, თვე, თვენახევარი, და ისევ ვუბრუნდები სიცოცხლეს: უკვე თავს ვამბრუნებ, ხელს ვწევ, უკვე იდაყვებზე წამოვიწევი, ზურგზე ვადაბრუნებასაც ვცდილობ. რა თქმა უნდა, აღწერა

\* ახტუნგ — ურადლება

უფრო ადვილია, ვიდრე ყველაფერი ამის გაკეთება.

კამერაც გამოიცვალა. კარზე ნაცვლად სამიანისა, ჰკიდია ორიანი. ჩვენ ახლა მხოლოდ ორნი ვართ. ვაპქრა კარელი, უმცროსი იმ ორიდან, რომლებიც სევდიანი სიმღერით მკრძალავდნენ. დარჩა მხოლოდ ხსოვნა მის კეთილ გულზე. კაცმა რომ სთქვას, ძალიან ბუნდოვნად მახსოვს მხოლოდ უკანასკნელი ორი დღე მისი ჩვენთან ყოფნისა. თავის ამბავს იგი მოთმინებით მიამბობდა, მე კი მის საუბარში ნიადაგ ჩამეძინებოდა ხოლმე.

მას კარელ მალეცი ერქვა, პროფესიით მემანქანე იყო, მუშაობდა შახტში, სადაც გუდლიცის მახლობლად და იქიდან ჩვენი იატაკქვეშეთისათვის ასაფეთქებელი მასალა გამოჰქონდა მალულად. დაახლოებით უკვე ორი წელია, რაც იგი ზის, ახლა კი გასასამართლებლად, ალბათ, ბერლინს გაემგზავრება. ამ საქმეზე დაპატიმრებულნი მთელ ჯგუფს შეადგენენ. რა დაემართება — არაეინ იცის. კარელს ცოლი და ორი ბავშვი ჰყავს, ისინი ძალიან უყვარს, მაგრამ ეს მოვალეობა იყო, სხვანაირად არ შეიძლება.

იგი ყოველნაირად ცდილობს, რომ ჰპაპა მაიძულოს. არ შემოძლია. შაბათს — ჩემი დატუსაღების მერვე დღეს — უკიდურეს ზომას მიმართავს. საპატიმროს სანიტარულ ინსპექტორს მოახსენებს, რომ მე ამ ხნის განმავლობაში არაფერი მიჭამია. ინსპექტორს, ფერშალს, ესესელის ფორმაში, რომლის დასტურის გარეშე ეჭიმს — ჩემს ასპირინის გამოწერის უფლებაც კი არა აქვს, საავადმყოფოს შეჭამანდის ჯამი თვითონ მოაქვს და ჩემს მახლობლად დგას, სანამ სულ არ შეეჭამ. კარელი თავისი ჩარევის წარმატებით ძლიერ კმაყოფილია და მეორე დღეს პირში თვითონ მასხამს ერთ ჯამ საკვირაო სუბს.

მაგრამ მეორე კერძა ვერაფერი მოუხერხა: დაუქეილი ღძილებით საკვირაო გულიაშის ჩამქვანდა. კარტოფილის დაღმეპაც ვეღარ შეუძლებელია, დაეწრობული ყელი კი ოდნავ მკვრივ ლუკმასაც ვერ ატარებს.

— გულიაშსაც კი არა სჭამს! — ჩივის კარელი და თავს აქნევს.

მერე მადიანად შეექცევა ჩემს ულუფას, რომელსაც „მამილოს“ კეთილსინდისიერად გაუყოფს.

მათ, ვინც 1942 წელს პრალის პანკრატის საპატიმროში არ ყოფილა, არ იციან და ვერც შესძლებენ იმის ცოდნას, თუ რა არის გულიაში ზუსტად, ყველაზე უფრო მძიმე დროშიც, როდესაც ყველა დაპატიმრებულს შიმშილისაგან კუჭი უღმუოდა, როდესაც აბანოში შეგეძლოთ მოსიარულე ჩონჩხები გენახათ, როდესაც ყოველი კაცი, თვალებით მაინც, ამხანაგის ულუფას ემუქრებოდა, როდესაც საძაგელი ფაფა, თხელი პომიდორის წენით შეზავებული, სანატრელ ნუგბარად გეჩვენებოდა, ამ მძიმე დროშიც ზუსტად, კვირაში ორჯერ, ხუთშაბათობით და კვირაობით, საქმლის დამრიგებულნი ჩვენს ჯამებში ჩაგვიყრიდნენ კარტოფილის ულუფას და ზედ ერთ კოვზს საწებელს ასხამდნენ ხორცის რამდენიმე ბოჭკოთი. ეს ზღაპრულად გემრიელი იყო, მაგრამ მხოლოდ ეს კი არ იყო: გულიაში საგრძნობლად მოგაგონებდა ადამიანურ ცხოვრებას, ის იყო რაღაც ოჯახური, რაღაც ნორმალური, გესტაპოს საპატიმროს სასტიკ არაბუნებრივობაში.

ორი თვე გავიდა, და კარელის გაოცება მე კარგად გავიგე: გულიაშსაც კი არა სჭამს! — განა შეიძლებოდა ყოფილიყო ამაზე უფრო მეტად დამარწმუნებელი მოწმობა ჩემი სიკვდილის მოახლოებისა!

იმ ღამესვე ორ საათზე კარელი გაღვიძეს, უბრძანეს, ხუთ წუთში მომზადებულიყო, თითქოს აქ საღამე აბ-

ლოს მიდიოდა. კარელმა კიდევ მოასწრო გულში ჩავეკარ და თავზე ეკოცნა.

ღერეფნიდან მოისმა მკაცრი შეყვირება, რომელიც მოგვაგონებდა, საპატომროში აღმადინური გრძნობები საჭირო არ არისო.

კარელი გასასვლელისაკენ გაეშურა, კლიტემ გაიჩხარუნა.

ჩვენ ორნი დავრჩით.

ვნახავთ ჩვენ ერთმანეთს ოდესმე, მეგობარო? და ერთმანეთს კვლავ როდის ვავშორდებით?

აქ დარჩენილ ჩვენ ორში რომელი დასტოვებს ამ კამერას პირველი? სად წაევა? ვინ დაუძახებს მას — მეთვალყურე ესესელის ფორმასი თუ სიკვდილი, რომელიც ფორმას არ ატარებს?

მე ახლა ვწერ, იმ გრძნობების გამოძახილათ გამსჭვალული, რომლებმაც შეგვიპყრო ამ პირველი დაწორების დროს. მას შემდეგ უკვე ერთი წელი გავიდა და ფიქრები, რომლებითაც ამხანაგს ვაცხლებდით, არაერთხელ დავგებრუნებია, დროდადრო ძალიან აკვირებულვარ. ორიანი კამერის კარზე იცვლებოდა სამიანით, რომელიც აღვიღს ისევე ორიანს უთმობდა, მერე კვლავ გამოჩნდებოდა „3“, „2“, „3“, „2“, ახალი ტუსაღები მოდიოდნენ და ისევე მიდიოდნენ, და მხოლოდ ის ორნი, რომლებიც პირველად დარჩნენ № 267 კამერაში, ჯერ კიდევ არ სტოვებენ ერთმანეთს „მამილო“ და მე.

„მამილო“ სამოცი წლის ასაკის მასწავლებელი იოზეფ პეშეკია. იგი სასკოლო პედაგოგიური საბჭოს მეთაური იყო. ოთხმოცდახუთი დღით ჩემზე აღრე დააპატიმრეს „შეთქმულებისათვის გერმანიის იმპერიის წინააღმდეგ“, რაც გამოიხატა იმაში, რომ იგი თავისუფალი ჩეხური სკოლის რეფორმის პროექტს ამუშავებდა.

„მამილო“ არის... მაგრამ, ფუჩიკ, მას როგორ აღწერ? ეს ძნელი საქმეა! ორი აღმადინი, ერთი კომუნისტური ცხოვრების ერთი წელი. ამ წლის განმავლობაში მეტ სახელს „მამილოს“ ბრწყალები მოსცილდა, ამ ერთ წელში სხვადასხვა ასაკის ორი პატიმარი, მართლაც მამა-შვილი გახდა, ამ წელიწადში ჩვენ გავიმსჭვალეთ ერთმანეთის ჩვევებით, საყვარელი სიტყვებით და ერთმანეთის ხმის კილოთაც კი.

ლამლამობით იგი ფიზიკობდა ჩემს სასთუმალთან და სველი საფენით მომდგარ სიკვდილს მიდენდა, ჩემი კრალობებიდან თავდადებით მაცლიდა ზალამს და არასოდეს მამჩნევინებდა, რომ ლეიბის ლობის სუნს გრძნობდა. ჩემი პერანგის, რომელიც პირველი დაკითხვის მსხვერპლი გახდა, საცოდავ ნაფლეთებს მირეცხდა და მიკერებდა, როდესაც პერანგი საბოლოოდ დადნა, თავისი თეთრეული ჩამაცვა, ზიზილა და ბალახის ღერაკი მომიტანა, ისინი დილის ნახევარსაათიანი სეირნობის დროს მოსწყვიტა, ამისთვის მოსალოდნელ დასჯას არ შეუშინდა. როდესაც ახალ დაკითხვებზე მივდიოდი, აღერსიანი გამოხედვით გამაცილებდა; როდესაც ვბრუნდებოდი ჩემს ახალ იარებზე ახალ კომპრესებს მადებდა. ლამეები ფიზიკობდა, დაკითხვებიდან ჩემს დაბრუნებას ელოდებოდა და დასაძინებლად არ წვებოდა, სანამ მე არ დამაწყენდა, ზრუნვით საბანს არ დამხურავდა.

ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა. ის არ ჩამჭრალა მერეც, როდესაც შემემძლო ფეხზე დგომა და მამაშვილური მოვალეობის გადახდა.

.....  
 № 267 კამერაში ცხოვრება გამოცოცხლდა.

თითქმის ყოველ საათში კარი იღებოდა და მეთვალყურეები მოდიოდნენ. ეს იყო ნაბრძანები: გაძლიერებუ-

ლი მეთვალყურეობა საშიში „კომუნისტური დამნაშავეს“ მიმართ, მაგრამ, ამას გარდა, მე სწორედ ცნობის-მოყვარეობას ვიწვევდი. საპატიმროში ხშირად კვდებოდნენ ადამიანები, რომლებსაც ცოცხლად დარჩენა ჰპარებოდათ. მაგრამ იშვიათად ხდებოდა, რომ არ მომკვდარიყო ის, რომლის გარდაუვალ სიკვდილშიც ყველა დარწმუნებული იყო. ჩვენს კამერაში სხვა სართულებიდანაც მოდიოდნენ მეთვალყურეები და ლაპარაკს გამიბამდნენ ან მღუმარედ საბანს<sup>1</sup> ასწევდნენ და დიდი მცოდნის გამომეტყველებით ჩემს წყლულებს ათვლიერებდნენ, მერე კი, ხასიათის მიხედვით, ან ცინიკურად გაიხუმრებდნენ, ან მეგობრულ კილოთი გამესაუბრებოდნენ.

ერთი მათგანი — მას ჩვენ მეწისქვილე შევარქვით — სხვებზე უფრო ხშირად მოდის, მთელი სახე უღიმის და ჰკითხულობს „წითელ ტარტაროს“ ხომ არაფერი უნდაო. არა, გამდლობთ, მე არაფერი მინდა. რამდენიმე დღის შემდეგ მეწისქვილე გადასწყვეტს, რომ „წითელ ტარტაროს“ რაღაც მაინც უნდა, სახელდობრ — გაპარსვა. და მას მოჰყავს პარიკმახერი. არა ჩვენი კამერიდან. ეს პირველი პატიმარია, რომელსაც ვეცნობი: ამხანაგი ბოჩეკი.

მეწისქვილის გულკეთილობა დათვური სამსახური გამოდგა: მამილოს ჩემი თავი უპირავს, ბოჩეკი კი, ლეიბის მახლობლად ჩაცუცქული, ცდილობს ჩლუნგი სამართებლით ჩემი სქელი ჯაგარი გაჰაფოს. ხელები უკანკალებს, თვალში ცრემლი მოადგება, იგი დარწმუნებულია, რომ მომავკვდავს ჰპარსავს. ვცდილობ დავამშვიდო:

— ნუ შიშობ, მეგობარო! თუ პეტრეჟში დაკითხვას გაუძიელ, შენს პარსვასაც გაუძილებ.

მაგრამ ჩემი მცირე ძალა მძალატობს და ჩვენ ორივეს დასვენება გვიხდება.

ორი დღის შემდეგ კიდევ ორ დაპატიმრებულს ვეცნობი. გესტპოს<sup>2</sup> უფროსებს პეტრეჟის სასახლეში<sup>3</sup> მოუთმინება არ ჰყოფნით: სჩემს<sup>4</sup> წყევანად გზავნიან კაცს, და რადგან საპატიმროს მკურნალი გამოძახებზე ყოველდღე სწერს: „მობრაობა არ შეუძლია“, ისინი განკარგულებას იძლევიან, რანაირადაც მოხერხდეს, მოგვიყვანეთო. და აი, ორ პატიმარს, შედერეფნისა ან დამხმარე მუშის ტანსაცმელში, ჩვენი კამერის კარებთან საკაცე მოაქვს. მამილო გაჭირვებით მაცმევს ტანისამოსს, ამხანაგები საკაცეზე მაწვენენ და წამილებენ. როდესაც ისინი კიბეზე ჩადიან, ერთი მათგანი ჩემსკენ დაიხრება და მეუბნება:

— სულით არ დაეცე!

მერე კიდევ უფრო ჩუმად რამდენიმე ფრაზით ახალ ამბებს მატყობინებს.

ამჯერად ჩვენ არ ვყოვნდებით პატიმართა მიმღებ კანცელარიაში. გრძელ დერეფნებით მივყავართ იქით, გასასვლელისაკენ. დერეფანი სავესეა ხალხით. დღეს ხუთშაბათია, ის დღე, როდესაც ნათესავეებს ნება ეძლევათ პატიმართა თეთრეულისათვის მოვიდნენ. საკაციანი მსვლელობისაკენ მოტრიალდება ყველა, მათ გამოხედვაში თანაგრძნობაა, და ეს მე არ მომწონს. ხელს აეწევდა თითებს მუშტად ვკუმშავ. შეიძლება ადამიანებმა დერეფანში დაინახონ და მიხვდნენ, რომ მათ მივესალმები.

საპატიმროს ეზოში საკაცე საბარგო მანქანაზე დადგეს, ორი ესესელი შოფერთან დაჯდა, ორი სხვა ჩემს სასთუმალთან დადგა, ხელი რევოლვერის გახსნილ ბუდეზე უდევთ, და ჩვენ გავემგზავრეთ. გზა სანიმუშო არაა: ერთი ორმო, მეორე... ორასი მეტრიც არ გაგვივლია, რომ გული წამივიდა. ეს იყო სასაცილო მგზავრობა პრალის ქუჩებში: ხუთტონიანი საბარგო მანქანა, ოცდაათი პატიმრის გადასაყვა-

ნად დანიშნული, ბენზინს ერთადერთ ტუხალისათვის ხარჯავს, და ოთხი ესე-სელი ხელში რეგულერებით გარშე-შო მჭინვარედ იცქირება და გრძნა-ბადაკარგულს სხეულს სდარაჯობს, არ გაგვემტკისო.

შეორე დღეს გართობა განმეორდა. ამჯერად თვით პეტრეის სასახლემდე გავძელო. დაკითხვა დიდხანს არ გაგრ-იელეზულა. გესტაპოელი გამოძიებელ-ლი ფრიდრიხი რამდენჯერმე არა-ფრთხილად შემეხო, და უკან ისევ გულწასული წამიყვანეს.

დადგა დღეები, როდესაც უეჭვე-ლად ვგრძნობდი, რომ ცოცხალი ვი-ყავი: ტკივილი, სიცოცხლის ღვიძლი და, მეტად საგრძნობლად მახსენებდა ამას. საპატიმრომ უკვე იცოდა, რომ რაღაც უწყურადღებობის გამო მე ცოც-ხალი დავრჩი, და მისალმებებს მიგ-ზავნიდნენ: ისინი კედლებზე კაჟუნით მოდიოდნენ, საჭმლის მიმტან მსახურ-თა თვალეში ვხედავდი მათ.

შხოლოდ ჩემმა ცოლმა არ იცოდა ჩემზე არაფერი. ერთი საართულით ჩემს ქვემოთ იგი საკანში მარტო ცხოვრობდა დარდითა და იმედით იმ დღემდე, როდესაც მეზობელმა ქალმა დილის სეირნობის დროს ჩასჩურჩუ-ლა, რომ მე თითქოს კამერაში მოვეკ-დი. გუსტინა ეზოში დადიოდა, არა-ფერს გრძნობდა, თვალეები ერეოდა, ვერ გრძნობდა სახეში მუშტის ეკრას, რითაც მეთვალყურე ქალი მას ანუგუ-შებდა, თან უკან მწყრივში მიდენიდა. კამერის თეთრ კედლებს რომ უტყე-როდა, რას ხედავდა იგი თავისი დიდი კეთილი თვალეებით, საიდანაც ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნია?

შეორე დღეს კი ახალი ცნობაა: თით-ქოს ცემით კი არ მომკვდარვარ, არა-მედ ტანჯვა ვერ ამიტანია და კამერა-ში თავი ჩამომიხრჩვია.

ამსობაში მე თხევად ლეიბზე ვეგ-დე და ყოველ საღამოს და ყოველ დი-

ლას დაეინებით ვეკრძლე გველერ-ი-ალდებოდი, რათა შემღერონა სიმღერე-ბი, რომლებსაც გუსტინა მუშტოქრო-დი, რადგან მას უყვარდა ისინი. რო-გორ შეეძლო მას მათი არმოსმენა, მე ხომ შიგ იმდენ ძალასა და სასოებას ვაქსოვდი!

ახლა მან უკვე იცის ჩემს შესახებ, ახლა უკვე ესმის ჩემი სიმღერები, თუმცა ჩვენ ამჟამად უფრო შორსა ვართ ერთმანეთისაგან, ვიდრე მაშინ. ახლა უკვე საპატიმროს მეთვალყურე-ებმაც იციან და მიეჩვივნენ იმას, რომ № 267 კამერაში სიმღერები ეღერენ.

ყარბულეში უკვე კარს აღარ უკაკუ-ნებენ სიჩუმის დასამყარებლად.

№ 267 კამერა მღერის, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვმღეროდი და არ ვიცი, სიმღერას რის გულისათ-ვის დავშორდე ამჟამად, დასასრულის წინ, როდესაც სიცოცხლე განსაკუთ-რებულად მძაფრად შეიგრძნობდა.

მამილო პეშეკი კი? ჰოდა, სწორედ ეს შესანიშნავი დამთხვევაა: მას სა-შინლად უყვარს სიმღერა. მას არც სმენა, არც ხმა, არც მუსიკალური მეხ-სიერება აქვს, მაგრამ სიმღერა უყვარს ისეთი კარგი და ქეშმარიტი სიყვარუ-ლით და მასში იმდენ სიხარულს ჰპო-ულობს, რომ მე ვერც კი ვამჩნევ, ერ-თი ტონალობიდან მეორეზე რომ ხტე-ბა და ჯიუტად იღებს „მის“ იქ, სადაც „დო“ უნდა აიღოს.

ჩვენ ხშირად ვმღერით ჩვენს კამე-რაში. ვმღერით, როდესაც სევდა შე-მოგვაწევება; ვმღერით, როდესაც შზი-ანი დღე დადგება; სიმღერით ვაცი-ლებთ ამხანაგს, რომელსაც, ალბათ, ვერასოდეს ვნახავთ; სიმღერით მივე-სალმებთ კარგ ცნობებს აღმოსავლე-თიდან, ვმღერით ნუგეშისაქვემლად და ვმღერით სიხარულისაგან, როგორც აღამიანები მღერიან უხსოვარ დროი-დან და იმღერებენ, სანამ სიცოცხლე არსებობს.



ჩვენი კამერა ჩრდილოეთის მხარეზეა. მხოლოდ იშვიათად, მზიან დღეებში, ვხედავთ ჩამავალ მზეს. ეპ, მაგილო, ვისურვებდი ერთხელ კიდევ შენახა მზის ამოსვლა.

### თავი მეოთხე

#### მოთხასიანი

მკვდრეთით აღდგომა ეს საკმაოდ თავისებური განცდაა. იმდენად თავისებური, რომ ახსნაც კი ძნელია. ქვეყანა მიმზიდველია, როდესაც კარგ ამინდში შვედი ძილის შემდეგ ახალ-ამღვარი ხართ, მაგრამ თუ სიკვდილის სარეცელიდან აღექით, დღე მშვენიერად გეჩვენებათ, როგორც არასოდეს და გრძნობთ, რომ არაჩვეულებრივად ზამოიძინეთ. თქვენ ფიქრობთ, რომ კარგადაა იცნობთ ცხოვრების ყოველ კუნძულს. მაგრამ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, გგონიათ, რომ რეესორის ბრძანებით ჩართულია ერთბაშად ყველა იუპიტერი და სცენაზე თვალისმომჭრელი სინათლეა. თქვენ ფიქრობდით, რომ კარგი მხედველობა გაქვთ. მაგრამ, როდესაც მკვდრეთით აღდგებით, ქვეყანას ისე ხედავთ, თითქოს თქვენს თვალს ტელესკოპიც და მიკროსკოპიც მიაღვეს. მკვდრეთით აღდგომა არის გაზაფხულის მოვლენა, გაზაფხულივით, ისიც მოულოდნელ მშვენიებას აღმოაჩენს თვით ჩვეულებრივ ყოველდღიურობაშიც. და ყოველივე ამას განიცდით მაშინაც კი, როდესაც იცით, რომ ყველაფერი ეს დიდხანს არ გასტანს. ამას განიცდით მაშინაც კი, როდესაც თქვენი გარემომცველი სამყაროს მთელი სიმდიდრე და სხვადასხვაობა პანკრატის საპატიმროს კამერით არის შემოზღუდული.

დგება დღე, როდესაც მათ კამერიდან მიეყავარ. დგება დღე, როდესაც დაკითხვაზე მივიღივარ უკვე არა საკა-

ით; თუმცა ეს შეუძლებლად შეჩვენება, მაგრამ მე მივიღივარ. დერეფანში კედლებს ვეყრდნობო. თითქოს მოაჯირს ვკიდებ ხელს, თითქოს ფართხვით მივიღივარ. დაბლა სხვა პატიმრები მხედებიან და ტუსაღთა ავტობუსში შემეყვანებენ. ბნელ მოძრაე კამერაში ვზივარ, გვერდით ახალი სახეები, ათი, თორმეტი ადამიანი. ისინი მიდიმიან, მე ვუღიმი მათ, ვიღაც ყურში ჩამჩურჩულებს, არ ვიცი, ვის არის, — ვიღაცას ხელს მაგრად ვართმევ, არ ვიცი ვის...

მანქანა გრუხუნით შედის პეტრეის სასახლის ქიშკარაში, ამხანაგებს ხელით გამოგყავარ, შევდივარ ფართო შენობაში ხუთმწკრივიანი მერხებით. გამართულნი და მუხლებზე ხელედაწყობილნი ადამიანები უძრავად სხედან და თავიანთ წინ აღმართულ ცარიელ კედელს შესცქერიან. აი ეს არის ფუჩიკი, შენი ახალი მსოფლიოს ნაწილი, რომელსაც „კინოლარბაზი“ ჰქვია.

#### სამაისო ინტერვენცო

დღეს 1943 წლის პირველი მაისია. და სწორედ ის ადამიანი მორიგეობს, ვისთანაც წერა შემძლია. ვაშა! შემძლია ერთი წუთით ისევ კომუნისტური ფურნალისტი გაეხდე და დაეწერო ჩემი ახალი სამყაროს ძალთა სამაისო პარადის შესახებ.

არ ელოდე, მკითხველო, რომ აღრიალეზულ დროშებზე მოგიტხოვბ. მაგვარი არაფერი ყოფილა. ვერც მოგიყვებით რაიმე წარმტაც ამბებს, რომლებიც მსმენელთ ყოველთვის მოსწონთ. დღეს ყველაფერი მეტად უბრალო იყო, ვიდრე ოდესმე. არ იყო ადამიანთა ახმაურებული მრავალათიანი ნიაღვარი, რომელიც წინა წლებში პრალის ქუჩებში ბოაოჭობდა, არ იყო ის, რაც მოსკოვში ვნახე: თავების მრავალმილიონიანი ზღვა, რომე-



ლიც წითელ მოედანს ავსებდა. აქ არც მილიონები, არც ასეულები. აქ მხოლოდ რამდენიმე ამხანაგია — შამაკაეები და ქალები. შენ მინც მიჩვიე ამ დათვალიერების მნიშვნელობას, რადგან ეს დათვალიერებაა ძალგებისა, რომლებიც ამჟამად გავარჯერებულ ბრძმედში გაივლიან და იქცევიან არა ნაცრად, არამედ ფოლადად. ეს არის პარადი სანგრებში ბრძოლის დროს. სანგრებში კი, იცი, ფორმის როგორ ტანსაცმელს ატარებენ?..

ეს პარადი — ის მთლიანად წვრილმანებშია გამოხატული... არ ვიცი, გივგებ თუ არა ამ წვრილმანებს, საზოგადოდ, ამხანაგო, — შენ, რომელმაც შეიძლება ოდესმე ეს წაიკითხო, მაგრამ, რომელსაც ყოველივე თვითონ არ განვიცდია. შეეცადე — გაიგო. დამიჯერე, ძალა იყო ამაში.

დილის საღამო მეზობელი კამერიდან, საიდანაც ბეთოვენის ორ ტაქტს აკაუნებენ, დღეს უფრო საზეიმოდ, უფრო დაინებით, ვაისმის, ვიდრე ჩვეულებრივად და კედელი მას სხვა ტონით გადმოგვეცმს.

საუკეთესო ჩვენს ტანისამოსს ვიცვამთ. ამას შვრებიან პატიმრები ყველა კამერაში.

სრული პარადით ვიღებთ უკვე საუზმეს. კამერის ღია კარების წინ მსახურნი ჩაგვივლიან პურით, შავი ყავითა და წყლით. ამხანაგი სკორტეპა მაწვდის ნაცვლად ორისა სამ გოგორა პურს. ეს არის მისი მისალმება პირველი მაისისათვის — კონკრეტული მისალმება მზრუნველი ადამიანისა, გოგორა პურებს რომ მაძლევს, შეუმჩნეველად ხელს მართმევს. ლაპარაკი არ შეიძლება, მტრები თვალების გამოშტყველებასაც აკვირდებიან, მაგრამ თათების მუნჯი საუბარი განა ვასაგები არ არის?

ეზოში ჩვენი კამერის ფანჯრების

ქვემოთ დილის სეირნობაზე ქალები გამოვბიან. მაგიდაზე ავდივარ და გისოსიდან დაბლა ვიციკირქმანუშეჩღლება, მათ შემნიშონს. დანს, შემნიშონს! აწეული მუშტებით მომესალმებიან. მეც ასევე ვუპასუხებ. ძირს, ეზოში, დღეს მხიარულება და გამოცოცხლება, სრულიად სხვანაირი, ვიდრე სხვა დღეებში. მეთვალყურე ქალები ვერაფერს ამჩნევენ ან არ უნდათ შეამჩნიონ. ამასაც კავშირი აქვს ჩვენი ძალების დათვალიერებასთან.

ახლა ჩვენი სეირნობაა. მე ამხანაგებს ვამზადებ: დღეს პირველი მაისია, ბიჭებო, დღეს გავიაროთ სხვანაირად, დაე, შებადრაგებს გაუკვირდეთ. პირველი მოძრაობა — ერთი-ორი, ერთი-ორი: უროს დარტყმა გამოვხატოთ. მეორე: თიბვა. ურო და ცელი. ცოტა ფანტაზია და ამხანაგები მიხვდებიან: ხაშვალი და ურო.

ეზოში ჩვენს მოძრაობას ვაკეთებდით, და მე გარშემო ვიხედები. სახეებს ღიმილი მოჰფენია. ჩვენს მაგალითს ყველა ბაძავს ენთუზიანებით. მიხვდნენ! მაშ, ყმაწვილებო, აქ ჩვენი საპირველმაისო ბანაგია, ეს პანტომიმა კი — ეს ჩვენი საპირველმაისო ფიცია: მოგვედებით, მაგრამ არ ვულალატებთ.

ისევ კამერაში ვართ. ცხრა საათია. ახლა კრემლის კოშკის საათი ათჯერ რეკს და წითელ მოედანზე პარადი იწყება. მაშინ, ჩვენ მათთან ერთად ვართ. იქ ახლა ჰიშნს მღერიან, იგი მთელ მსოფლიოში ისმის და ის ჩვენს კამერაშიც ავუგუნდეს, ვმღერიოთ. ერთი რევოლუციური სიმღერა მეორეს სცელის. ჩვენ არ გვინდა ვიყოთ განმარტოებულნი, და არცა ვართ განმარტოებულნი, იმათთან ერთად ვართ, რომლებიც ახლა ლაღად მღერიან, თავისუფალნი, იმათთან ერთად ვართ, რომლებიც ჩვენსავით იბრძვიან...

ამხანაგებო პატარებო,  
დამარბულებო ცივ ჯერღველებში,  
თქვენ ჩვენთან ხართ, თქვენ ჩვენთან ხართ,  
თქმა არა ხართ ჩვენს კოლონებში...<sup>1</sup>

დაიბ, ჩვენ თქვენთანა ვართ.

ასე, № 267 კამერაში გადაეწყვიტეთ ჩვენი საპირველმასისო პარადი სიმღერებით დაგვემთავრებინა. მაგრამ განა ეს ყველაფერია? არა!

მედრეფენე ქალი ქალთა კორპუსიდან საღამო ემას ეზოში დადის და წითელი არმიის მარშს „პარტიზანელს“ და სხვა საბჭოთა სიმღერებს უსტვენს, მაგალითს აძლევს მამაკაცებს კამერებში. ის კაცი კი ჩეხი პოლიციელის ფორმაში, რომელმაც ქალადი და ფანქარი მომიტანა და ახლა დერეფანში დარაჯობს, რათა უეცრად თავს არავინ წამოშადგეს? ის მეორე კაცი კი, რომლის თაოსნობით ეს ჩანაწერები წარმოიშვა, რომელსაც მიაქვს და მზრუნველობით მალავს ამ ფურცლებს იმისათვის, რომ შერე, როდესაც დრო დადგება, ისინი კვლავ გამოვიდნენ სინათლეზე? ამ ქალადის ნაგლეჯის გამო მათ, ორივეს, შეუძლიათ თავი წააგონ. და ისინი ამ საფრთხეს არ ერიდებიან, რათა გახდნენ ხიდად დღეს დატყვევებულთა და ზვალ თავისუფალთა შორის. ისინი ბრძოლის მონაწილენი არიან. ერთგულად და უშიშრად იბრძვიან თავიანთ საგუშაგოზე, იქ, სადაც ამას ბრძოლის პირობები მოითხოვს, და იმ იარაღით რაც მათ გააჩნიათ. თავის საქმეს აკეთებენ უბრალოდ და შეუშინევლად, სრულიად უპათოსოდ, ისე, რომ შენ ვერც კი შეამჩნევ, რომ ეს სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლაა, რომელშიც ისინი და მათი შეგობრები გაიმარჯვებენ ან დაიღუპებიან. ათჯერ, ოცჯერ გინახავს რევოლუციის ჯარები საპირველმასისო პარადზე როგორ ჩაივ-

ლიდნენ, და ეს იყო დიდებული მაგრამ ამ არმიის ნამდვილ ძაღლს, შის დაუმარცხებლობას მხოლოდ მისი შიშის ში დაათვათ. სიკვდილი უფრო მარტივია, ვიდრე შენ ფიქრობდი, და გვირობას სხვიმოსილი შარავანდელი აღვას. ბრძოლა უფრო სასტიკია, ვიდრე შენ ელოდი: იქ რომ გამაგრდეს და იგი გამარჯვებამდე მიიყვანო, საჭიროა უზომო ძალა. ამ ძალას ყოველდღე ხედავ, მაგრამ ყოველთვის ვერ შეიძინობ. ყველაფერი გეჩვენება ისეთ რამედ, რომელიც თავისთავად იგულისხმება.

პირველმა მამამა ერთი წუთით შესწყვიტა ჩემი თხრობის თანმიმდევრობა. და ეს კარგია. დღესასწაულებში მოგონებანი სხვანაირად არიან შეფერადებული, და შესაძლებელია, რომ სიხარულს, რომელიც დღეს ყველაფერს სჭარბობს, ეს მოგონებანი დაემაზინჯებია.

„კინო“ კი პეტრეის სასახლეში სასიხარულო მოგონება სრულიად არ არის. ეს საწამებელი ადგილის კარიბჭეა, საიდანაც ტუსაღთა კენესა და ყვირილი მოისმის, და შენ არ იცი, რა მოგელის. ხედავ, როგორ მიდიას იქ ჯანმრთელი, ძლიერი, მხნე ადამიანები და ორი-სამი საათის დაკითხვის შემდეგ ბრუნდებიან დასაბიჩრებულნი და დამტვრეულნი. გესმის, მტკიცე ხმა როგორ ეხმარება გამოძახებას, ერთი საათის შემდეგ კი ეს ხმა, სულიერი ტკივილითა და ხურვებით მოტეხილი, პატაკს იძლევა დაბრუნებაზე. მაგრამ არის კიდევ რაღაც უარესი: ხედავ ისეთებსაც, რომლებიც ჩათელი და პირდაპირი გამოხედვით შედიან. როცა დაბრუნდებიან, უკვე თვალბში ვეღარ გიქვირიან. სადღაც იქ, მაღლა, გამოძიებლის კაბინეტში დადგა სისუსტის ერთადერთი წუთი, მერყეობის ერთი წამი, საკუთარი „შესთვის“ შიშის აფეთქება — და ამის შე-

<sup>1</sup> ეს ლექსი ფრანკმა რუსულ ენაზე დასწერა.

დევად დღეს ან ხვალ აქ მოიყვანენ ახალ ადამიანებს, რომლებიც თავიდან გაივლიან ყველა ამ საშინელებას, ახალ ადამიანებს, რომლებიც მოლაღატემ მტერთან გასცა...

სინდისგატეხილი ტუსადების შესახებ დობა უფრო საშინელია, ვიდრე ნაცემისა. და როდესაც შენი მზედველობა არის გაძლიერებული სიკვდილით, რომელმაც სულ ახლოს ჩავიარა, როდესაც შენი აღქმა მკვდრეთით აღდგომით არის გამახვილებული, მაშინ ის უსიტყვოდ გრძნობს მეზობელთაგან ვინ შეყოყმანდა, ვინ გასცა, ვინ ფიქრობს სულის სიღრმეში იმაზე, რომ, შეიძლება, არაფერი საშინელი არ მოხდეს, თუ იგი რომელიმე ამხანაგის გაცემით თავის მდგომარეობას ოდნავ შეიშუბუქებს. საბრალო, სუსტი სულები! თითქოს შეიძლება სიცოცხლე დარჩეს წინანდებურად იმის შემდეგ, როდესაც იგი მეგობრების სიცოცხლით არის ნაყიდი!

ყოველივე ამაზე მე არა ვფიქრობდი, როდესაც „კინოში“ პირველად მოვხვდი. მაგრამ მერე ეს ფიქრები ხშირად შემოიპყრობდა. პირველად ისინი იმ დილას აღმეძვრა, მაგრამ სხვა ადგილას, იქ, სადაც ადამიანები ყველაზე მეტს იგებდნენ: „ოთახსიანში“.

„კინოში“ დიდხანს არ ვმჯდარვარ—საათი, საათნახევარი. მერე ჩემს უკან ჩემი მახელი წარმოსთქვეს და ჩეხურად მოლაპარაკე ორმა კაცმა სამოქალაქო ტანსაცმელში ლიფტთან მიმიყვანა, მეოთხე სართულზე ამიყვანეს და შემოძვენ დიდ ოთახში, რომლის კარებზე იყო ციფრი

400.

ერთ ხანს ამ ოთახში ორ ჩემს თანამგზავრსა და ჩემს გარდა არავინ იყო. სკამზე ვიჯექი ოთახის სიღრმეში და უცნაური გრძნობით გარშემო ვიხედებოდი, რომ ჩემთვის აქ რაღაც ნაც-

ნობი იყო. ოდესმე აქ ზომ არა გყოფილვარ? არა, არა გყოფილვარ. და ოთახს მაინც ვიცი, მაგრამ მისი სიხე, რაღაც საშინელ სენსაციას მისცემს ეს ოთახი სულ სხვანაირად გამოიყურებოდა, საზოგადოებასთან დაკავშირებული იყო, მაგრამ ეს ის ოთახია. ახლა იგი ალერსიანია, დღის სინათლითა და ნათელი ფერებით საცეს წვრილ გისოსიან ფართო ფანჯრებიდან მოჩანს ტინის ტაძარი, მწვანე ლეტნა და გრადჩანი.<sup>1</sup>

... ეს იყო ჩემი დაპატიმრებისა და პირველი დაკითხვის დამს. აქ სამჯერ გამომიყვანეს, შეიძლება ათჯერაც, როდესაც ჩემს მტარვალებს სურდათ დასვენება და სხვა მსხვერპლები მოჰყავდათ საწამებლად. მასხოვს ამ ოთახის შორეკეცის იატაკი შიშველ დამტკრეულ ფეხებს სასიამოვნოდ მიგრებოდა.

მაშინ მერხებზე ისხდნენ იუნკერის ქარხნის მუშები—გესტაპოს მიერ საღამოს ნანადირევი. კარებთან დამდგარი ადამიანი ლურჯ სპეცტანსაცმელში ამხანაგი ბარტონი იყო, ქარხნის უჯრედის ორგანიზატორი და ჩემი დაპატიმრების არაპირდაპირი მიზეზი. ამას ვლაპარაკობ იმისათვის, რომ ჩემს ჩავარდნაში არავის ბრალი არ დასდონ. ამის მიზეზი იყო არა სიმზღალე, არც გამცემლობა, მხოლოდ გაუფრთხილებლობა და მარცხი. თავისი უჯრედისათვის ამხანაგი ბარტონი ხელმძღვანელობასთან კავშირის გაბმას ცდილობდა. მისმა მეგობარმა ამხანაგმა ელინეკმა კონსპირაციის წესების მიმართ ერთგვარი დაუდევრობა გამოიჩინა, ალუთქვა, რომ ცენტრალურ კომიტეტთან დააკავშირებდა. ამაზე ჯერ მე უნდა მომლაპარაკებოდა, რაც შესაძლებლობას მომცემდა კავშირი უმისოდ დამემყარებინა. ეს იყო შეცდომა. მეორე უფრო სა-

<sup>1</sup> ლეტნა — პრალის რაიონი, გრადჩანი — პრალის კრეკლი.

ბედისწერა შეცდომა ის იყო, რომ ბარტონის ნდობა მოიპოვა პროვოკატორმა, გვარად ბორჯაგმა. ბარტონმა მას ელინეის სახელი აცნობა. ამნაირად ელინეის ოჯახი გესტაპოს მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. არა იმ მთავარი სამუშაოს გამო, რომელსაც ისინი ორ წლის განმავლობაში წარმატებით ასრულებდნენ, არამედ ამხანაგისთვის ერთადერთი უმნიშვნელო სამსახურის გაწევის გამო, რომელიც მაინც კონსპირაციის პრინციპების გვერდის ავლა იყო. სხვა დანარჩენი კი — ის, რომ პეტრეის სასახლეში ცოლქმარ ელინეების დაპატიმრება სწორედ იმ საღამოს გადაწყვიტეს, როდესაც მე მათთან ვიყავი, და აგენტების ასეთი ძლიერი ჯგუფის მოსვლა, ყველაფერი ეს უკვე სრულიად შემთხვევით მოხდა. გეგმით ელინეტა დაპატიმრება ნავარაუდევო იყო მხოლოდ მეორე დღეს. იმ საღამოს მათ დასაქერად გაემგზავრნენ ალაბებდზე, ინერციით იუნკერის ქარხანაში უჯრედის წარმატებით დაპატიმრების შემდეგ. ელინეტებთან ჩემმა ყოფნამ გესტაპოელები არანაკლებ გააოცა, ვიდრე ჩვენ მათმა თავდასხმამ.

მაგრამ ყველა ეს მოსაზრება აღმეძრა უკვე „ოთხასიანში“ უგვიანეს გამოძახებათა შემდეგ. მე იქ პირველად უკვე მარტო არ ვიყავი. ადამიანები მერბებზე ისხდნენ და კედელთან იდგნენ, დრო კი გარბოდა, სხვადასხვანაირი მოულოდნელობა მოჰქონდა.

აი შემოდის ოთხი ადამიანი, ჩეხურად მიესალმებიან გესტაპოელებს სამოქალაქო ტანსაცმელში და მეც, მაგიდებს მოუსხდებიან, ქალაღებს დააწყობენ, პაპიროსს სწევენ, თავი ლაღად უქირავეთ, თითქოს აქ სამსახურში იყვნენ, მაგრამ მე ხომ მათ ვიცნობ, სამს მაინც. ეს შეუძლებელია, რომ ისინი გესტაპოში მსახურებდ-

ნენ. ან მაინც? ისინიც? ეს ხომ რა... ა, წარსულში პარტიული და პროფესიული ორგანიზაციის მდივანს, თუნდავ პირქუშია, მაგრამ სანამუდრომდე მსახური... არა, ეს შეუძლებელია! ანა ვიყო, კვლავ ტანადი და ლამაზი, თუმცა სულ გაჭაღარავებული, — მტკიცე, უდრეკი, იატაკ-ქვეშ მომუშავე... არა, შეუძლებელია! აი ის, ეს ხომ ვაშეკია, ქვითხურო ჩრდილო ჩეხიდან, მერე კი იქაური რაიკომის მდივანი. განა მე იმას არ ვიცნობ, ერთად რამდენი რამ არ გადავიტანეთ ჩრდილოეთში, — და ეს ადამიანი გასტეხეს... არა, ეს შეუძლებელია! მაგრამ აქ რატომ არიან? <sup>1</sup>

ამ კითხვაზე პასუხი ჯერ ვერ ვპოვე და უკვე ახლები მოჰყავთ: მირეკი, ცოლ-ქმარი ელინეტები და ცოლ-ქმარი ფრიდები. ესენი, ვიცი, ჩემთან ერთად დაპატიმრეს, მაგრამ აქ რად არის ხელოვნებათმცოდნე კროპაჩეკი, რომელიც მირეკს ინტელიგენციის შორის მუშაობაში ეხმარებოდა? ეს მირეკისა და ჩემს გარდა ვინ იყო? და ეს აყლაყულდა ვაჟაკი, რომელსაც სახეზე ცემის კვალი ატყვია, მანიშნებს, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ? ვინ უნდა იყოს? დოქტორი შტიხი? ზდენევი? მასსადამე, ექიმთა მთელი ჯგუფი ჩავარდნილა. მირეკისა და ჩემს გარდა, ვინ იყოლა ამ ჯგუფის შესახებ? და მე რაზე მეკითხებოდნენ ჩეხი ინტელიგენციის შესახებ? საერთოდ თავში აზრად საიდან მოუვიდათ ჩემი სახელი ინტელიგენციის შორის მუშაობასთან დაეკავშირებინათ? მირეკისა და ჩემს გარდა ამის შესახებ ვინ იყოლა?

პასუხის პოვნა ძნელი არ არის, თუმცა სასტიკი და მძიმეა იგი: მირეკ-

<sup>1</sup> როგორც ულრიხმა მერე გაიგო, ეს პატიმრები დანიშნულნი იყვნენ „პაუს არბიტრებად“, ე. ი. „მსახურებად პატიმართაგან“, და მათ დანიშვნა იმისთვის მიიღეს, რომ ტუსაღთა შორის კავშირი დაემყარებინათ. (რედაქციის შენიშვნა).

მა გაგვცა, პირველი ყველაფერი სთქვა. ერთს წუთს კიდევ იმედს არ ვკარგავ, რომ მან, შეიძლება, არ გაგვცა, მაგრამ მერე კიდევ მოჰყავთ ერთი ჯგუფი და მე ვცნობ ვლადიმერ: ვანურას<sup>1</sup>, პროფესორ ფელბერსს შვილით, კრიტიკოსს ბედრიხ ვაილავეს<sup>2</sup>, ისე ნაცემს, რომ ძნელი საცნობია და ბევრ სხვას. ყველა, ვინც შედიოდა ან უნდა შესულიყო ჩემი ინტელიგენციის სახალხო რევოლუციურ კომიტეტში, ყველა აქ აღმოჩნდა. ინტელიგენციის შორის მუშაობის შესახებ პირველი ყველაფერი სთქვა.

პეტრეკის სასახლეში ჩემი პირველი დღეები არ იყო მსუბუქი. მე სიკვდილს ველოდი, მაგრამ გამცემლობას კი არა! რა ლმობიერადაც არ უნდა მიედგომოდი პირეკს, არ ვცდილიყავ ჩამომეთვალნა ყველაფერი ის, რაც მან არ გასცა, მე არ შემეძლო სხვა სიტყვა გამომენახა, თუ არა გამცემლობა. არც მერყეობას, ან სისუსტეს, ან უძლურებას სასიკვდილოდ ნაწამები ადამიანისა, რომელიც ხსნას ეძებს, არა, არაფერს არ შეეძლო მისი გამართლება. ახლა მივხვდი, თუ საიდან იცოდნენ ჩემი სახელი გესტაპოელებმა პირველ დამესვე. ახლა მივხვდი, აქ როგორ მოხვდა ანია ირასეკოვა, — მასთან ჩვენ რამდენჯერმე შევხვდით პირეკს. ახლა გასაგები იყო, რატომ იყვნენ აქ კროპაჩევი და დოქტორი შტიხი.

იმ დღიდან მე თითქმის ყოველდღე დაეყავი მათ „ოთხასიანში“ და ყოველ მისვლაზე ვტყობილობდი ახალ წერილმანებს, რომლებიც მწაგრავდნენ და მაშინებდნენ. პირეკი! მტკიცე ხასიათის ადამიანი, ესპანეთში ტყვეობს

თავს არ უხრიდა, საფრანგეთში საკონცენტრაციო ბანაკის სასტიკ ტანჯვას ქედმოუხრელად იტანდა. უნდა კი გესტაპოელის ხელში მათრახის დანახვა ფერს უკარგავს და თავისი ტყავის ვალსარჩენად აღამიანებს ვასცემს. რა ზერელე ყოფილა მისი მამაცობა, თუ რამდენიმე დარტყმით წაიშალა იგი ისეთივე ზერელე, როგორც მისი რწმენა. ის იყო ძლიერი მასასთან, თანამოაზრეთა გარემოცვაში. ძლიერი იყო ამხანაგებთან ერთად, რადგან მათზე ფიქრობდა. ახლა კი, განმართებულმა და მტრებით გარშემორტყმულმა, მთელი თავისი ძალა დაჰკარგა იმიტომ, რომ თავისთავზე დაიწყო ფიქრი.

თავს ვერ უთხრა: სჯობს სიკვდილი, ვიდრე გაშიფრვა ჩანაწერისა, რომელიც მას უპოვეს, და ისინი გაშიფრა! გასცა სახელები, არალეგალური ბინა, გესტაპოს აგენტი შტიხს შეახვედრა, გაგზავნა ისინი გამცემი დგორჯაკის ბინაზე ვაილავესა და კროპაჩევთან შესახვედრად. გასცა ანია, გასცა ლიდა, გაბედული, მტკიცე ქალიშვილი, რომელიც მის მიმართ უღვარილი არ იყო. საკმარისი იყო რამდენიმე დარტყმა, რომ მას გაეცა ნახევარი იმისა, რაც იცოდა, მერე კი, როდესაც გადაწყვიტა, რომ მე ცოცხალი აღარ ვიყავი, დანარჩენიც გასცა.

ამით ჩემთვის ზიანი არ მიუყენებია. მე გესტაპოს ხელში ვიყავი, — რა შეიძლებოდა ამაზე უარესი? უფრო პირიქით: მისი ჩვენებანი გახდა საწყისი მასალად, რომელიც მთელ გამოძიებას საფუძვლად დაედო და თითქოს გესტაპოს იმ ჯაჭვის თავი მისცა, რომლის შემდეგი რგოლები მე მქონდა ხელში, გესტაპოს კი ისინი ძლიერ სჭიროდა. მხოლოდ ამიტომ მე და ჩვენი ჯგუფის უწევტესი ნაწილი სიკვდილით არ დასაჯეს საგანგებო მდგომარეობის პირველ დღეებშივე, როდესაც სამხედრო-საველე სასამართლოები ამოქმედდნენ.

<sup>1</sup> ცნობილი ჩემი მწერალი, პიტლერელია მიერ სიკვდილით დასჯილი.

<sup>2</sup> ცნობილი კრიტიკოსი, კომუნისტ. სიკვდილით დასაჯეს პიტლერელებმა (რედ. შენიშვნა).

მაგრამ მიჩვენებს რომ თავისი მოვალეობა შეესრულებინა, გესტაპოს ხელში არაფერს ეყოლებოდა, ჩვენ ორის გარდა, ჩვენ ორივე დიდი ხნის მეგობარი ვიქნებოდით, მაგრამ სხვები ცოცხალი დარჩებოდნენ და მუშაობას განაგრძობდნენ ბრძოლაში ჩვენი დაღუპვის შემდეგაც.

მხდალი საკუთარ სიცოცხლეზე მეტს ჰკარგავს.

მიჩვენებსაც ასე მოუვიდა. დიდებული არმიის დეზერტორმა, თვით უსაძაგლესი მტრის ზიზლი დამსახურა, დარჩა ცოცხალი, მაგრამ ეს უკვე არ იყო სიცოცხლე, რადგან ის კოლექტივის მიერ განდევნილი გახდა. უფრო გვიან ის შეეცადა თავისი დანაშაული გამოესწორებინა, მაგრამ კოლექტივმა არ მიიღო. განკიცხულობა საპატიმროში უფრო საშიშია, ვიდრე სხვაგან, სადაც არ უნდა იყოს.

პატიმარი და მარტოობა—მიღებულია ამ მცნების გაიგივება, მაგრამ ეს დიდი შეცდომაა. პატიმარი მარტო რთვია. საპატიმრო დიდი კოლექტივია, უმკაცრეს იზოლაციასაც არ შეუძლია არაფერს განმარტოება, თუ თვითონ ადამიანი თავს არ გაირიყავს.

საპატიმროში დანაგრეულთა კოლექტივი განსაკუთრებით შევიწროებულია, და ადამიანებს ეს შეამჭიდროებს და აწითობს, ამახვილებს მათ ამთვიანობას. კედლები მათ ვერ აჩერებს, კედლებიც ხომ ცოცხლობენ, დაპარაკობენ და პირობითი კაქონით ხშიანობენ. უბრალო ხელის ჩამორთმევა ან მალულად გამოცემული პაპიროსი ამსწერევენ ვალიას, რომელშიაც ჩასმული ხარ, გამოკვავებარ მარტოობიდან, რომლითაც შენი მოტეხასურათ. კამერებს აქვთ ხელები. შენ გრძნობ, ისინი როგორ გშველიან, როდესაც ნაწამები დაკითხვიდან ბრუნდები. ამ ხელებით იღებ საკმელს, როდესაც სხვები შენს მოკვლას ცდილობენ შიშნით. კამერებს აქვთ თავლები, რომლებიც გიჭერენ, როდესაც სიკვდილით დასასჯელად შენიჭებარ და შენ იცი, რომსავედნის შიშნით პირდაპირ და მტკიცედ, რადგან შენი ძმები გიყურებენ და უფლება არა გაქვს — მათ გულეებში სისუსტე ჩანერგო. ეს მშობა სისხლად იღვრება, მაგრამ იგი უძლეველია. მისი დახმარების გარეშე თავისი ხვედრის მეთად ნაწილსაც ვერ გადაიტანდი.

ჩემს თხრობაში, თუ მე კიდე შეესძლებ მის გაგრძელებას (რადგან არ ვიცი, რას მიქადის ყოველი დღე, ყოველი საათი), ხშირად შევხვდებით სიტყვას, რომელიც ამ თავის სათაურია „ოთხასიანი“.

პირველ ხანებში „ოთხასიანი“ ჩემთვის იყო მხოლოდ ოთახი, სადაც პირველი საათები არასასიხარულო ფიქრებში გავატარე. მაგრამ „ოთხასიანი“ — ეს არის კოლექტივი, მებრძოლი და მხნე.

„ოთხასიანი“ 1941 წელს შეიქმნა, როდესაც გესტაპოს ანტიკომუნისტური განყოფილების საქმის წარმოება მნიშვნელოვნად გაფართოვდა. აქ მოაწვეეს „კინემატოგრაფის“ ფილიალი, გამოძიებაში მყოფთათვის მოსაძღველი ოთახები, ეს იყო ფილიალი საგანგებოდ კომუნისტებისათვის, რათა ყოველი შეკითხვისათვის საჭირო არ ყოფილიყო მათი აყვანა პირველ სართულიდან მეხუთეზე. დაპატიმრებულნი უნდა ყოფილიყვნენ გესტაპოს გამოძიებლების მახლობლად. ეს მათ მუშაობას აადვილებდა.

მაგრამ დასვამ თუ არა ერთად ორ ტუსადს, თუ ისინი ამასთან კიდევე კომუნისტები, და ხუთ წუთში ჩამოყალიბდება კოლექტივი, რომელიც გესტაპოელებს მთელ დავთარს აუჩრევს.

1942 წელს უკვე „ოთხასიანი“ სხვანაირად არ ეძახდნენ, თუ არა „კომუნისტურ ცენტრს“. ბევრი რამ უნახავს ამ ოთახს, მრავალი ათასი ამხანაგი



მჯდარა მის მერხებზე, მხოლოდ ერთი რამ არ შეცვლილა: კოლექტივის სული, თავდადება ბრძოლისათვის და გამარჯვების რწმენა.

„ოთხასიანი“ — ეს იყო პირველი სანგარი შორს წინა ხაზის გადაღმა, ყოველი მხრიდან მტრებით შემორტყმული, რომელსაც ხზარ ცეცხლს უშენდნენ, მაგრამ მას ერთი წამითაც ფიქრად არ გაუვლია მტერს დანებებოდა. ეს იყო სანგარი აღისფერი კომუნისტური დროშის ქვეშ, მაგრამ მასში განხორციელებული იყო თავისი გაათავისუფლებისათვის მებრძოლი მთელი ხალხის სოლიდარობა.

დაბლა „კინემატოგრაფში“ ესეულეები დადიოდნენ და ტუსაღებს უყვიროდნენ თვალების ყოველი მოძრაობისათვის. „ოთხასიანიში“ მათ თვალყურს ადევნებდნენ ჩეხი ინსპექტორები და პოლიციის სამმართველოს აგენტები, რომლებიც გესტაპოს სამსახურში მოხვდნენ, როგორც თარჯიმანები — ზოგჯერ ნებაყოფლობით, ზოგჯერ უფროსების ბრძანებით. ყოველი მათგანი ასრულებდა თავის მოვალეობას — გესტაპოს თანამშრომლისას, ან ჩეხის მოვალეობას. ზოგიერთები შუა ხაზს ატარებდნენ. აქ არ გვაძლუბდნენ გაჭიმულნი ვმსხარაიყავით, მუხლებზე ხელები დაგვეწყო და უძრავად ჩვენს წინ გვეცქირა. აქ შეიძლებოდა უკან მიგეხედნა, ხელი დაგეჭინია... ხანდახან კი თავი უფრო თავისუფლად დაგეჭირა, იმისდა მიხედვით, თუ სამი მეტყაყურიდან დღეს რომელი მორიგეობდა.

„ოთხასიანი“ იყო ადგილი, სადაც ადამიანად წოდებული არსების ძლიერ დრმად შესწავლა შეიძლებოდა. სიკვდილის სიხლოვე ყოველ ადამიანს სულ აშოშვლებდა, — იმათაც, ვისაც გამოძიებაში მყოფი კომუნისტისა ან კომუნისტებთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილი ადამიანის ნიშანი ჰქონდა მარცხენა მკლავზე გაკეთებული,

იმითაც, ვისი მოვალეობაც ერთ დარაჯობა და დაკითხვა. მაგრამ დაკითხვებზე სიტყვები შეიძლება ყოფილიყო დაცვა ან იარაღი „ოთხასიანი“ არ შეიძლებოდა სიტყვებს ამოფარებოდა. აქ საკითხს სწყვეტდა არა ის, შენ რას ლაპარაკობდი, არამედ ის, როგორია შენი სული. ამისაგან კი რჩებოდა მხოლოდ უმთავრესი. ყველაფერი მეორეხარისხოვანი, მიტყპანილი, ყველაფერი, რაც ადამიანის ბუნების ძირითად თვისებებს მოასწორებს, ასუსტებს, შელამაზებს, ჩამოშორდებოდა. რჩებოდა მხოლოდ თვით არსი, უმარტივესი აგებულობა: ერთგული რჩება უდრეკი, გამცემი გასცემს, მეშინიანი სასოწარკვეთილებაში ვარდება, გმირი ბოლომდე იბრძვის. ყოველ ადამიანში არის ძალა და სისუსტე, გულადობა და შიში, სიმტკიცე და მერყეობა, სიწმინდე და სიბინძურე. აქ ამ ორში ერთი უნდა დარჩენილიყო. პატიმართა, ჩეხ ინსპექტორთა და აგენტებს შორისაც იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც გამოძიებელის კაბინეტში თავს ასპროცენტთან ნაცისტად ასაღებდნენ, „ოთხასიანიში“ კი — თითქმის ბოლშევიკად. გერმანელი გამოძიებელის თვალწინ პატიმარს კბილებს უმტვრევდნენ, რათა მას შეხედრის ადგილები გაეცა, „ოთხასიანიში“ კი მას მეგობრულად პურის ნაჭერს სთავაზობდნენ. ჩხრეკის დროს ასეთი ადამიანი ზინას პირწმინდად გაჭქურდავდა, „ოთხასიანიში“ კი პატიმარს შეაჩეჩებდა ერთ იმ პაპიროსთაგანს, რომლებიც მას მოჰპარა. — მე შენ თანავიგარძობო.

ამავე ტიპის მეორე ნაირსახეობაც იყო: ისინი არავის არ აწყენინებდნენ, მაგრამ არც არავის ეხმარებოდნენ. ისინი მხოლოდ თავის ტყავს უფროთხილდებოდნენ. ეს მათ შესანიშნავ პოლიტიკურ ბარომეტრად ხდიდა. მედილეგენი პატიმრებს ცივად და გაზვიადებული ოფიციალობით ეპყრობი-



ან? შეიძლება დარწმუნებული იყოთ: გერმანელები სტალინგრადზე იერიშით მიდიან; მედილუგენი პატიმრებს ტკბილად ეპყრობიან, საუბარს გაუბამენ? მდგომარეობა უმჯობესდება: გერმანელები სტალინგრადთან დაპარაკნეს. მედილუგენი დაიწყებენ ლაპარაკს იმაზე, რომ ისინი ნამდვილი ჩეხები არიან და ეესტაპოში სამახური აიძულეს. ჩინებულა! როდესაც წყალში იხრჩვები, ისინი ჯიბეში ხელნაწყოებიანი დგანან და, როცა შენ თვითონ ნაპირზე გამოსვლას მოახერხებ, ისინი შენსკენ ხელგამოწვდილინი გამოვლიან, — ასეთნი არიან.

ამ ჯიშის ადამიანები კოლექტივის ცხოვრებას გრძნობდნენ და მათ დაახლოებას სცდილობდნენ, რადგან მისი ძალა ესმოდათ. მაგრამ ამ კოლექტივის ისინი არასოდეს არ ეკუთვნოდნენ.

მაგრამ იყვნენ სხვებიც, რომლებსაც კოლექტივზე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ. მათთვის შეიძლება კაცისმკვლელები გვეწოდებინა, მაგრამ კაცისმკვლელებიც მაინც ადამიანებია. ესენი კი იყვნენ ჩეხურად მოლაპარაკე მხეცები ხელში კეტებითა და რკინის ჯოხებით. ჩეხ-პატიმართა მიმართ ისეთ სიმხეცეს იჩენდნენ, რომ მრავალი გესტაპოელი—გერმანელიც კი ამ სანახაობას ვერ იტანდა. ამ მწამებელთ არ შეიძლებოდა ჰქონოდათ თვალთმაქცური თავის გასამართლებელი: ჩვენი ხალხისა და გერმანული სახელმწიფოს ინტერესებს ვიცავთო. ისინი აწამებდნენ და ჰკლავდნენ მხოლოდ საღიზმის გამო. ყოველდღე ეხედავდით ამ ჯალათებს, იძულებულნი ვიყავით მათ დავლაპარაკებოდით, აგვეტანა მათი ყოფნა; ჩვენ გვშველოდა ამ დროს მხოლოდ მტკიცე რწმენა, რომ ისინი მისაგებელს ვერ გაექცეოდნენ, თუნდაც მათ თავიანთ ბოროტ მოქმედებათა ყველა მოწმის მოკვლა მოეხერხებინათ.

მათ გვერდით კი იყვნენ ადამიანები, რომლებსთვისაც, მართლაც, ჭეშმარიტი ადამიანები უნდა გვეწოდებინა. ადამიანები, რომლებიც მედილუგენებს აქცევდნენ პატიმართა ორგანიზაციად, რომლებიც „ნოთხაინის“ კოლექტივის შექმნას ხელს უწყობდნენ და გაბედული სულით მას ეკუთვნოდნენ. მათი სულის სიდიადე მით უფრო მეტია, რომ ისინი არ იყვნენ კომუნისტები. პირიქით, როგორც ჩეხ-სლოვაკიის პოლიციელები ისინი ოდესღაც კომუნისტების წინააღმდეგ მოქმედებდნენ, მაგრამ მერე, როდესაც დაინახეს, კომუნისტები ოკუპანტებს ებრძოდნენ, იგრძნეს ძალა და შეიგნეს კომუნისტების მნიშვნელობა მთელი ჩეხი ხალხისათვის. როცა მიხედნენ, საერთო საქმეს ერთგულად ემსახურებოდნენ და ეხმარებოდნენ ყოველ კაცს, რომელიც ამ საერთო საქმის ერთგული დარჩა.

## თავი მესამე

### ადამიანები და კაცუნები

ერთ რამეს ვთხოვთ: თქვენ, ვინც ამ დროს გადაურჩებით, ნუ დაივიწყებთ. ნუ დაივიწყებთ, ნურც კეთილებს, ნურც ავებს. მოთმინებით შეაგროვეთ ცნობები მათ შესახებ, ვინც თავის თავისათვის და თქვენთვის დაიღუპა. დადგება დღე, როდესაც ჩვენი აწყო წარსულად იქცევა, როდესაც ილაპარაკებენ დიდ დროზე და უსახელო გმირებზე, რომლებიც ისტორიას ჰქმნიდნენ. საჭიროა, თქვენ იცოდეთ: უსახელო გმირები არ იყვნენ. იყვნენ ადამიანები სახელებით, ყოველ მათგანს თავისი სახე, თავისი მისწრაფებები, თავისი იმედები ჰქონდა, და მათ შორის ყველაზე უკანასკნელის ტკივილი არ იყო იმ პირველის ტკივილზე ნაკლები, რომლის სახელიც ისტორიაში შევა. საჭიროა, რომ ყველა დაღუპული თქვენთვის მახლობელი იყოს,

ისე თითქოს ისინი თქვენს ღვიძლი ადამიანები იყვნენ, თითქოს ისინი თვითონ თქვენ იყავით.

ის, რასაც ახლა გვიმზობთ, მხოლოდ მასალა, მხოლოდ მოწყობთა ჩვენებე-ზია. ეს ფრაგმენტებია, რომლებიც და-ნახვაც შევძელ უპერსპექტივო პატარა უბანზე. მაგრამ ამ ფრაგმენტებში არის დიდი სიმართლის ნიშნები, დიდი და პატარა ადამიანებსა და კაცუნე-ზეს გარემოხაზულობანი.

### ცოლ-ქმარი ელინეკები

იოზეფი და მარია. ქმარი ტრამვაე-ლი იყო, ცოლი — მსახური. მათი ბინა რომ გენახათი უბრალო, სადა თანამედ-როვე ავეჯი, პატარა ბიბლიოთეკა, პა-ტარა ქანდაკებები, სურათები კედ-ლებზე, გეგონებოდათ, მთელი ცხოვ-რება დისახლისისა ამ პატარა ბინა-ში—ეს იყო მის მისწრაფებათა საზღ-ვარი. მაგრამ მარია დიდი ხანია კომუ-ნისტური პარტიის წევრი იყო და თავისებურად სამართლიანობისაკენ მხურვალედ მიისწრაფოდა. როდესაც ოკუპაციის მძიმე დრო დადგა, ისინი მშვიდად და თავდადებულად მუშაობ-დნენ და სხვებს არ ჩამორჩნენ.

სამი წლის შემდეგ მათ პატარა ბი-ნაში გესტაპოელები შეიპყრნენ. იოზე-ფი და მარია ერთმანეთის გვერდით იდგნენ ხელემაწეულნი...

1943 წლის 19 მაისი

ამიღამ ჩემ გუსტინას პოლონეთში „სამუშაოდ“ წაიყვანენ. გერმანელთა კატორღაში, ტიფით სასიკვდილოდ. თვითონ რამდენიმე კვირა სიცოცხლე დამრჩენია, შეიძლება, ორი სამი თვე. ჩემი საქმე უკვე სასამართლოს გადას-ცეს. ეს ნიშნავს, რომ წინასწარ პა-ტიმრობაში ერთ თვეს კიდევ დავყოფ პანკრაცში, ამის შემდეგ დასასრულამ-დე კიდევ მრჩება ორი-სამი თვე. ჩემ წიგნს უკვე ვეღარ დავამთავრებ. მის

გაგრძელებას შევეცდები, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდება. დღეს არ შემიძლია, დღეს ჩემს ნიშნულს და გული გუსტინას უპყრია მითლანად, ადამიანს, კეთილშობილსა და უღრ-მესად გულწრფელს, თავდადებულს, მარად მოუსვენარი ჩემი ცხოვრების იშვიათ მეგობარს.

ყოველ საღამოს მის საყვარელ სიმღერას ვმღერა: ტრამალის მოშრი-აღე ვაციწვერაზე, პარტიზანთა დი-დებულ ბრძოლებზე, კახაკ ქალზე, რომელიც ქმრის გვერდით იბრძოდა თავისუფლებისათვის, მის მამაცობა-ზე, იმის შესახებ, რომ ერთ ბრძოლა-ში „კაზაკმა ქალმა ვეღარ შესძლო აღდგომა მიწიდან“.

Вот она, мой дружок боевой!

რამდენი ძალაა ამ პატარა ქალში მკაფიო ნაკეთებიანი სახით და რამ-დენი სინაზე მის ბავშვურ დიდ თვა-ლებში. იტაკვეშ მუშაობა და მუდ-მივი დაშორება ჩვენს ოჯახურ ცხოვ-რებას ქორწინების პირველ თვედ აჭ-ცევდა მარად; ერთხელ კი არა, მრავალ ასჯერ განვიცდით პირველი ჩა-ხუტების მხურვალე წუთებს, და ყო-ველთვის შეხმატკბილებულად სცემ-დნენ ჩვენი გულები, განუყოფელი იყო ჩვენი სუნთქვა სიზარულისა და შიშის, მღელვარებისა და მწუხარე-ბის წუთებში.

წლობით ვმუშაობდით, ერთმანეთს ვეხმარებოდით, როგორც მხოლოდ ამხანაგს შეუძლია დაეხმაროს ამხა-ნაგს. ის წლობით იყო ჩემი პირველი მკითხველი და კრიტიკოსი, მე წერა მიჭირდა, თუ მის ალერსიან შემო-ხედვას არ ვგრძნობდი. წლობით ჩვენ მხარდამხარ ვიდევით ბრძოლაში, ბრძოლა კი ბევრი მოგვიწია,—წლო-ბით ხელიხელჩაკიდებულნი საყვა-

\* იმ ქალი, ჩემი მეგობარი (ეს სიტყვები რუსულ ენაზე ნაწერი ფრაზის პიერ).

რელ ადგილებში დაეხეტებოდით. ბევრი გაჭირვება გამოვიარეთ და ბევრი სიხარულიც ვნახეთ, რადგან ჩვენ ვიყავით მდიდარი ღარიბთა სიმდიდრით — იმით, რაც ჩვენში იყო.

გუსტინა? გინდათ იცოდეთ, თუ როგორია გუსტინა. ეს იყო გასული წლის ივლისში, საგანგებო მდგომარეობის დღეებში. მან პირველად მანა ჩემი დაპატიმრებიდან ექვსი კვირის შემდეგ, ყველა ამ საშინელი დღეების შემდეგ ერთადგილიან საკანში, რომელიც სავესე იყო ფიქრებით ჩემ სიყვდილზე. გუსტინა გამოიხატეს, ჩემზე რომ ზეგაუღენა მოეხდინათ.

— დაარწმუნეთ, — უთხრა მას პირისპირ შეხვედრის დროს ანტიკომუნისტური განყოფილების უფროსმა, — დაარწმუნეთ, რომ ვინც მოვიდეს, თავისთავზე არ ფიქრობს, თქვენზე შინაც ფიქროს. გაძლეეთ ორ საათს ფიქრისათვის. თუ იგი მერე განაგრძობს ჯიუტობას, ამ საღამოს ორივეს ერთად მოგკლავთ.

გუსტინამ თვალებით მომიხალერსა და სთქვა:

— ბატონო გამომძიებელო, ჩემთვის ეს მუქარა კი არ არის, არამედ ჩემი უკანასკნელი თხოვნაა. თუ მას მოჰკლავთ, მეც მომკალით.

ასეთია გუსტინა — სიყვარული და სიმტკიცე.

ჩვენ სიცოცხლეს წაგვართმევენ, გუსტინა, ჩვენს ღირსებას და სიყვარულს ვერ წაგვართმევენ.

ჩემო მეგობრებო, თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მე და ჩემი ცოლი როგორ ვიცხოვრებდით, ყველა ამ ტანჯვის შემდეგ ერთმანეთს რომ ისევ შეეყროდით? კვლავ ნახვა ერთმანეთისა თავისუფლებითა და შემოქმედებით გაბრწყინებულ ლალ ცხოვრებაში; ცხოვრება მაშინ, როდესაც იქნება ყველაფერი ის, რაზედაც ვოცნებობდით, რისკენაც მივის-

წრაფოდით, რისთვისაც ახლაც ვხადვართ თავი გავსწიროთ.

მაგრამ მკვდრებიც ვსატყუარებთ თქვენი დიდი სიხარულით მსგავსაწალში, რადგან მასში ჩვენი სიცოცხლეც არის.

ნება არ მოგვეცეს ერთმანეთს გამოვთხოვებოდით, გადავხვევოდით, არცხელი ჩამოგვეერთმია. მხოლოდ საპატიმროს კოლექტივმა, რომელიც პანკრაცს ქალაქის ცენტრთანაც კი აკავშირებს, ორივეს მოგვიტანა ცნობა ჩვენი ბედის შესახებ.

შენ იცი, მეც ვიცი, გუსტინა, რომ ჩვენ ერთმანეთს უკვე ვერასოდეს შევხვდებით. მაგრამ შორიდან მესმის შენი ხმა: „ნახვამდის, ჩემო ძვირფასო!“

ნახვამდის, ჩემო გუსტინა!

### ჩემი ანდერძი

მე ბიბლიოთეკის გარდა, არაფერი მქონდა. ის გესტაპოელებმა გაანადგურეს. მე ბევრი ლიტერატურული კრიტიკული და პოლიტიკური წერილი, რეპორტაჟი, ლიტერატურული ნარკვევი და თეატრალური რეცენზია დავსწერე. ბევრი მათგანი ერთ დღეს სძლებდა და მასთან ერთად კვდებოდა. მათ თავი გავანებოთ. ზოგიერთებს კი დღესაც მნიშვნელობა აქვს. იმედი მქონდა, რომ გუსტინა მათ წესრიგში მოიყვანდა. ახლა კი ამის იმედი აღარა მაქვს. ამიტომ ჩემს ერთგულ მეგობარს ლალუმ ტოლას ვსთხოვე დაბეჭდილი მასალებიდან დაჩანაწერებიდან ხუთი წიგნი შეადგინოს:

- 1) პოლიტიკური წერილები და პოლემიკა;
- 2) კრებული ნარკვევებისა სამომხლოზე;
- 3) კრებული ნარკვევებისა საბჭოთა კავშირზე;

4) და 5) ლიტერატურული და თეატრალური წერილები და ჩანაწერები.

„ტვორდე“ და „რუდე პრავო“ მოგვცემს ამ მასალების უმრავლესობას, დანარჩენს კი — „კმენი“, „პრამენი“, „პროლეტკულტი“, „დობე“, „სოციალისტი“, „ავანგარდი“ და სხვ.

გამომცემელ გირგალს (მიყვარს იგი იმ ქეშმარიტი გულადობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა: ოკუპაციის დროს ჩემი „ბოქენუ ნომცვეუ“ განოსცა) აქვს ხელნაწერებად ჩემი ჩანაწერები იული ზეიერზე. ნაწილი ჩანაწერებისა საბინზე და შენიშვნებისა იან ნერუდაზე შენახულია სადღაც სახლში, სადაც ელინეკები, ვისუშელები და სუხანეკები სცხოვრობდნენ. ამ ამხანაგების უმრავლესობა ახლა მკვდარია.

მე დავიწყე რომანის წერა ჩვენს თაობაზე. ორი თავი ჩემს მშობლებთან ინახება, დანარჩენი თავები, ალბათ, დაიკარგა. რამდენიმე ხელნაწერი მოთხრობა გესტაოს ქალაქებში შევნიშნე.

ლიტერატურის მომავალ ისტორიკოსს ვუანდერძებ სიყვარულს იან ნერუდას მიმართ. ეს ჩვენი უდიდესი პოეტია. იგი შორს მომავალში იტკირებოდა. ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა არცერთი კრიტიკული გამოკვლევა, რომელშიც, იგი რომ ღირსეულად შეეფასებინოთ, მისი რაობა გავგოთ. მას მიაქრეს მალაია სტრანას იდილიის მოყვარულის იარლიცი და ვერ ზედავდნენ, რომ ამ „იდილიურ“ დრომოქმულ მალაია სტრანასათვის ის იყო „შარლატანი“, რომ ის ზმიხოვის გარეუბანში, მუშათა ცენტრში, დაიბადა და მალაია სტრანას სასაფლაოზე თავისი „სასაფლაოს ყვავილებისათვის“ დადიოდა რინგზოფეროკაზე გავლით. უამისოდ გაუგებარია

ნერუდა „სასაფლაოს ყვავილებიდან“ „1890 წლის 1 მაისამდე“.

ყველა კრიტიკოსი, ესეც ვიხსენებ, მსოფლმხედველობის კრიტიკოსი, როგორც შალდაა, სთვლის, რომ ნერუდას პოეტურ შემოქმედებას მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა მხოვედა. სისულელეს! ნერუდას, ჟურნალისტობის დროს, შეეძლო დაეწერა ისეთი საუცხოო ნაწარმოები, როგორც „ბალადები და რომანები“ ან „პიატინჩინე ნაპევი“-ა და „უბრალო მოტივების“ უდიდესი ნაწილი. ჟურნალისტიკა ჰქანცავს, შეიძლება ადამიანის ძალებს ფლანგავს, მაგრამ იგივე ავტორს მკითხველთან აახლოვებს და მის პოეტურ შემოქმედებას ეხმარება. ეს შეიძლება ითქვას განსაკუთრებით ისეთ შესანიშნავ ჟურნალისტზე, როგორც ნერუდაა. ნერუდას რომ არ ემუშავნა გაზეთში, რომელიც ერთ დღეს ცოცხლობს, ბევრი წიგნისა და ლექსის დაწერას შესძლებდა, მაგრამ ვერ დასწერდა ვერცერთ წიგნს, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს.

შეიძლება ვინმემ დაასრულოს ჩემი ჩანაწერები საბინზე? ის ამის ღირსია.

მთელი ჩემი მუშაობით მსურდა უზრუნველმეყო ჩემი მშობლების მზიური შემოდგომა, მათი სიყვარულისა და კეთილშობილებისათვის. რა მძიმეა, რომ მე მათთან არა ვარ! „საქმის მკეთებელი კვდება, მაგრამ მისი საქმე სცოცხლობს“. იმ სიტბოსა და სინათლეში, რომელიც მათ გარშემოა, მე ყოველთვის მათთან ვიქნები. ჩემ დებს ლუბასა და ვერას ვთხოვ ჩვენი ოჯახის დანაკლისი და-

\* მალაია სტრანა — პრალიში ძველი წერილბურჟუაზიული რაიონი. „სასაფლაოს ყვავილები“ და „1890 წლის პირველი მაისი“ — ნერუდას ლექსების სათურეობა. „რინგზოფეროკა“ — საქარხნო ქალაქი.

აეიწყონ დედ-მამას. მათ საკმაოდ იტირეს პეტრეის სასახლეში ჩემი ნახვის დროს. მაგრამ სიხარული ცხოვრობს მათში, რისთვისაც მეც და სხვებსაც უყვარდათ ისინი. სიხარულის მთესველნი იყვნენ და, დაე, მუდამ ასეთნი დარჩნენ. ამხანაგებს, რომლებიც ამ უკანასკნელ ბრძოლას გადარჩებიან, და მათ, რომლებიც ჩვენ შემდეგ მოვლენ, ხელს მაგრად ვართმევ გუსტინას მაგივრადაც. ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ.

და ისევ ვიმეორებ: ჩვენ სიხარულისათვის ვცოცხლობდით, სიხარულისათვის ვყვდებოთ. ამიტომ, დაე, მწუხარება არ დაუტყავთირდეს ჩვენს სახელს.

ი. ფ.

1943 წლის 22 მაისი

გადაწყდა და ხელმოწერილია. გვწინ ჩემი საქმე სასამართლოს გამოძიებულს გადასცეს. ყველაფერი უფრო სწრაფად მიდის, ვიდრე მე ვეაზრდობდი. ეტყობა, მათ სურთ ეს ჩვენი საქმე მალე მოიცილონ. ჩემთან ერთად ბრალს სდებენ ლიდა პლახასა და მირეკს. მას სიმხდალემ ვერ უშველა.

გამომძიებელი ისე თავაზიანი და ცივია, რომ ერთი მისი გარეგნობა აგაყრეოლებს. დიდი ბალთები სვასტრეკით მუნდირის გადანაკეცზე ამქდავენებს რწმენას, რომელიც მას არა აქვს. ეს ბალთები არის მხოლოდ აბრა. მას უკან კი იმალება საცოდავი მოხელე, რომელსაც უნდა ეს წლები როგორმე გაათრიოს. ბრალდებულთა მიმართ იგი არც კეთილია, არც ავი, არც ვაიცინებს და არც წარბს შეიკრავს. იგი მსახურობს, ძარღვებში სისხლი კი არა აქვს, არამედ რაღაც თხელი შეჭამანდის მსგავსი რამ.

საქმე შეადგინეს, ხელი მოაწერეს, მტხლები მიუყენეს. სახელმწიფოს

ლალატი ექვსჯერ, შეთქმულება გერმანიის იმპერიის წინააღმდეგ, შეიარაღებული აჯანყების მამოხმადუნა და კიდეც ვინ იცის რა. თითოეული მუხლი ცალ-ცალკეც საკმაოისი იყო, გადაქარბებით.

ოცდაათ თვეს ვიბრძოდი ჩემი სიცოცხლისათვის და სხვების სიცოცხლისათვის. ვიბრძოდი კადნიერებით და ეშმაკობით. ჩემმა მტრებმა თავის პროგრამაში ჩასწერეს „ნორდული ეშმაკობა“, მაგრამ ამ მახეში მე არ გაეგები. ჩემი თამაში მხოლოდ იმიტომ წავაგე, რომ მათ, ეშმაკობის გარდა, ხელში, კიდეც ნაჯახი უჭირავთ.

ამგვარად, ასე დასრულდა ჩემი ორთაბრძოლა. ახლა იწყება მხოლოდ ლოდინი. ორი-სამი კვირა გაივლის, სანამ საბრალდებულო აქტს შეადგენენ, მერე მე მომიწევს გერმანიას გამგზავრება, გასამართლების ლოდინი, განაჩენი და, ბოლოს, ასი დღე სიკვდილით დასჯის ლოდინისა. ასეთია პერსპექტივა. ამგვარად, მარაგში მაქვს ოთხი, შეიძლება, ხუთი თვე. ამ ხნის განმავლობაში შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს. შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს.

რა მოვა უფრო ადრე: ფაშიზმის სიკვდილი თუ ჩემი სიკვდილი? ეს კითხვა მარტო მე კი არ მებადება. ამ კითხვას იძლევიან მრავალი ათიათასი ტუსალი, ჯარისკაცთა მილიონები, ათი-მილიონობით ადამიანები ევროპასა და მთელ მსოფლიოში. ერთს უფრო მეტი იმედი აქვს, მეორეს ნაკლები.

ხრწნადმა კაპიტალიზმმა საშინელებით აავსო მსოფლიო. ასი-ათასობით ადამიანები — და როგორი ადამიანები! ჯერ კიდეც დაიღუპებიან, სანამ ცოცხლად დარჩენილებს შეეძლებათ სთქვან. მე ფაშიზმის სიკვდილს მოვესწარით.

გადამწყვეტი თვეები დადგა, ჩქარა გადაწყვეტი დღეებიც მოვა. ეს ჭე-

ნება დღეები უსასტიკესი შეტაკებისა. არაერთხელ ჩაფიქრებულვარ იმაზე, თუ რა სამწუხაროა ომის უკანასკნელი მსხვერპლი, ჯარისკაცი, რომელსაც უკანასკნელ წუთში უკანასკნელი ტყვია მოჰკლავს. მაგრამ ვინმე ხომ უნდა იყოს უკანასკნელი და რომ ვიცოდე, ჩემს შემდეგ მეტი მსხვერპლი აღარ იქნება, მე ახლავ ვისურვებდი და წუთსაც არ დავყოვნებდი, რომ სიკვდილს შევხვედროდი.

იმ მცირე ხანში, რაც პანკრატის საპატიმროში კიდევ დავყოფ, მე უკვე ვერ მოვახერხებ ამ რეპორტაჟს სასურველი სახე მიესცე. უფრო ლაკონიური უნდა ვიყო. მეტი უნდა ვთქვა აღამიანზე. აღამიანები ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია.

ჩემი პორტრეტება მე დავიწყე ცოლ-ქმარ ელინიკებიდან, უბრალო აღამიანებიდან, რომლებშიც ჩვეულებრივ დროში გმირებს ვერ დაინახავდით.

დაპატიმრების დროს ისინი გვერდგვერდ იდგნენ, ხელბაწიულნი, ქმარი გაფითრებული იყო, ცოლს კი ლაყვებზე ჭლექური სიწითლე ჰქონდა. ქალს თვალბში შიშმა გაუღვია, როდესაც დაინახა, რომ ხუთ წუთში გესტაპოელებმა მისი სანიმუშო პატარა ბინა ნაფოტებად აქციეს. მერე ქმრისაკენ თავი წელა მიიბრუნა და ჰკითხა:

— პეპი, ახლა რა იქნება?

ქმარი სიტყვაზე არასოდეს ყოფილა. ახლა მშვიდად და დაუძაბავად უპასუხა:

— სიკვდილს შევეგებებით, მანია.

ცოლს არ დაუყვირნია, არც შერხეულა, მხოლოდ მსუბუქი მოძრაობით დაუშვა და გაუწოდა ხელი ქმარს დამიზნებული რეკოლეერების ქვეშ. ამისთვის ქმრისაც და ცოლსაც პირველი სილა გააწნეს. მარიამმა სახე მო-

იწმინდა, დაუპატივებელ სტუმარებს ოდნავ გაკვირვებულად შეხედა და თითქმის იუმორისტულად (იტონხრა) —

— ასეთი ლამაზი მამულები, ასეთი ცერად ხმა გაუძლიერდა, — ასეთი ლამაზი ბიჭები... და ასეთი მხეცები!

ისინი სწორად შეაფასა. რამდენიმე საათის შემდეგ ის გამოჰყავდათ „დამკითხველი“ გამოძიებლის კაბინეტიდან ისე ნაცემი, რომ თითქმის გონწაპული იყო. მაგრამ მას მაინც ვერაფერი ვერ ათქმევინეს, ვერც ამგზის, ვერც შემდეგ.

არ ვიცი, ელინიკებს რა სჭირდათ, სანამ მე ცოცხალ-მკვდარი ვეგდე კამერაში. ვიცი მხოლოდ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში გესტაპოელებისათვის ერთი სიტყვაც არ უთქვამთ. ჩემს მითითებას უცდიდნენ. მერე რამდენჯერმე პეპის<sup>1</sup> მერხზე დააკრავდნენ და სცემდნენ, სცემდნენ, სცემდნენ... მაგრამ მანამდე არაფერს ლაპარაკობდა, სანამ მე მოვახერხებდი მისთვის რაიმე მეთქვა ან თვალთ მაინც მენიშნებინა, რის შესახებ შეიძლებოდა ჩვენების მიცემა და ის როგორ უნდა მიეცა გამოძიების დასაბნევად.

მარიამი მგრძნობიარე, თითქმის გულჩვილი ბუნებისა იყო. ასეთს ვიცნობდი მას დაპატიმრებამდე. მაგრამ გესტაპოში პატიმრობის დროს მის თვალბში ცრემლიც არ დამინახავს. თავისი პატარა ბინა მას უყვარდა, თავისუფლად მყოფმა ამხანაგებმა, მარიასთვის რომ ესიაზოვნებით, შეატყობინეს: ვიცით შენი ავეჯი ვინ მოიპარა და ნიშანში გყავს ამოღებულიო. მარიამ უპასუხა:

— ჯანდაბას ავეჯი. ამაზე დროს ნუ ჰკარგავენ. უფრო მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს, ახლა მათ ჩვენს მა-

<sup>1</sup> სახელი იოზეფის ჩებური, შინაურული შემოკლება. (რედ. შენიშვნა).



ვიკრადაც უნდა იმუშაონ. ჯერ წესრიგი უმოაფრეს რამეში უნდა დაეამყაროთ, თუ კი მანამდე ვიცოცხლე, შინ უკვე წესრიგს თვითონ დაეამყარებ.

ერთხელ ელინეკები სხვადსხვა მიმართულებით წაიყვანეს, საით, არ ვიცით. გესტაპოში უკვალოდ ჰქრებიან ადამიანები, მიმოფანტულნი ათასობით სასაფლაოებზე, მაგრამ როგორ ჯეჯილს მოგვცემს ეს საშინელი ნათესი!

მარიამის უკანასკნელი ანდერძი იყო.

— ბატონო უფროსო, გადაეცით თავისუფალთ, რომ არ შემობრალონ და არ დაშინდნენ. მე ვაკეთებდი, რასაც ჩემი მუშური მოვალეობა მიკარნახებდა, მე მოვეკვდები და მას არ ვუღალატებ.

### ცოლ-ქმარი ვისუშოლები

ისინი ცხოვრობდნენ იმავე სახლში, სადაც ელინეკები, მეზობელ ბინაში. მათაც აგრეთვე ერქვათ იოზეფი და მარიამი. რამდენიმე წლით მეზობლებზე უფროსი იყვნენ.

იოზეფს პატარა თანამდებობა ეჭირა რკინიგზაზე.

პირველ ომში, მაშინ ის იყო აყლავუნდა ჩვილმეტი წლის ბიჭი, ფრონტზე წაიყვანეს. რამდენიმე კვირის შემდეგ ფრონტიდან დაბრუნდა დასახინჩრებული მუხლით, რომელიც უკვე არასდროს მორჩენია.

ისინი ერთმანეთს ლაზარეთში გაეცნენ, სადაც მარიამი მომვლელ ქალად მსახურებდა. იგი იოზეფზე რვა წლით იყო უფროსი და მისი გული-სათვის მიატოვა ქმარი, რომელთანაც არ იყო ბედნიერი. ვერაფერ ვერასოდეს იფიქრებდა, რომ აყლავუნდა ვისუშვილი წვრილფეხა რკინიგზელი და მისი „პანიჩკა“ რაიმე აკრძალულში ჩარევას შესძლებდნენ.

მალე ჩემს შემდეგ იოზეფი მაინც დააპატიმრეს. ძლიერ შევწუხდი, რო-

ცა ის პირველად აქ დაეხიზა, ძალიან ბევრი რამ საშიშროების ქვეშ მოექცეოდა, თუ ის ალაპარაკებულდა ქაგრამ იგი სდუმდა. ამგვარად უნდა ჩამდენიმე პროკლამაციისათვის, რომელიც ამხანაგს მისცა წასაკითხად, და, პროკლამაციების გარდა, გესტაპოელებმა მისგან ვერაფერი გაიგეს.

რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც პოკორისა და პიკის უღისციბლინობის გამო გაიხსნა, რომ გონზა ჩორნი ვისუშვილის ცოლისდასთან ცხოვრობდა, გესტაპოელები პეპიკის „დაკითხვას“ ორ დღეს აწარმოებდნენ, ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ბურჯის კვალს ეძებდნენ. მესამე დღეს პეპიკი „ოთხასიანში“ გამოცხადდა და მერსზე ფრთხილად დაჯდა, ნაცემ ხორცზე ჯდომა საშინლად ძნელი იყო. შევხედე მას შემფოთებულად, კითხვით და გამამზნეველად.

ამ ცოლ-ქმარს კარგად ვიცნობდი, ვიცოდი, მათ ერთმანეთი როგორ უყვარდათ, როგორ მოიწყენდნენ ხოლმე, როდესაც ერთი-ორი დღე დაშორება მოუხდებოდათ. ახლა თვეები გადიოდა.

1943 წლის ახალწლის ღამეს ცოლი სუფრას მარტო უჯდა. იმ ადგილას, სადაც ჩვეულებრივად ქმარი იჯდა, მისი ფოტოგრაფია იდგა. შუალაშე დადგა, და მარიამმა თავისი ჭიქა მის ჭიქას მიაკაყუნა, მისი სადღეგრძელო დალია, უსურვა დაბრუნება, რომ თავისუფლებას მოსწრებოდა.

ერთი თვის შემდეგ მარიამიც დააპატიმრეს. მრავალი ამხანაგი, გამოძიებაში მყოფი, შეძრწოლდა ეს რომ გაიგეს, რადგან მარიამი თავისუფალ ცხოვრებაში ერთ-ერთი დამაკავშირებელთაგანი იყო.

მაგრამ მას დაკითხვაზე სიტყვაც არ უთქვამს.

იგი არ უცემიათ. იგი მეტად სუსტი იყო და ხელში ჩააყვებოდათ. მას უარესად აწამებდნენ.



მარიას დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე პეპიკი პოლონეთს გაგზავნეს იძულებითს სამუშაოზე. ახლა მას ეუბნებოდნენ:

— იცოდეთ, რომ იქ ცხოვრება მძიმეა. ჯანმრთელებისთვისაც კი იგი ვერ აიტანს, იქ სადმე მოკვდება და მას ვეღარ ნახავთ. თქვენს ასაკში განა შესძლებთ სხვა ქმარი იშვოვოთ? იყავით კეთილგონიერი, მოგვიყვით, რაც იცით, და მას მაშინვე დავაბრუნებთ.

„იქ სადმე მოკვდება“... ჩემი და მძაქლეს, ქმარს ჰკლავენ, დავრჩები მარტო, სრულიად მარტო, ხომ შემეძლო მისი გადარჩენა, ქმარს დამიბრუნებდნენ... მაგრამ ამფასად? არა!

არაფერი არ ვასცა. დაიღუპა საღვთო გესტაპოს ერთ-ერთ ტრანსპორტში. მალე მოვიდა ცნობა, რომ პეპიკიც მოკვდა პოლონეთში.

ლ • ღ • ა

როდესაც ბაქსებთან პირველად მივედი, შინ იყვნენ მხოლოდ ეოზია ბაქსი და პატარა არსება ცოცხალი თვალებით, მას ლიდა ერქვა. იგი ჯერ კიდევ თითქმის გოგონა იყო. ჩვენ მალე დაემეგობრდით. გამოირკვა, რომ გოგონას ცხრამეტ წელს ცოტა-და უკლდა, რომ იგი ეოზიას ცოლის-და იყო, გვარად პლაზა<sup>1</sup> — ეს გვარი მას ნაკლებად შეეფერებოდა, — ყველაზე უფრო იგი სენისმოყვარეთა სპექტაკლებით იყო გატაცებული.

მე მისი გულთაღი მეგობარი გავხდი, ამით მივხვდი, რომ მე, მართლაც, უკვე ხანშიშესული მამაკაცი ვარ. იგი გამანდობდა ხოლმე თავის ახალგაზრდულ წყენასა და სიხარულს, როდესაც დასთან ან სიძესთან დავა ჰქონდა, ჩემთან მოირბენდა, როგორც მე-

ლიტორესთან. იგი გულთაღი<sup>2</sup> და განებივრებული იყო.

ლიდა მახლდა თან, <sup>პირველი</sup> მხეცვარი წლის შემდეგ <sup>მირველი</sup> გამოველ სახლიდან სასეირნოდ. ხნეირი, დაკოჭლებული ადამიანი ნაკლებ ყურადღებას იპყრობს, თუ მარტო კი არ მიდის, არამედ ქალიშვილთან ერთად. ყოველი კაცი უფრო ქალიშვილს დააქერდება, ვიდრე მას. ამიტომ ლიდა მეორე სეირნობაზეც გამოიყვია, მერე პირველ არალეგალურ კრებაზე, მერე პირველ შესახვედრად აღვიღას.

ამგვარად, როგორც საბრაოდებულო დასკვნაშია ნათქვამი, იგი თანდათან ჩემს მეკავშირედ გადაიქცა.

ლიდა ამას ხალისით იკეთებდა, განსაკუთრებით არ აინტერესებდა, თუ ყველაფერი ეს რას ნიშნავდა და რას იწვევდა. ეს იყო რაღაც ახალი, საინტერესო, რაღაც, რომელშიც არა ყოველ კაცს უწევს მონაწილეობის მიღება, რასაც თავგადასავლის ელფერი აქვს. ეს მას ჰყოფნიდა.

ჯერ ლიდა სერიოზულ რამეში მონაწილეობას არ იღებდა, არც მე მინდოდა მისთვის რაიმე გამეზიარებინა. დაპატიმრების შემთხვევაში უცოდინარობა მისთვის საუკეთესო დაცვა იქნებოდა, ვიდრე „დანაშაულის“ შეგნება.

მაგრამ ლიდას მუშაობა თანდათან იტაცებდა. შეიძლებოდა უკვე მისთვის იმაზე უფრო სერიოზული დავალებები მიგვეცა, ვიდრე ელინეკებთან შეველა ან მათთვის არა განსაკუთრებულად რაიმე მნიშვნელოვანის შეტყობინება იყო საჭირო. უკვე დრო დაუდგა, როდესაც მას უნდა სცოდნოდა, რისთვის ვმუშაობდით, და მე ახსნა დაუწყვე. ეს იყო საჭსებით რეგულარული გაკვეთილები. ლიდა ბეჯითად და ხალისით სწავლობდა. გარეგნულად კი იყო ისეთივე ქალიშვი-

<sup>1</sup> „პლაზა“ — ჩებურად ნიშნავს მორიდებულს, მოშიშარს. (რ. ე. შენაშენა).

ლი, მხიარული, ცერცეტი და ოდნავ უტიფარი, მაგრამ შინაგანად იგი უკვე სხვანაირი იყო. იგი ფიქრობდა და იზრდებოდა.

იატაკქევმ მუშაობაში ლიდა მირეკს გაეცნო. მას ზურგს უკან უკვე ჰქონდა იატაკქევმ მუშაობის ცოტაოდენი გამოცდილება, რის შესახებაც საინტერესოდ იცოდა ამბის მოყოლა. ეს ლიდას იზიდავდა. სჩანს, იგი ვერ ჩასწვდა მირეკის ნამდიდრ ბუნებას, მაგრამ მეც ხომ ვერ გავუსინჯე მას კბილი. მაგრამ მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მირეკი მისთვის სხვებზე უფრო მახლობელი გახდა სწორედ თავისი მონვენებით და მარწმუნებლობით, იატაკქევმში თავისი მონაწილეობით.

საქმისადმი ერთგულება ლიდაში იბადებოდა და მტკიცდებოდა. 1942 წლის დასაწყისში იგი გაუბედავად დაგველაპარაკა პარტიის წევრობაზე. ის არასოდეს მინახავს ასე შემერთალი. აქამდე ასე სერიოზულად არაფერს არ ეპყრობოდა. მე ჯერ კიდევ ვყოყმანობდი, ჯერ კიდევ ვასწავლიდი და ვცდიდი. 1942 წელს მიღებულ იქნა პარტიაში პირდაპირი ცენტრალური კომიტეტის მიერ. გვიან ღამით შინ ვბრუნდებოდით. ჩვეულებრივად ლაპარაკის მოყვარული ლიდა სდუმდა. მინდორში, სახლთან ახლოს, იგი უძეცრად გაჩერდა და ჩუმად სთქვა:

— მე ვიცი, რომ ეს იყო ჩემ ცხოვრებაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დღე. ჩემს თავს უკვე აღარ ვეკუთვნი. სიტყვას ვიძლევი, არ გილატებთ, რაც უნდა მოხდეს.

ბევრი რამ მოხდა. და ლიდას არ უღალატნია.

ცენტრალურ კომიტეტის წევრთა შორის იგი უმნიშვნელოვანეს კავშირს ამყარებდა. მას ანდობდნენ უსაშიშრეს დავალებებს—დარღვეულ კავშირის აღდგენას და იმ პირთა გაფრთხილებას, რომლებსაც საფრთხე მოელოდათ. როდესაც შესახვედრ ადგილს

უეჭველი ჩავარდნა ემუქრებოდა/ლიდა იქ მიდიოდა და გველთეხსააეთ გაძვრებოდა. ყველაფერს სამსჯეროვორც წინათ, აკეთებდა გულდაჯერებულად, მხიარული უღარდებლობით, რომლის ქვეშ იფარებოდა პასუხისმგებლობის შეგნება.

იგი ჩვენს შემდეგ, ერთი თვით უფრო გვიან დააპატიმრეს. მირეკის გამოტეხამ მიიპყრო ლიდაზე გესტაპოვლთა ყურადღება, და მალე გამოირკვა, რომ მან შეუწყო ხელი დისა და სიძის დამალვასა და იატაკქევმში გადასვლას.

ლიდამ თავი გააქნია და ახალი ტემპერამენტით დაიწყო ქარაფშუტა გოგონას როლის თამაში: მას ვერც წარმოედგინა, რომ რალაც აკრძალული კეთდებოდა და ამას სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა მისთვის.

ბევრი რამ იცოდა და არაფერი არ გაუცია. მთავარი კი ის იყო: მუშაობა არც საპატიმროში შეუწყვეტია. შეიცვალა მდგომარეობა, შეიცვალა მუშაობის მეთოდებიც, შეიცვალა დავალებები, მაგრამ მასში დარჩა შეგნება პარტიული მოვალეობისა, რომელიც ბრძანებს იარაღი არასდროს დაეყარა. ყველა დავალებას თავდადებულად, სწრაფად და ზუსტად ასრულებდა. თუ საჭირო იქნებოდა მძიმე მდგომარეობიდან გამოძრომა და ვინმე თავისუფალის გადარჩენა, ლიდა უმანკო სახით სხვის „დანაშაულს“ თვითონ ჰკისრულობდა. პანკრატის საპატიმროში იგი მედერედენე გახდა, და ათობით მისთვის სრულიად უცნობი ადამიანები დავალებული არიან მისგან იმით, რომ დაპატიმრებას გადარჩნენ. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მედილეგელთა ზელში ჩავარდნილმა ბარათმა ბოლო მოუღო მის „კარიერას“.

ახლა ლიდა ჩვენთან ერთად გერმანიას გაემგზავრება გასასამართლებლად. იგი ჩვენი ჯგუფიდან ერთადერთია, რომელსაც აქვს საფუძვლიანი

ამედი თავისუფლების დღეს ცოცხალი შეხედეს. იგი ახალგაზრდაა. თუ ჩვენ უფროსები ცოცხალი აღარ ვიქნებით, ისე არ მოხდეს, რომ ის პარტიას დაეკარგოს. მან ბევრი რამ უნდა ისწავლოს. ასწავლეთ, საშუალება არ მისცეთ გამედიდურდეს, ან მიღწეულით დაემყოფილდეს. უმძიმეს დროში თავი კარგად გვიჩვენა. ცეცხლში გაიარა გამოცდა და დაგვიმტკიცა, რომ გაცივებულია კარგი ლითონისაგან.

### ჩემი გესტაპოელი

ეს უკვე ფიგურა კი არა, არამედ პატარა ფიგურაა, მაგრამ საინტერესო და რამდენადმე სხეებზე უფრო მნიშვნელოვანი.

როდესაც ათი წლის წინათ თქვენ ყავებანა „ფლორაში“ ვინოგრადაზე<sup>1</sup> ისხედით და დააპირებდით მაგიდაზე ლითონის ფულის დაკაუნებას და დაძახებდით: „ობერკელნერ, მიიღეთ ჩემგან“, თქვენს მახლობლად გაჩნდებოდა მალაღობი; გამხდარი კაცი შავ ტანისამოსში. სწრაფად და უხმოდ, თითქოს ჰაობის ხოკო ყოფილიყოს, პატარა მაგიდებს შორის გაეცურავდა და წინ ანგარიშს დაგიდებდათ. მას მხეცის სწრაფი და უხმო მოძრაობა ჰქონდა და ისეთივე მხეცური სწრაფი თვალები, რომლებიც ყველაფერს ამჩნევდნენ. იგი თვითონ აძლევდა კელნერებს მითითებას: „მესამე მაგიდა—დიდი ყავა რძით, სხვა არაფერი“, „მარცხნივ ფანჯარასთან—საუზმე და „ლიდოვე ნოვინი“<sup>2</sup>. სტუმრები მას კარგ ოფიციანტად სთვლიდნენ, თანამოსამსახურენი — კარგ ამხანაგად.

მაშინ ჯერ კიდევ მას არ ვიცნობდი. ჩვენ ერთმანეთს გავეცანიით უფრო გვიან, ელინეკებთან, როდესაც მას, ფანქრის მაგივრად, ხელში რე-

ვოლეკრი ეჭირა, ჩემზე ათითუნდა და ამბობდა:

— ეს ყველაზე უფროსი მამონტკრესებს!

მართალი უნდა ვითხრათ, მერე ჩვენ ორივე ერთმანეთის მიმართ ინტერესს ვიჩენდით.

თანდაყოლილი ჰკუა ჰქონდა, და დანარჩენ გესტაპოელებისაგან ხელსაყრელად განირჩეოდა იმით, რომ ადამიანებში ერკვეოდა. სისხლის სამართლის პოლიციაში იგი შესძლებდა დიდი კარიერა გაეკეთებინა. ჭურბბაცალები ან კაცის მკვლელები, დეკლასირებულნი და იზოლირებულნი, ალბათ, არ შეუყოყმანდებოდნენ ყველაფერი გადაეშალათ მისთვის, რაც გულში ჰქონდათ, რადგან მათ სხვა საზრუნავი არა აქვთ, გარდა თავისი ტყავის გადარჩენისა.

პოლიტიკურ პოლიციას კი გესტაპოში იშვიათად უხდება საქმის დაჭერა წამგლეჯებთან. პოლიციელის ეშმაკობა ხედება არა მხოლოდ პატიმრის ეშმაკობას, აქ პოლიციას წინააღმდეგება ძალა უფრო დიდი, ტუსადის რწმენა, სიბრძნე მთელისა, რომელსაც იგი ეკუთვნის. ამისთვის კი მართო ეშმაკობა ან ცემა საკმარისი არ არის.

მტკიცე რწმენა „ჩემს“ გესტაპოელს არა ჰქონდა, როგორც არა ჰქონოდა სხვა გესტაპოელებსაც. თუ მათ ჰქონდათ რწმენა, ის იყო სისულელესთან შეერთებული და არა ჰკუასთან ან თეორიულ მომზადებასა და ადამიანის ცოდნასთან. და თუ პრალის გესტაპო მთლიანად წარმატებით მოქმედებდა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ბრძოლა მეტად გაგრძელდა და სივრცით ძალიან შეზღუდული იყო. ჩვენ გეტონდა მხოლოდ პრალა, მხოლოდ პრალა, პრალა და კიდევ ერთხელ პრალა, სადაც ნახევარი ქალაქი გიცნობს და სადაც მტერს შეუძლია პროვოკატორების მთელ გუნდს მოუყაროს თავი. ჩვენ

<sup>1</sup> პრალის რაიონი

<sup>2</sup> ვაუეო.

მთელი წლები გაეძლია, და არიან ამხანაგები, რომლებიც თითქმის ხუთი წელია იატაკქვეშეთში ცხოვრობენ და გესტაპომ მათი პოვნა ვერ შესძლო. ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ, მაგრამ ნაწილობრივ იმიტომაც, რომ მტერმა, თუმცა ის ძლიერი და მძინვარეა, თითქმის არავითარი სხვა მეთოდები არ იცის, გარდა განადგურებისა.

გესტაპოს ანტიკომუნისტურ განყოფილებაში სამ კაცს აქვს მოპოვებული სახელი კომუნისტების უსასტიკესი მღვენელისა და ატარებს შავ-თეთრ-წითელ პატარა ლენტს „დამსახურებისათვის შინაურ მტერთან ბრძოლაში“. ესენი არიან ფრიდრიხი, ზანდერი და „ჩემი“ გამოძიებელი იოზეფ ბემი. ნაციონალ-სოციალიზმზე ისინი ცოტას ლაპარაკობენ და ამაზე მეტი არც იციან. იბრძვიან არა პოლიტიკური იდეისათვის, არამედ თავისთავისათვის. და ყოველი მათგანი თავისებურად იბრძვის.

ზანდერი — ნაღველიაქვეული სუსტი კაცუნა იყო. პოლიციის მეთოდებში ის ყველაზე უფრო ერკვეოდა, მაგრამ კიდევ უფრო კარგად ერკვეოდა საფინანსო და საბირჟო ოპერაციებში. ზანდერი გულმოდგინეა; თავისი ბეჯითობის გამოსაჩენად იგი სადილობის დროსაც კი არ სწყვეტდა დაკითხვას. ეს იმისთვის სჭიროდა, რათა მიეჩქმალნა კიდევ უფრო დიდი ბეჯითობა გამორჩომისათვის. ვაი მას, ვინც ზანდერს ხელში ჩაუვარდება, ორმაგად ვაი მას, ვისაც შინ შემნახველი სალაროს წიგნაკი ან ფასიანი ქაღალდები აქვს. ამ ღირებულებათა მფლობელი უმოკლეს ვადაში უნდა მოკვდეს, რადგან შემნახველი სალაროს წიგნაკები და ფასიანი ქაღალდები — ეს ზანდერის ვნება იყო. ამ დარგში ის მეტად უნარიან მოხელედ ითვლება. მისგან განსხვავდება მისი ჩები თანაშემწე და თარჯიმანი სმო-

ლა, რომელიც ავანტიურაში მისი ტიპს წარმოადგენს: ფულს, რომ მიიღებს, იგი მოკვლას ამაყვეს. ფრიდრიხი ამხანაგად „განსჯა“. შავგვერდის, ავი თვალები და ბოროტი ღიმილი აქვს.

ჩებო-სლოვაკიაში იგი ჩამოვიდა ჯერ კიდევ 1937 წელს, როგორც გესტაპოს აგენტი და მონაწილეობას იღებდა გერმანულ ანტიფაშისტურ ემიგრანტების დაზოცვაში. მისი ვნებაა მკვდრები. ფრიდრიხისათვის უდანაშაულონი არ არსებობენ. ყოველი კაცი, რომელმაც მისი კაბინეტის ზღურბლს ფეხი გადააბიჯა, დამნაშავეა. ფრიდრიხს უყვარს იცნობოს ცოლებს, რომ მათი ქმრები დაიხოცნენ საკონცენტრაციო ბანაკში ან საკვდილით დასაჯეს; ზოგჯერ ყუთიდან ამოიღებს შვიდ პატარა ურნას და გამოძიებაში მყოფს უჩვენებს.

— ამ შვიდს საკუთარი ხელით მოკვუსვე სიცოცხლე. შენ მერვე იქნები. (ახლა უკვე სათვალავმა რეამდე მიიღწია).

ფრიდრიხს ძველი საქმეების გადაფურცლა უყვარს და კმაყოფილებით აღნიშნავს სიკვდილით დასჯილთა სახელებს: „მოსპობილია! მოსპობილია!“ განსაკუთრებული ხალისით აწამებს ქალებს.

მისი ვნებაა ფუფუნება. თუ თქვენ ხართ პატრონი ლამაზად მოწყობილი ბინისა ან ფართლეულის მალაზიისა. ეს თქვენს სიკვდილს მნიშვნელოვნად დააჩქარებს.

„ჩემს“ გამოძიებელს არა აქვს სიყვარული არც ფულსადმი, არც მკვდრებისადმი, თუმცა უკანასკნელნი თავის ანგარიშზე არა ნაკლები აქვს. ვიდრე ზანდერსა და ფრიდრიხს. ბუნებით ავანტიურისტი, ისწრაფვის გამოჩენილი ადამიანი გაადეს. გესტაპოსათვის უკვე დიდი ხანია მუშაობს: იგი ყავახანა „ნაპოლეონში“ კელნერად იყო, სადაც მემარჯვენე ჩები პო-

ლიტიკანები იკრიბებოდნენ, მათი საუბარის შინაარსს ყურს უგდებდა და მას პიტლურთა აგენტებს გადასცემდა, მაგრამ ეს სამუშაო განა შეიძლება შევადაროთ ადამიანთა დაპატიმრებას და იმას, რომ შეგიძლია მათი სიკვდილ-სიცოცხლე განაგო, მთელი ოჯახების ბედი გადასწყვიტო.

ბემა შეჰქმნა უფართოესი ჭეული პროვოკატორებისა. იგი მონადირეა მეძებარ ძალთა ხროვით. და ის ნადირობს.

ერთხელ ორასზე მეტი პრადელი ტრამვაელი, ავტობუსების წამყვანი და კონდუქტორი დააპატიმრა და ლიანდაგზე წინ გაირეკა, ტრანსპორტი შეჩერდა, ქუჩის მოძრაობა დაირღვა. ეს მისთვის უდიდესი სიამოვნება იყო. მერე მან ასორმოცდაათი დაჭერილი გამოუშვა, კმაყოფილი იყო იმით, რომ ასორმოცდაათ ოჯახში კეთილ ადამიანს დაუძახებდნენ.

ბემა ხშირად მასობრივ, მაგრამ უმნიშვნელო პოლიტიკურ საქმეებს აწარმოებდა. შემთხვევით მოვხვდი მასთან და მე გამოჩაქლისი ვიყავი.

— შენ ჩემი უდიდესი საქმე ხარ, — გულახდილად მეუბნებოდა და იმით ამყოფბდა, რომ ჩემი საქმე საზოგადოდ ერთერთ უდიდეს საქმედ ითვლებოდა. შესაძლებელია, ჩემი სიცოცხლე ამ გარემოებამ გაახანგრძლივა.

ერთმანეთს დაუღალავად ვატყუებდით, მაგრამ ეს არ იყო ტყუილი და უზოგავად. მე ყოველთვის ვიცოდი, როდესაც სტყუოდა, მან კი ჩემზე მხოლოდ ზოგჯერ იცოდა. იმის შემდეგ, როდესაც ტყუილი ორივესთვის აშკარა ხდებოდა, ჩვენ უსიტყვო შეთანხმებით, მას დუმილით გვერდს ავუვლიდით. მე ვფიქრობ, მისთვის სიმართლე კი არ იყო მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის, რომ მისი „უდიდესი საქმე“ „კარგად გაეთებულიყო“.

ჯოხსა და ბორკილებს იგი არ სთვლიდა ერთადერთ საშუალებებად.

დაკითხვის დროს ზეგავლენა რომ მოეხდინა. უფრო ხალისით არ შემუშებდა ან ემუქრებოდა პატარას მინახედივით, თუ „თავის“ კვლევით აფასებდა. არასოდეს არ მცემდა, გამოჩაქლისს პირველი ლამე შეადგებდა, მაგრამ შემთხვევის დროს ამ მიზნისათვის სხვას გადამცემდა.

ის უშველად სხვებზე უფრო საინტერესო და უფრო რთული ადამიანი იყო. მას უფრო მდიდარი ფანტაზია ჰქონდა და მისი გამოყენება იცოდა. ზოგჯერ ქალაქში გამიყვანდა და ჩვენ ბალიან პატარა რესტორანში ვისხედით და თვალყურს ვადევნებდით ჩვენს გვერდით მიმავალ ადამიანთა ნიაღვრს.

— აი, შენ დაპატიმრებული ხარ, — ფილოსოფოსობდა ბემა, — შეხედე, განა რაიმე გამოიცვალა გარშემო? ადამიანები დადიან, როგორც წინათ, მხიარულებენ, ფუსფუსობენ და ყველაფერი თავის რიგზე მიდის, თითქოს შენ არც კი ყოფილიყო. ამ გამვლულთა შორის შენი შეითხველებიც არიან. ხომ არა ფიქრობ, რომ მათ შენს გამო ერთი ნაოჭი მაინც მიემატათ?

ზოგჯერ მრავალსაათიანი დაკითხვის შემდეგ საღამოს მანქანაში ჩამსვამდა, მთელ პრადას გადავსტრიდით გრადჩინამდე.

— მე ვიცი, რომ პრადა გიყვარს. შეხედე, ნუთუ არ გინდა აქ დაბრუნება? რა კარგია! და ასეთივე დარჩება, როდესაც შენ უკვე აღარ იქნები... — იგი დახელოვნებული მაცთური იყო... ზაფხულის საღამოს პრადა, რომელსაც მოახლოებული შემოდგომის სუნთქვა შეეხებოდა, იყო მოლურჯო და მოლეგო, როგორც მწიფობაში შესული ყურძენი; იყო დამატარებელი ღვინოსავით, გსურდა მისთვის გეცქირა უკუნითი უკუნისამდე... მაგრამ მე ვუპასუხე:

— და კიდევ უკეთესი იქნება, როდესაც თქვენ აქ აღარ იქნებით.

ერთი ჩაიციხა, არა ბოროტად, არამედ უფრო მოღუშულად, და სთქვა.

— შენ ცინიკოსი ხარ.

მერე არაერთხელ მოუგონებია ამ საღამოს საუბარი:

— როდესაც ჩვენ აქ აღარ ვიქნებით... მაშასადამე, შენ კიდევ არ გჯერა ჩვენი გამარჯვება?

ამ კითხვას იმიტომ იძლეოდა, რომ თვითონ არ სჯეროდა და ყურადღებით მისმენდა, საბჭოთა კავშირის ძალასა და უძლევლობაზე რომ ველაპარაკებოდი, ეს, აქ უნდა ვითხრათ, ერთი ჩემი უკანასკნელ დაკითხვათაგანი იყო.

### ა ზ ი შ ი

მეზობელი კამერის კარებთან აჭიმი ჰკილია. მამაკაცის აჭიმი, მეტად ჩვეულებრივი საგანი, რომელიც არასოდეს არ მიყვარდა. ახლა მას სიხარულით ვუყურებ ყოველთვის, როდესაც ჩვენი კამერის კარი იღება. ამ აჭიმშია იმედის მცირე ნაწილი.

როდესაც თქვენ საპატიმროში მოხვდებით, სადაც თქვენ, შეიძლება, სასიკვდილოდ გცემონ, უწინარეს ყოველისა ჰალსტუხს, ქამარს და აჭიმს ჩამოგართმევენ, თავი რომ არ ჩამოიხრჩოთ (თუმცა ეს ზეწრითაც შეიძლება გააკეთოთ). ეს მომაკვდინებელი საგნები მანამდე დევს საპატიმროს კანცელარიაში, სანამ რომელიმე ნემშიდა გესტაპოში არ გადასწვებთ თქვენს გაგზავნას იძულებითს სამუშაოზე, საკონცენტრაციო ბანაკში ან ეშაფოტზე. მაშინ კანცელარიაში მიგიყვანენ და მელიდური სახით გაძლევენ თქვენს ჰალსტუხსა და აჭიმს. მაგრამ ამ ნივთების კამერაში შეტანა არ შეიძლება, ისინი დერეფანში უნდა ჩამოჰკიდოთ კარებთან ან მოაჯირზე, პირდაპირ. აქ ისინი ჰკილია თქვენს გამგზავრებამდე, როგორც იმის ნიშანი, რომ კამერის ერთი ბინდართაგანი უნებური მგზავრობისათვის ემზადება.

მეზობელ კამერასთან აჭიმი განსდასწორედ იმ დღეს, როდესაც მე გუსტინას ბედის შესახებ გავიხსენებ. მეზობელი კამერიდან აგზავნიან იძულებით სამუშაოზე იმავე ტრანსპორტით, რომელითაც გუსტინას. ტრანსპორტი ჯერ არ წასულა. იგი მოულოდნელად დაყოვნდა, ამბობენ, იმიტომ, რომ დანიშნული ადგილი დაბომბვის სულ გაანადგურეს. როდის გავმგზავრება ტრანსპორტი, არავენ იცის. აჭიმი ჯერ კიდევ ჰკილია. და მე ვიცი: სანამ აჭიმი აქ არის, გუსტინა პრალაშია. ამიტომ აჭიმს მზიარულად და სიყვარულით შევცქერი, როგორც ისეთ რამეს, რომელიც გუსტინას ეხმარება. მოგებული დღე, ორი, სამი... ვინ იცის, ეს მოგება რას მოგვეცემს? შეიძლება, სწორედ ერთი დღის დაგვიანებამ ის გადაარჩინოს. აქ ჩვენ, ყველანი, ამით ვცხოვრობთ. დღეს, ერთი თვის წინათ, ერთი წლის წინ ჩვენ, ყველანი, მხოლოდ ხვალინდელ დღეზე ვფიქრობთ, მასშია ჩვენი იმედი. შენი ბედი გადაწყვეტილია, ზეგ სიკვდილით დაგსჯიან... მაგრამ ვინ იცის, ხვალ რა შეიძლება მოხდეს! ოღონდ ხვალამდე მივალწიოთ, — ხვალ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს!

გადის ხვალ, მრავალი ხვალ, ათასობით აღამიანები იღუპებიან, ათასებისთვის უკვე აღარ არის „ხვალ“, მაგრამ გადარჩენილები ერთი იმედით სიცოცხლობენ—ხვალ, ვინ იცის, ხვალ რა იქნება...

ასეთი განწყობილება მეტად სულელურ ამბებს წარმოშობს, ყოველკვირულად ჩნდება ახალი ზეობტიმისტური ვერსია ომის დასრულების ვადებზე, ამას ყველანი ხალისით იტაცებენ, ერთმანეთს გადასცემენ. ყოველკვირულად საპატიმროში ვრცელდება რომელიმე ახალი სასიხარულო სენსაცია, რომელსაც ისე გინდა დაუჯერო. მე ვებრძვი ამას, უნიადაგო იმედებს ეაქარწყლებ, რადგან ისინი



კი არ ამბობენ, არამედ ასუსტებენ აღმანიებს, რატიმში ტყუილით კი არ უნდა იყვებოდეს, არამედ სიმართლით, უწყველი გამარჯვების ცხადი გათვალისწინებით, მაგრამ ჩემშიაც იმედი სცოცხლობს, რომ სწორედ ერთი დღე შეიძლება გადაწყვეტი გახდეს, რომ დღე, რომლის მოგებასაც მოვახერხებ, თავსწამომდგარი სიკვდილის საზღვარს გადამატარებს სიცოცხლისაკენ, რომელზედაც უარისთქმა ასე არ მინდა.

აქიმი კამერის კარებთან ჯერ კიდევ ჰკილია.

### თავი მეთხუთსი

#### სამხედრო ომის კანონები

1943 წლის 27 მაისი

ეს იყო სწორედ ერთი წლის წინათ. დაკითხვიდან ძირს ჩამიყვანეს, „კინოში“. ასეთი იყო პეტრეის სასახლეში ყოველდღიური მარშრუტი: შუადღისას დაბლა სადილი, რომელიც პანკრაციდან მოჰქონდათ, სადილის შემდეგ ისევ მეოთხე სართულზე. მაგრამ იმ დღეს უკვე მეოთხე სართულზე არ ავბრუნებულვართ.

ჩვენ ვზივართ და ვკამთ. ყველა მერხზე პატიმარნი კოვჩებიითა და ყუბებით მუშაობენ. ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს თავისუფალი ვიყოთ. მაგრამ ისინი, ვინც ხვალ მკვდარი იქნება, ახლა ჩონჩხებად რომ გადაქცეულიყვნენ, ჯამებზე კოვჩების ჩხარუნს ძელების რაკენი და კბილების ხმელი ტკაცუნნი ჩააზნობდა. ჯერ არავენ იცოდა, ხვალ რა იქნებოდა. ყოველი კაცი სკამდა მაღიანად იმისათვის, რომ კიდევ ეცხოვრა კვირები, თვეები, წლები.

ყველაფერი ეს ჰგავდა ნათელ, უღრუბლო მყუდროებას და უეცრად მოულოდნელად მძაფრმა ქარმა დაჰქროლა. და ისევ მიწყნარდა. მხოლოდ მეთვალყურეების საბეჭებზე შეგვიძლია ამოგვიკითხათ, რომ რაღაც მოხდა.

მერე ეს უფრო ნათელი გახდა. რადგან ჩვენ გამოძახება დაგვეწყეს და გვიბრძანეს, დავეყოფილეთ კაპატიმროში გასამგზავრებლად. შუადღესი არყოფილი შემთხვევაა — ნახევარი დღე დაუკითხავად. თქვენ თუ უკვე გარეტიანდით კითხვებისაგან, რომელთა პასუხსაც ვერ პოულობთ, დაკითხვის ეს მოულოდნელი ბოლო, — სწორედ ღვთისწყალობაა. ასე გეჩვენება, მაგრამ ეს ასე არ არის.

დერეფანში გენერალ ელიაშვიტებლებით. მისი თვალები მღვლეარებას გამოხატავს. მე შემიშინავს და მეთვალყურეთა ბრბოში ახერხებს ჩამჩურჩულოს:

— საალყო მდგომარეობა.

უშიშვნელოვანესს ცნობებისათვის ტუსალებს მხოლოდ წამის ნაწილები აქვთ. ჩემს მუნჯურ კითხვაზე ელიაშვიტა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო.

მეთვალყურენი საპატიმროში გაკვირებულნი არიან ჩვენი მოულოდნელი დაბრუნებით. მეთვალყურე, რომელსაც კამერაში მიყვავარ, ჩემს ნდობას იმსახურებს. ელიაშვიტაგან გაგონილ ამბავს ვუზიარებ. თავს აქანებს. არა, მან არაფერი არ იცის. „თქვენ, ალბათ, მოგესმათ“. შეიძლება... ასეთი ვარაუდი მამშვიდებს.

მაგრამ საღამო ხანს იგი მოდის და კამერაში იხედება.

— თქვენ მართალი იყავით. ჰეიდრიხს \* თავს დაესხნენ, მძიმედ დაჭრილია. პრალაში შემოღებულა საალყო მდგომარეობა და სამხედრო-საველე სასამართლოები.

\* ჩუბი პოლიტიკური მოღვაწე ერთ ხანს „პროტექტორატის“ მართონეტელა მთავრობის მეთაური. პიტლერელმა ბრალი დასდეს მეთვალყურეებში და 1942 წ. სიკვდილით დასაჯეს.

\* პიტლერელი „პროტექტორი“ ოკუპირებულ ჩეხისა და მორავიაში, დიდად გამოჩენილი გესტაპოელი, პიტლერის უახლოესი თანამშემწყ.



მეორე დღეს დაბლა დერეფანში გვამწკრივებენ დაკითხვაზე წასაყვანად — ჩვენი შორის ამხანაგი ბიქტორ სინეკია, ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი, ცოცხლად დარჩენილი წევრი, 1941 წლის თებერვალში დაპატიმრებული. ახმახი დარაჯი ესესელის ფორმაში ბიქტორს ცხვირწინ უფრიალებს თეთრ დაბეჭდილ ბლანკს მსხვილი სათაურით „ორდერი ტუსაღის გამოსაშვებად“.

— აი, ხედავ, ურიავ. — ბოროტად ხითხითებს ესესელი, — დაბოლოს, შენ გეღირსა. საიქიოს საშუები. საპატიმროდან გახვალ... და ჩხიყ-ჩხიყ... — და ხელის მოძრაობით ანიშნებს, რომ ბიქტორს თავს მოჰკვეთენ.

ბიქტორის ძმა ოტო სინეკი დასაჯეს 1941 წელს სამხედრო დროის კანონთა დღეებში. ბიქტორი პირველი მსხვერპლია 1942 წლის სამხედრო-საველე სასამართლოებისა. მათ ჰაუზენში მიჰყავთ ის, აქ მოკრძალებით ასე ეძახიან ვილიოტინით დასაჯას.

პანკრაცის საპატიმროდან პეტრეკის სასახლემდე გამგზავრება ახლა პატიმრებისათვის წამებად იქცა. ჩვენი თანმხლები ესესელები „ჰეიდრიხისთვის შურს იძიებენ“. მანქანას ჯერ ნახევარი კილომეტრიც არ გაუვლია, ათეულობით ტუსალებს რევოლვერების ტარებით კბილები და თავები უკვე დამტვრეული, გასისხლიანებული აქვთ. იმ მანქანაში, რომლითაც მე ვმგზავრობ, პატიმრებს ოდნავი შეღავათი აქვთ, რადგან ესესელთა ყურადღებან იპყრობს ჩემი გრძელი წვერი, ამის გამო ყოველნაირად მასხრად მიგდებენ; ყველაზე უფრო იმით ერთობიან, რომ ბიძგების დროს ჩემს წვერს წააგლეებენ ხელს, როგორც ავტობუსში ჩამოკიდებულ ყულფს. ეს ჩემთვის კარგი წვერთაა დაკითხვების წინ, რომლებიც მდგომარეობის შესაფერისად ტარდება და უცვლელად მთავრდება სიტყვებით:

— თუ ხვალამდე გონს იმ მოხვალ, დაგხვრეტო.

ამ სიტყვებში უკვე <sup>პანკრაცის</sup> <sup>საპატიმრო</sup> <sup>ში</sup> ყოველ საღამოს ვსმის, დერეფანში გვარებს როგორ ამოიძახებენ. ესესელები ორმოცდაათს, ასს, ორას ადამიანს, გადაბმულებს, საბარგო მანქანებში შერევენ და საკლავივით ქალაქვარეთ მიჰყავთ, სიკვდილით ერთად რომ დასაჯონ. რა დასაშვებს მისჯილებმა? უწინარეს ყოვლისა ის, რომ მათ არავითარი დანაშაული მიუძღვით. ისინი საპატიმროში მოხვდნენ, არავითარ დიდს საქმეში საქმრო არ არიან და, მაშასადამე, სიკვდილით დასაჯელად გამოდგებიან. აი რამდენიმე მაგალითი: ერთმა ამხანაგმა სატირული პატარა ლექსი ცხრა ამხანაგს წაუკითხა, რის გამოც ათივე დაპატიმრეს ორი თვით ადრე ჰეიდრიხზე თავდასხმამდე. ახლა ისინი მიჰყავთ დასახვრეტად იმისათვის, რომ თავდასხმა მოაწონეს. ნახევარი წლის წინ ქალი დაპატიმრეს ექვსი მიტანით, რომ იგი პროკლამაციებს ავრცელებდა. ქალი უარჰყოფს თავის დანაშაულს. ახლა დაატუსაღეს მისი დები, ძმები ჭმრებითა და ცოლებით და მათ, ყველას, სიკვდილით დასჯიან, რადგან მთელი ოჯახების გაგლეტა — ეს არის სამხედრო-საველე სასამართლოების მოწოდება საალყო მდგომარეობის დღეებში. ფოსტის მოხელე, შეცდომით დაპატიმრებული, დაბლა დგას, კედელთან და ელოდება რომ გამოუშვებენ. მის გვარს ამოიძახებენ. იგი გამოეხემაურება. მას მისჯილთა კოლონაში ჩააყენებენ, ქალაქვარეთ მიჰყავთ და ჰკლავენ. მხოლოდ მეორე დღეს ირკვევა, რომ ეს დამთხვევაა — სიკვდილისჯილი მისი მოგვარე იყო. მოგვარესაც ხვრეტენ, და საქმეც მოთავებულია. განა ღირს დროს დაკარგვა იმისათვის, რომ ზუსტად გამოარკვიო ვინაობა ადამიანებისა, რომლებსაც სიცოცხლეს ართმევენ? განა ეს ზედ-

მეტი არ არის, როდესაც მთელი ხალხის გაყვლა უნდათ?

გვიან სალამოს დაკითხვიდან ებრუნდები. დაბლა, კედელთან ვლადიმერ ვანჩურა დგას თავისი ნივთების პატარა ფუთით. მე ვიცი, ეს რას ნიშნავს. თვითონაც იცის. ერთმანეთს ხელს ვართმევთ. მას ერთხელ კიდევ დაეონახავ, დერეფანში რომ ავალ, ზევიდან. დგას, ოდნავ თავდახრილი, სადღაც შორს იქტირება, მთელ თავის ცხოვრებაში, ნახევარ საათში მის გვარს ამოიძახებენ.

რამდენიმე დღის შემდეგ იმავე კედელთან მილოშ კრასნი გამოჩნდება, რევოლუციის გულადი მეომარი, ჯერ კიდევ წარსული წლის ოქტომბერში დაპატიმრებული, ვერც წამებით, ვერც საკანში მარტოჯდომით ვერ გასტეხეს. მის უკან მყოფ მებადრავისავე ოდნავ მიბრუნდება და რაღაცს უხსნის. შეშინშნავს, იღიმება, გამოთხოვების ნიშნად თავს დამიკრავს და განაგრძობს:

— ყველაფერი ეს იოტის ოდენადაც ვერ გიშველით. ჩვენგან კიდევ ბევრი დაიღუპება, მაგრამ მაინც თქვენ განადგურდებით.

ვიგონებ კიდევ ერთ დღეს.

ჩვენ დაბლა ვდგევართ პეტრეკის სასახლეში და სადილს ვუცდით. მანქანით ელიაში მოჰყავთ. ილიაში აქვს გაზეთი, რომელსაც ღიმილით გვიჩვენებს. მან ეს-ეს არის გაზეთში წაიკითხა, რომ თავდასხმის მონაწილეებთან შეთქმულებაში ყოფილა: სიცრუეა, — დასკვნის იგი და ჰამას შეუდგება.

სალამოს, საპატიმროში დაბრუნებისას, ელიაში ამ ცნობას კვლავ ირონიულად განმარტავს. ერთი საათის შემდეგ კამერიდან გაჰყავთ და მანქანით ქალაქგარეთ გზავნიან.

გვამთა გროვები იზრდება. ახლა უკვე ითვლიან არა ათეულებით არ ასობით, არამედ ათასობით. ახალი

სისხლი მხეცებს ნესტოებში ფლიტონებს: პეტრეკის სასახლეში „შემოაბენ“ გვიან ღამემდევ „მშენებლები“ კვირაობითაც. ახლა უკვე ყველაფერი, ესეკელის ფორმას ატარებენ, ეს მათი დღესასწაულია, მკვლელობის ზეიმი. ისინი სასიკვდილოდ აგზავნიან მუშებს, მასწავლებლებს, გლეხებს, მწერლებს, მოსამსახურეებს, ჰკლავენ კაცებს, ქალებსა და ბავშვებს, სპობენ მთელ ოჯახებს, სწვავენ სოფლებს.

საალყო მდგომარეობის დღეებში ჩემმა ვესტაპოელმა ქალაქგარეთ ყავახანაში წამიყვანა მინქანით, მშვენიერი იენისის სალამო იყო, გზატკეცილზე ტრამვაის უკანასკნელ გაჩერებასთან ადამიანთა დაუსრულებელი ახმაურებული ნიაღვარი მოედინებოდა. ისინი ბრუნდებოდნენ საკვირაო ქალაქგარეთ სეირნობიდან, ყველა ხმაურობდა და მხიარულობდა, ყველა შეემყრო სასიამოვნო დაღლილობას; მათ გული მოეჯერებინათ მზით, წყლითა და თავიანთ საყვარელ არსებათა ალერსით. ამ ადამიანთა სახეებს არ ეტყობოდათ სრულიად, რომ ისინი სიკვდილზე ფიქრობდნენ, რომ ჰქონდათ შიში სიკვდილისა, რომელიც ხელ მუდამ თავს დასტრიალებდათ და მათ შორის თავის მსხვერპლებს ირჩევდა. თავს იყრიდნენ, უღარდელნი ერთმანეთს ვერ შორდებოდნენ, როგორც შინაური კურდღლები. დიას, შინაური კურდღლები! ხელი გაიშვირეთ, ერთი შინაური კურდღელი დაითრიეთ თქვენთვის სადილად, — დანარჩენები კუთხეებში მიიშალეებიან... მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ისევ მიეცემიან თავიანთ საზრუნავსა და სიხარულს, ისევ სიცოცხლის წყურვილით ივსებიან.

საპატიმროს შეზღუდულ პატარა მსოფლიოდან სიცოცხლის წარმატებულ ნიაღვარში უეცრად გადაყვანილი მის ტბილ ნეტარებას მე სიმწრით შევი-

გრძნობდი. მაგრამ მე არ ვიყავი მართალი, დიახ, არ ვიყავი მართალი. მე სიცოცხლეს იქ ვხედავდი: იქ, საიდანაც მოვედი, აქ კი—ეს იყო სიცოცხლე შემადრწუნებელი ტანჯვის ქვეშ, მაგრამ გაუქრობელი სიცოცხლე, რომელსაც ერთ ადამიანში ჰკლავდნენ და რომელიც ასეულში იზრდებოდა, სიცოცხლე, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილი.

ზოგჯერ ხდებოდა, რომ მე დაკითხვაზე წამიყვანდნენ საპოლიციო ავტობუსით, სადაც ჩვენ გვახლდნენ საკმაოდ ლმობიერი მცველები. გზაში ფანჯრიდან ვუყურებდი ვიტრინებს, ყვავილების კიოსკს, გამელელებს, ქალებს. ერთხელ ჩავთქვი: თუ გზაში დავითვლი ცხრა ქალს ლამაზი ფეხებით, მაშინ მე დღეს სიკვდილით არ დამსჯიან. გულმოდგინედ ვითვლიდი, კრიტიკულად ვსინჯავდი, ბეჯითად ვადარებდი, ზოგს კარგად ჩათვლიდა, ზოგს ცუდად, ნამდვილი ვატყებოდა, თითქმის ჩემი სიცოცხლის საკითხი კი არ წყდებოდა.

კამერაში ჩეულებრივად გვიან ვბრუნდებოდი. მამილო პეშეკი უკვე ლელავდა—საზოგადოდ, მე დაებრუნდები თუ არა. იგი გულში ჩამიკრავდა, და მე მოკლედ ვუამბობდი, რა იყო ახალი, გუშინ ვინ დახვრიტეს. მერე ჩვენ მადიანად ვქაპდით საძაგელ გამხმარ მწვანის, მხიარულ სიმღერებს ემღეროდით ან გააფთრებით ზარს ვთამაშობდით — მეტად სულელური თამაშია, მაგრამ ჩვენ გაგვიტაცა. ასე ვატარებდით საღამოებს, ე. ი. სწორედ იმ საათებს, როდესაც ყოველ წუთში შეიძლება ვარი ვაღებულიყო და ერთი ჩვენთაგანის სიკვდილის მოწოდება მოგვესმინა.

— წამოდი! ნიეთები თან წამოიღეთ! მარდალ!

ჩვენს წასაყვანად არ მოსულან, შემზარავი დრო გადავიტანეთ. ახლა,

როდესაც ამას ვიგონებთ, გვიკვირს ჩვენი თავისა— აუტანელის, ვადატანა რომ შევძელით.

ნაქონულნი  
გინდობით

## თავი მეთხუთე

### ადამიანები და კაცუნები.

#### II (მანკრაცი)

საპატიმროში ორი სამყარო ცხოვრობს. ერთი ჩაეკტილია კამერებში. საგულდაგულოდ მოწყვეტილია გარეშე სამყაროს და მანაც მასთან უმპიდროესად არის დაკავშირებული ყველა საპატიმროში, სადაც ანტიფაშისტები სხედან. საპატიმროს მეორე სამყარო კამერების გარეშეა, ვრძელ დერეფანებში, საპატიმროს ბინდუნდში, ეს სამყარო თავისთავად, ფორმის ტანისამოსიან ადამიანთა სამყარო, უფრო მეტად მოწყვეტილი, ვიდრე ისინი, ვინც კამერებში ზის. მინდა გიამბოთ ამ სამყაროზე, სადაც ბევრი კაცუნაა, ადამიანი კი ცოტა.

საპატიმრო უსიხარულო დაწესებულებაა, მაგრამ საპატიმროს სამყარო კამერებს გარეთ კიდევ უფრო ბნელია, ვიდრე სამყარო კამერებში. კამერებში ცხოვრობს მეგობრობა, და როგორი მეგობრობა! ასეთი მყარდება ფრონტზე, მუდმივ საფრთხეთა გარემოცვაში, როდესაც დღეს შენი სიცოცხლე ჩემს ხელშია, ხვალ კი შეიძლება ჩემი შენს ხელში იყოს.

მხოლოდ გერმანელებს — მედილეგებს შორის მეგობრობა თითქმის არ არის. იქ არც შეიძლება იყოს. ისინი ცხოვრობენ მამულრობის ატმოსფეროში, ყოველი კაცი მეორეს უთვალთვალეს, აბეზღებს, ყოველი კაცი ნარტოა და მუდამ იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც ოფიციალურად „ამხანაგებს“ უწოდებს; მედილეგთა შორის უკეთესნი, ისინი, რომლებსაც არ უნდათ და არც შეუძლიათ ცხოვრება მეგობრობის გარეშე, მას ეძებენ... ისევ ამავე კამერებში.

დიდხანს არ ვიცოდით ჩვენი მე-  
თვალყურეების სახელები. ჩვენს შო-  
რის მათ აღენიშნავდით ჩვენს მიერ  
ან ჩვენი წინამორბედის მიერ შერქმე-  
ული მეტსახელებით. ასეთი მეტსახე-  
ლები თაობიდან თაობაში გადადის.  
ზოგიერთ მედილეგებს თითოეულ კა-  
მერაში თავისი მეტსახელი აქვთ. ეს  
ჩვეულებრივად საშუალო ტიპია, არც  
წყალია, არც ღვინო. ერთ კამერაში სა-  
დილს დაუმატებს, მეორეში პატიმარს  
კბილებში ჩასტებს. პატიმართან მისი  
ურთიერთობის ხანმოკლე ეპიზოდები  
მთელი კამერის ხსოვნაში აღიბეჭდება  
და მედილეგზე ცალმხრივ წარმოდგე-  
ნას ჰქმნის. აქედან წარმოსდგება ცალ-  
მხრივი მეტსახელები. ზოგჯერ კი  
ყველა კამერა შეთანხმდება დახასია-  
თებაში, რომელიც გამოხატულებას  
მეტსახელში პოეებს. ეს ზდება იმ მე-  
დილეგეთა მიმართ, რომელთა ხასია-  
თი უფრო განსაზღვრულია: მასში  
სტარბობს ერთი ან მეორე, კარგი ან  
ცუდი.

„ს ა მ ა რ ი ტ ე ლ ი“

მაღალი, სქელი, წვრილხმიანი, სს  
ჯარების რეზერვისტი, გვარად რეუსი,  
კელში დაბადებული, წარსულში სკო-  
ლის მსახური. როგორც ყველა გერ-  
მანული სკოლის მსახურმა, მან პირ-  
ველი სამედიცინო დახმარების კურსი  
გაიარა და ზოგჯერ საპატიმროს ფერ-  
შალსა სცვლის. ის არის საპატიმროს  
პირველი მკურნალთავანი, ვისთანაც  
საქმის დაქერა მომიხდა: კამერაში მან  
მიმოყვანა, ლეიბზე დამაწვინა, ჭრილო-  
ბები მომბანა, პირველი კომპრესები  
დამიდო. სჩანს, სიკვდილს სწორედ  
მან გადამარჩინა. რამ აიძულა ასე  
მოქცეულიყო — ადამიანურმა გრძნო-  
ბებმა, თუ პირველი დახმარების კურს-  
მა? არ ვიცი, მაგრამ უდავოა, მასში  
შეღაენდებოდა ნაციტური ხასიათი,

როდესაც დატუსაღებულ ებრაელებს  
კბილებს უმტკრევდა ან აიძულებდა  
მათ ერთი კოვზი მარილზე ან ქვიშაზე გა-  
დაეყლაპათ, როგორც წამალი ყოველ-  
გვარი ავადმყოფობის წინააღმდეგ.

„მ ე წ ი ხ ქ ე ლ ე“

გულკეთილი, ბუდეიოვიცის ლუდ-  
სახდელი ქარხნის მზიდავი, ლაპარაკის  
მოყვარული, კამერაში შემოდის, მთე-  
ლი სახე უღიმის, საქმელი მოაქვს,  
არავის აწყენინებს, ვინ იფიქრებდა,  
რომ იგი მთელი საათობით კარებს  
უკან დგას, ყურს უგდებს, კამერაში  
რაზე ლაპარაკობენ და მერე უფრო-  
სებთან გარბის ყოველი წვრილმანის  
გამო.

კოკლარი

იგიც ბუდეიოვიცის ლუდსახდელი  
ქარხნის მუშაა. მედილეგეთა შორის  
ბევრი მუშაა სუდეტის ოლქიდან.  
„საქმე იმაში კი არ არის, ამ წუთში  
ცალკეული პროლეტარი თავის მიზანს  
რაში ხედავს — სწერდა მარქსი, — ან  
და მთელი პროლეტარიატიც. საქმე  
იმაშია, რა არის პროლეტარიატი და  
მან, ამ თავისი ყოფიერების შესაბამი-  
სად, ისტორიული იძულებით რა უნდა  
გააკეთოს“. გერმანელმა მუშებმა აქ  
საპატიმროში თავისი კლასის მოწოდე-  
ბაზე არაფერი იციან. მას მოწყვეტილ-  
ნი, მისი მტრების ბანაკში მოქცეულნი,  
ისინი იღუურად ჰაერში არიან გამოკი-  
ლებულნი, და, ეტყობა, დროთა მსვლე-  
ლობაში ისეთსავე პოზიციას დაიკავე-  
ბენ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნე-  
ლობითაც.

კოკლარი ნაციტებს მიეკედლა  
იოლი ცხოვრებისათვის. მაგრამ საქმე  
არც ისე უბრალო გამოდგა, როგორც  
მას ეჩვენებოდა. იმ დროიდან აღარ  
იღიმის. ნაციზმის გამარჯვებაზე დას-

დო სანაძლეო. აღმოჩნდა, რომ სანაძლეოს მოსაგე?ად არა ის ცხენი ამოირჩია. იმ დროიდან სიმშვიდე დაჰყარა. ღერეფანში დადის ღამით ქეჩის ფეხსაცმელებით და შეუგნებლად თავის მწარე ფეჭრებს ამელავენებს მტკრიან შეჭფარზე წარწერების გაკეთებით: „ყველაფერი ძაღლის კულ-ჭვეშ მოექცა!“ — სწერს იგი პოეტურად და თვითმკვლელობაზე ფეჭრობს.

დღისით პატიმრებს და მეთვალყურეებს შარს სდებს და წრიბინა ხმით ყველას უყვირის. ცდილობს თავისი შიში ჩაიხშოს.

### როსღერი

გრძელი, გამხდარი, უხეში ხმით იგი იმ მედილეგეთა მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნის, რომლებსაც გულმართლად სიცილი შეუძლიათ. წინათ ფეიქარი იყო კამერებში შედის და მთელი საათობით კამათობს:

— მე აქ როგორ მოვხვდი? ათ წელიწადს ხეირიანი სამსახური არა მქონდა. ოცი კრონით ერთ კვირას მთელ ოჯახს, იცი, ვერ აცხოვრებ? ისინი კი მოვიდნენ და გვითხრეს ჩვენთან მოდი, სამუშაოს მიიღებ. მივედი და მივიღე. სხეებმაც მიიღეს, ახლა ჩვენ საღეჟი მოგვეპოება. გვაქვს ადგილი, სად ვიცხოვროთ. გვაქვს, რით ვიცხოვროთ. სოციალიზმი? ეს, რასაკვირველია, სოციალიზმი არ არის, სოციალიზმი სხვანაირად წარმომიდგენია, მაგრამ ეს უკეთესია — ვიდრე წინათ — ნებსით თუ უნებლიედ მე ნაციზმს ვეხმარები? აბა, ახლა რა უნდა ვქნა? აქ განა ვინმეს ეაწყენინებ? წავალ, და ჩემს ადგილას სხვა მოვა, კიდევ უარესი. ეს ვისთვის იქნება სახეირო. აი, ომი დამთავრდება, ფაბრიკას დაუბრუნდება...

— შენ როგორ ფეჭრობ, ვინ გაიძარჯვებს? ჩვენ არა? თქვენ? ჩვენ რა მოგველის?

— დასასრული? ცუდი საქმეა? მე კი ვფეჭრობდი, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა...

კამერიდან გადის, თავის გრძელ ფეხებს მიათრევს და ნახევარ საათში მობრუნდება ისევ კითხვით:

— მაგრამ მაინც საბჭოთა კავშირში როგორ ცხოვრობენ?

### „ი გ ი“

ერთხელ დილით, დაბლა მთავარ ღერეფანში ველოდებით ჩვენს გაგზავნას დასაკითხავად პეტჩეკის სასახლეში. ყოველდღე ჩვენ აქ ვიდექით კედლისაკენ პირმიბრუნებული, რათა არ დაგვენახა, რა გვემართებოდა. ამ დილას ჩვენს უკან გაისმა ჩემთვის ახალი, უცნობი ხმა:

— არაფრის დანახვა არ მინდა, არაფრის გაგონება არ მინდა! თქვენ მე არ მიცნობთ, თქვენ მე კიდევ გამიცნობთ!..<sup>1</sup>

გამეცინა. ამ ერთფეროვანი სამხედრო ვარჯიშის ატმოსფეროში, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობდით, მართლაც, შეუფერებელი იყო, ციტატი უბადრუკი გონებაჩლუნგი პორუჩიკი ღუბას ლექსიკონიდან. აქამდე ამდენად ჯერ კიდევ არავინ გათამამებულა, რომ ეს ხმამაღლა წარმოეთქვა.

მაგრამ ჩემზე უფრო გამოცდილმა მგზობელმა მიბიძგა და ამით მიმახვედრა, რომ სიცილი არ შეიძლება, რომ მე, როგორც სჩანს, შევცდი და ღუბას სიტყვები სახუმროდ არ იყო ნათქვამი. ეს აგრეც იყო.

ეს ფრაზა წარმოსთქვა უთვალადო კაცუნამ ესესელის ფორმაში, რომელსაც „შვეიცრე“ არაფითარი წარმოდგენა არა მქონდა. პორუჩიკი ღუბას ენით

<sup>1</sup> „ყოჩაღი ჯარისკაცის შვეიცის თავგადსაკელიდან“ ამოღებული ფრაზა გმირისა პორუჩიკი ღუბასი, რომელიც გონებაჩლუნგი, თვითმკაცოფილი არმიელის ბეჭითი მოსამახურის განსახიერება.

იგი ლაპარაკობდა უბრალოდ იმიტომ, რომ მას სულიერად ენათესავებოდა. მისი გვარი იყო ვიტანი, ოდესღაც თავის სახელს ჩეხურად სწერდა და ჩეხოსლოვაკიის არტილერიაში მსახურობდა.

ის მართალი იყო: მართლაც, ჩვენ მალე კარგად გავიცანით იგი და მას არასოდეს სხვანაირად არ ვუძახოდით. მისი სახელი იყო „იგი“. რადგან, მართალი გითხრათ, გამომგონებლობა არ გვეყოფნიდა, რათა შესაფერი სახელი გამოგვენახა ამ არსებისათვის — პანკრაცის საპატიმროს ერთ-ერთი მთავარი ბურჯისათვის, რომელიც თავის არსებაში შეიცავდა არაზომბასა და ვონეზაჰლუნგობას, მედიდურობასა და სულმდაბლობას.

„სიმაღლით ვოკის მუხლებს სწვდებო“, — ამბობს ხალხური თქმულება ასეთ კარიერისტებსა და ქედმაღლებზე, რადგან ეს ყველაზე უფრო უკლავდა გულს. მართლაც, რამდენი შინაგანი არაზომბაა საჭირო, რომ პატარა ტანის გამო იტანჯებოდე. ვიტანი იტანჯება და ამისთვის შურს იძიებს მათზე, ვინც მასზე მაღალია ტანით და სულიერად, ესე იგი ყველაფრით. მაგრამ არა ცემით. ამისთვის გამბედაობა არ ჰყოფნის. მამბეზრობით. ვიტანის დაბეზლებათა გამო რამდენმა ტუსადმა ჯანმრთელობა დაჰკარგა, სიცოცხლე შესწირა, რადგან სულერთი არ არის როგორი დახასიათებით მიდის პატიმარი საკონცენტრაციო ბანაკში, თუ კი მიდის, საზოგადოდ!

ვიტანი უსაზღვროდ სასაცილოა. დერეფანში ის ერთი მოდის ბღინძვით, თავისი მნიშვნელოვანებით გაბერილი; საკმარისია მას ვინმე შეხედეს, რომ მაშინვე მაღალ ადგილზე ასვლის სურვილი აღეძვრება. დაკითხვის დროს მოაჯირზე ჯდება და ასეთ უბერბულ მდგომარეობაში მთელი საათი ზის,

სამაგიეროდ იგი ერთი თავით მაღალია დასაკითხავ პატიმარზე. ტუსადების პარსევას თვალყურს რომ ადევნებს, საფეხურებზე შესდგება ან შერბზე დასეირნობს და თავის საყვარელ სენტენციას იმეორებს:

— არაფერი მინდა დავინახო, არაფერი მინდა გავიგონო! თქვენ მე არ მიცნობთ...

დილის სეირნობის დროს მოლზე დადის: ეს მას ათი სანტიმეტრით ამალვლებს. კამერაში შემოდის დიდებულად, როგორც მეფე — გვირგვინოსანი და მაშინვე ტაბურეტზე ადის, რათა ყველას ზემოდან გადახედოს.

იგი მეტად სასაცილოა და მეტად საშიში. თავის ვონეზაჰლუნგობასთან მას ერთადერთი ნიჭი აქვს: რწყილი დაწვინოს და აქლემი აშობინოს. მან იცის მხოლოდ თავისი როლი ჯამუშისა, ამიტომ ყოველი, სულ ოდნავი გადახვევა დადგენილი წესისაგან მას რაღაც ძალიან მნიშვნელოვნად ეჩვენება, იმდენადვე მნიშვნელოვნად, როგორც თავისი საკუთარი მისია.

იგი ჰქმნის საქმეებს საპატიმროს წესდების დარღვევის შესახებ, რათა ყოველდღე, დასაძინებლად რომ წვება, შეიგნოს, რომ არის ვინმე, და განა ვინმე ამოწმებს, მის შარებში სიმართლეა თუ არა?

### ს მ ე ტ ო ნ ც ი

ძლიერი ფიგურაა ჩლუნგი სახითა და უსიცოცხლო თვალვებით, თითქოს ნაცისტი მოერიშის კარიკატურა გაცოცხლებულიყოს. ოდესღაც სმეტონცი ძროხებს მწყესავდა ფერმაში ლიტვიის საზღვრის მახლობლად. მაგრამ ამ კარგ საქონელთან ურთიერთობამ იგი ოდნავადაც ვერ გააყეთლშობილა. უფროსები მას გერმანელის სათნობათა განმხორციელებლად სთვლიან—იგი მკაცრია, მოუსყიდველი, ერთი იმ მცი-



რერიცხოვან მედილეგეთაგანია, რომლებიც მედერეფნებს საჭმელს არ გამოსძალავენ, მაგრამ...

არ ვიცი, რომელმა გერმანელმა მეცნიერმა განსაზღვრა ცხოველთა გონებრივი ნიჭი იმ „სიტყვების“ მიხედვით, რომლებსაც ისინი ხმარობენ. მგონი, ამასთან მან დაადგინა, რომ უკანასკნელ ადგილზე კატა სდგას. მისი ლექსიკონი 128 სიტყვით განსაზღვრება, მაგრამ კატა გენიოსია სმეტონცთან შედარებით, რომლისგანაც საპატიმროს მხოლოდ ოთხი სიტყვა ისმის.

— ეი, შენ მანდ, მიყურე!

ვეირაში ორ-სამჯერ ის შორიგეობს. ორ-სამჯერ კვირაში თავს არ იზოგავს, მაგრამ ამოდ.

ერთხელ მე დავინახე, საპატიმროს უფროსმა როგორ მისცა მას შენიშვნა იმისთვის, რომ ფანჯრები ღია არ იყო. ზორცის მთამ ერთ წუთს დაბნეულად თავის მოკლე ფეხებზე გადაინაცვლა, სულელურად დახრილი თავი კიდევ უფრო დახარა, პირის კუთხეები დაეშვა, გაგონილი ბრძანების განმეორებას რომ ცდილობდა. და... და ანაზღად მთელმა ამ მასამ დაიღრიალა, როგორც თორუჯმა, ყველა კამერაში აურზაური ატყდა. ვერაფერ მიხვდა, რა მოხდა, ფანჯრები დახურული დარჩა, ორ ტუსადს, რომლებიც სმეტონცთან სხეებზე უფრო ახლოს იდგნენ, ცემით ცხვირბირი დაუსისხლიანდა. სმეტონცმა სულსმოსათქმელი იპოვა.

ეს მისი ჩვეულებრივი სულისმოთქმაა. ხელში პირველმოხედრილის ცემა, ცემა, როცა ბრძანებენ, ცემა სასიკვდილოდ, — ეს მას ესმოდა. ერთხელ კამერაში შემოიჭრა და პატიმარს დაარტყა. პატიმარი ავადმყოფი აღამიანი, იატაკზე დაეცა და კრუნჩხვა დააწყებინა. სმეტონცმა დანარჩენებს უბრძანა მის კრუნჩხვასთან ტაქტშეწყობილად ამღვარ-ჩამგდარიყვნენ მანამ, სახამ

ავადმყოფი არ დასუსტდა და არ დაწყენარდა. სმეტონცი სულელური ღიმილით თვალუქრს ადევნებდა და უხაროდა, ასე მოხერხებულად რომ გამოვიდა რთული მდგომარეობიდან. იგი ველურია, რომელმაც იმისაგან, რაც მას ასწავლეს, მხოლოდ ერთი რამ დაიმახსოვრა: ცემა შეიძლება.

და მასში მაინც რაღაც გაიბზარა. ეს მოხდა ერთი თვის წინ. საპატიმროს კანცელარიაში ისხდნენ ისა დ. კ. პოლიტიკურ მდგომარეობას უხსნიდა. ძალიან, ძალიან ნელა და ბუნდოვნად მილაწია რაღაცამ სმეტონცამდე. იგი აღვა, კარი გააღო, დერეფანი ფრთხილად დაათვალიერა; ყველგან სიჩუმეა, არავინ არის, საპატიმროს სძინავს. სმეტონცმა კარი საგულდაგულოდ ჩაჭკეტა და სკამზე დუნედ დაეშვა.

— მაშასადამე, შენ ფიქრობ, რომ...

თავი ხელებზე დააყრდნო. საშინელმა უხალისობამ შეიპყრო ნამცეცხა სული ძლიერ სხეულში. დიდხანს იჯდა ასე, მერე თავი ასწია:

— შენ მართალი ხარ. ჩვენ უკვე ვერ გავიმარჯვებთ.

უკვე თვეა პანკრაცის საპატიმროში სმეტონცის საბრძოლო ყიყინა არ ისმის. და ახალმა ტუსადებმა არ იციან, მისი ხელი რა მძიმეა.

### ს ა პ ა ტ ი მ რ ო ს უ ფ რ ო ს ი

პატარა ტანის, ყოველთვის კოხტად ჩაცმული, სამოქალაქო ტანსაცმელში ან „უნტერშტურმფიურერის“ ფორმაში, განცხრომით მცხოვრები, და თავისთავით კმაყოფილი, ძალღების, ნადირობისა და ქალების მოყვარული, — ეს მისი ისეთი მხარეა, რომელიც ჩვენ არ გვეხება.

მეორე მხარე, პანკრაცის საპატიმროსათვის კარგად ცნობილია: უხეში, ფიცხი, უზრდელი, ტიპი ნაციისტური კარიერისტის, მზად იყო გაეყიდა, ვინც

გნებავთ, ოღონდ თვითონ გადარჩენილიყო. ამბობენ, ოდესღაც მჭედლობას სწავლობდა, მაგრამ მას ამ პატიოსანი ხელობის არავითარი ნიშანწყალი არ შერჩენია.

უკვე დიდი ხანია პიტლერს ემსახურება, ახლანდელ თავის ადგილს ყოველგვარი ინტრიგებით მიადრია და მას ყველა საშუალებით უფროთხილდება: იგი უგულო და შეუბრალებელია ყველას მიმართ — პატიმრებისა და მოხელეების მიმართ, ბავშვებისა და მოხუცების მიმართ. პანკრაციის საპატიმროში ნაციზმის მსახურთა შორის მეგობრობა არ არის, მაგრამ არავინ მეგობრობის ჩრდილისაგანაც ისე შორს არ არის, როგორც იგი. ერთადერთი ადამიანი, ვინც მას, სჩანს, უყვარს, აფასებს და ვისთანაც ზოგჯერ საუბრობს, — ეს არის საპატიმროს ფერშალი ვეისნერი, მაგრამ ისიც, მგონი, მეგობრობით არ უპასუხებს.

იგი მხოლოდ თავის თავისთვის ზრუნავს, პირადი სარგებლობისათვის მოახერხა, რომ საპატიმროს უფროსის თანამდებობაზე დაენიშნათ და პირადი სარგებლობისათვის დარჩება ბოლომდე რეჟიმის ერთგული. იგი, თითქმის, ერთადერთია, რომელიც სხვა გზას არ ეძებს თავის გადასარჩენად, რადგან იცის, რომ ასეთი გზა არ არსებობს. ნაციზმის დაღუპვა მისი დაღუპვა იქნება, დასასრული მისი ბედნიერი ცხოვრებისა, საუცხოო ბინის დაკარგვა, კონტაობის დაკარგვა (რისთვისაც, უნდა ითქვას, სიკვდილით დასჯილი ჩეხების ტანსაცმელების მოთვისებას არ თაკილობს).

**ს ა პ ა ტ ი მ რ ო ს მ ე უ რ ნ ა ლ ი  
ვ ე ი ს ნ ე რ ი**

პანკრაციის საპატიმროს ცხოვრებაში პატარა თავისებური კაცუნაა, ზოგჯერ გგონია, რომ იგი პანკრაციისათვის სრულ-

ლიად უცხოა, ზოგჯერ, პირიქით, შეუძლებელია პანკრაციე უმჯობეს წარმოიდგინო. იგი ან ლაშქარშია ან დერეფნებში მოკლე არამტკიცე ნაბიჯით ცუნცულებს, რაღაცას ცხვირში ბურდღუნებს და სულ მუდამ აქეთ-იქით იხედება, იხედება... თითქოს უცხოელი ტურისტია, რომელიც მცირე ხნით მოხვდა აქ და სურს, რაც შეიძლება, მეტი შთაბეჭდილებები წაიღოს. ამასთან ერთად მან იცის კამერის კარში გასაღების შეყოფა და კარის სწრაფად, უხმაუროდ გაღება როგორც ფრიად გამოცდილმა მედილეგემ.

მისი უფერული იუმორი შესაძლებელს ხდის სთქვას ფრაზები, რომლებიც საესეა დაფარული აზრით, და სთქვას ისე, რომ სიტყვაში არ დაიჭირო. ადამიანებს უახლოვდება, მაგრამ თავისთან დაახლოების ნებას არავის არ აძლევს. არავის აბეზღებს და არ ენატანიაობს, თუცმა ბევრ რამეს ხედავს. თამბაქოს კვამლით საესე კამერაში შედის. გასაგონად ცხვირით შეისუნთქავს:

— ჰმ... — და ენას აწყლავუნებს, — თამბაქოს წვევა კამერაში... — კიდევ ერთხელ ენის წკლაუნე, — სასტიკად აკრძალულია.

მაგრამ პატაკს არ აძლევს. სხე ყოველთვის მოღუშული აქვს, უკმაყოფილო, თითქოს მას დიდი ზრუნვა აწუხებდეს. არ სურს რაიმე საერთო პქონდეს რეჟიმთან, რომელსაც ემსახურება, რომლის მსხვერპლს ყოველდღე მეურნალობს. არა სწამს და არასოდეს სწამდა ეს რეჟიმი, მისი სიმტკიცე. ამიტომ თავისი ოჯახი გერმანიიდან პრალაში არ გადმოუყვანია, თუმცა არცერთ გერმანელ მოხელეს არ გაუშვია შემთხვევა ოკუპირებული ქვეყანა გამოეხრა. მაგრამ ვეისნერი არ არის დაკავშირებული, შერდილი ხალხთან, რომელიც რეჟიმს ებრძვის.

იგი კეთილსინდისიერად და გულ-  
მოდგინედ მივილიდა. უმრავლეს შე-  
მთხვევაში სწორედ ასე იქცევა და შე-  
უძლია მტკიცედ აკრძალოს მეტად  
ნაწამები ტუსალების გამოძახება და-  
კითხვაზე. ეს, ალბათ, საკუთარი სინ-  
დისის დასამშვიდებლად. ზოგჯერ,  
პირიქით, არ აღმოუჩენს დახმარებას  
იქ, სადაც ეს მეტისმეტად საჭიროა.  
ამას, ალბათ, შინის გამო სჩადის

ტიპიური გონებაშეზღუდული ადამი-  
ანია. იგი მარტოა თავის შინში მის  
წინაშე, ვინც ახლა ბატონობს და იმის  
წინაშე, ვინც მოვა. ეძებს, სად მიი-  
მალოს და ვერ პოულობს. იგი არ  
არის ვირთხა. ის მახეში გაბმული პა-  
ტარა თავუნაა.

### „თავქარიანი“

ეს უკვე უბრალო პატარა კაცი არაა.  
მაგრამ ჯერ კიდევ არც კაცია. ეს  
გარდამავალი ტიპია. კაცად რომ იქ-  
ცეს, ამისთვის მას შეგნება აკლია.

ასეთები ჩვენ ორი გვყავს. უბრალო  
ადამიანებია, მგრძნობიარე ბუნები-  
სანი. ისინი იტანჯებიან იმის გამო,  
რომ ასეთ ადგილას მოხდნენ, და აქე-  
დან თავის დაღწევას ცდილობენ. ისინი  
დამოუკიდებელნი არ არიან და ამი-  
ტომ დასაყრდენს ეძებენ, სწორი მისა-  
მართით ეძებენ, სადაც უფრო ინს-  
ტიტუტს მიჰყავთ, ვიდრე ცოდნას. ისინი  
გეზმარებიან, რადგან შენგან და-  
ხმარებას ელიან.

პანკრაციის მთელი პერსონალისაგან  
ფრონტზე ნამყოფი მხოლოდ ორი იყო.

პანაუერი — მკერავი ზნობიოდან,  
აღმოსავლეთის ფრონტიდან ახალდაბ-  
რუნებული იმის გამო, რომ განზრახ  
მოიყინა თავის თავი.

— ომი არ არის ადამიანებისა-  
თვის, — ფილოსოფოსობს ოდნავ მკე-  
რავისებურად. მე იქ არაფერი საქმე  
მაქვს.

პეფერი არის მხიარული, ფუნქცი-  
ონის მკერავი ბატის ფერმის მარხები-  
დან. იგი მონაწილეობას იღებდა საფ-  
რანგეთზე ლაშქრობაში და სამხედრო  
სამსახურს თავი ვაანება, თუმცა და-  
წინაურებას პირდებოდნენ. „ეპ, საქმე  
წასულია“ — უთხრა თავისთვის და  
ხელი ჩაიქნია ისე, როგორც ახლა იქ-  
ცევა ყოველდღე, როდესაც უსიამოვ-  
ნება შეხვდება.

ორივეს მსგავსი ბედი და მსგავსი  
განწყობილებები აქვს. მაგრამ პეფერი  
უფრო გაბედულია, უფრო გამოკვე-  
თილი, უფრო მთლიანი. „თავქარიანი“  
— ასეთია მეტსახელი, რომელიც მას  
ერთსულოვნად შეარქვა ყველა კამე-  
რამ.

მისი მორიგეობის დღე ყველა კამე-  
რისათვის უშფოთველი დღეა. რაც  
გინდა, ის გააკეთე. თუ ტუსალებს და-  
უყვირებს, ამავე დროს მათ ყოველ-  
თვის თვალსაც ჩაუქრავს, მიახვედ-  
რებს, რომ ეს ყვირილი არის დაბლა  
მყოფ უფროსებისათვის, მათ დასა-  
რწმუნებლად, თუ როგორი ერთგული  
მორიგე მეთვალყურეა. მაგრამ ეს ამა-  
რა. „თავქარიანი“ ვერავის დარწმუნე-  
ბას ვერ ახერხებს იმაში, რომ ის სამა-  
გალითო მეთვალყურეა, ისე კვირა არ  
გაივლის, რომ სასჯელი არ დაიმსა-  
ხუროს.

— ეპ, საქმე წასულია! — ხელს ჩა-  
იქნევს და თავის ხაზს აგრძელებს. მას  
შეიძლება თავს წაადგე ტუსალებთან  
ფულობანას თამაშობაში გართულს.  
თამაშობს ალტაცებით და გატაცებით,  
ზოგჯერ დერეფანში გამოყრის რომე-  
ლიმე კამერის ბინადრებს და იქ  
„ჩხრეკას“ აწყობს. „ჩხრეკა“ დიდხანს  
გრძელდება. თუ ცნობისმოყვარეობას  
გამოიჩენთ და კამერაში შეიხედავთ,  
დაინახავთ, რომ „თავქარიანი“ მაგიდას  
უზის, ხელებზე თავდაბჯენილს სძი-  
ნავს, სძინავს მშვიდად და განცხრომით.  
კამერაში უფროსების მხრიდან არავი-

თარი საშიშროება არ ელის, რადგან დერეფანში პატიმრები მას სდარაჯობენ და ყოველი საფრთხის დროს აფრთხილებენ. და მორიგეობის დროს მაინც სურს დაიძინოს იმიტომ, რომ დასვენების საათებში ძილისათვის არა სცალია: არსებობს მდებარეობითი სქესის, ახალგაზრდა არსება, რომელიც „თავქარიანი“ ყველაზე მეტად უყვარს.

ნაციონში გაიმარჯვებს თუ განადგურდება? ეჰ, საქმე წასულია, განა შესაძლებელია, რომ ამ ბალავანმა დიდხანს გასტანოს?

იგი თავისთავს ბალავანის მონაწილედ არა სთვლის. უკვე ამით შეიძლებოდა ის საინტერესო ყოფილიყო. მაგრამ ამაზე მეტი: მას არ სურს „ბალავანს“ ეკუთვნოდეს. არც ეკუთვნის. საჭიროა მეორე კორპუსში ბარათის გადაგზავნა? „თავქარიანი“ ამას მოაწყობს. საჭიროა თავისუფალ ამხანაგებს რაიმე აცნობო? „თავქარიანი“ აცნობებს. საჭიროა რომელიმე პატიმართან შეხვედრა, რათა იგი პირადად დააარწმუნო და ამით სხვა ადამიანები იხსნა? „თავქარიანი“ წაგიყვანთ საჭირო კამერაში და გიღარაჯებთ იმ ანცი ბავშვის კმაყოფილებით, რომელმაც კარგი ოინი მოაწყო. მას ხშირად ჩავაგონებთ ზოდზე, რომ საჭიროა სიფრთხილე. საფრთხეში რომ არის, იგი ამას საკმაოდ ვერა გრძნობს. რას აკეთებს, იმის მნიშვნელობა არ ესმის. ეს ეხმარება მას, კიდევ მეტი გააკეთოს. მაგრამ ეს მის ზრდას უშლის. ჯერ იგი ნამდვილი ადამიანი არ არის. მაგრამ უკვე იმ გზას ადგია, რომ ადამიანს გახდეს.

### „კოლინი“

ეს იყო საღამოს საალყო მღვთაშობის ერთ-ერთ დღეს. მეთვალყურეს ესეისე ფორმაში კამერაში შეყვავდი და ჯიბეებს მეტად ზერეულდ მისინჯავდა.

— თქვენი საქმე როგორ არის? — მკითხა მან ჩუმად.

— არ ვიცი. მიტხვეს, როგორ ხელ დამხვრეტენ.

— შეგაშინათ ამან?

— მე ამას ველოდი.

ანგარიშმიუტეველად ჯიბეებში ხელს მიფათურებდა.

— შეიძლება, ეს ჩაიღინონ. შეიძლება სრულიადაც არა. მაგრამ ასეთ დროს შხად უნდა იყო...

და იგი ისევ დადუმდა.

— თუ თქვენ გინდათ... ვინმეს შეატყობინოთ... ან გინდათ დასწეროთ? წერილი კი არა... არამედ მომავლისათვის, გესმით? იმაზე, აქ როგორ მოხვდით... ვინ ვაგვით ან არა... თავი ვის როგორ ეკირა. ყველაფერი ეს დავიწყებას რომ არ მიეცეს, თუ თქვენ აღარ იქნებით...

მინდა მე წერა თუ არა? გულითად სურვილს მიმიხვდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქალაღი და ფანქარი მომიტანა. ეს საგნები გულმოდგინედ დაეძალე, რომ არ ებოვნათ, როგორი ჩხრეკაც არ უნდა მოეხდინათ.

და ერთ ხანს ხელიც არ მიხლია მათთვის.

ეს მეტად მშვენიერი რამ იყო: აქ, ბნელ სახლში, დაპატიმრებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, მათ შორის ვისაც ჩვენთვის მხოლოდ ყვირილი დანცემა ჰქონდა, პოვნა ადამიანისა, ამხანაგისა, რომელიც ხელს მიწვდის, რათა ამ ცხოვრებიდან უკვლოდ არ წავიდე, რათა ჩემი ანდერძი გადაეცე მათ, ვინც ჩემს შემდეგ მოვა, რათა შეეძლო ერთ წუთს მაინც დაველაპარაკო მათ, ვინც ყოველივე ამას გადაიტანს და სხვა დღეებს მოეწერება. და იგი ამას ახლა მთავაზობდა. დერეფნებში განწირულთა სახელებს ამოიკითხავენ, სისხლი ჯჯლათებს აღიზიანებს, გაშეშებულ მსხვერპლებს საშინელება ყელში უჭერს. ასეთ წუთს...

არა, ეს დაუჯერებელია, ეს არ შეიძლება იყოს სიმართლე, ეს, ალბათ, ხაფანგია. რა შინაგანი ძალა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომელიც თვითონ, საკუთარი თაოსნობით, ასეთ დღეებში ხელს გიწვდის! რა გულადობაა!

დაახლოებით თვე გავიდა. სააღყო მდგომარეობა მოიხსნა, განწირულთა გამოძახება შესწყდა, საშინელი წუთები მოგონებად იქცა. ისევ საღამო, ისევ დაბრუნება დაკითხვიდან, და ისევ იგივე მეთვალყურე კამერის კარებთან.

— თქვენ გადარჩით... როგორც სჩანს. ყველაფერი კი...—გამომცდელი თვალთ შემომხედა, —წესრიგში იყო?

ეს კითხვა მე კარგად გავიგე, გულში ღრმად მომხვდა, მაგრამ მან უკვე უფრო მეტად დამარწმუნა, ვიდრე სხვა რაიმე, ამ ადამიანის პატიოსნებაში. ასე შემკითხებოდა მხოლოდ მას შეეძლო, ვისაც ამის უფლება ჰქონდა. ამ დღიდან მისი მჯეროდა. ეს ჩვენი კაცი იყო.

გარგნულად ვაუგებარი ფიგურაა. დერეფნებში მარტო დადის, მშვიდი, გულჩათხრობილი, ფრთხილი მეთვალყურე. მისგან ყვირილს ვერასოდეს ვერ გავიგონებ. ვერასოდეს დაინახავ, რომ მან ვინმეს დაარტყას.

— გთხოვთ, სილა გაშაწნათ, როდესაც სმეტონცი შემოგვხვდავს. — სთხოვდნენ მას ამხანაგები მეზობელი კამერიდან. — საჭიროა, რომ ერთხელ მაინც გნახოს მან აქტიური.

„კოლინმა“ თავი გადააქნია.

— საჭირო არ არის.

იგი ყოველთვის მხოლოდ ჩებურად ლაპარაკობდა. ყველაფრით განსხვავდებოდა სხვა მედილეგებისაგან, ამასთანავე ძნელიც იყო ამ განსხვავების განსაზღვრა. სხვებიც გრძნობდნენ ამას, მაგრამ ვერ მიმხედარიყვნენ, რაში იყო საქმე.

იგი ყველგან ჩნდებოდა, სადაც საჭი-

რო იყო. ამშვიდებდა იქ, სადაც განიკაშვიქებოდა; ამხნევებდა, რომ უსადაც თავს ჩაქინდრავდნენ, ვსაქმეებდა კავშირს, როდესაც კავშირის გაწყვეტა თავისუფალ ამხანაგებს ემუქრებოდა. წერილმანებზე არ ხურდავდებოდა. სისტემატურად და დიდი მასშტაბით მუშაობდა.

ამ სამუშაოს ის აწარმოებს არა მხოლოდ უქანასკნელ დროს, არამედ სულ თავიდან. ამ მიზნით დაიწყო ნაციზმთან სამსახური.

ადოლფ კოლინსკი, საპატიმროს მეთვალყურე მორავიიდან, ჩეხი უძველესი ჩებური ოჯახიდან, რეგისტრაციაში გატარდა, როგორც გერმანელი, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა ჩებ პატიმართა ყარაულად ყოფილიყო კენიგსბერგში, უფრო გვიან კი ბრალში. ალბათ, როგორ აღშფოთებული იყვნენ ისინი, ვინც მას სამშობლოში არ იცნობდა მაგრამ ოთხი წლის შემდეგ გერმანელი — საპატიმროს უფროსი — კოლინსკის მუშტით ემუქრებოდა (ოდნავ დავვიანებით).

— ჩებურ სულს მოესპობ თქვენში ცდება! ეს არ არის მხოლოდ ჩებური სული. საჭირო იქნებოდა კოლინსკში ადამიანის სული მოესპოთ, ადამიანისა, რომელმაც შეგნებულად და ნებაყოფლობით დაიჭირა ის ადგილი, სადაც უნდა ყოფილიყო, სადაც შეეძლო ბრძოლა და ბრძოლისათვის დახმარების გაწევა. მუდმივმა საფრთხემ ეს ადამიანი მხოლოდ გამოაწრთო.

„ჩ ე ნ ე ბ ი“

1943 წლის 11 თებერვალს დილით ჩვენთვის საუზმედ კაკო რომ მოეტანათ, ნაცვლად რაღაც შავი ნახარშისა, ამ სასწაულს ჩვენ ყურადღებას არც კი მივამჩნევდით, რადგან ამ დილას საპატიმროში პირველად გაჩნდნენ ჩეხი პოლიციელები.

ჩვენთვის რას ნიშნავს მათი მოსვლა? როგორი იქნებიან ეს აღამიანები? მაგრამ როგორიც არ უნდა იყვნენ ისინი, თვით ის ფაქტი, რომ ისინი აქ გაჩნდნენ, ბევრ რამეს ლაპარაკობდა. თუ როგორ სწრაფად მიექანება უფსკრულისავენ რეჟიმი, სჩანს იქიდან, რომ ყველაზე უფრო მგრძობიარე ორგანოში — ჩანს შობის აპარატში — იგი იძულებულია მიიღოს აღამიანები ხალხიდან, რომელსაც სჩაგრავს; აღამიანთა მასალის რა შემადარწუნებელი ნაკლებობა უნდა იყოს!

რასაკვირველია, ეს ვადარჩეული აღამიანები იქნებიან, შეიძლება, ისინი გერმანელ მეთვალყურეებზე უარესი აღმოჩნდნენ, რადგან ისინი გახრწნილნი არიან ჩვეულებით ემსახურონ მტერს და გამარჯვების რწმენის უქონლობით, მაგრამ ის ფაქტი, რომ ისინი აქ არიან, — ეს უტყუარი ნიშანია დასასრულისა.

ასეთი იყო ჩვენი ფიქრები.

11 თებერვალს ჩვენ პირველად ვნახეთ ჩემ პოლიციელთა ფორმა. მეორე დღეს კი უკვე აღამიანთა გაცნობა დავიწყეთ.

ერთი მათგანი მოვიდა, კამერაში შემოიხედა, უხერხულად, ადგილზე ტოკავდა, ზღურბლზე გაჩერდა, მერე უეცრად თიკანივით აქუნტრუშდა, მოულოდნელად გამამაცდა და სთქვა:

— ასე რომ, როგორ ცეცხვრობთ, ბატონებო?

ჩვენ ღიმილით ვუპასუხეთ. მანაც გავგიღიმა, მერე ისევ შეკრთა.

— ნუ გავვირისხდებით. დავგიჯივრეთ, თქვენს აქ დარაჯობას გვერჩივნა ძველებურად ქვაფენილი გვეყეთებინა... მაგრამ მოგვიხდა... შეიძლება ეს სასარგებლო დარჩეს.

გაეხარდა, როდესაც ვუთხარი, რომ ყოველივე ამაზე ჩვენ ვფიქრობთ და მას როგორ ვუყურებთ. ასე დავმე-

გობრდით პირველი მესვედრისთანავე. მას ვიტყვი ერქვა, უბრალო, გულკეთილი ბიჭი იყო.

მეორე, სახელად ტუმა, ტიპიური ჩეხი პოლიციელი იყო. უხეში, მყვირალა, მაგრამ გულით კეთილი, ერთი მათგანი, ვისაც ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის ყველა საპატიმროში „ძიას“ ეძახდნენ. თავისი მდგომარეობის განსაკუთრებულება მას არ ესმოდა. პირიქით, მისვლისთანავე თავი იგრძნო, როგორც შინ, და თავისებურად, მუდამ უხეში ზუმრობით ამყარებდა წესრიგს და თვითონვე არღვევდა მას: ერთ კამერაში პურს მიუმატებს, მეორეში — პაპიროსს შეაპარებს, მესამეში — შეჩერდება ენის მოსაფხანად, (რაზედაც გინდა, გარდა პოლიტიკისა). ყოველივე ამას აკეთებს, როგორც რაღაც ისეთს, რაც თავისთავად იგულისხმება, რადგან ასე ესმის საპატიმროს მეთვალყურის სამსახური და ამას არ ჰფარავს. პირველმა სასჯელმა, რომელიც ამისთვის მიიღო, იგი უფრო ფრთხილი გახდა, მაგრამ ვერ გამოსცვალა. ის დარჩა „საპატიმროს ძიად“. მნიშვნელოვანს ვერაფერს ვერ სთხოვდით. მაგრამ მასთან თავისუფლად ვსუნთქავდით.

მესამე დადიოდა დერეფნებში, გულჩათხრობილი, უენო, გულგრილი. ჩვენს ფრთხილ ცდას — მასთან კავშირი დავვემყარებინა, იგი სრულიად არ ეხმაურებოდა.

— მისგან დიდ ხეირს ვერ ვნახავთ, — სთქვა მამილომ შეიდი დლის დაკვირვების შემდეგ. ეს ყველაზე უფრო გამოუსადეგარია ამ სამში.

— ან ყველაზე ეშმაკი, — ეთქვი მე უფრო იმიტომ, რომ რაიმე საწინააღმდეგო მეთქვა, რადგან წვრილმანებში შეუთანხმებლობა კამერის ცხოვრების საფუძველია.

ორი კვირის შემდეგ მე მომეჩვენა, რომ ამ უყარებამ რაღაც სხვანაირად მოხუკა თვალები. მეც ვუპასუხე ასე-



თივე ოდნავ შესამჩნევი თვალის ჩაკვრით, რომელსაც საპატიმროში ათასნაირი მნიშვნელობა აქვს. ისევე არავითარი პასუხი და მე შინც ვცდებოდი.

ერთი თვის შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა, თითქოს პეპელა პარკიდან გამოვიდა. პირქუში ნიღაბი ჩამოვარდა, და ცოცხალი არსება გამოჩნდა. არა პეპელა. ადამიანი.

— უკვდავყოფ? — ამბობს მამილო ზოგიერთ დახასიათებებზე.

დიახ, მე ვისურვებდი, არ იქნან დავიწყებულნი ამხანაგები, რომლებიც მამაცურად, ერთგულად იბრძოდნენ და დაიღუპნენ აქ — საპატიმროში და მის გარეთ. მაგრამ მე ვისურვებდი, რომ არ ყოფილიყვნენ დავიწყებულნი ცოცხლებიც, რომლებიც არანაკლები მხნეობით და ერთგულებით გვეხმარებოდნენ ამ უმძიმეს დროში. დაე, პანკრატის დერეფნების წყველიაღიდან ცხოვრების სინათლეზე გამოვიდნენ ისეთი ადამიანები, როგორც არის კოლინსკი და ჩეხი პოლიციელი, რომელზედაც ახლა მოგიყვებით.

არა მათი საკუთარი დიდებისათვის არამედ სხვების სამავალითოდ. რადგან ადამიანის მოვალეობა ამ ბრძოლით არ დამთავრდება: იმისთვის, რომ იყო ადამიანი, გმირული გული საჭიროა მანამ სანამ ადამიანები ნამდვილ ადამიანებად არ გადაიქცევიან.

პოლიციელ იაროსლავ გორას ამბავი — მოკლე ისტორიაა. მაგრამ მასში დაინახავთ ადამიანის ისტორიას.

ყრუ ადგილი, მოწყენილი და ღარიბი მხარე. მამა მემინია. მძიმე ცხოვრება. გამომფიტველი შრომა, როცა სამუშაო ვაქვს; და სიღარიბე, როცა უმუშევარი ხარ. უმუშევრობამ ამ მხარეში კი მკვიდრი ბუდე გაიკეთა. ასეთი ცხოვრება ან აჩოქებს ადამიანს, ან აიძულებს თავი მალა ასწიოს, უკეთეს სამყაროზე იოცნებოს, სწამდეს

იგი და მისთვის იბრძოდეს. იაროსლავის მამამ უკანასკნელ დღეებში კომუნისტი გახდა.

პირველი მაისის დემონსტრაციაზე ახალგაზრდა იაროსლავი ველოსიპედისტების კოლონაში არის ალისფერი ლენტით, რომელიც თვლების ჩიჩრებშია ჩაწნული. ეს ალისფერი ლენტი არ დაუტოვებია შშობლიურ მხარეში. ის სადღაც მისი შეგნების სიღრმეში ინახებოდა, როდესაც შინიდან საბავარტო სახელოსნოში მიდიოდა სასწავლად, მერე კი თავის პირველ სამუშაოზე — შოლის ქარხნებში.

კრიზისი, უმუშევრობა, ომი, სამუშაოს მიღების შესაძლებლობა პოლიციაში... იმ ხანებში არაფერი ვიცი ალისფერ ლენტზე გორას სულში. ის უეჭველად იღო იქ სადღაც, დაკეცილი, შენახული, შეიძლება, სანახევროდ დავიწყებულად, მაგრამ დაკარგული კი არა.

გორა პანკრატის საპატიმროში დანიშნეს. აქ არ მოსულა ნებაყოფლობით, როგორც კოლინსკი, წინასწარ თავისთვის დასმული ამოცანით. მაგრამ, კამერებში რომ შეიხედავს, იგი თავის მოვალეობას შეიგნებს. ალისფერი ლენტი გაიშლება.

გორა სწავლობს მღვთმარობას, თავის ძალებს შეათასებს. მის სახეს ურყევი ფიქრის ნაოქები აჩნია, იგი ასწონ-დასწონის, უკეთესად საღ და როგორ დაიწყოს. პროფესული პოლიტიკოსი არ არის. ხალხის უბრალო შეილია. მაგრამ მას მოსდევს მამის გამოცდილება. მაგრამ მასში ზაგარი ბირთვია, რომლის გარშემო თავს იყრის სიმტკიცე და იგი გადასწყვეტს, პარკიდან ადამიანი ჩნდება.

ეს არის ადამიანი, ნათელი და იშვიათი სისპეტაკის სულის პატრონი, მგრძობიარე, მორცხვი და გულადი. იგი მიდის ყოველგვარ რისკზე, რომელიც საჭიროა. საჭიროა დიდი და მა-

ტარა საქმეების გაკეთება. მუშაობს უბრალოდ, წყნარად, დაფიქრებულად და უშიშრად. მისთვის ყველაფერი ნათელია. იგი კატეგორიულ იმპერატივს მიჰყავს. ასე უნდა იყო, და აქ ლაპარაკი ზედმეტია.

აი, საკუთრივ, ყველაფერი, მთელი ისტორია ერთი ადამიანისა, რომლის ანგარიშზე ახლა უკვე არის ადამიანთა რამდენიმე გადაარჩენილი სიცოცხლე. ეს ადამიანები სცოცხლობენ და მუშაობენ საპატიმროს გარეთ იმიტომ, რომ ერთმა ადამიანმა პანკრაცის საპატიმროში თავისი მოვალეობა შეასრულა. ისინი მას არ იცნობენ, მათ არც ის იცნობს. მათ არაფერი იციან არც კოლინსკიზე. მე ვისურვებდი, რომ ოდესმე ამ ორ ადამიანზე მათ გაეგოთ. კოლინსკიმ და გორამ ნახეს საერთო ენა და ერთად დაიწყეს მოქმედება. ამან მათი შესაძლებლობანი მრავალჯერ გაადიდა.

დაიხსომეთ ეს მაგალითი. მაგალითი ადამიანისა, რომლის თავი სწორად მუშაობს, უმთავრესად კი — გული.

### ძია სკორეევა

საპატიმროს წესდებით ნება დართულია დერეფნებში სამუშაოდ, შენობის დასალაგებლად და საქმლის მიმტანად გამოიყენო, მხოლოდ ყველაზე უფრო საიმედო და წესიერი პატიმრები, რომლებიც სხვებისაგან განცალკევებულნი უნდა იყვნენ. ასეთია კანონის არსი, მკვლარნაშობი მუხლი, რადგან ასეთი მედერეფნენი არ არიან და არც არასოდეს ყოფილან. და მით უმეტეს გესტაპოს საპატიმროში. მედერეფნენი აქ — პირიქით, საპატიმროს კოლექტივის დაზვერვაა, გამოყოფილი კამერების მიერ, რათა თავისუფალ სამყაროსთან ახლოს ყოფილიყვნენ და მასთან კავშირი ჰქონოდათ. ბევრ მედერეფნეს სიცოცხლის ფასად უჯდებო-

ლა, ხელში ცნობას ან ბარათს რომ დაუქვრდნენ. მაგრამ სამიშრ სამუშაოს გავრძელებას საპატიმროს კოლექტივის კანონი შეუბრალებლად მოითხოვს იმათგანაც, ვინც მათ ადგილას მოდის. ჰკიდებ ხელს ამ სამუშაოს უშიშრად თუ შიშით, სულ ერთია, მას თავს ვერ დააღწევ. შიშს აქ, როგორც ყოველ იატაკქვეშეთში, შეუძლია მხოლოდ ბევრი რამ გააფუქოს, ან მთელი საქმეც ჩააგდოს. მედერეფნის მუშაობა კი არის იატაკქვეშეთი კვადრატში: იატაკქვეშეთი სწორედ ცხვირწინ აქვთ მათ, ვინც იატაკქვეშეთს ებრძვის.

არიან ვირტუოზები არალეგალური მუშაობისა საპყრობილეს გარეთ, ასეთი ვირტუოზები საპატიმროს მედერეფნეთა შორისაც არიან.

ძია სკორეევა ერთი მათგანია. თავმდაბალი, შეზღუდული მოთხოვნილების, გარეგნულად წყნარი და თევზივით მოძრავი. მეთვალყურეები მას აქებენ — აი რა მუშა კაცია და რა საიმედო, ნებადაურთველი რამ მას ვერ შეაცდენს. ყველა მედერეფნეც, მაგალითი მისგან აიღეთ!

დაიხ, მედერეფნენო. მაგალითი მისგან აიღეთ! იგი, მართლაც, სანიმუშო მედერეფნეა... ტუსალებისთვის მტკიცე და მეტად მოხერხებული მზვერავი საპატიმროს კოლექტივისა.

კამერების ყველა ბინადარს იცნობს, ყოველ ახალბედას იცნობს მისი მოსვლის დღიდან — რისთვის ჩასვეს, ვინ არიან მისი თანამოზიარენი, თავი როგორ უჭირავს, ან მათ თავი როგორ უჭირავთ. იგი „საქმეებს“ სწავლობს და ცდილობს მათ არსს ჩასწედეს, ეს ხომ მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა რჩევით დაეხმაროს და ცნობები სწორად გადასცეს.

იმ მტრებსაც იცნობს: ყურადღებით სწავლობს ყოველ მეთვალყურეს, მის ჩვევებს, სუსტსა და ძლიერ მხარეებს არკვევს, ვინ რითი არის განსაკუთრე-

ბით საშიში, როგორ შეიძლება მისი უკეთ გამოყენება, როგორ შეიძლება მისი სიფხვანის მიძინება და გაცურება. აქ მოყვანილ დახასიათებებში ბევრი რამ ძია სკორეპასაგან გავიგე. ის იცნობს ყველა ჩვენს მედილეგს, შეუძლია თითოეული ცალ-ცალკე აგიწეროს, აგიწეროს ზუსტად და ცოცხლად. ყველაფერი ეს აუცილებელია იმისათვის, რათა დერეფნებში დაუბრკოლებლად გაძვრეს-გამოძვრეს და მუშაობა ისე აწარმოოს, როგორც საჭიროა.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ მას ახსოვს თავისი მოვალეობა. ის კომუნისტი, რომელმაც იცის, რომ არ არის ისეთი ადგილი, სადაც კომუნისტს შეეძლოს არ იყოს კომუნისტი, სადაც შეეძლოს გულზელდაყრფელი ყოფნა და მუშაობის შეწყვეტა. მე იმასაც ვიტყვოდი, რომ აქ უდიდესი საფრთხისა და უსასტიკესი ტერორის პირობებში სკორეპამ თავისი ადგილი იპოვა. აქ გაიზარდა იგი.

მოქნილია, იცის შეგუება მდგომარეობასთან, რომელიც ყოველდღიურად და ყოველ წუთში იცვლება, ეს მუდამ მუშაობის ახალ მეთოდებს მოითხოვს, სკორეპა სწრაფად და მოხერხებულად პოულობს ამ მეთოდებს. მის განკარგულებაშია მხოლოდ წუთის ნაწილები. კამერის კარების დაკაქუნებისთანავე უკვე ისმენს მომზადებულ ცნობას და მას მოკლედ და ნათლად გადასცემს კამერის დერეფნის მეორე ბოლოში: ყველაფერი ეს ხდება იმ დროს, როცა მეთვალყურეების ახალი ცვლა მეორე სართულის კიბეზე ამოდის. იგი ფრთხილი და საზრიანია. ასობით ბარათებს გაუვლია მის ხელში, არც ერთი სხვას ხელში არ ჩაეარდნია, სკორეპას ეჭვის ჩრდილიც არ შეხებია.

მან ყოველთვის იცის, ვის რა სტკი-

ვა, გამხნევებას ვინ საჭიროებს, სად არის საჭირო ზუსტი ინფორმაცია, თუ რა მდგომარეობაა საპატრონო ვიწოდო, იცის უიმედობით რომელი შეპყრობილი როგორ გაამხნევოს თავისი კეშმარიტად მამობრივი შეხედვით, ვის დაეხმაროს ზედმეტი პურის ნატეხით ან შეჭამანდის ჯამის მიწოდებით, სანამ იგი საპატრონოს შიმშილობას შეეჩვეოდეს.

ყველაფერი ეს იცის, გრძნობს და ყოველივე აუცილებელს აკეთებს.

ის მტკიცე და უშიშარი მებრძოლია. ნამდვილი ადამიანია. ეს ძია სკორეპაა.

მე ვისურვებდი, რომ თქვენ, ვინც ერთდროს წაიკითხავთ ამას, რასაც ახლა ვწერ, სკორეპას სახეში დაგენახათ არა მხოლოდ მისი პიროვნება, არამედ პატრიმარტაგან გამოყოფილი „დამხმარე მუშის“ მთელი კეთილშობილი ტიპი, რომელმაც შესძლო მჩაგვრელთა მიერ დაეალებული სამუშაო ჩაგრულთა სასარგებლოდ წარემართა. ძია სკორეპა ერთია, მაგრამ კიდევ ბევრი ადამიანია ასეთივე ტიპისა. ისინი ხასიათით განსხვავდებიან, მაგრამ ადამიანური ღირსებებით სკორეპაზე ნაკლები არ არიან.

ასეთები არიან პანკრაციის საპატრიმროში და პეტრეკის სასახლეში. მინდოდა მათ შესახებაც დამეწერა, მაგრამ, სამწუხაროდ, სულ რამდენიმე საათი მჩხვებდა, ეს კი მცირეა „სიმღერისთვისაც, რომელშიც ყველაფერი ასე მოკლედ ეღერს, თუმცა ცხოვრებაში ძნელი გადასატანია“...

მაშ ასე, რამდენიმე სახელი მაინც, რამდენიმე მაგალითი, თუმცა არასრული, რომელიც დავიწყებას არ უნდა მიეცეს.

დოქტორი მილოშ ნედვედი, საუცხოო კეთილშობილი ადამიანია, რომელსაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა ის, რომ ტუსაღებს ყოველდღიურ დამხმარებას უწყევდა.

არნოშტ ლორენცი, რომელსაც ცოლი სიკვდილით დაუსჯევს იმისათვის, რომ მან ამხანაგები არ გასცა და რომელიც ერთი წლის შემდეგ სიკვდილით დასჯას არ შეუშინდა, რათა თავისი მეგობრები — „დამხმარე მუშები“ და „ოთხასიანის“ მთელი კოლექტივი გადაერჩინა.

ვაშაკ რეზკუ მისი დიდებული ჩაუქრობელი იუმორით.

თავდაქვრილი, ღრმად თავდადებული ანა ვიკოვა, სიკვდილით დასჯილი სამხედრო-საველე სასამართლოების დღეებში.

ენერგიული, უცვლელად მხიარული, მარდი, მარად ახალი გზების მომხსახველი „ბობლიოთეკარი“ სპრინგერი, ნაზი და ახალგაზრდა ბილევი...

**თავი მერვე**

**ისტორიის ფურცელი**

1943 წლის 9 ივნისი

ჩემი კამერის კარებთან ქაშარი ჰკილია. ჩემი ქაშარი. ჩქარი გამგზავრების ნიშანია. დამით გერმანიაში წამიყვანენ გასასამართლებლად და ასე შემდეგ. ჩემი სიცოცხლის ნატეხიდან დრო ხარბად ჰტეხს უკანასკნელ ნაკრებს ოთხას თერთმეტმა დღემ პანკრატის საპატიმროში წარმოუდგენელი სისწრაფით გაიზბინა. კიდევ რამდენი დღე რჩება? და როგორი?

საუკუთა, წერის შესაძლებლობა რომ დამრჩეს. მაშ ასე, ჩემი უკანასკნელი მოწმობა დამსწრესი, მოთხრობა ამბებზე, რომელთა უკანასკნელი მოწმე როგორც სჩანს, მე ვარ.

1941 წლის თებერვალში დააპატიმრეს ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური პარტიის მთელი ცენტრალური კომიტეტი და ამ შემთხვევისათვის მომზადებული სათადარიგო ხელმძღვანელობა. თუ როგორ მოხდა ეს, რომ

პარტიას ასეთი მძიმე ლახვარი ჩასცეს, ვერ გამოურკვეველია, შესაძლებელია, მის შესახებ თავის დროზე პარტიის გესტაპოელებმა მოგვითხრონ, როდესაც ისინი სასამართლოს წინაშე წარსდგებიან. როცა პეტრეკის სასახლეში ვიყავი, მე ვცდილობდი კვალს მიმეგნო, გამეგო, ეს ამბავი როგორ მოხდა, მაგრამ ამოიღ. აქ პროვოკაცია ერიო, მაგრამ იყო გაუფრთხილებლობის მნიშვნელოვანი ნაწილიც. იატაკქვეშეთში ორი წლის წარმატებით მუშაობამ ამხანაგების სიფხიზლე, ცოტა არ იყოს, მიიძინა. იატაკქვეშეთის ორგანიზაცია სივანეში იზრდებოდა, მასში ვებამდით ახალ ადამიანებს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც არალეგალურ მუშაობაში არ უნდა გამოგვეყენებინა. იატაკქვეშეთის ქსელი ფართოდებოდა, შეტად რთული და ძნელი იყო მისთვის კონტროლის გაწევა. პარტიის ცენტრალური კომიტეტზე დარტყმა, როგორც სჩანს, უკვე დიდი ხნიდან მზადდებოდა და მას მაშინ დაარტყეს, როდესაც გერმანია საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის ემზადებოდა.

პირველად ვერ წარმოვიდგინე დაპატიმრებათა მასშტაბი, ვუცდიდი ჩემი მეკავშირის ჩვეულებრივ მოსვლას, მაგრამ ის არა სჩანდა. ერთი თვის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ რაღაც მეტად მნიშვნელოვანი მოხდა, და უკვე მხოლოდ ლოდინი არ შეიძლება. მე კავშირის დამყარებისათვის ზომები მივიღე. სხვებიც ამივეს აკეთებდნენ.

პირველი, ვისაც მე შევხვდი, იყო გონზა ვისკოჩელი, ჩეხო-სლოვაკიის ცენტრალური რაიონების პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი. ეს იყო მოთავე ამხანაგი, რომელსაც უკვე მზად ჰქონდა ზოგი რამ მასალა „რუდე პრავოს“ გამოსაცემად. პარტიას ბეჭდვითი ცენტრალური ორგანო ხომ უნდა ჰქონოდა? მე მოწინავე დაეწერე, მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ მთელი მასალა საპირ-

ველმანის პროკლამაციის სახით გამოვეშვა, რადგან „რუდე პრაეზო“ უკვე გამოვიდა მეტად კუსტარული გამოცემით.

გათიშული მუშაობის თვეები დადგა. პარტიამ მძიმე დარტყმა განიცადა, მაგრამ მისი განადგურება მან ვერ შესძლო. ასობით ახალი ამხანაგები ჰკიდებდნენ ხელს დაპატიმრებულთა საშუაოს, დაცემული ხელმძღვანელების ადგილს თავდადებულად იკავებდნენ ახალი ადამიანები, რომლებმაც ყოველგვარი ზომა მიიღეს, რათა ძირეულ ორგანიზაციებს დაშლა ან პასიურობა არ მოსდებოდა. მხოლოდ ჯერ კიდევ არ იყო ცენტრალური ხელმძღვანელობა, მუშაობის პარტიზანული მეთოდები კი საფრთხეს შეიცავდა, რომ უმნიშვნელოვანეს წუთში — საბჭოთა კავშირზე მოსალოდნელ თავდასხმის დროს — ჩვენ მოქმედებათა ერთობლივობა არ გვექნებოდა.

მე ვიშოვე ერთი ცალი კუსტარულად გამოცემული „რუდე პრაეზის“ და მასში პოლიტიკურად გამოცდილი ამხანაგის ხელი ვიცანი. თავის მხრივ სხვა იატაკქვეშელებმაც დაინახეს ჩვენი ზაპირველმანის პროკლამაცია, (რომელიც, სამწუხაროდ, უკეთესთაგანი არ იყო), რომ აქ კიდევ ვილაც თავის არსებობის შესახებ ცნობას იძლევა, არის კიდევ ვილაც, ვისი იმედიც შეიძლება გქონდეს. ჩვენ ერთმანეთს ძებნა დაეწყეთ.

ეს იყო ძებნა უღრან ტყეში. ხმას გაიგონებ და მისკენ მიდიხარ, ხმა კი, დახე, უკვე სხვა მხრიდან ისმის. მძიმე დანაკლისებმა მთელი პარტია უფრო ფრთხილი, უფრო ფხიზელი გახადა, და ცენტრალური აპარატის ორი მუშაკი, რომლებსაც შეხვედრა უნდოდათ, იძულებულნი იყვნენ გადაეღახათ გაცივებისა და შემოწმების მრავალი დაბრკოლება, რასაც ისინი ერთმანეთს უწყობდნენ, მათ ორივეს კი ის ადამიანები,

რომლებიც მათ შორის კავშირს აბამდნენ. ყველაფერი ეს კიდევ იმით რთულდებოდა, რომ მეც კი ვიყავი, ვინ იყო ის მეორე, არც მან იცოდა, მე ვინ ვიყავი.

ბოლქას, ჩვენ ვიპოვეთ საერთო ნაცნობი. ეს იყო საუცხოო ახალგაზრდა, დოქტორ მილოშ ხედვედი. ჩვენ პირველად ერთმანეთს მან დაგვაკავშირა. ამაშიც ხელი შემთხვევამ შეგვიწყო. 1941 წლის ივნისის დამდეგს მე ავად გავხდი და მილოშთან ლიდა გავვხავე. იგი დაუყოვნებლივ მოვიდა ბაქსებთან, სადაც მე ვიპაღებოდი, და ჩვენ მაშინვე შევეთანხმდით. მასაც ჰქონდა დავალებული ძებნა „იმ მეორესი“, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ეს მე ვარ. როგორც ყველა ამხანაგი, ვისთანაც კავშირის დამყარებას ვცდილობდი, ის დარწმუნებული იყო, რომ მე დაპატიმრებული ვარ, და, ცხადია, უკვე მკვდარიც.

1941 წლის 22 ივნისს პიტლერი საბჭოთა კავშირის თავს დაესხა. იმავე გონჯასთან ერთად პროკლამაცია გამოვეშვი იმის განსამარტავად, თუ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ზალხისათვის. 30 ივნისს მოხდა ჩემი შეხვედრა მასთან, ვისაც ასე დიდხანს დავეძებდი. იგი დანიშნულ ადგილას მოვიდა, რადგან უკვე იცოდა ვისთან ჰქონდა საქმე. მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ის ვინ იყო.

ზაფხულის ღამეს გაღებულ ფანჯარაში აკაციის სურნელება იქრებოდა, — შესაფერი დრო იყო შეყვარებულთა შესახვედრად. ჩვენ ფარლები ჩამოვეშვი, სინათლე ავანთეთ... და ერთმანეთს გადავეხვიეთ. ეს იყო გონჯა ზიკა.

მაშ ასე, 1941 წლის თებერვალში მთელი ცენტრალური კომიტეტი არ იყო დაპატიმრებული. ვადარჩა ზიკა, ცენტრალური კომიტეტის ერთადერთი წევრი. მას დიდხანია ვიცნობდი და მიყვარდა, მაგრამ კარგად იგი მხოლოდ

ასლა ვაეიცანი, როცა ერთად მუშაობა დავიწყეთ. რველსახიანი, მომლიმარი, დაუთმობელი, გაბედული და თავდადებული პარტიულ მუშაობაში, პირადი ცხოვრებისათვის არ ზრუნავდა, არც სურდა ეზრუნა, მისთვის არსებობდა მხოლოდ მოვალეობა, რომელსაც ყველაფერზე მაღლა აყენებდა, უყვარდა აღამიანები, აღამიანებს კი ის უყვარდათ, ამ სიყვარულს კი ის არასოდეს უპრინციპო ლმობიერებით არ იმსახურებდა.

რამდენიმე წუთში ჩვენ ერთმანეთს ვაუგეთ. რამდენიმე დღის შემდეგ ვაეიკე. ვინ იყო ხელმძღვანელობის მესამე წევრი, რომელიც უკვე მაისიდან ზიკასთან ერთად მუშაობდა, ეს იყო გონზა ჩორნი — ახოვანი, მოხდენილი ახალგაზრდა, შესანიშნავი ამხანაგი, ესპანეთში ომის მონაწილე, საიდანაც ტყვეით ფილტვებგაზერეტილი დაბრუნდა, მას ქცევაში ყოველთვის ოღნაგე ჯარისკაცობა ეტყობოდა. იატაკქვეშეთის საქმეებში გამოცდილი, მოხერხებული, უცვლელად მოთავე კომუნისტი იყო.

შეუპოვარი ბრძოლის თვეებმა დიდებული მეგობრობით დაგვაკავშირა. ჩვენ — ჩვენი ხასიათით და უნართა ერთმანეთს ვავსებდით. ზიკა საქმიანი ორგანიზატორი იყო, მეტის-მეტად ზუსტი. არცერთ მშვენიერმოუბარს თავს არ მოატყუებინებდა, ყოველ წინადადებას ყოველმხრივ ასწონ-დასწონიდა და ლმობიერად, მაგრამ დაუნდობლად, ამოწმებდა ყოველი გადაწყვეტილების შესრულებას. ჩორნი დივერსიების ორგანიზაციას აწყობდა და შეიარაღებულ გამოსვლებს ამზადებდა, იგი სამხედრო ტერმინებით აზროვნებდა, მისთვის წერილმანობა უცხო იყო, საზრიანს და დაუღალავს მუშაობის ახალი ფორმების და ახალი აღამიანების ძებნა უყვარდა. და მე აგიტპროპი, გაზეთის მუშაკი, რომე-

ლიც ალღოს ვემყარებოდი, ოღნაგე მე-  
ოცნებე და — წონასწორობის დასა-  
ცავად — სეკტიკოსი. *მარტინული*

ფუნქციების განაწილება იყო, რასაკვირველია, უფრო განაწილება პასუხისმგებლობისა, ვიდრე მუშაობისა, რადგან თითოეულ ჩვენთაგანს უხდებოდა დამოუკიდებლად მოქმედება ყველგან და ყოველთვის. მუშაობა ადვილი არ არის. თებერვალში პარტიისათვის მიყენებულ ჭრილობას ჯერ კიდევ სისხლი სდიოდა და საესებით მისი შეზორცება არ ხერხდებოდა. ყველა კავშირით გაწყვეტილი იყო, ალაგ-ალაგ მთელი ორგანიზაციები ჩავარდა, ზოგიერთები, პირიქით, კარგად შენახულა, მაგრამ მათთან დაკავშირება არ ხერხდებოდა. მთელი ორგანიზაციები, მთელი მსხვილი წამოწყებები და ოლქებიც რამდენიმე თვეს განცალკევებული რჩებოდნენ, სანამ მათთან დაკავშირებას მოვახერხებდით. ვვარაუდობდით, რომ ამ ხნის განმავლობაში ამხანაგებს ხელში ჩაუვარდებოდათ „რუდე პრაკო“, რაც მათ პარტიული ხაზის გარკვევაში დაეხმარებოდა. არ გეჭონდა შესახვედრი ადგილები, ძველებით სარგებლობა ჯერ კიდევ საშიში იყო, — პირველ ხანებში არ გეჭონდა ფული, ძალიან ვევიჭირდა არალეგალურთა კება, ბევრი რამ — თავიდან უნდა დაგვეწყო. და ყველაფერი ეს იყო იმ დღეებში, როდესაც პარტიას უკვე მხოლოდ შექმნისა და მზადების უფლება კი არა ჰქონდა, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დღეებში, როდესაც საჭირო იყო ბრძოლაში ჩაბმა, ოკუპანტების წინააღმდეგ შინაური ფრონტის მოწყობა, მათ წინააღმდეგ „პატარა ომის“ გაჩაღება, ამასთან არა მხოლოდ თავისი, არამედ მთელი ხალხის ძალე-  
ბით.

მზადების წლებში 1939—41—პარტია ღრმა კონსპირაციას იცავდა არა მხოლოდ გერმანელი პოლიციის მიმართ,



არამედ ხალხის მიმართაც. ახლა კი მას, რომელმაც ბევრი სისხლი დაჰკარგა, სჭირდებოდა გაემტკიცებინა, სრულყოფილი გაეხადა კონსპირაცია ოკუპანტების მიმართ და ერთსა და იმავე დროს შეეწყვიტა კონსპირაცია ხალხის მიმართ; საჭირო იყო უპარტიოებთან კავშირი დაგვეწყარებინა, მთელი ხალხისათვის მოგვემართა, გვესაუბრა თითოეულთან, ვინც მზად იყო თავისუფლებისათვის ებრძოლა, და გადამწყვეტი მოქმედებით ასეთი მზადყოფნა აგვეზარდა მათში, ვინც ჯერ კიდევ შერყვობდა.

პირველად სექტემბრის დამდეგს შევეძლო თავისთვის გვეთქვა, რომ ჩვენ ისევ გვაქვს მაგარი საორგანიზაციო ბირთვი. თქმა იმისა, რომ აღდგენილი იყო მძიმედ დაზარალებული მთელი ორგანიზაცია, ჯერ კიდევ არ შეიძლება, მაგრამ იყო ბირთვი, რომელიც ნაწილობრივ მაინც შესწლებდა მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებას, და პარტიის მოქმედება მაშინვე გამოჩნდა: საბოტაჟი იზრდებოდა, ქარხნებში ფართოვდებოდა გაფიცვები. სექტემბრის ბოლოს ბერლინში ჩვენს წინააღმდეგ ჰეიდრიხი გამოგზავნა.

სააღყო მდგომარეობამ და სამხედრო-საველე სასამართლოებმა უკვე ვერ შესძლეს წელში გაეტეხნათ წინააღმდეგობის მზარდი მოძრაობა, მაგრამ მათ მისი ზრდა შეანელეს და პარტიას ახალი ზარალი მიაყენეს. განსაკუთრებით დაზარალდა პრადის საოლქო ორგანიზაცია, დაიღუპნენ ახალგაზრდა და ძველი მუშაკები, პარტიისათვის ფრიალ მნიშვნელოვანი მუშაკები: იან კრეიზი, შტანცალი, მილოშ კრასნი და ბევრი სხვა.

ყოველი დარტყმის შემდეგ ცხადი ხდებოდა, როგორი გამძლე იყო პარტია. დაიღუპა იტაკევეშელი: თუ მისი შეცვლა ერთს არ შეეძლო, — მის ადგილას ორი ან სამი დგებოდა. საა-

ხალწლოდ ჩვენ გვემართა მტკიცედ შეკრული ორგანიზაცია, რომელიც ჯერ კიდევ ყველაფერს ვერ სწავლობდა და 1941 წლის თებერვლის მასშტაბებს დაშორებული იყო, მაგრამ უკვე შეეძლო შეესრულებინა პარტიის ამოცანები გადამწყვეტ ბრძოლებში. ჩვენ მას ვემნიდით სამივე ერთად, მაგრამ უწინარეს ყოვლისა ეს გონზე ზიკას დამსახურება იყო.

იმის მოწმობა, თუ რა გაკეთდა პრესაში, მე ვფიქრობ, მოინახება უხვად სხვენებზე, სარდაფებსა და პარტიულ ამხანაგების საიდუმლო არქივებში, ასე რომ ამის შესახებ შეიძლება არ მოგითხროთ.

ჩვენი გაზეთები საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული, მათ ჰკითხულობდნენ არა მარტო პარტიის წევრები, არამედ უპარტიონიც. გაზეთები დიდი ტირაჟით გამოდიოდა, რამდენიმე დამოუკიდებელ, სავსებით განცალკევებულ იტაკევეშეთის „სტამბებში“ იბეჭდებოდა როტატორზე და სტამბური წესით. გაზეთების გამოსვლა რეგულარული და ოპერატიული იყო, როგორც ამას მდგომარეობა მოითხოვდა. მაგალითად, ამხანაგ სტალინის ბრძანება, 1942 წლის 23 თებერვლით დათარიღებული, მკითხველებმა მიიღეს უკვე 24 თებერვლის საღამოს. შესანიშნავად მუშაობდნენ იტაკევეშეთის მბეჭდავები, ექიმების ჯგუფი და განსაკუთრებით ჯგუფი „ფუქს-ლორენცი“, რომელიც უშვებდა საკუთარ საინფორმაციო ფურცელს „მსოფლიო პიტლერის წინააღმდეგ“. ყველაფერს დანარჩენს მე თვითონ ვაკეთებდი, რათა ადამიანები დამეზოგა. ჩემი დაპატიმრების შემთხვევაში მომზადებული მყავდა მოადგილე. ჩემი დაპატიმრებისთანავე იგი მუშაობას შეუდგა და აქამდე მუშაობს.

ჩვენ შევექმნით ფრიალ მარტივი პარტიული აპარატი ისე, რომ ერთ და-

ვალებას ვაძლევდით ადამიანთა მინიშალურ რაოდენობას. ჩვენ გვაუქმეთ „ჯაჭვისებრი დაკავშირების“ სისტემა რამდენიმე შუალედი რგოლებით, რადგან, როგორც 1941 წლის თებერვლის ჩაყარნამ დაგვანახა, ამ სისტემამ ვერ უზრუნველყო აპარატის უშიშროება, პირიქით, ახალი დარტყმის ქვეშ დააყენა. ახლანდელი პრაქტიკა თვითონ ჩვენთავანს უფრო მეტ პირად საფრთხეს უქმნიდა, მაგრამ პარტიისათვის ეს უფრო საიმედო იყო. ისეთ დარტყმას, როგორც თებერვალში, ჩვენ უკვე ვერავინ მოგვაყენებდა.

ამიტომ, როდესაც მე დამაპატიმრეს, ცენტრალურ კომიტეტს, ერთი წევრით შევსებულს, შეეძლო მუშაობა დამშვიდებულად განგვრძო. ცენტრალური კომიტეტის პერსონალური შემადგენლობა ჩემმა უახლოესმა თანაშემწემაც კი არ იცოდა.

გონზა ზიკა 1942 წლის 28 მაისს ღამით დააპატიმრეს, ესეც კვლავ უბედური შემთხვევა იყო. ჰეიდრიხზე ზეყოფის შემდეგ ღამით ოკუპანტების მთელი აპარატი ფეხზე დადგა და პრალში ხალხს განურჩევლად იჭერდა. გესტაპოელები იმ ბინაშიც მივიდნენ, სადაც ზიკა იმალებოდა. მას საბუთები მოწესრიგებული ჰქონდა, და ყველაფერი, ალბათ, მშვიდობიანად დამთავრდებოდა, მაგრამ ზიკამ არ მოისურვა საფრთხეში ჩაეგდო ოჯახი, სადაც ცხოვრობდა და შეეცადა ფანჯარადან გაპარულიყო. მეორე სართულიდან ჩამოვარდა, ხერხემალი სასიკვდილოდ დაიზიანა, საპატიმროს საავადმყოფოში მიიყვანეს. გესტაპოელებს იმის წარმოდგენაც არ ჰქონდათ, ხელში ვინ ჩაუვარდათ. მხოლოდ თერაპეტი დღის შემდეგ, ფოტო ალბომებით რომ შეამოწმეს, გამოარკვეეს ზიკას ვინაობა და მოშაკვდავი დსაკითხავად პეტრეკის სასახლეში წაიყვანეს. იქ ვნახეთ ერთმანეთი უკანასკნელად,

პირში წასაყენებლად მიმიყვანეს მასთან.

ერთმანეთს ხელი გავუწოდეთ, მთელი სახით გულკეთილად გამიღობ და მითხრა:

— გამარჯობა, იულიუს! მისგან მეტი არაფერი გაგვიგონია. არავითარი ჩვენება არ მიუცია. სახეში რამდენიმე გარტყმის შემდეგ გრძნობა დაკარგა, რამდენიმე საათში მოკვდა.

მისი დაჭერის შესახებ მე უკვე 29 მაისს ვიცოდი, — საპატიმროს დაზვერვა წესიერად მუშაობდა. მისი დაზმარებით ჩვენ შევთანხმდით მომავალში თავი როგორ დამეჭირა დაკითხვებზე. შემდეგ ეს გეგმა გონზა ჩორნიმაც მოიწონა. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საერთო გადაწყვეტილება.

გონზა ჩორნი დააპატიმრეს 1942 წელს, ზაფხულში. ეს იყო უკვე არა შემთხვევა, არამედ უხეში უდისციპლინობა იან პოკორნისა, რომელიც ჩორნის მეკავშირე იყო. პოკორნის თავი ისე არ ეჭირა, როგორც ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკს შეეფერებოდა. რამდენიმე საათის განმავლობაში, მართალია, საკმაოდ უღობიერი დაკითხვის შემდეგ, მაგრამ სხვა რამ განა მოსალოდნელი იყო? — მან სულმოკლეობა გამოიჩინა და გასცა ადგილი. სადაც ჩორნის ზედებოდა. იქიდან კვალი ჩორნისაყენ მიდიოდა, რამდენიმე დღის შემდეგ ჩორნი გესტაპოელებმა ხელში ჩაიგდეს.

მას მაშინვე პირში წაიყვანეს.

— იცნობ ამას?

— არ ვიცნობ.

ჩვენ ორივემ ერთნაირად ვუბასუხეთ. შემდეგი ჩვენებების მიცემაზე გონზამ უარი სთქვა. ძველმა ჭრილობამ იხსნა ის ხანგრძლივი ტანჯვისაგან: მან გრძნობა დაკარგა. მეორე დაკითხვისთვის ჩორნიმ ჩემგან უკვე მიიღო ყველა აუცილებელი ცნობები და თავი ეჭირა მათ შესაბამისად.

გესტაპოლებმა მას ვერაფერი გამოსტყუეს. იგი დიდხანს ჰყავდათ საპატიმროში, ელოდნენ, რომ მოწმეთა რაიმე ახალი ჩვენებანი მას ამზილებდნენ და ალაპარაკებდნენ. მაგრამ ამას ვერ ეღიბნენ.

საპატიმროს გონზა არ შეუცვლია. მკვირცხლი, მხნე, გულადი სხვებს უხსნიდა ამ ამბის შემდგომ პერსპექტივებს, თუმცა თვითონ მას წინ მხოლოდ სიკვდილის პერსპექტივა ჰქონდა.

1943 წლის აპრილის ბოლოს იგი მოულოდნელად პანკრაციის საპატიმროდან წაიყვანეს. სად, არ ვიცი, აქ ტუსალების მოულოდნელი გაქრობა ყოველთვის ავის მომასწავებელია, შეიძლება, რასაკვირველია, შეცდომაც, მაგრამ მე

არა ვფიქრობ, რომ ჩვენ ოღესვე ერთმანეთს ვნახავთ.

ჩვენ სიკვდილის სემინარებში ვუვლეთვის ანგარიშს ვუწევდით. ვიცოდით, თუ გესტაპოში მოხვდები — ეს ნიშნავს დასასრულს. ეს კარგად გვესმოდა და აქაც ვმოქმედობდით.

ჩემი თამაში მთავრდება, მისი დასასრული მე არ დამიწერია. არ ვიცი, როგორი იქნება ის. ეს უკვე თამაში აღარაა. ეს ცხოვრებაა. ცხოვრებაში კი მაყურებლები არ არიან.

ფარდა აწეულია.

ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ო, მე თქვენ მიყვარდით! იყავით ფნიზლად!

9. 6. 43

თარგმანი იროდიონ მახვარაძისა

## სამი ლექსი



### გაზაფხული

აქეთ მიწვევდნენ ჩემი ფიქრები,  
წინ მიმიძლოდა თეთრი აპრილი.  
შორს ჰორიზონტზე იწვეა ნისლები,  
თითქოს რძე იყო მთებზე დაღვრილი.

წინ მიმიძლოდა ვით თანამგზავრი,  
ნისლად ეხვია ალუბლის რტოებს,  
მაგრამ აღმართზე მე გაეასწარი,  
ის კი მდინარის ხევე დაეტოვე.

ცას მახლოებს ბზიბის გორები,  
შორით კოშკები ჩანს ნახანძრალი;  
მდინარის ტალღებს ფიქვის შორები  
წელზე ჰკიდია, როგორც ხანჯალი.

კავკასიონის მწვერვალებს იქით  
გადაიარეს ზამთრის წვიმებმა.  
მიკვირს: ამდენი კლდეების ტვირთი  
რომ დედა-მიწას არ ემძიმება.

კავკასიონზე ისევ დარია,  
მთებს გადაეცქერი სულგანაბული  
და მიხარია, გულს უხარია,  
რომ ამ მთებშია ჩემი მამული.



### ჩრდილოეთ საქართველოში

ქლუხორის მთები, ტებერდას მთები  
შორს, კავკასიის მწვერვალებს იქით.  
აქაც მე ქართულ განთიადს ეხედები  
სიყვარულის და სიცოცხლის ფიქრით.



ეს მხარეც შეხვდა სისხლიან მახვილს,  
აწაც სიკვდილმა გაიჯირითა,  
ავედან სურდათ, ქართველი ხალხი  
რომ აღეგავათ მიწის პირიდან.

მაგრამ ქლუხორის მთებმა დიადმა,  
მაგრამ ყუბანში მდგარმა კლდეებმაც  
მტერს დაატეხეს რისხვა ზვიადად,  
მთაც სასიკვდილოდ მომხედურთ შეება.

ზოლო ქართველ კაცს აჩვენა გზები,  
ძნურად შეიტკბეს მათ ერთმანეთი  
და გაიფურჩქნა ქლუხორის მთები,  
როგორც რაჭა და როგორც სვანეთი.

და სადაც ოდეს ურდოთა რაზმი  
აპარტახებდა ამ ლამაზ ბალებს,  
აქ ქართველებმა გადმორგეს ვაზი  
და სიხარულის დღე გააჩაღეს.

მათთან სიცოცხლე არ მოგწყინდება,  
გულს შთააგონებს სიმღერას მრავალს;  
აქ მადნისხევეში ოქრო ბრწყინდება,  
ტებერდას მთებში გალაღებს შავა.

აღსრულდა რასაც ხალხი ელოდა,  
მზით შეიმოსა ქალაჩა მთები  
და შორს გაისმის საქართველოდან  
გამარჯვების და დიდების ზმები!

★

### სადღმებრძელო 100 წლის კაცისა

როცა მთებს იქით დილამ ინათა  
და ჩვენ თვალის წინ აღსდგა ასი მთა,  
სტუმრად წავედით ჩარქსელიანთან,  
სანთლის არაყით გაგვიმასპინძლდა.

ლხინში შეჯიბრი გავმართეთ მკაცრი  
და შეჯახება გეჭონდა სასმისთა,  
თამადად გეყავდა ასი წლის კაცი,  
გათეთრებული როგორც ფასის მთა.

არწიველ მზერით გვზვერავედა სტუმრებს,  
 ჯანს გვისინჯავედა ბარელ ყმაწვილებს;  
 ქვეყნის ავ-კარგზე გავესაუბრეთ,  
 ჩვენი გულისთქმა გავუნაწილეთ.



აილო კიქა, სურათს ახედა,  
 თქვა: „დღეგრძელ იყოს ეს ჩვენი მახვში,  
 ვინაც მომასწრო თვალის ახელას  
 და მზე აანთო მთების წიაღში.“

იდიდოს მარად მისი, მარჯვენა,  
 მის სადღეგრძელოდ გვესება ფიალა,  
 სამშობლოს მტერი ვინც შეაჩვენა  
 და ძლევის დროშა ააფრიალა!“  
 შემდეგ დაგვლოცა ჩვენაც ხმიანად,  
 მამა-პაპათა საფლავი გვიქო;  
 მას ჩვენი ნახვა ისე იამა,  
 დღეს დაიბადა პირველად თითქოს.

როცა მთებს იქით დილამ ინათა,  
 ლხინში შეჯიბრი გავმართეთ მკაცრი.  
 სტუმრად ვიყავით ჩარქსელიანთან,  
 თამადად გეყავდა ასი წლის კაცი.



## კარავი ხვამლის ძირში



დილიდან მთებში სიარულისა და მუშაობის შემდეგ სამივე დაღლილი იყო.

ნაპოვნი მინერალების ნიმუშები ილიამ აბგაში ჩაჰყარა, მოიგდო მხარზე და ბილიკით ჩამავალ ამხანაგებს გაჰყავა.

ფრთხილად ჩაიარეს ციცაბო და ჩავიდნენ ხევში, სადაც დილით ცხენებმა და გამყოლი დასტოვეს.

მოლოდინში, სანამ დაქირავებული სოფლელი საბალახოდ გაშვებულ ცხენებს მოიყვანდა, სამივენი ჩრდილქვეშ მოლოზე წამოწნენ.

— აქედან წამსვლელი არა ვარ, — წაიბუბუნა ილიამ. — განძრევის დონე აღარ მაქვს.

იმის შემდეგ, რაც მიწაზე გაშობილმა დასვენების სიტკბო იგემა, დაღლილობა კიდევ უფრო ძლიერად იგრძნო. ახლა იმაზე ფიქრიც კი აწუხებდა, რომ ბანაკში დასაბრუნებლად გრძელი გზა უნდა გაეელო.

— დავრჩეთ, აქ გავითენოთ... ა, რას იტყვით? — თითქმის მუდარა ისმობდა ილიას ხმაში. — მაინც ხომ აქვე უნდა დავბრუნდეთ ხვალ?

ამხანაგებმა არ უპასუხეს. შესაძლოა არც გაუგონიათ მისი ბუზღუნო. თითონაც ძალზე დაღლილნი, გასულდრული იწვნენ.

მზე დაბრლიყო დასავლეთისკენ. ხვამლის მთა, ამართული სუფთა ეთერის სიმაღლეში, ლაპლაპებდა საღამოს მზის სხივებში გახვეული. უზარმაზარი ქვის ტიტველი კედელი გავარგარებული მოსჩანდა. ქვევით, ხე-

ში, ჰაერი შეხუთული იყო. ხეებზე უსიცოცხლოდ ეკიდა ხვატისგან შეწუხებული ფოთოლი.

მცხუნვარე მზის ქვეშ ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ ილიას სახე ეწოდა, სტკიოდა კუნთები, მთელი სხეული მოდუნებოდა თავი თითქმის ბურანში ჰქონდა. მაგრამ ის მაინც კმაყოფილი იყო. ამ დღეს, ჯერ კიდევ დილით, იმედი გაუმართლდა ექსპედიციას და ბარიტის ბუდობს წააწყდა. შრე დიდ მანძილზე მიიმართებოდა. მისი პოვნა საესეებით ანაზღაურებდა მრავალი დღის განმავლობაში თავდაუზოგველ შრომას, გათენებიდან დაბინდებამდე ხევში და კლდეებზე ხეტიას, ხშირად უნებურ შიმშილს, სადმე მთაში ღია ცის ქვეშ ღამის თევას და ათასგვარ სხვა გასაჭირს, ხელუხლებელი ბუნების წიაღში ცხოვრების გამო აუტღენელს.

ახლა, ჩათვლემილი, ილია მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, რომ დაბრუნდებოდა თუ არა კარავში, მაშინვე დაიძინებდა. ამაზე ფიქრიც კი ტკბილი იყო... მეგობრები თუ დაეთანხმნენ და აქვე დარჩნენ ღამის გასათევად, ეს ხომ ყველაფერს აჯობებს. მაშინ აღარ მოუხდებოდა აღმართ-დაღმართებში უნაგირზე ყანყალი და დროსაც მოიგებს უფრო ზანგრძლივი ძილისათვის...

თავისთვის შეუმჩნევლად მალე ჩაეძინა.

გამოეღვიძა მაშინ, როცა ვიღაცამ ღონივრად შეანჯღრია.

— რა დაგემართა, ადამიანო, ხომ არ მოკვდი? — თავზე დადგომოდა ირაკლი და უკვე თვალგახელილს მინც არყევდა.

გამყოლს გამოეყვანა, ცხენები და კიდევაც შეეკაშმა. პირველი, რაც თავში გაუელვა ილიას, ის უსიამო ფიქრი იყო, რომ ადგომას აიძულებდნენ. უკმაყოფილოდ მიმოიხედა, რამდენიმეჯერ გაიზმორა, მაგრამ ბოლოს მხარი იცვალა და ისევ გაინაბა.

— უჩქარე, შენიჭირიმე, თორემ ვერ მოვასწრებთ! — მაშინვე მიაძახა გამყოლმა.

ილიას ენიშნა, რომ ის რატომღაც შეშფოთებული იყო.

— რა მოხდა? — იკითხა გაკვირვებულმა და წამოდგა.

გამყოლი გლეხი, შუბლზე საჩრდილებლად ხელომფარებული, ცას აკვირდებოდა. ეთერი ისევ სუფთა იყო. მხოლოდ ერთ ადგილას შორეულ მწვერვალის თავზე გაურყვევლად იდგა მალა აზიდული ვეებერთელა ღრუბელი, საოცრად თეთრი და სპეტაკი.

პირი კიდევ უფრო დამძიმებულიყო. გარშემო სიჩუმე იყო. დროდადრო სადმე კლდეს მოსხლტებოდა ქვა და უფსკრულისკენ დაგორდებოდა, მაგრამ შთის მყუდროებას ეს ხმა ოდნავად არ არღვევდა. პირიქით, ამის შემდეგ სიჩუმე თითქოს უფრო საგრძნობივ ხდებოდა.

გამოცდილი გლეხი გრძნობდა, რას მოასწავებდა ბუნების ასეთი გარინდება. მან ხანგრძლივად მიაჩერა თვალი ცის ერთ მხარეს და ბოლოს ყველას ურჩია საჩქაროდ გასდგომოდნენ გზას.

— სისულელეა... ჩინებული ამინდია! — ხელი ჩაიქნია ილიამ, მაგრამ თითონაც შეფოფხდა ცხენზე და მორჩილად მისდია ამხანაგებს.

ხევის ბილიკი ჩაათავეს და გორაკის ფერღობს შეუდგნენ, როცა მოესმათ შორეული გრგვინვის ხმა. რამდენიმე

წუთში სრულიად შეიცვალა ამინდი. ჯერ პატარა მუქი ღრუბელი, თითქოს აქამდე სადღაც ახლო ყოფილიყო ჩასაფრებული, ამოძვრა შთან თავზე, ზღაზვნით გადაუარა მან ხვამლის წვერს და გადნა სივრცეში. პირველის კვალზე სხვებიც გამოჩნდნენ და ცხელმა პერმაც დაუჭროლა. აქამდე უძრავი დიდი თეთრი ღრუბელი შეტოტმანდა, დაიფლითა და პატარა ნაჭრებად გაიშალა. ცამ ერთბაშადვე დაპყარვა ლურჯი სიღრმე. ღრუბლებში გახვეული ხვამლი ახლა სჩანდა რუხი, უფრო მაღალი და თანაც მრისხანე.

ჯერ კიდევ შორიდან, მაგრამ უფრო გარკვევით ისევ მოისმა ქუხილი. უცბადვე ჩამოხნულდა. მთიულური პატარა ცხენები თითქოს წვიმის მოახლოებას გრძნობენო, მარდად მიაბიჯებდნენ.

ის იყო ბანაკს მიაღწიეს, როცა ქარმა აამოძრავა ტყე და წვიმის პირველი მსხვილი წვეთების ტლაშანი გაისმა.

— ხვალ თუ დარი იქნა, ცხენებს აღერე მოიყვან! — აღვირი გამყოლს გადასცა ილიამ და კარავში შევიდა.

ირაკლი, როგორც ყოველთვის, მაშინვე შეუდგა თადარიგს, — სანთელი აანთო, თეთვები დააღაგა, კონსერვეები გახსნა და კერძის გასაცხლებლად ნავთურაზე ტაფა დადგა.

— ნეტავი შენ, ამდენი დავიდარაბის თავი გაქვს! — ხელი ააღებინა ილიამ. — მაგის ლოდინში საუკუნე გაივლის. როგორიცაა, ისეთი ვკამოთ და დაეიძინოთ.

გარეთ უკვე მრისხანებდა ბუნება. პირველი ქუხილი მოთავებული არ იყო, როცა მეორე მოსდევდა. ბობოქრობდა ქარი, ხმაურობდა ტყე. წვიმა კი არა, თქეში იყო, თავსხმა. კარავის ქუტრუტანებში ხშირად ანათებდა ელვა.

ვახშამი მალე მოათავეს. ილიამ და რაქდენმა მაშინვე საწოლებს მათუ-

რეს. ირაკლი ერთ ხანს კიდევ იჯდა მაგიდასთან, პაპიროსს სწევდა და თავისთვის ბურტყუნებდა:

— კარგი იყო ახლა ერთი ქიქა ცხელი ჩაი... ერთი ქიქა, გულის ჩასაწმენდად...

ებრძოდა თავს, ამდგარიყო თუ არა ჩაიდანის დასადგმელად. ჩაიც ენატრებოდა, მაგრამ განძრევაც არ უნდოდა. ბოლოს ხელი ჩააქნია და დაძინება არჩია.

— უნდა დავწვე და სანთელი ჩავაქრო... სანთელი ჩავაქრო... — ესეც ეზარებოდა, აბოლებდა თამბაქოს და მაგიდაზე თავდაზირილი ყვინთავდა.

სადღაც ახლო მეხმა დაჰქარა. ხმა ძლიერი და მრისხანე იყო. ჩათვლემილი ირაკლი უნებურად გამოფხიზლდა, წამოდგა და სანთელით ხელში საწოლისკენ წავიდა.

— რას დაბორიალობ, მამაცხოვნებულო? ჩააქრე და მოსიყენე! — საბანი თავზე წაიხურა რაქდენმა, რომელსაც სინათლეში დაძინება არ შეეძლო და ფიქრობდა, რომ ირაკლი ჩვეულებრივად ახლაც სასთუმალთან დადგამდა სანთელს და არ ჩააქრობდა, სანამ წიგნის კითხვით თვალს არ დადლიდა.

გარედან უეცრად რაღაც უცხო ხმა მოესმა ირაკლის. შეჩერდა. მიაყურადა... ასხამდა წვიმა, მოშულოდა ღელე, შრიალებდა ტყე.

— ქარია, ტიალი! — გაიფიქრა, დაწვა და სანთელი ჩააქრო.

თითქმის მაშინვე ისევ ის ხმა გაიგონა. თითქოს ადამიანი იძახდა, თითქოს ვიღაც სასოწარკვეთით გაჰკიოდა.

სწრაფად წამოდგა, სანთელი აანთო, ქურჭი მხრებზე მოიგდო, კარვის კალთა გასწია და გაიხედა.

— ეჭვი! ეჭვი! — გასძახა ღამეში.

კარავში მყოფთ გამოეღვიძათ.

— რა მოგვლანდა? — თავი წამოპყო ილიამ.

— ყოველთვის მაგან უნდა ასტეზოს ალიაქოთი! — ბუზღუნებდა ძლიერდამფრთხალი რაქდენი *გაბრიელისა*.

ირაკლიმ ყურადღება არ მიაქცია ამხანაგების უკმაყოფილებას, ქურჭი თავზე წაიხურა და გარეთ გავიდა.

ერთხანს არ დაბრუნებულა, შემდეგ ილიას და რაქდენს ლპარაკი მოესმათ, ბოლოს კარვის კალთა გაიხსნა და ორი ადამიანი გამოჩნდა.

— აქეთ, აქეთ! — ვილაცას შემოუძღვა ირაკლი.

უცნობი, ქალი აღმოჩნდა, ორიოდ ნაბიჯი გადმოდგა მან, რუკაჰაი ჩამოიხსნა და მიწაზე დაავლო.

ფერადი თავსაფრით წაქრული თავიდან და ტანსაცმელიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. სიცივისა თუ შიშის გამო ცახცახებდა.

ქალმა უცნობ მამაკაცებს თვალი მიანერა, თავს ძალა დაატანა და აკანკალებული ხმით წაიღულღულა:

— ბოდიშს ვითხოვ, ავაფორიაქეთ ამ ღამეში...

სადღაც სულ ახლო მეხმა დაჰქარა. ამ ხმაზე შემკრთალი ქალი ერთბაშად მოსწყდა ადვილს, გაექანა კარავის შუაში დადგმულ მაგიდისკენ და ხელები ჩასჭიდა, თითქოს შეეღას მისგან მოელოდა.

— ნუ გეშინიათ, — ალერსიანად ხელი მოხვია ირაკლიმ. — ასეთი ქუზილი მთებში ჩვეულებრივი ამბავია... თქვენ სულერთიანად სველი ხართ... ასე ხომ ვერ იქნებით? — მიტრიალდა, ჩემოდანი გახსნა და თავისი ტანსაცმელი ამოიღო. — აბა, გაიხადეთ და ეს ჩაიცვით... არა უშავს რა, სანამ თქვენი კაბა გაშრებოდეს, მანამდე მამაკაცად ჩათვალეთ თავი...

კარავში ისევ განახლდა ცხოვრება. ილია და რაქდენი ადგნენ.

ქალმა გადაიკვა და მასპინძლებს შორის გაერია. მისი გამოხედვა და მოუსვენრობა ცხადად ამჟღავნებდა,

რომ გამოვლილი შიში ჯერ კიდევ არ გაქრობოდა.

— რა ბედნიერებაა, რომ თქვენს კარავს წაეწყვიდ...— ღრმად ამოისუნთქა და გაღიძება სცადა. — არ ვიცი, რა უნდა შექნა, ამ ღამეში რომ ცისქვეშ დავრჩენილიყავ... რა კარგი კარავი გქონიათ!

ისეთი გულწრფელობით სთქვა, ისე ხალისიანად, რომ მამაკაცებმა უნებურად თვალი შეაღლეს იქაურობას, თითქოს თითონაც პირველად ხედავდნენ.

ირაკლიმ ახლა ისიც შენიშნა, რომ შიგნით წესრიგი კი არა, არეული იყო ყველაფერი. სახელდახელოდ გაკეთებულ თაროზე დალაგებული იყო მინერალების ნატეხები, — ალბასტრი, კვარცი, ბარიტი. იქვე ეწყობილის საფერავი, პატარა სარკე, წიგნები და ბაწარი. კუთხეში ეყარა ჩემოდნები და რაღაც ყუთები. ფიცრულ საწოლებზე ერთმანეთში არეული იყო საბნები, ბალიშები, ქურჭი, ნაბადი.

— ასეა თუ ისე, სტუმარი ღვთისაა. — გადახედა ილიამ ამხანაგებს. — ზრუნვა და მასპინძლობა გვმართებს...

— არა, არა! არაფერი არ მინდა, ჩემთვის არაფერზე შეწყუხდეთ. ისედაც დაგიფრთხეთ ძილი... — უცბადვე უარზე დადგა ქალი.

— მოსვლა თქვენი ნება იყო, ახლა კი მეტი ძალა არაა, ჩვენ უნდა დაგვემორჩილოთ! — უკვე შეუდგა თადარიგს ირაკლი.

ქალი ერთხანს კიდევ უარობდა, მაგრამ როცა დაინახა, მამაკაცები თავისას არ იშლიდნენ, ხელები დაიკაპიწა და ხალისიანად სთქვა:

— მაშ რადგან თქვენსას არ იშლით, დიასახლისობა მე მომანდეთ. ეგ თქვენი საქმე არაა. მამაკაცები ასეთ უბრალო საქმეში უმწეონი ხართ!

ქალი შინაურებით დატრიალდა კარავში.

— თქვენ დასხედით და მოისვენეთ, — მოიშორა ირაკლი, — მხოლოდ ხელს შემიშლით, მეტი არაფერი.

თითქმის ბრძანების კილოთი სთქვა ეს. ირაკლიც მორჩილად მოშორდა და სხვებთან ერთად მაგიდასთან ჩამოჯდა.

— ასე ვგრძნობ, დღეს ჩვენ ვიქნებით თქვენი სტუმრები! — გაეცინა რაედენს. მას შიოდა ძალზე და ახლა კიდევაც სიამოვნებდა, რომ ვახშამი ელოდა.

ქალი საქმიანობდა სწრაფად და თან ხალისიანად ლაპარაკობდა.

— ჰო, მაგრამ ასე როგორ იქნება! — უეცრად წამოიძახა მან, — მე უკვე შინაურებით ვარ, ერთმანეთს კი ჯერაც არ გავცნობივართ!

ქალი გამოეცნაურა მათ: მანანა ბეგიაშვილი, მუშაობს ასპირანტურაში, სამეცნიერო შრომის დასაწერად ემზადება და სოფლებში ახალ ფოლკლორს აგროვებს...

მამაკაცებმაც თავისი ვინაობა უთხრეს.

— მეც ასე ვიფიქრე, რომ გეოლოგები ხართ! — კმაყოფილებით სთქვა მანანამ. — ყოველთვის მეხარებოდა თქვენი სპეციალობა. თქვენს მუშაობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული, დიდი სარგებლობა მოგაქვთ ქვეყნისთვის, მაგრამ, მერწმუნეთ, არც ჩემი საქმეა სულ უმნიშვნელო... თქვენ რატომ გაიღიმეთ? — უეცრად წარბშეკრული მიბრუნდა ილიასკენ. — არ მეთანხმებით? თქვენი ზრით — მე ტყუილად ვკარგავ დროს?

— ფიცო, რჯული, არც მიფიქრია! — თავი იმართლა ილიამ. — ეგ საიდან მოიაზრეთ?

მას მართლაც რამდენიმეჯერ გაეღიმა, როცა მანანას უსმენდა, მაგრამ დიმილი მოგვარა არა იმ გარემოებაში, რომ კვენხად და უსარგებლო დროს

დაკარგვად მიიჩნდა სოფლებში მისი ხეტიალი. ილია სიამოვნებით უსმენდა მანანას, რომლის ლაპარაკი ეღურტულს უფრო გაედა. მის სახეში, მოძრაობასა და ხმაში შეულახავი სიწმინდე იგრძნობოდა. დაუსრუტელი ხალისი სჩანდა ამ ქალიშვილში. ალბათ არავის აპატიებდა ილია, რომ ძალზე დაღლილი გააღვიძეს და ააყენეს საწოლიდან. ამ სიცოცხლით სავეს არსებამ კი იმდენი ხალისი შემოიტანა ასე მოულოდნელად, რომ დაღლილობასაც აღარ გრძნობდა, უხაროდა კიდევაც მისი შეხედვა. და სწორედ ეს სიხარული იწვევდა ღიმილს. ილია მზად იყო დაუსრულებლად ეცქირა და ესმინა მისთვის.

— რომ იცოდეთ, რამდენი რამ ვნახე და ჩაეწერე! — წუთიერი შეჩერების შემდეგ თავის საქმეს დაუბრუნდა მანანა და ისევ აელურტულდა. — ნახულმა და გაგონილმა ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ ხალხში უკვდავია სიმღერის ძალა. მერე იცით, რას მღერის და რა ამღერებს? სიცოცხლის ხალისი! და ეს მარტო სიტყვები კი არაა... საქმიანაც და შრომიანაც ამას გამოხატავს.

მანანამ უამბო მათ ზოგი რამ იმათზედაც, ვინც ამ დღეებში ენახა: სისხლიან ველებიდან გამარჯვების შემდეგ დაბრუნებულ ახალგაზრდა სოფლელებზე, რომელნიც ხარბად დასწაფებოდნენ ჩვეულ საქმეს და განახლებულ ცხოვრების შენებას შესდგომოდნენ; სოფლის სიწმინდით შემკულ დედებსა და ქალიშვილებზე და კიდევ ერთ მოხუც, ძალზე მოხუც გლეხზედაც, რომელიც უვლიდა მის მიერვე ამ გაზაფხულზე ჩაყრილ ხეხილებს. მოხუცი მათ ყვავილობას ვერ შეესწრებოდა, ეს თითონაც კარგად იცოდა, მაგრამ შრომობდა იმისათვის, რომ შემდგომებს რეკებოდათ იმ ხეების ტკბილი ნაყოფი.

— აი ნამდვილი ღიმილება ჩვენი ხალხის!.. მე დიდი მასალა შეგეგაროვე და ახლა მინდა ყველასთვის ჩიხი! ეს სიმღერიდრე. არ იფიქროთ, რომ ხს. მრტ. ლილი ფანტაზიის ნაყოფი იყოს და სხვა არაფერი. ყოველი სიტყვა ფიქრია იმ ადამიანის, ვინც ახალს აშენებს, ვისაც დღეისა და მომავლის რწმენა გააჩნია, ვისაც მართალი და წმინდა გული აქვს...

— მათ შორის ჩვენც გვიგულისხმეთ! — თავმომწონედ და ღიმილით სთქვა ირაკლიმ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — მიეხალისა მანანა. — განა თქვენი შრომაც არ ქმნის ახალ სიმღერებს?

საუბარში და ქალის ეღურტულში შეუმჩნეველად გადიოდა დრო. ნახევარ საათს არ გაუვლია, მაგიდა გასუფთავებული იყო, ჭურჭელი დარეცხილი, პრიმუსზე ადუღდა ჩაიდანის და ტაფაზე ზორცი აშიშინდა. გაცხელებულმა ზორცმა სასიამოვნო სურნელება მოაქვია კარავში.

როცა ყველაფერი მომზადდა, ოთხივენი სუფრას შემოუსხდნენ. სტუმრის პატივსაცემლად ილიამ მეორე სანთელსაც მოუქიდა.

ასეთი სიამოვნება დიდხანია არ განეცადა ილიას. წვიმა ასხამდა ბრუნენტს, გარედან ისმოდა ქარის ზუზუნის, ხშირი ქექა-ქუხილი, მოდიღებული დღეების ხმაური, კარავის შიგნით კი სხვა სამყარო იყო, — სიმშვიდე, სინათლე, სითბო, ხალისი. და ყველა ეს სიკეთე ამ ახალგაზრდა ქალიშვილს შემოეტანა.

— რამდენია კიდევ მისი მსგავსი ჩვენს ქვეყანაში! — ფიქრობდა ზოლმე ილია.

ალარავენ ნანობდა, რომ დაუპატიებელმა სტუმარმა მოსვენება და ძილი გაუტეხათ. მხნედ გრძნობდნენ თავს.

— დიდხანია ასე ვგმრიელად არ

მივახშვია! — მადიანად ილუქმებოდა რაედენი.

ახლა უკვე მამაკაცები ალაპარაკდნენ. ხალისით მოიგონეს ათასგვარი თავგადასავალი, რომელიც მთებში ჰეშაობის დროს გადახდათ, გაუზიარეს მანანას დღევანდელი გამარჯვების სიხარული და ბოლოს ისიც სთქვეს, თუ რა დაქანცულნი დაეყარენ საწოლზე.

— მე კი დაგიფრთხეთ ძილი! — შეწუხდა ქალი ამის გავონებაზე და მზრუნველობით დაატანა: — ახლავე უნდა დაწვეთ, ახლავე!

მამაკაცები უკვე ნანობდნენ, რომ დაღლილობაზე დასცდათ სიტყვა. შეეცადნენ გაეგრძელებიათ საუბარი, მაგრამ ქალი გაჯიუტდა და მოითხოვა მათგან ახლავე მოესვენათ.

— კეთილი, გაძლევეთ კიდევ ათი წუთის დროს... — დათანხმდა მანანა, რომ არ აშლილიყვნენ სუფრიდან, სანამ პაპიროსის მოწვევას არ დაამთავრებდნენ.

მანანა გულწრფელად მადლობელი იყო სამივესი არა მხოლოდ იმისათვის, რომ ამ საშინელ დამეში შეიფარეს და მზრუნველობა გამოიჩინეს; სიამოვნებით შესცქეროდა მზისგან დაშფვარ ვეჟაკატორ სახეებს და უნდოდა ეთქვა, რომ გახარებულია მათთან შეხვედრით, გაცნობით და რომ ისინი, ცხადია, კეთილი და კეთილშობილნიც არიან.

— ჰო, მაგრამ ასეთმა ახალგაზრდებმა როგორ მოასწარით ამხელა წვერ-ულვაშის მოზრდა? მოსაპარსი დრო არ გქონდათ, თუ ასეა საქირო მთებში ყოფნისას? — თითქოს პირველად დაინახაო, გაკვირვებით გადახედა სამივეს და ბოლოს სიცილით დაატანა: — ნამდვილ დიაკვნებს გავხარო!

— ნუ თუ მართლა? — სახეზე ხელი ჩამოისვა ილიამ და თითონაც გაუ-

კვირდა, როცა მოზრდილი წვერი ივრძნო.

— არც შემიძინა ეს... — დაიწყო კადენს და ამხანაგებს განუხედა. — მართლაც და რას დამსგავსებინართ!

— მე რას მიცქერი? — სახეზე ხელი მიიფარა ირაკლიმ. — ჩაიხედე სარკეში, შენც გვარიანი საბაოთი ბრძანდები, ქაბუჯო!

ირაკლის არ სიამოვნებდა, რომ ახლა წვერგაუპარსავი იყო. სწყინდა, რომ ეს ლამაზი ქალიშვილი გაბანგულულს ხედავდა.

ხალისიან საუბარში შეუმჩნევლად მოაწია შუალაქემ, როცა სუფრიდან აიშალნენ. პირველად მანანას მოუსვენეს მსაპინძლებმა, შემდეგ სანთელი ჩააქრეს და თითონაც მილაგდნენ.

კარავში სიჩუმე ჩამოვარდა. გარეთ ისევ წვიმადა, კუჭურტანაში ხშირად ელაგდა.

დაძინების წინ ილიას მოესმა მანანას მშვიდი სუნთქვა და სიამოვნება ივრძნო, რომ ერთ ჰერქვეშ იყო მასთან. თვალწინ წარმოუდგა ამ ქალის მშვენიერება, შემდეგ ეს ფიქრი როგორღაც გადიდდა, გადაეზარდა შობლიურ ქვეყნის სილამაზეს და სიცოცხლის ხალისს. ამაზე ფიქრი, ეს ტკბილი ოცნება ჩაჰყვა კიდევაც ძილში.



დღილი, როცა გაიღვიძა მანანამ. კარავში ველარაგინ დაინახა.

საჩქაროდ ადგა, ჩაიცვა და გავიდა. უეცრად საკვირველი სურათი დაინახა: სამივე მამაკაცი კარვისკენ ზურგშემოქცეული ლოდზე ჩამომგდარიყო, ლოდის წინ დაგდებულ კუნძმზე სარკე აეყუდებიათ და წვერს იპარსავდნენ. პატარა სარკეში ერთბაშად სამივენი ვერ იხედებოდნენ, უნებურად ხელს უშლიდნენ ერთმანეთს, ჩქარობდნენ და ადგილს ართმევდნენ ერთიმეორეს.



აღარ წვიმდა, მაგრამ ნისლი იდგა. სქელი დაბალი ნისლი ფარავდა გარემოს.

მანანა შებრუნდა კარავში.

პატარა ხნის შემდეგ მამაკაცებიც გაბედულად და ხალასიანად შევიდნენ.

— აი თურმე როგორები კოფილხართ! — გულწრფელი აღტაცებით შესტკეპროდა მათ მანანა. — ახ, ჩემო კარგებო! ჩემო ლამაზო მეგობრებო!

ისევ ახშიანდა კარავში. ხმამაღალი ლაპარაკი, ხუმრობა, სიცილი გაისმა.

ირაკლიმ ისევ დააპირა დიასახლისობა, დილის საუზმის მზადებას შეუდგა, მაგრამ ახლაც მანანამ ითავა და საჩქაროდ გააწყობა სუფრა.

გარედან თქარუნი მოისმა. გამყოლმა ცხენები მოიყვანა. დაწყებული დღე თავის მოვალეობას აგონებდა ყველას.

— თქვენ ახლა ჩემთვის აღარ გცალიათ... მეც ჩემს გზას უნდა გაეუდგე. — წამოდგა მანანა, რუკხაკი შემოიგდო მხრებზე და კარავიდან გავიდა.

ცხენის წაყვანასა და გამყოლზე გერა დაითანხმეს, თუმცა მრევალსაც შესთავაზეს. მანანა ცდილობდა მსხარეული ყოფილიყო, მაგრამ რატომღაც სევდა სჩანდა მის გამოხედვაში, თითოეულ სიტყვაში. თითქმის დადუმდა კიდევაც. ახლა მხოლოდ მისი ნაღვლიანი თვალები ლაპარაკობდნენ.

— აღარ გაგაჩერებთ... — სამივეს თვალი მიაჩერა და მერე ბავშვური გულწრფელობით იკითხა: — შეიძლება გადაგკოცნოთ?

სამივეს მოეხეია, დაემშვიდობა და გზას დაადგა.

ილია, ირაკლი და რაქდენი ერთხანს კიდევ იდგნენ და სიჩუმეში გასტკეპროდნენ იმ ბილიკს, რომლითაც მანანა წავიდა.

ნისლმა მალე დაფარა ის და ყველაფერი გაქრა, როგორც ტბილი მოჩვენება.

— აბა, ცხენებზე! — სიჩუმე დაარღვია ილიას შეძახილმა.

თითქოს ამ ხმამ გამოაფხიზლათო, სამივენი მოახტნენ ცხენებს და სწრაფად გასწიეს ზვამლის ფერდობისკენ.

ნიქოლოზ ჩიჩუაძე

## ორი ლექსი

★

მარტიველ კოლმეზარნის

რაოდენაა მინდორი, ზედაე,  
და რა წარმტაცი მთებია გასწვრივ?  
შენ გიანდერძა ქართველმა დედამ,  
მისთვის იბრძოდა ქართველი კაცი,  
ახლა შენა ხარ ქვეყნის მმართველი,  
შენ გაბარია მიწა ქართველის,  
ამიტომ გიხმობ, მისთვის მოგმართავ  
გლუხიკაცს მუდამ გამრჯეს და მართალს.  
წალმა ტრიალებს ქვეყნის ბორბალი,  
როცა ბლომად გვაქვს კარგი ხორბალი,  
როცა თავთუხი და მახობელა  
ახარებს ხალხს და ახარებს ბელადს.  
უნდა მიხედო ყანას და მიწას,  
იცოდე, ამით სამშობლოს იცავ,  
რად უნდა დაგრჩეს თუნდაც მტკაველი,  
მოუვლელი და დაუთესავი.  
მიწას უმღერდა თვით რუსთაველი,  
ნისი მოყვარეც და ნათესავიც.  
და ღამის მეზრეს და გუთნის დედას  
ვინ შემოგწყურება, ვინ გაგიბედავს  
მიწის ნაჭერიც იავარგიყოს.  
მიხედე ყამირს, მიხედე ყანას,  
ამას მოითხოვს შენგან ქვეყანა.  
რაოდენაა მინდორი, ზედაე,  
და რა წარმტაცი მთებია გასწვრივ.  
შენ გიანდერძა ქართველმა დედამ, —  
უნდა უვლიდე ქართველი კაცი!



★

## \* დაბრუნებული

მოვიდა ისევ, სახლს დაუბრუნდა,  
 უნდა, ქარცეცხლი რომ დაივიწყოს.  
 ახლა სხვაგვარი ცხოვრება უნდა,  
 ახლა სხვანაირ ცხოვრებას იწყებს.  
 ჩამოათავა სოფელმა მოსვლა,  
 ამბავი ქვეყნის გამოელიათ.  
 შინდაბრუნებულს სადღა აქვს მოცლა,  
 ოჯახს დაშორდა ზუთი წელია.  
 თუმცა უმისოდ ქალებმა კერა  
 გამოაწყვეს და გაალამაზეს.  
 მათი გარჯის და სიმძლავრის სჯერა,  
 მაინც თვითონ სურს მიხედოს ვაზებს.  
 ისევ ის არის ოჯახის ბურჯი,  
 ისევ მას მოსთხოვს პასუხს მამული.  
 ისევ დაყურებს წყნარი ცა ლურჯი  
 და მიწა უცდის ცერით დანამული.  
 სულ სხვაა მისი მარჯვენა, მკლავი,  
 სულ სხვაა მისი ძალა ვეება  
 და, აბა, როგორ დაზოგოს თავი,  
 მიწა ნახოს და რომ არ შეეებას?

სექტემბერი 1946 წ.

## თავგადასავალი ბესიკ გუგუშვილისა

რეზანი •



ბესიკი უდიდესმა სევდამ შეიპყრო, ოთახში ჩაიკეტა. დილიდან საღამომდე ბუხართან იჯდა და გარეთ აღარ გამოდიოდა.

ბედმა თითქოს ზურგი შეაქცია კაბუჯ მგოსანს და ყოველი ფეხის ნაბიჯზე მარცხს ახვედრებდა.

ანასთან ველარც კი ჩნდებოდა. ანიკომ წერილი მოსწერა, სადაც წყევლა-კრულვით იხსენიებდა და უკრძალავდა, თვალთ აღარ დამენახოთ.

ბატონმა უარი სთქვა მდივნის სახელს დაბრუნებაზე.

კაბუჯა ყოველ ფეხის ნაბიჯზე უკითხავდა ყველას საპასუხო ანბანთქებას და როგორც ამბობდნენ, ანასათვისაც კი წაეკითხნა.

რამდენიმე დღის წინათ კი ბესიკი ქაიხოსრო მურმანიშვილმა გაიხმო და ყურში ჩასჩურჩულა, ერთს მეციხოვნეს ვესაუბრე და იმან მიამბო, ჩემის თვალთ ვნახე, ტოტლებენმა რომ ახალციხის ფაშას წერილი მისწერათ. მე ეს ამბავი ზაქარია მოძღვრის შეიღს ვუამბე და იმას თურმე მეფისთვის არც კი მოუხსენებიათ.

— ბიჭო, შე უღმერთო, ეს რა ვიქნია. ბატონმა რომ გაიგოს რაღას აბი-

რებ. კიდევ კარგი მე ვუთხარი იმ მეციხოვნეს, როგორ არ მოუხსენებიათ მეტი, მაგრამ, რომ შეხვდეს და უამბოს, რაღას აპირებ?

ამ ამბავს კიდევ უფრო თავზარდამცემი ამბავი დაერთო. მოსკოვიდან თბილისს დავით ციციშვილი დაბრუნდა, რომელიც მანამდე იუსტიც-კოლეგიაში მსახურებდა ნადგორნი სოვეტნიკის ჩინით და ახლა სამშობლოში დაბრუნება გადაეწყვიტა. მან ბევრი რამ საგულისხმო სთქვა, ხოლო როდესაც ბესიკი გააცენეს, დაწვრილებით უამბო მამამისის თავგადასავალი, ან ამჟამად რა დღეში იყო. შემდეგ წარბები შეიკრა, კიდევ რაღაც უნდა მოეგონებინა და ბოლოს, როგორც იქნა, გაახსენდა. ასტრახანში მოსკოვისკენ მიმავალ ალექსანდრე ამილახვარს შეხვედროდა და მას ეამბნა, როგორ გაქცეულიყო ციხიდან. ისიც ეთქვა, რომ გზაზე ზაქარია მოძღვრის შვილი წამოგვეწია, რომელმაც კოდამდე თავის ცხენით მატარაო. თრიალეთზე რომ გადაველოთ ერეკლეს იასაულებს წასტეხოდნენ. მათ ჩოგლოკოვი დაეჭირათ, ხოლო ალექსანდრე გლახა ჰგონებოდათ და გაეშვათ.

— მე კიდევაც გამიკვირდა, აქ რომ თავისუფლად ვნახე, — დასძინა ციციშვილმა და ბესიკს ახედ-დახედა, —

რადგან ეს რომ ერეკლემ გაგიგოს, ვეძვობ ცოცხალი გადაურჩე. რა გიკირდა, კოდაში მამასახლისისათვის დაგეძახნა და ორივენი დაგეტუსადებინა. ახლა სულ გულისხეთქაში უნდა იყო, რომ ამ ამბავმა ბატონის ყურამდე არ მიაღწიოს. მე კი არას ვიტყვი, მაგრამ ვინმემ შემთხვევით რომ უამბოს, ან მოსკოვიდან მოსწეროს ბატონს...

— მაშინ ისეთი დრო იყო, რომ იმ ეპიზოდში ვერც თქვენ მოიფიქრებდით მათ დატუსადებას. ჩოგლოკოვი, ჯერ ერთი, ჩვენი მეგობარი იყო და ყველას თავზარი დაგეცა მისმა დატუსადებამ. გზაზე რომ შევეჩიხე, აზრადაც არ მომსვლია, რომ ისინი გაქცეულები იყვნენ. ქალაქს ეპიზოდს ავლებდა, ზოგი სად გარბოდა და ზოგი სად, ვის მოუფიქროდა აზრად გაქცეული ტუსადი დაეპატიმრებინა. მაშინ ყოველი სულდგმული იმ აზრით იყო შეპყრობილი, რათა რაიმე კეთილი საქმე ჩაედინა, რომ თავზე დატეხილი ღვთისრისხვა ჩვენს ქვეყანას წყალობად შესცვლოდა.

ბესიკი ვითომ ცდილობდა თავი ემართლებინა და გული გაემხნევებინა, მაგრამ თვითონვე გრძნობდა ამ თავისმართლების უსუსურობას. ციციშვილმაც ისე ჩაიციინა უღვაშებში, თითქოს ეუბნებოდა, ასე გულუბრყვილო რადა ხარო. ამიტომ ბესიკს სიმშვიდის ნაცვლად კაეშანი უფრო შემოაწევა. ახლა ყოველი ფეხის ნაბიჯზე და ყოველ წუთში აგონდებოდა ხან ბერუჩას ამბავი, ხან ალექსანდრე ბაქარის-ძესთან შეხვედრები ირანში, ხან ამილახვრის გაქცევა და ყოველ გაფიქრებაზე, როდესაც წარმოიდგენდა, რომ ყოველივე ეს დანაშაულად ეთვლებოდა, გული სტიკოდა. და ამ ტკივილისაგან ისე ეკეროდა სუნთქვა, იძულებული იყო ხშირად ღრმად მოეთქვა სული.

ანასთან უკმაყოფილება რომ არ მოსვლოდა, იქნება კიდევ იქნადა გადაიბრუნდა ამ ამბავს, მაგრამ ახლა მასთან მისვლასაც ვერ შეძლებდა, რადგან არ იცოდა, რა მოხდა, ან როგორ მორიგდნენ მას შემდეგ ერთმანეთში ბებია და შვილშვილი.

ასეთი მწარე ფიქრებით შეპყრობილ ბესიკს თავისდაუნებურად გუნებაში აღედგა უცნაური სურვილი, რომ მოულოდნელად ცვლილება მომხდარიყო სამეფოში. ერეკლე გადამდგარიყო და მის ნაცვლად ტახტზე ასულიყო ლეონი. უცხად, შეუძინეველად, დაეძინებია ბესიკს და მეორე დილით გაეგო, საქართველოს მეფედ ლეონი არის გამოცხადებულიო. ნუთუ არ შეიძლებოდა ასეთი სასწაული მომხდარიყო, თუ ლეონი არა, ალექსანდრე ბაქარის-ძე მაინც. რა შესანიშნავი, სათნო, დიდად განსწავლული მეფე ეყოლებოდა საქართველოს. მეფე, რომელიც ისეთ შემთხვევებს, როგორიც იყო გაქცეულ ამილახვართან შეხვედრა, დანაშაულად არ ჩავითვლიდა და არც იმის შიში გეჭნებოდა, რომ მის ერთგულს, უცაბედად განრისხებული მეფე დილეგში დაგალობდა.

მეფე, რომელსაც არ ეყოლებოდა უკმაყოფილონი, ჩაგრულნი და შერისხულნი.

მეფე, რომელიც მხოლოდ სიკეთეს დასთესავდა ამქვეყნად და არ იქნებოდა თავზარისდამცემი შინაურ ქვეშევრდომთათვის.

მეფე, რომელიც ამავე დროს არ ჩამოუვარდებოდა ერეკლეს, როგორც მხედართმთავარი და მეომარი. ასეთი იყო ალექსანდრე ბაქარის-ძე. ასეთი იყო ლეონიც. ბესიკთან შეზრდილი, მისი მეგობარი, ბატონი და მპრძანებელი.

— ბატონიშვილო, ერთ საიდუმლოს გეტყვი, ოღონდ არ გამამხილო,

თორემ, — უთხრა ერთხელ ბესიკმა ლეონს.

ლეონმა ახალგაზრდული მოუთმენლობით შეხედა ბესიკს. ის ახალი მოსული იყო სერობიდან და დაწოლის წინ ბუხართან ჩამომჯდარი ზევიდან დასცქეროდა მგოსანს, რომელიც მას ფეხზე ლეკვერთხებს ხსნიდა.

— რა საიდუმლოს, შე... დაიცა, როგორ გიწერს ჭაბუა?... „არის ალიას აღზრდილი“, შე ალიას აღზრდილო, შენა.

— ბატონ მეფეს სურს შემკვიდრეობა დაგილოცოს...

— ეგ შენ რომ არ მითხრა, მეც შენზე უკეთ ვიცი, მაგრამ შენ ვინ ვითხრა?

— არ გამამხელ?

— სულელო, ის-ღა მაკლია პირობის ქალაღი დაგიწერო...

— განა ვხუმრობ. გაფრთხილებული ვარ, ეს რომ სხვა ვინმემ გაიგოს, ენას მომგლეჯენ.

— კარგსაც იზმენ, რად გინდა ისეთი ენა, რომელიც ჭაბუასაც კი ვერ გასცემს პასუხს და... მართლა, გეხუმრები, მითხარ, საიდან იცი შენ ეგა?

— ბატონმა ანდერძი დამაწერინა, ასპინძასთან ომის წინაღობით, ჩემის ხელით ჩაეწერე, ჩვენს შემდეგ საქართველოს ტახტის შემკვიდრედ ლეონი დაგილოცინაო.

— მართლა?—გაოცდა ლეონი.

— შენს მზესა ვფიცავ.

— რისთვის აქამდე არ მითხარ?

— ნაბრძანები მჭონდა არავისთვის არ გამეშხილნა. შენთვისაც კი არ მეტყვა.

— დაიცა, დაიცა... გიორგიზე რა ჩაგაწერინა?

— მას სასულიერო ტახტი განეკუთვნოსო.

— ბერად შედგესო? ეგ როგორ იქნება,—გაიცინა ლეონმა, — ტახტი მას ეკუთვნის და მე ვერ შევეცილები,

თუ თითონ არ ისურვებს, ისე როგორც ეს იმერეთში იოსებმა ჩაიდინა, კათალიკოსად ეკურთხებოდა საერო ტახტი თავის ძმას, მათთვისა და უთმო.

— თუ ღვთის მიერ საქართველო დასიკვდილოდაა განწირული, მაშინ ქართლ-კახეთის ტახტზე გიორგი ავა, თუ სიცოცხლე უწერია, შენ ახვალ.

— ჩემთან მლიქვნელობ?

— თუ პირფერობით ვამბობდე, ერთ დღეს ნუ მაცოცხლოს უფალმა. ნუ გამირისხდებით თქვენი ძმის ავად ხსენებისათვის და უნდა მოგახსენოთ, რომ ის სამეფოდ ღმერთს არ გაუჩენია.

ბესიკმა შეატყო ლეონს, რომ ამ ცნობამ იგი ოდნავ ააღელვა. ცხადი იყო ბატონიშვილს ადრეც ეფიქრნა შემკვიდრეობაზე ან დედის დარეჯანის, ან კიდევ რომელიმე დიდებულის შთაგონებით. მართალია, ლეონი უმეტესად ანახანუმის მეთვალყურეობით იზრდებოდა და საფიქრებელი იყო, რომ გერის მოძულე ანახანუმს შეიძლება შთაენერგა ეს აზრი ლეონისათვის, რათა შეილი მამის წინააღმდეგ აემხედრებინა, მაგრამ ბესიკმა იმეამად არ იცოდა, რომ ანახანუმი სწორედ ამის გამო გაასახლა ერეკლე თბილისიდან. ანახანუმს ეთქვა ტახტის შემკვიდრედ ქართლში ლეონი უნდა იქნესო. ეს აზრი ალბათ დარეჯან დედოფალსაც დაეხადა, მაგრამ ის ხომ საერთოდ მთელი ძალღონით ცდილობდა, რათა შემკვიდრეობა თავის პირშუო შვილისთვის მიენიჭებინა გერის საწინააღმდეგოდ.

ლეონმა ყოველივე ეს იცოდა, მაგრამ ანდერძის გაგონებამ მიინცა ააღელვა და გული აუტოკა.

— შერე რა უყავ ის ანდერძი?— ჰკითხა მან ბესიკს.

— დავუბრუნე ბატონს, მაშ მე ხომ არ დამიტოვებდა.

— იქნებ დახაი?



— არა, უბეში შეინახა. მერე რა უყო, არა ვიცი—რა. შენახული ექნება. ეჰ! ნეტავ იმ დღეს მომასწროს ღმერთმა და მეტი არა მინდა—რა...

— სულელო, ეგ როგორი სიტყვაა. მაშ შენ ვსურს მამაჩემს დღენი შეუმოკლო?

— ღმერთმა დამიფაროს,—შეკრთა ბესიკი და გული გადაუქანდა—მაგას როგორ ბრძანებთ, მაგრამ თქვენზე ხომ ამბობენ მეორე ერეკლე მოევლინა ქართველებს და რაღა უჭირთ ახლა ორი ერეკლე ეყოლებათო. თუ ასეა, მითომ რა იქნება, რომ ქართლს ერთი ერეკლე ბრძანდებოდეს და კახეთს მეორე, როგორც ნეტარხსენებული პაპის თქვენის თეიმურაზის დროს იყო.

— სს... ჩემად, — მიაფარა პირზე ხელი ლეონმა ბესიკს — შენ ხომ არ გინდა დიდუდა ანახანუმის ბედი გაიზიარო.

ბესიკმა გოაცებით შეხედა ლეონს, რომელმაც არ დააყოვნა განემარტა ჭაბუკი მგოსნისათვის ანახანუმის თბილისიდან გასახლების მიზეზი.

— მამა ბატონი ისე გაცხარდა, რომ ძლივს დავამშვიდე. მაგას ვინ ეკითხება, რომ ტახტის მემკვიდრეობას ჩემს შვილს ჩემამდე ულოცავს, ვითომ მაგ ხერხით სურს ქართლიდან განმამქოსო? ეს ამბავი არავინ არ იცის და შენც ჩემად იყავი, თორემ...

— დაიცა, დაიცა. იქნებ მეც იმისთვის ამითვალწუნა, რომ ანახანუმის შვილობილი ვარ...

— მადლობა ღმერთს. როგორც იქნა, მიხვდი.

— ღმერთო დიდებულა? — გადასახა პირვეარი ბესიკმა.

— ანახანუმის შვილობილი და ჩემთან შეზრდილი, ერთგული მსახურია... ჩემი დიდი სიყვარული და პატივისცემა რომ არა ჰქონდეს, ბოლოკივით მოგთხრიდა, შე უბედურო, შენა. ხომ იცი, მსახურნი უნებური თა-

ნაზიარნი არიან ბატონთა ცოცხებისა და ანახანუმის ბედს შენც გაიზიარებდი.

— მე რა შეაში ვარ. რა დამამხალე მიმიძღვის.

— როგორ თუ რა შეაში? შენც ხომ ანახანუმის პარტიას ეყოფენი. ანახანუმი კი იბრძვის, რათა ერეკლე კვლავ კახეთში განამქოს და ქართლის ტახტზე პაპაჩემის თეიმურაზის ნაცვლად...

— ღმერთო ჩემო, შე ეგ პირველად მესმის...

— თეიმურაზის ნაცვლად ტახტზე მე ამიყვანოს,—დაასრულა ლეონმა.

— შე ეგ პირველად მესმის და უნდა გითხრა, ეგ აზრი ძალზე მოსაწონია.

— რაო?—დაიქუხა ლეონმა,—გინდა, რომ ახლავე დაგიდო ანძუხზე?

— გნებაეთ ახლავე მომკვეთეთ თავი,—დაეცა მუხლებზე ბესიკი და ლეონს თამამად ახედა ქვემოდან,—მაგრამ შე მაინც გავიმეორებ, რომ...

— ჩემად, სულელო, რას რომავ, ნუთუ შე პატიემოყვარე მდამბო გგონივარ, რომ ასეთი მაცდური აზრით ცოდვიან ზრახვებს გულში შთამინერგავ. შე, ბაგრატიონთა შთამომავალს, ასეთი დიდებული მამის შვილს, არაოდეს არ მავიწყდება, რომ მეფობა მძიმე ტვირთია და ძალზე მაგარი ზურგი სჭირდება, რომ მეფობა ქვეყნის სამსახურია და თუ ქვეყნის ერთგული ვართ, საქართველოს სამეფოს გაერთიანებას უნდა ეცდილობოდეთ და არა დაყოფას. გულაბდილად გეტყვი, რომ მეფობა ძალზე მსურს, მაგრამ მხოლოდ მამაჩემის შემდეგ და ისიც არა მარტო ქართლ-კახეთისა, არამედ ამერ-იმერის, ნიკოფსიდიდან დარუბანდამდე...

ლეონმა ფეხი გაუშვირა ბესიკს და უბრძანა:

— მაშია გამაძრე,—და შემდეგ ოდ-

ნავ ნაღვლიანი ხმით დასძინა,—თუ ვიცოცხლე, ეს ასეც იქნება.

— ღმერთმან ინებოს აღსრულებულიყვეს ყოველივე მეგრ ტყვენი სურვილსა... — ბესიკმა ლეონს მაშეიბი გააძრო, ფოსტლები მიართვა და შემდეგი ბრძანების მოლოდინში მის წინ აისვენა.

ლეონი უნებურად ფიქრებმა გაიტაცა და ჩანაკვერცხლებულ ბუხარს თვალს არ აშორებდა. ბესიკი ჩუმად უცქეროდა ბატონიშვილს და გუნებაში უნებურად სტუქსავდა თავისთავს, რომ ანახანუშის უბადრუკი მოსაზრების თანაზიარი გახდა. აქამდე ის მუდამ ერთი ოცნებით იყო გაცეცხლებული, რომ საქართველოს წარსული დიდება აღდგენილიყო. ეს დიდი აზრი აძლევდა მას ძალღონეს, რათა მდაბიო აზნაურს ზემოდან ეცქირა იმ დიდებულთათვის, რომელთაც ასეთი შეგნება არა ჰქონდათ, ბევრი მათგანი ერეკლეს ხომ მისთვის ებრძოდა, რომ საკუთარ მამულებს დაბატონებოდა.

ახლა კი ბესიკმა უნებურად დაიჭირა თავისი თავი იმაში, რომ თითონაც მზად იყო საქართველო კვლავ ორად განეყო, ოღონდაც თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი რისხვა.

შერცხვა. სინდისის ქენჯნა იგრძნო. მთელი ღამე ათასნაირი ფიქრები უტრიალებდა თავში და მოუსვენრად ბორბავდა. მთელი ღამე თვალწინ უდგა ხან ლეონი, ხან დავით ორბელიანი, ხან თავისი ტოლი სოლომონ ლეონიძე და როდესაც ყოველ მათგანს ფიქრით გაესაუბრებოდა, წარმოიდგენდა მათ დიდ ზრახვებს და მისწრაფებებს, საკუთარი თავი ებრალებოდა. ყველაზე პატარად და უბადრუკად ეჩვენებოდა თავისი თავი. მშინშარად, ბეჩავად, რომელსაც იმდენი ძალაც კი არა ჰყოფნიდა, რომ სასჯელზე უღრტვინველად არ ეფიქრა,

მაშინ როდესაც ლეონიც და დავითიც ნამდვილი რაინდები იყვნენ და ხმალ-ამოწედილნი თვალშეუდრავლად მიჰქროდნენ ხოლმე ურცხვების მტრებს წინააღმდეგ. ისე მიჰქროდნენ, თითქოს სიკვდილს თითონ მისდევდნენ მოსასპობრად და სულაც არ ჰქონდათ იმის შიში, რომ მეორე წუთში შეიძლება მტრის ხმლებით ყოფილიყვნენ აკადულნი.

მათ არაფრის არ ეშინოდათ, არც მტრის ბასრი ხმლებისა და არც ბატონის რისხვის.

— არც მე მეშინიან,—თითქმის ხმა-მალლა წამოიძახა ბესიკმა და ფეხზე წამოიჭრა,—გინდა დაგიმტკიცო, რომ არ მეშინიან,—უთხრა სივრცეს ბესიკმა, რადგან ახლომახლო მასთან არაყინ იყო, ხოლო ბატონიშვილს მეორე ოთახში ეძინა.—გინდა დაგიმტკიცო, რომ არ მეშინიან. მე ახლა ბატონის დასთან ოთახში შევიპარები, გავაღვიძებ და... არა გვერა? აი ახლავე.

სწრაფად ჩაიცვა, ფრთხილად გამოალო კარებზე და დერეფანს მიაყურა. ჩამიჩუმე არ ისმოდა. სადღაც გულის სიღრმეში იდუმალმა ხმამ ჩასძახა,—ნუ გაგიუდი ახლავე უკან გამობრუნდიო, მაგრამ ბესიკს თითქოს ესმა ჩაჯდომოდეს სულში, არ ეშვებოდა და წინ ერეკებოდა...

ხოლო დილას, როდესაც ბესიკმა გაიღვიძა, სიხარულით ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ყოველივე საზომარი აღმოჩნდა. მას აღარც ახსოვდა, როდის ჩასძინებოდა.



პატარა ბატონიშვილები ერთად აღრიალდნენ, ყველას ანას ქორწილში სურდა წასვლა და ისინი კი არ მიჰყავდათ, იტლონის გარდა, რომელიც დარბაისლურად ამტკიცებდა,—

მე უკვე დიდი ვარ, მალე თორმეტი წლის შევსრულდები, ცხენზე ჯდო-  
მაში ხომ ბადალი არა მყავს და უნდა  
წამიყვანათო. იულონს ვახტანგი აპ-  
ყვა, მე განა ნაკლები ვარ; ათი წლის  
შევსრულდიო, ჩუმი და ბუნჩულა თე-  
იმურაზიც არ ჩამორჩა უფროსს ძმებს  
და მომდევნო შირიანიც აყოლია.  
ესენი თითქოს ტოლები იყვნენ პირ-  
ველი რვა წლის, ხოლო მეორე შვიდი-  
სა და ტყუბებს ჰგვანდნენ. ორივემ  
ხმაშეწყობილ მომდერლებივით ერ-  
თად იცოდა აღრიალება.

ატრირებულ ძმებს ორი უფროსი და,  
მარიამი და ქეთევანი, ამშვიდებდა და  
ულოლიაებდა, მაგრამ ვინაიდან პირ-  
ველი დაი თხუთმეტი წლის იყო, ხო-  
ლო მეორე თითხმეტის, ბატონიშვი-  
ლები არცერთს არ უჯეროდნენ და  
ღრიალს უფრო უმატებდნენ.

— დაიკარგეთ აქედან, — შეუტია  
ვახტანგმა დებს, — თქვენ ხომ მიდი-  
ხართ. ახალ ახალი კაბები ჩაიცვით და  
საქმაროებს თავი გინდათ მოაწო-  
ნით...

— რას სულელობ! — უყვირა მარი-  
ამმა ძმას.

— განა არ ვიცი, — ჯიუტად განა-  
გრძობდა ვახტანგი, რაკი შეატყო დას  
გაბრაზება, — დავით ციციშვილს ეპრან-  
ჭები, ქოსასავით უღვაშები რომ გაუ-  
პარსავენ... შენ კი იოანე მუხრან ბა-  
ტონს...

— შენ თუ არა გცემო... — აბილ-  
ბილდა ქეთევანი, — დაიკარგე.

— მუხრან ბატონს, მუხრან ბა-  
ტონს! — აჯერებდა ვახტანგი და  
ცდილობდა გაქცეოდა დასაჭერად და-  
ღვეწებულ ქეთევანს. — თავმოტყე-  
ვილ მუხრან ბატონს...

ვახტანგს დანარჩენებიც აყვნიდა  
ყველანი ერთად აყვირდნენ:

— მუხრან ბატონს, მუხრან ბა-  
ტონს, ქოსა დავითს, მუხრან ბატონს...

გულმოსული დები ალბათ მისტყე-  
პავდნენ კიდევაც გაპირებულ

ძამიებს, მაგრამ ყველანი ისევე შემოს-  
წრებულმა ანიკომ დაამშვიდა, რომე-  
ლიც შეპირდა ბატონიშვილებს ყვე-  
ლას მაყრებად წაგყვანათო და შემ-  
დეგ თავის ტოლ ქეთევანთან და მა-  
რამთან მოჰყვა საიდუმლო ჩურჩულ-  
პუტუნს. ანიკოს აკვირებდა თავის  
ბებების რაღაც უცნაურად შეუძლოდ  
გახდომა. ტყვილით არა სტკივოდა რა-  
და ისე კი მთელი დღეები ლოგინში  
იწვა, არც ეჭიმებს უხზობდა, არც წამ-  
ლებს ღებულობდა, არც არავის ნახვა  
არ სურდა და ანიკოსაც კი ახლოს არ  
იკარებდა. მართო მოახლეს, მონავარ-  
ღისას, უბრძანებდა — თუ რამ საქმე  
ჰქონდა და ეგ იყო. მთელი დღეები  
კარჩაკეტილი ატარებდა. ანიკო  
გრძნობდა, რომ რაღაც უჩვეულო  
უნდა შემთხვეოდა მის სათაყვანებელ  
ბებიას, მაგრამ ვერ აესხნა, რა უნდა  
ყოფილიყო ისეთი, რომ საქორწინოდ  
გამზადებულ შვილიშვილსაც კი ახ-  
ლოს არ იკარებდა. ქორწინების დღე  
მოახლოვებული იყო. უკვე ყოველ  
წუთში მოჰქროდნენ მუხრანიდან  
ცხენოსანი შიკრიკები, სასახლეში  
ფუსფუსებდნენ შინაურები, ჰკრავდ-  
ნენ შხითებს, ამზადებდნენ თავგადა-  
სავდებ საჩუქრებს, და მომავალ  
დროსტარებას მოუთმენლად ელოდ-  
ნენ. მხოლოდ ანა, თითქოს მთელი ეს  
ამბები მას არ შეეხებოდა, სრულიად  
არ განიცდიდა ამ საბედნიერო საერ-  
თო აღვლევბას, ხოლო მუხრანში გამ-  
გზავრების წინადლით მოულოდნე-  
ლად განაცხადა, რომ ვინაიდან შეუძ-  
ლოდ იყო, ჰორწილს ვერ დაესწრე-  
ბოდა. თამარს — დავითის მეუღლეს —  
შეუთვალა ყოფილიყო ანიკოს მდა-  
ღე. ამ ამბავმა დარეჯან დედოფა-  
ლიც კი გააკვირვა და მიუხედავად  
იმისა, რომ ფეხშიმედ იყო და ეჭი-  
მები უკრძალავდნენ ბევრ სიარულს,  
საჩინოდან სასახლეში ჩავიდა და ანა  
მოინახულა.

ჩვეული თავზიანობით მოიკითხეს ერთმანეთი რძალ-მულმა. ანამ დააპირა ადგომა, მაგრამ დარეჯანმა უფლება არ მისცა, გულდასმით შეათვალიერა და შეპირდა, რაც კი თბილისში ექიმები არიან, ყველას მოგვერიო.

— რას იტყვიან ჩემო მულო, რა გაწუხებს? გული თუ ფილტვი. ნეტავ სილი ხომ არ არის, ზოგი რომ ქლუქს უწოდებს. ვითომ აგრე იტყვიან, ძალზე ძნელად რჩება, მაგრამ თუ კარგ ჰკავებ წაიყვან ავადმყოფს, უცბად განიკურნებაო.

— სილი ჩვენს გვარში არავის შეპყრობა და რაღა მე შემეყრება?— უპასუხა გულმოსულმა ანამ.

— ღმერთმა ვაშოროს, ხომ არ გახელებს?

— არა!

— მაშ არაფერი არა ყოფილა, მე კი გული გამისკდა, იქნებ აჯობებს, ქორწილი საშობაოდ გადავდოთ, მანამდე თქვენც მოიკეთებთ, ბატონიც მოიცლის, მეც იქნებ შეეძლო და...

დარეჯანი, ცხადია, ძალიან კარგად ხელაფდა, რომ ანას ლოგინად ჩაეარდნა სრულიადაც არ იყო გამოწვეული რაიმე ავადმყოფობით ან სნეულებით, ანას სხვა რაღაც კავშირი აწუხებდა და დარეჯანი ვერ მიმხვდარიყო რა უნდა ყოფილიყო ამ კავშირის მიზეზი. მართალია ანას ბესიკთან მიჯნურობის შესახებ დარეჯანმა თითქმის ყოველივე იცოდა და ერთხანს კიდევაც გაუელეა გუნებაში, იქნებ ბატონის მიერ ბესიკის სამსახურიდან დათხოვნამ გახადა ავად ჩემი მულო, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს არ უნდა ყოფილიყო მიზეზი.

რაღაც სხვა აწუხებდა ანას.

იქნებ ბესიკმა უღალატა და სხვა ვახადა სატრფოდ, ეს ყველაზე შესაძლებელი იყო და სარწმუნო, მაგრამ დარეჯანს ამის შესახებ არაფერი ჰქონდა გაგებულნი, რაიმე რომ მომხდარიყო, მსტოვარებს არაფერი გამო-

ეპარებოდათ და მაშინვე მოახსენებდნენ. თანაც დარეჯანს საკმარისი მიზანი ჰქონდა, რომ ანა მიეჩინებოდა ლოგინად ჩაეგდო. უფრო სარწმუნო იყო რომ ანას დედოფლის საწინააღმდეგო რაიმე ზრიკი არ გასვლოდა ბატონთან და ამის გამო დარდისაგან ალბათ ელდა სცემოდა.

ასეთ დასკვნამდე მივიდა მუდამ ექვებით შეპყრობილი დარეჯანი და მაშინვე გადასწყვიტა, რომ ვინაიდან ეს ერეკლეს კარგად უნდა სცოდნოდა, ყოველი ღონე ეხმარნა და ქმარი გამოეტყვნა.

ანაც გრძობდა, რომ დარეჯანს ნაკლებად აწუხებდა თავისი მულის ლოგინად ჩაეარდნა, მას ამ ლოგინად ჩაეარდნის მიზეზის გაგება უფრო სურდა, ვიდრე ავადმყოფის შველა და ნუგეშის ცემა. მართალია დარეჯანი პირისაფერისად თითქმის შემოთებული იყო და ექიმებზედაც კი ზრუნავდა, მაგრამ უხეშად წამოსროლილმა კითხვამ, ქლუქი ხომ არ შეგყრიაო, მაშინვე გაამჟღავნა დარეჯანი ანას თეაღში. სასიყვარულო არსებებს არასოდეს არ მიმართავენ ასეთი კითხვით.

ანამ დაამშვიდა დედოფალი, მართალია ხვალისთვის არ ვაპირებდი მუხრანს გამგზავრებას, მაგრამ ახლა უკეთობას ვგრძნობ და შეიძლება კიდევაც წავიდეთ. დარეჯანმა მაინც ურჩია ექიმებს შეეკითხოდა და თავი უბრალოდ საფრთხეში არ ჩაეგდო.

მალე ანასთან თამარიც მოვიდა და ერთი აღიარებით ასტეხა. მამიდამისს მივარდა, საბანი გადააძრო და ადგომა უბრძანა.

— ეს რასა ჰკავს! აღე ზეზე. ვის გაუგია შენი ავადმყოფობა. მე მგონია მართლა ავად არის-მეთქი. ერთადერთი შეილიშვილი გყავს, იმას ათხოვებენ და ქორწილს არ გინდა დაესწრო? ტახტრეკანით რომ დაგპირდეს გამგზავრება, მაინც უნდა წახვიდე.

— დაიცა, ვიყო, — ღიმილით იშორებდა თამარს ანა და საბანს იფარებდა, — განა შე არ მინდა, რომ ჭორწილს დავესწრო. მეტი რაღა გამაჩნია ამქვეყნად. ეგ ერთადერთი შვილი-შვილი ჩემი ერთადერთი ნუგეშია და მაგის ბედნიერების ზეიშს როგორ არ უნდა დავესწრო?.. ხვალ, მართლა ტახტრევაწით რომ დამპყირდეს გამგზავრება, მაინც წავალ... მით უმეტეს — საიმისო არა მიჭირს რა...

ანა გარეგნულად თითქოს მშვიდად იყო, მაგრამ როგორც კი გაუღევებდა გუნებაში, რომ ამ ჭორწილში ის ერთი ათჯერ უნდა მოხვეოდა ანიკოს, რომლის ბაგეებს ბესიკის აბრეშუმით ღბილი უღვამი შეხებოდა, მაშინვე გრიგალი უფორიაქებდა სულს, გული ხან სულ უჩერდებოდა, ხან კი ისე დაუწყებდა ფეთქვას, ისე მოაწეებოდა ყელში, თითქოს ამოვარდნას ღამობდა. ანას ეზიზღებოდა საკუთარი თავიც, ბესიკიც, ანიკოც და ყველაფერი, ყველაფერი ამქვეყნიური. ანას სიკვდილი უნდოდა, მაგრამ სიკვდილი არ მოდიოდა. პირგამეხილი საათობით უცქეროდა ფერადი მინებით მოქარგულ ფანჯარას, ხანდახან თითქოს დამშვიდდებოდა, დალაგებით შეუდგებოდა საქმეებზე ფიქრს და ამ ფიქრის დროს ცდილობდა როგორმე არ გაეხსენებია ის, რაც სულსა და გულს უფორიაქებდა. ფრთხილად სცურაფდა ფიქრთა მორევეში, მაგრამ სიფრთხილის მიუხედავად მაინც გაიფლევებდა მის თვალწინ ერთმანეთს გადახვეულნი ბესიკი და ანიკო, გაიღუვებდა და ისევ აირეოდა ყველაფერი.

ღამით, თამარის წასვლის შემდეგ, ანამ მონავარდისა იხმო და დაწვრილებით გამოკითხა, მზად იყო თუ არა ყოველივე. შემდეგ ჰკითხა სად იყო ანიკო და ან როგორ გრძნობდა თავს.

მოახლემ მოახსენა, რომ ანიკო ბატონიშვილებთან ქეთევანთან და მარიამთან ბრძანდება, სადაც საქორწი-

ლო კაბას ისინჯავს და სამაგისტრო-ისეთი სიცილ-ტყრციალი აქვთ შენე მოწონებულიო. ანიკოს მტკუნე უხარია გათხოვება, რომ აღარაფერი ახსოვს ამქვეყნად და იმ ხნის ქალი ტირილის ნაცვლად ისე ხითხითებს, გეგონება ქვრივი ქალი თხოვდება და არა თოთხმეტი წლის უმანკო არსებო.

— მართალს ამბობ? — გაიოცა ანამ და ლოგინიდან წამოიჭრა: — მითხარი, მართალს ამბობ?

— ღმერთმა ნუ მაცოცხლოს თუ ტყუილს მოგახსენებდე.

— მაშ... — ანა შედგა, მაგრამ მონავარდისა უთქმელადაც მიხვდა, რისი თქმა სურდა მის ქალბატონს.

— იპ! განა ბევრი გაეგება ყმაწვილ ქალს სიყვარულისა. ეგ სულ წიგნებიდან რაც ამოუკითხავთ, იმას ბაძავენ, თორე ისე რა იციან. ვითომ რაკი ნესტან-დარეჯანს ტარიელი ჰყავდა მიჯნურად და თინათინს ავთანდილი, ჩვენც ეგრეო და დაინახვენ თუ არა ცოტა თვალისჩინიან ყმაწვილ კაცს, მაშინვე სამიჯნურო წერილებს წერავენ, სიყვარულს ეფიცებიან, არკი გაეგებათ რა... — ქირქილით ტუნზე ხელი მიიფარა მონავარდისამ და ისე განაგრძო, — არ კი გაეგებათ რა სიყვარულისა... იმიტომა, რომ ასაკს ქალი, ტყუილია, თვრაბეტ წლამდე ვერ აღწევს, გინდა გაათხოვე გინდა არა, ჩემმა მზემ, რომ გამათხოვეს, სამი წელიწადი როგორც და და ძმა ისე ვუწმით ერთმანეთს ჩემი ქმარი და მე. ამიტომაც მაგათი მიჯნურობა ყმაწვილურ თამაშსა ჰგავს...

— მაშ შენ ამბობ, რომ... წადი, ახლაქ აქ მომგვარე, სად არიან?

— ზევით ბრძანდებიან, ქეთევან ბატონიშვილის ოთახში... მონავარდისა მაშინვე გაემართა ანიკოს მოსაყვანად. ანა ადგა და ჩაქმას შეუდგა.

მალე ოთახში ანიკო შემოიჭრა ბატონიშვილების — ქეთევანის და მარიამ-

მის თანხლებით. სამივემ დაინახეს თუ არა ანა ფეხზე და ისიც ჩაცმული, მაშინვე გარს შემოერტყენ და ზვევ-ნა-კოცნით კინალამ დაახრჩვეს.

— შენ კი გენაცვალე, მაიოდა,— ეუბნებოდა რიგრიგობით ხან ქეთევანი, ხან მარიამი,— კარგად ბრძანდები, მაშ მოდიხარ, მოდიხარ?

— კარგი, კარგი მოვდივარ,— დაამ-შვიდა ისინი ანამ და შემდეგ ანიკო შეათვალეირა,— ეგ რა ჩაცმევას, ჯერ რა გეჩქარებოდა. გული აღარ გითმენს? აგრე გიხარია, რომ იცინი?

— ეა, მაშ ვიტყვი?— გაიბუტა ანიკო,— მე ის მიხარია, შენ რომ კარგად გხედავ.

— ტყუილი, ტყუილი, მაგას გათ-ხოვება უხარია!— ერთმანეთის დას-წრებით არეულად წამოიძახეს ქეთე-ვანმა და მარიამმა. — თითონ გვითხ-რა, თითონ გვითხრა...

— მართლა, გიხარია! — ოდნავი ხმის კანკალით ჰკითხა ანამ და თავი-სივე ხმამ შეაკრთო.

ანიკომ თვალეები ძირს დახარა. მო-ულოდნელად მასზე უცნაურად იმოქ-მედა ამ კითხვამ, ანას გაუბედავმა, რაღაც შეშინებულმა ხმის კილომ, უცბად გული ამოუჯდა, ბეზიას კი-სერზე შემოეჭლო და ისე აქვითინდა, თითქოს სიცილისაგან იბრჩობოდა, თანაც მთელი ძალდონით ცდილობდა ეს სიცილი შეეკავებინა. ამ ქვითინმა ანას სრულიად დაავიწყა ის სულიე-რი მძიმე ტკივილი, რომელსაც განუ-წყვეტლად განიცდიდა ამ რამდენიმე დღის განმავლობაში თავისი პატარა ანიკო, რომლის დანახვაც კი არ შეეძ-ლო სულ მცირე ხნის წინათ, ახლა გულში ჩაიკრა, მოეფერა, დაამშვიდა და შემდეგ ჩვეულებრივი სიღარბის-ლით საქმეს შეუდგა. ქალიშვილები დასაძინებლად გაისტუმრა, მსახურნი იხმო და გათენებამდე თვალი არ მო-უხუტკავს. მართალია, ქორწილს მუხ-რანში იხდიდნენ, რომ დიდად არ გაე-

ხმურებინათ, მაგრამ მას მაინც სამე-ფო იერი უნდა ჰქონოდა და ყველაფ-რის გათვალისწინებამდე უნდა წაქე-ღო. უამრავი სამზითვერით მარჯობა-სხის გარდა თბილისიდან უნდა წაეღო ხო-რაგაც (განსაკუთრებით ტკბილეუ-ლი), ზოგი რამ ქურტლევლობა, წაე-ყვანათ მესაკრავენი, შუშუნების ოს-ტატები თავისი მსახურებით და საშუ-შუნე დაზგებით, მუშაითები, ჯამბა-ზები და თვალთმაქცი, შეერჩიათ სა-უქეთესო მომღერლები. დატვირთუ-ლი ურმები იმავე დამით უნდა გაეგ-ზანათ, რომ მეორე დღეს დაბინდე-ბისას უკვე მუხრანში ყოფილიყვნენ.

ყოველივე ამის მოსწრება შეუძლე-ბელი იქნებოდა, რომ ანას მოურავს როსაბს ყოველივე წინასწარ არ მო-ემზადებინა, მონაევარდისას ბრძანე-ბების მიხედვით. თავის ოთახში ჩაეკ-ტილ ანას მონაევარდისა არავის არ აკარებდა და ეს წინდახედული ერთ-გული მსახური თავისი ქალბატონის სახელით თამამად იძლეოდა განკარ-გულებებს. ამიტომ, როდესაც გულ-მობრუნებულმა ანამ მოისურვა საქ-მეებისთვის მიეხედნა, თითქმის ყვე-ლაფერი უკვე მზად იყო. ანამ მაინც შეამოწმა ყველაფერი, ეზოშიდაც კი ჩაეიდა, რომ ფარნის შუქზე დაეთვა-ლიერებინა დატვირთული ურმები, სამზადშიაც კი შეიხედა, სადაც ოს-ტატები კიდეც აცხობდნენ დაშაქრულ პურებს და სეზისკვერებს.

უკვე თენდებოდა, როდესაც დაქან-ცული ანა თავის ოთახში შევიდა და გახდას შეუდგა. უნებურად ჩაიხედა სარკეში და თავისი სახის შეეშინდა. თვალეები უცნაურად ჩაღრმავებოდა, ლოყები შეეჯარდნოდა და ლამაზი ანას ნაცვლად სარკიდან მას უცქეროდა მოჩვენების მაგვარი აჩრდილი.

— უი მე, რასა ვევეარ— წამოიძახა ანამ,— უძილობის ბრალია თუ ამ სამ დღეში დავბერდი. დმერთო!..



ეკლესიაში ყველანი კდემამოსილნი იდგნენ, ხანდახან პირჯვარს იწერდნენ და უცხო ადამიანის თვალში ამითვე უბედნიერესი და უზრუნველი არაიონ იყო. ქვეყანაზე: ასე ფიქრობდა ორი სოფელი დედაკაციც, რომელთაც სითამამე ეყო, რომ ეკლესიაში შესულიყვნენ, საჭალებოდან ექყიტათ, როგორ იწერდა ჯვარს უფლისწული და ამით თავი უბედნიერეს ადამიანთა რიცხვში ეგულვებინათ.

ორივენი გამალებით იწერდნენ პირჯვარს და ცნობისმოყვარე შინაური ფრინველებივით ადგობდნენ გაქვავებულნი სასაცილოდ იგრძელებდნენ კისერს, რომ სათითაოდ დაეთვლიერებინათ ყველანი.

ეკლესიაში ცოტანი იყვნენ. სულ ათი თუ თორმეტი კაცი და ქალი, დანარჩენები გარეთ იცდიდნენ და ამიტომ ქალებისათვის ძნელი არ იყო სათითაოდ შეეფასებინათ ყოველი მათგანი და ჩურჩულით გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის თავისი მოსაზრებანი.

— სადა ვარ, გენაცვალეთ—ჩურჩულებდა ერთი საკმაოდ მაღალი და შრომისაგან სახედამწვარი დედაკაცი, — შეხედე, შეხედე, ქალუგე, პატარძალს შეხედე, ამბიონს უვლიან, ნეფეც რა ლამაზი ვაჟია...

— მა, ჩემო რძალო, — უდასტურებდა მეორე, რომელიც საერთოდ ასეთი აბრწყინვებული, სულ ოქრომკედლით მოსიარულ ტანსაცმელში გამოწყობილი დიდებულების დანახვამ გააბრუა და დაარტყიანა.

— ნეტავ მაგათზე ბედნიერი კიდევ თუ ვინმეა ქვეყანაზე?—განაგრძობდა პირველი.—ან კიდევ მაგათზე ლამაზი?

— მა, ჩემო რძალო.

— შეხედე, შეხედე, ეს ვინაა. ჩვენა დედოფალია? რა ლამაზი ყოფილა!

ეს კი ალბათ ჩვენი მეფეა—განაგრძობდა მაღალი დედაკაცი.—შენ გენაცვალე, აქ სად მოქალაქეა შინა სული ამომხდება.

— მა, ჩემო რძალო!—მეორე ცდილობდა დაენახა მეფეცა და დედოფალიც, თუმცა არც ერეკლე და არც დარეჯანი აქ არ იყვნენ. დედაკაცებმა სათითაოდ სხვადასხვა დიდებულები ჩასთვალეს მეფედ იმისდამიხედვით, რომელს რომელი უფრო მოეწონა. მაღალმა დედაკაცმა ოსეთა ყორღანაშვილი მიიჩნია ერეკლედ, რომელიც სხვათაშორის გარეგნობით მართლა ძალზე ჰგავდა მეფეს, ხოლო დედოფლად ანა. დაბალ დედაკაცს კი დავით სარდალი და მისი მეუღლე თამარი ეგონა საქართველოს მეფე-დედოფალი.

— ღმერთო, შენ მიშველე. ამდენი დიდებული ერთად არ მინახავს,—ამბობდა მაღალი დედაკაცი, — მეფე-დედოფლის ნახვაც მეღირსა. შენა, ქალუგე, არ გიხარია?

— მა, ჩემო რძალო.

ამ ორი წილენული დედაკაცის თვალში, ცხადია, დიდებულთა ეს მარაჟა უბედნიერეს, ულამაზეს და უნაკლო ადამიანთა კრებულს წარმოადგენდა. ცხადია, მათ არც შეეძლოთ დაენახათ ის უხილავი ხლართები სიყვარულისა და სიძულვილისა, სხვადასხვა მისწრაფებებისა, კეთილი ან ბოროტი განზრახვებისა, რომელიც სუფევდა ამ დიდებულთა შორის.

აგერ აღმართულიყო თვით ნეფემერთა ბატონიშვილი, დავითი პირვაპარსული, კომწიაულვაშებიანი, ოქრომკედლით მოსიარული თეთრი ჩოხით, მხარზე მოღებული ფაფანაკით, თავზე დადგმული ოქროს გვირგვინით. ის გარინდული, ოდნავ პირდაღებული უცქეროდა ხან მღვდელს და ხან გუმბათს, სვეტთან აყუდებულ როსთოს.



ქვიდან გამოთლილი ქანდაკების მსგავსი როსთო წარბეზმეკრული თვალს არ აშორებდა ბატონიშვილს და ხანდახან თავის ოდნავი მოძრაობით ამხნეებდა დავითს. როსთოს ყველაზე მეტად ეშინოდა, რომ სწორედ ამ ჯვარისწერის დროს არ არეულიყო მასთან შესრდილი ბატონიშვილი და გულში განუწყვეტლად იმეორებდა ერთსადამივე ლოცვას: „ღმერთო, ახლა მიშველე და ამაცდინე ზიფათს, ღმერთო, ახლა მიშველე შენი მუხლების ჭირიშე, პირობას გაძლევე, რომ სულ არ წავაკარებ ამ უბედურს იმ უმანკო ანგელოზს, ოღონდ ახლა მოიღე მადლი და ნუ დაუბნელებ გონებას“.

როდესაც საპატარძლო პირველად დაინახა როსთომ, მასში ისე მძლავრად იფეთქა სიბრალულის გრძნობამ, რომ ერთგული ახალგაზრდა მსახური შიშმა შეიპყრო. ღმერთი არ გვაპატიებს, რომ ასეთ ანგელოზს ამ უკეთუ ბატონიშვილს ვუვრიგებთ და, ალბათ, რაღაც ცოდვას შეგვაძობებვისო. ეს გრძნობა უფრო გაუძლიერდა, როდესაც ეკლესიაში შევიდა და ტრაპეზის თაღში გამოსახულ მაცხოვრის მრისხანე თვალბს შეხედა. ღმერთის შეეშინდა, მაშინვე. გამწარებით რამდენჯერმე გადაისახა პირჯვარი და იქვე დასდო პირობა, რომ ბატონიშვილს შთაავონებდა, ხელი არ ეხლო მეუღლისათვის, სანამ ღვთის ნება არ იქნებოდა.

ანიკო ცნობისმოყვარეობით უცქეროდა თავის საქმროს და როგორც კი დროს იხელთებდა, მაშინვე იღუმალად შეათვლიერებდა. პირველად თუმცა იგი არ მოეწონა, რადგან უნებურად ბესიკს შეადარა და გული დაწყდა. ბატონიშვილი ბესიკზე ულამაზო აღმოჩნდა. თვალბგადმოჭაჩული, აყლაყუდა, ოდნავ ბეჭებში მოხრილი, ცხვირგრძელი და პირადია. პირველად ანიკო ჯვარისაგან კინალამ ატირდა, მაგრამ შემდეგ ნელნელა თვალი შე-

აჩვია, თანაც თავი იმით ინუკვება, რომ ბატონიშვილი ბაგრატიონთა შთამომავალი იყო, ტახტს მემკვიდრე და მალე კიდევაც ლაშქარს მეთაურობდა. მართალია, ერთხელ ასეთი იღუმალი ახედვის დროს, როდესაც მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, ბატონიშვილმა სულელურად გაულრიჟა, მაგრამ ამან სრულიადაც არ შეაკრთო ან დააფიქრა ანიკო. პირიქით, ამ ყმაწვილურმა გულუბრყვილო და ისიც სულელურმა ღიმილმა უცბად რაღაც სიახლოვე აგრძნობინა თავის საქმაროსთან. თითქოს ორიენი ნამდვილად კი არ ქორწილობდნენ, არამედ როგორც ახლადგაცნობილი ბავშვები ქორწინობიას თამაშობდნენ და, ამიტომ, როგორც ბავშვებს სჩვევიათ — უცბად დამეგობრდნენ.

ოდნავ ფერმკრთალი ანა მარმარილოს ქანდაკებასავით გარინდულიყო და ისე ადევნებდა თვალს მექორწინეთ. ანა გრძნობდა, რომ უკანა რიგებში ბესიკი იდგა, რომელიც ლეონს ახლდა და ალბათ ახლა ორმაგ ცეცხლში იწოდა. თუ ის მართლა გამოიჯნურებული იყო ანიკოსთან, მაშინ მისთვის ამ ქორწინების ცქერა უდიდესი წამება უნდა ყოფილიყო და ანა უნებურად განიცდიდა შურისძიების მწვავე ნეტარებას. ამ გრძნობას უძლიერებდა ისიც, რომ რაც ერთმანეთი ნახეს ამ ქორწინების დროს, ანას თითქოს არც კი შეუქმნებია ბესიკი, განგებ თვალი აარიდა და ისე შეხედა, რომ აგრძნობინა შენ ჩემთვის უკვე აღარ არსებობო. ანამ აშკარად შეამჩნია, რომ ასეთმა მოპყრობამ ჭაბუკი მგოსანი შეაშფოთა და საფიქრებელში ჩააგდო. როდესაც ჯერ კიდევ თბილისში ანამ გაიგო, რომ ერეკლეს დავითის თხოვნა არ შეეწყნარებინა და ბესიკისათვის სახელოს დაბრუნებაზე უარი ეთქვა, ბუნებით კეთილ ანას ახლა ეს ამბავი წყენის ნაცვლად პირიქით ესიაშვენა. თითქოს მასთან

აბუხად მოპყრობისათვის დაესაჯათ ბესიკი, და ანამ უნებურად შელახული თავმოყვარეობის დაკმაყოფილება იგრძნო.

ახლა ასე გულცივად მოპყრობამ კიდევ უფრო შეაშფოთა და დააბნია ჭაბუკი. ანა ჩემქმად უთვალთვლებდა თავის მიჯნურს და რაც უფრო ამჩნევდა ჭაბუკ მგოსანს სევდას, დაბნევას, რაც უფრო კითხულობდა მის თვალბში, მუდარას, მით უფრო მშვიდდებოდა ანა და თანდათან უბრუნდებოდა უზრუნველობა და სიხალისე. ახლაც იდგა ტაძარში და გაღიმებული ადევნებდა თვალს ჯვარისწერას. უცქერდა კანკელზე ჩამწკრივებულ ხატებს, მაგრამ ყველაზე ნათლად შეიგრძნობდა და განიცდიდა ბესიკს, ნაღვლიანს, თვალბში სევდა ჩაწოლილს, თუმცა მას თვალთ ვერ ხედავდა, რადგან ბესიკი ლეონის უკან აღგა, მანუჩარ თუმანიშვილის გვერდით, და თავდაპირილი ქვის იატაკს ჩაკირკიტებდა. რაღაც უცნაური ალღოთი გრძნობდა ანა, რომ ბესიკი სრულიად არ განიცდიდა ანიკოს გათხოვებას და მას ამჟამად ანაზე ფიქრი და დარდი ჰქონდა.

ანა არა სცდებოდა. ბესიკი მართლაც ანაზე ფიქრობდა. მას მარცხენა ლოყა და ყური უცნაურად უხურდა. თითქოს მისთვის სილა გაეწნათ, ხანდახან მოისვამდა ხოლმე ხელს ლოყაზე და უნებურად აგონდებოდა ანიკოს მიერ ნატყევი სილა, რომელმაც მამინ ისე გამოაფხიზლა, რომ გრძობებს უცხად სძლია გონებამ და ბესიკმა აშკარად შეიგნო, რა მოელოდა ასეთი საქციელისთვის. ამიტომ არ განიცდიდა ამჟამად ანიკოს გათხოვებას, თუმცა მან მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ნამდვილი უმანკო სიყვარულით თურმე ეს ტურფა ასული უყვარდა. ბესიკს ახლა უფრო ის აწუხებდა, რომ სასახლის ქალთა დიდებულ ყვავილნარში, — ამ მშვენიერ

ვარდთა, იათა და ნარტიბთ (ბესიკი ყოველ ქალს რაიმე ყვავილს ადარებდა) საამო სურნელმყოფი/დამფრეხლს — თავბრუ დაესხა და შეეცდნა/განსჯა რომ მას უფლება არა ჰქონდა ანიკოს გამოეჯნურებოდა.

ხელმოკრედ მოიღურბლა ბესიკის ცაზე. სადაც იყო იღვებდა და ამ ელვის მოლოდინით შეშინებული მგოსანი ერთი ფიქრით იყო შეპყრობილი, როგორმე დალაპარაკებოდა ანას და კვლავ მისი გული მოებრუნებინა. თუ ბატონთან მას მფარველებად თვით ბატონიშვილი ლეონი და დავით სარდალი ეველინებოდა, ანასთან ერთადერთი ღმერთი თუ მოველინებოდა მფარველად, თორემ ისე არავის იმედი არ შეიძლებოდა ჰქონოდა, ხოლო ანას მრისხანება და შურისძიება უფრო საშინელი უნდა ყოფილიყო ბატონის მრისხანებაზე. ამიტომ საჭირო იყო, როგორმე მოეხელთებინა ხელსაყრელი მდგომარეობა და ეთქვა ანასათვის — მე კვლავ შენი ერთგული მიჯნური ვარო.

ანას კი თითქოს სამუდამოდ დაეხშო მისთვის კარები. ერთხელაც არ აგრძნობინა, რომ ოდესმე ახლო გაიკარებდა.

ქორწინებამ მშვიდობიანად ჩაიარა და როსთომაც შეებით მოითქვა სული. იმერთა ბატონიშვილს კარგად ეჭირა თავი, თუმცა ხანდახან საოცარ შიამიტობას იჩენდა, მაგრამ ეს ყმაწვილციცებს ასეთ დროს საერთოდ არ ეზრახებოდათ, ამიტომ ყურადღებაც არავის მიუქცევია, როდესაც ბატონიშვილმა ერთხელ მღვდელს კინალამ ჩამოართვა საციცხლური — ეგონა მე მაწვდისო და ერთხელ კიდევ ბარძიმს მისწვდა და სასამისივით მოიყუდა, თუმცა მას მხოლოდ ტუჩებით უნდა შეხებოდა.

უკვე ბინდდებოდა, როდესაც ყველანი წილკანიდან მუხრანს დაბრუნდნენ. მუხრანბატონის დედა ზორეშა-

ნი ციხედარბაზის ეზოში შეეგება მე-  
ქორწილეთ და ნეფე-დედოფალს პირ-  
ში თითო ნატეხი შაქარი ჩაუღო. შემ-  
დეგ ზურნის ჭიჭყინში თოფ-დამბაჩე-  
ბის სროლის ხმებში და აურხაურში  
ყველანი გაშლილ სუფრაზე მიიბატი-  
ცა. ახლადგვარდაწერილი საგანგებო  
სუფრასთან დასხა და მალე ყველანი  
პურისჭამას შეუდგნენ. ნადიმი რა-  
ტომაც ჩუმი და მოსაწყენი გამოვი-  
და, მიუხედავად მუხრანბატონის  
სახლთუხუცესის იოველ ზედგენიძის  
გულმოდგინებობისა, რომელიც სუფ-  
რას თამაძობდა და მთელი ძალღო-  
ნით ცდილობდა ყველანი გაემხიარუ-  
ლებინა. ლეონ ბატონიშვილს, დავით  
ორბელიანს და გიორგი ამილახვარს  
საუბარი ჰქონდათ მორიგე ჯარის და-  
არსებაზე და ისე გაერთვნენ, რომ  
უნებურად აიყოლიეს ყველანი, ხო-  
ლო თამაძის სადღეგრძელოებს არც  
კი აქცევდნენ ყურადღებას. ბესიკი  
სუფრის ბოლოში იჯდა მესაკრავებ-  
თან და საუბარში მონაწილეობას არ  
ღებულობდა. ის მხოლოდ თვალყურს  
ადევნებდა მოსაუბრეებს, რომელთა  
შორის მისი ყურადღება უნებურად  
შიიბყრო ანიკოს ბიძამ ელიზბარ ერის-  
თავმა. ელიზბარის მამა—გიორგი, მარ-  
თალია, შერიგებული იყო ერეკლესთან  
და თბილისში ყულარაღასის თანამ-  
ღებობა ეჭირა, მაგრამ მის შვილს ეტ-  
ყოზობდა ამ შერიგების არა სწამდა რა  
და არც მამას და არც სხვა ახლობელ  
ნათესავეებს თბილისში სათოფედ არ  
ეკარებოდა. საერისთაოში, მართალია,  
მამულები ჩამორთმეული ჰქონდა,  
მაგრამ მაინც ატერხებდა თავი შეენა-  
ხნა და ხან ერთ თავადთან სტუმრობდა  
რამდენიმე თვეს, ხან ჰეორესთან.  
ერეკლემ რამდენჯერმე დაიბარა თა-  
ვისთან, რადგან მსტოვრები ატყობი-  
ნებდნენ—ელიზბარი ქართლის თავა-  
დებთან შეთქმულებას აწყობსო, —  
მაგრამ მან ხან ავადმყოფობა მოიმი-  
ხეზა, ხან საქმეები და რაც შეეძლო

თავს არიდებდა მეფეს. ახლანდელი არავის  
არ ეგონა, თუ ის ქორწილს დაესწრე-  
ბოდა. და ყველას გაუჩივრდნენ—როდე-  
საც მან ცხენი აიგნაჲს: *ჩუყვედნ* და  
თავის დისწულს გაბედნიერება მიუ-  
ლოცა. შემდეგ ქორივით ბასრი თვა-  
ლით შეათვალიერა სტუმრები და  
დამსწრეთაგან ერთი კაციც არ გამო-  
პარვია, ყველანი გულდასმით გასინ-  
ჯა. ელიზბარმა იცოდა, რომ მის მოს-  
ვლას ამ ქორწილში რომელიმე დიდე-  
ბულთაგანი აუცილებლად აცნობებდა  
მეფეს თბილისში და უნდოდა არ გა-  
მომპარკოდა ის წუთი, როდესაც თბი-  
ლისისკენ შიკრიცს აფრენდნენ. მას  
სურდა ისე გამოეთვალა, დროის რა-  
ოდენობა, რომ კიდევ ეჭიფნა და  
შემდეგ დროზე გაეცლოდა ამ მილა-  
მოს.

ლეონი ელიზბარს გულღიად შეე-  
გება, გვერდით მოსევა და ცდილობდა  
განსაკუთრებით ეცა პატივი. ჰკითხა  
ყოველივე, სად იყო, რას აპირებდა და  
არც ის დაუფარა, რომ ერეკლეს ცუ-  
დი ხმები მოდიოდა მის შესახებ. იმე-  
დი გამოსთქვა, რომ ახლა მაინც გაემ-  
გზავრებოდა მასთან ერთად თბილისს,  
რათა მეფის წინაშე წარმსდგარიყო  
და თავი ემართლებინა. აღუთქვა, მა-  
მაჩემთან შე ვიქნები შუამავალი და  
ყოველივეს კეთილად დავაბოლო-  
ვებო.

ელიზბარს ეჭვიც არ ეპარებოდა  
ლეონის გულწრფელობაში, მაგრამ  
მან კარგად იცოდა, რომ ერეკლე არა-  
ვის არ უწევდა ანგარიშს და ამიტომ  
ლეონის იმედით ყოფნა არ შეიძლე-  
ბოდა. ერეკლე თავის ერთგულ რომე-  
ლიმე მლიქვნელს უფრო მეტს დაუ-  
ჯერებდა, ვიდრე ვაქიშვილს და შე-  
იძლება ელიზბარი პატიების ნაცვლად  
ანძუხზე დაეკიდა.

ბესიკმა შეამჩნია, რომ ელიზბარი  
ლენოს თითქმის სულ არა სწამდა და  
დაფეთებულებით სუყველას სახეში  
აკვირდებოდა, თითქოს უნდოდა ამო-

ეკითხა, აბა რომელი მიპირებთ მიმუხ-  
თლოთ და ბატონთან დამასმინოთო.  
ბესიკი ეტყობოდა ვერ იცნო, რადგან  
დაიხარა და მეზობელს ჰკითხა ვინ  
არისო. როგორც კი გაიგო, ვინც იყო,  
ჯერ შორიდან გაუღიმა და იხელთა  
თუ არა დრო, მაშინვე გვერდით მო-  
უჯდა.

— ვეჟო, ვეღარც კი გიცან, — უთხ-  
რა მან ბესიკს და მხარზე ხელი მოუ-  
თათუნა, — გახსოვს მე და შენ მტკვარ-  
ზე რომ, თევზებს ანეკეს ვუგებდით.  
მას შემდეგ როგორ გამოცვლილხარ,  
დავთქვამებულხარ.

ბესიკს არასოდეს არა თუ უთევზ-  
ნია ელიზბართან ბავშვობის დროს,  
არამედ, უბრალოდ არც კი და-  
ლაპარაკებია და ახლა იფიქრა, აღ-  
ბათ სხვა თუ ვგონივარო. უნებუ-  
რად გაკვირვებით შეხედა თვალებში.  
ელიზბარი თითქოს მიუხვდა და მა-  
შინვე დასძინა. ზაქარია მოძღვარი,  
მამაშენი, მე სამღვთო სჯულს მასწავ-  
ლიდა და იმის დიდი პატივისმცემელი  
ვარო. შემდეგ ყურში წასჩურჩულა,  
გავიგე სპარსეთი მოგივლია, იქ ალექ-  
სანდრე ბაქარის-ძე გინახავს და ერთი  
მიამბე, გეთაყვა, როგორა ბრძანდება  
მისი უმადლესობაო. შეშინებული ბე-  
სიკი უხერხულად შეიშმუშნა და ისე  
გადახედა ელიზბარს, რომ მაშინვე  
აგრძნობინა, აქ როგორ შეიძლება მა-  
გის შესახებ ლაპარაკიო. ორივემ მა-  
შინვე შეცვალეს საუბრის თემა და სა-  
ერთო მზიარულებას აჰყვნენ. მხო-  
ლოდ გათენების ეამს, როდესაც სუფ-  
რა ძალზე აირია და მთვრალი მაყრე-  
ბის დრიანცელისაგან ყურთასმენა  
აღარ იყო, ელიზბარმა დასტაცა ხელი  
ბესიკს, სასახლის აივანზე გაიყვანა და  
ის იყო დაამირა კვლავ განეგრძო საუ-  
ბარი ალექსანდრე ბაქარის-ძის შესა-  
ხებ, რომ ამ დროს გალავნის გადამი-  
დან ცხენების თქარათჭური მოისმა და  
ელიზბარი უნებურად ყურადღებად  
დაიძაბა.

ეზოში მანდატურთუხუცესი შემო-  
ჯირითდა თავისი ამალით. მასწრა-  
ფოდ ჩამოხტა ცხენიდან, კიდევაც ჯი-  
ლავდარებს მიუგლოჯდა მაშინვე ცხე-  
ლისაკენ გაემართა. ბესიკმა უნებუ-  
რად გააყოლა თვალი მანდატურთ-  
უხუცესს, რომელიც ეტყობოდა  
ტყუილუბრალოდ არ იყო მოსული და  
მაშინვე დარბაზში შებრუნდა აშბის  
გასაგებად, ხოლო ელიზბარმა გამწა-  
რებით მიმოიხედა, რომ გასაქცევი  
გზა გამოენახა. ეჭვი არ ეპარებოდა,  
რომ მანდატურთუხუცესი მის დასა-  
ჭერად იყო მოსული.

დარბაზში კვლავ ისმოდა შეზარ-  
ხოშებული სტუმრების არეული ყაყა-  
ნი, სიმღერა, სიცილიკისისი. ზოგიერ-  
თებმა, დაინახეს თუ არა ბესიკი, მა-  
შინვე აქეთ-იქედან მიამახეს სად გაგ-  
ეპარე, მოდი სიმღერები სთქვიო. მა-  
ნუჩარს თუმანიშვილი ფეხზედაც კი  
წამოიჭრა, ოდნავი ბარბაციით ბესიკ-  
თან მივიარდა და მაჯაში ხელი ჩა-  
ავლო.

— აქ მო, შენი რჯული კი რა  
ეთქვა, მე ყიზილბაშო შენა. შენ აქ  
იყო და სიმღერა არა სთქვა, გაგო-  
ნილა!

ბესიკი ოდნავ უძალიანდებოდა მა-  
ნუჩარს, მაგრამ მაინც მიჰყვა და სწო-  
რედ ამ დროს დაინახა ეზოს კარიდან  
შემომავალი გაფითრებული ფარეში,  
რომელიც მუხრანბატონის სახლო-  
უხუცესთან მივიარდა და რაღაც წას-  
ჩურჩულა. სახლოუხუცესი ახალ სად-  
ლეგრძელოს წარმოთქმას აპირებდა  
და მოუთმენლად გადახედა ფარეშს,  
როგორ ბედავ, ხელს რომ მიშლიო,  
მაგრამ სახეზე უნებურად ისეთი გაო-  
ცება გამოეხატა, რომ სასმისი მაშინვე  
სუფრაზე დადგა და ფარეშს კითხვა  
გაუმეორა.

ფარეშმა კვლავ წასჩურჩულა რა-  
ღაც ყურში. სახლოუხუცესი მაშინვე  
წამოიჭრა ფეხზე, სუფრა მიატოვა და

გარეთ გავარდა. ფარეში აჩქარებით მიჰყვა მას.

ღარბაშში ზოგიერთებს ეს ამბავი არ გამოჰპარვიათ და შეიქნა ერთი გაკითხვ-გამოკითხვა:

— რა მოხდა?

— რისთვის გაიქცა?

— თამაღამ მიგვატოვა? ეგ როგორ იქნება.

— მანდატურათუხუცესი მოსულა.

— რაო?

— ნეტავ ხომ არავის შეპყრობას აპირებს? რატომ ჩვენთან არ შემოვა.

სუფრა აიშალა. ყველანი აირდაი-რიენ და გაოცებით შესტკეროდნენ ერთმანეთს.

— ბესიკ, შენ არ იცი, რა მოხდა?—

მოესმა უცბათ ბესიკს ნაცნობი ხმა.

მოიხედა. მის წინ ანა იდგა. ოღნავ გაფითრებული.

მოულოდნელობისაგან ბესიკი დაიბნა, მაგრამ, რაც მთავარია, იგრძნო, რომ ანა მიუხედავად გარეგნული გულცივიობისა, მისთვის ზრუნავდა, ნასზე ფიქრობდა და ეს შეშფოთბაც მით იყო გამოწვეული, რომ შეშინდა, ვაი თუ ბესიკს აღუსაღებნო.

ბესიკმა გადაჰარბებული თავაზიანობით ოღნავ გაუღიმა ანას და მოახსენა:

— დანამდვილებით არა ვიცი რა, თქვენო ბრწყინვალეებავ, მაგრამ ახლავ გავიგებ და ყოველივეს მოგახსენებთ. ისეთი არა უნდა იყოს რა.

ღაბღალ თავი დაუტკრა და მაშინვე გაემართა ქვედა სართულისაკენ, სადაც ცნობისმოყვარენი უკვე შეჯგუფებულიყვნენ მანდატურათუხუცესის გარშემო და ერთი ვაი-ვიში ჰქონდათ.

— რა, მოხდა გამაგებინეთ?— მიმართა პირველ შემხვედრ ფარეშს ბესიკმა.

— რალა რა მოხდა, შენი პირიმი. ანას მეუღლე დიმიტრი გარდაიცვალა და ნეტავ ვინ იქნება ისეთი, რომ ამ შუაგულ ქორწილში ეს ამბავი მოახ-

სენოს. ეს რა უბედურება დახვატყდა თავს. ქორწილი გლოვად გარდა-ვექცა.

ნაჩვენული  
ბიზლირთეა



დეთი მოხუცებულის გარდაცვალება, როგორც მთლად მიხრწნილი დიმიტრი ორბელიანი იყო არაოდეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოულოდნელი ან კიდევ თავზარდამცემი არც შინაურთათვის, არც გარეუღლათვის. მაგრამ ვინაიდან ანას მეუღლეს ჯერ ერთი დიდი თანამდებობა ეჭირა და მეორე, რაც მთავარია, მეფის სიძე ბრძანდებოდა, ყველანი ცდილობდნენ მისი გარდაცვალება დიდის მწუხარებით განეცადათ. პირველად, მართალია, არაჩვეულებრივი უხერხულობა შეიქნა. არცერთმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. გაემხილათ ეს ამბავი ანასათვის, თუ საქორწინო ნადიმი დაემთავრებინათ და შემდეგ ეთქვათ, მით უმეტეს, რომ ვერცერთი ვერ ბედავდა სამძიმარის მოქმელის შიშვე მოვალეობა ეკისრა, მაგრამ მოულოდნელად ბესიკმა იხსნა ყველანი. გაიგო თუ არა, რაც მოხდა, მაშინვე გაბრუნდა, ზემო სართულში ავიდა, ანას ეახლა და მოახსენა ყოველივე.

ამ ამბის გაგონებაზე ანა შეკრთა, თუმცა ბესიკმა შენიშნა, რომ ოღნავ შესამჩნევმა შეების ნეტარებამ ერთ წუთს მაინც გაიღვია მის სახეზე, მაგრამ მეორე წუთს წარბები სასოწარკვეთილად შეჰყარა და საოცარი ყალბი ხმით, რომელიც სრულიად არ გამოხატავდა გლოვას გაიმეორა ჩვეულებრივი ძველ თარგზე მოჭრილი სიტყვები ყოველი დედაკაცისა ქმარის გარდაცვალების დროს:

— ვაი ჩემს მოსწრებას, ეს რა მესმის, მზე დამიბნელდა? მი... ი... იშველეთ ქრისტიანენო! დიმიტრი! დიმიტრი ალარა მყავს!..

თავი სასოწარკვეთილად უკან გადაიქნია და ალბათ წაიქცეოდა, რომ უამრავი ხელი არ მიშველებოდა. ქალები სწრაფად შემოერთყნენ ანას, ტახტთან მიიყვანეს, მოწიწებით დასვეს და წყალი აპყურეს. შემდეგ ყველანი ტახტზე ჩამოსხდნენ, მაშინვე სამკაულების მოხსნა და თმების ჩამოშლას შეუდგნენ, თან ისე დაიწყეს მოთქმა, რომ ყურთა სმენა აღარ იყო. მამაკაცთა უმრავლესობამაც, რომელნიც აქამდე ძალზე მხიარულად იყვნენ განწყობილნი, უცბად ისეთი ღრიალი ასტეხეს, გეგონებოდათ ქვეყანა იქცევაო, თუმცა ბევრმა მათგანმა არც იცოდა, სახელდობრ ვინ მომკვდარიყო, მაგრამ როგორც ეს მთერალ ხალხს სჩვევია გაიგეს თუ არა დიმიტრი მომკვდარიო, არც კი იკითხეს, რომელი დიმიტრიო, იტიციეს შუბლზე ხელი და გულწრფელად ატირდნენ. შეიძლება ეს უცნაურიც იყოს, მაგრამ მოქიფენი ამ ტირილით ისეთივე ნეტარებას განიცდიდნენ, როგორც სიმღერის დროს. ისინი ისევე მოილხენდნენ, როგორც ქორწილში, რადგან ყოველმა მათგანმა კარგად იცოდა, რომ ღამაში ტირილით ისევე შეიძლებოდა თავის მოწონება, როგორც კარგი სიმღერით და ენამახვილობით. ამიტომ ეს უნებურად ატეხილი გლოვა-ზარი თითქოს ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა ამ საქორწინო ნადიმისა. ყველანი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გლოვის გარეგნულად ოსტატურ გამოხატვაში.

— ღმერთო მომკალი ახლა მე! — ისე გბრაზებული უყვიროდა ბარდლა ჩიჭოვანი, ოსეფა ყორღანაშვილს, თითქოს მისი ბრალი იყო რაც მომხდარიყო, — ღმერთო მომკალი, ღმერთო. დიმიტრი აღარაა ცოცხალი? რას გავს ეს? მე უნდა მოვეკალი და ის მოკლა? ა, კითხე ახლა ღმერთს სამართალი, ვინდა გამირისხდეს, მაინც ვიტყვი. ამხელა კაცს რო ტაცებ ამ

ქვეყანას, ვის ტოვებ მის მადურ გის დილდუ!

— დიმიტრი ჯან, ესაა მამაკაცი-ლი აგეტიცხე. პაა? — ხაღლა, ხარდლას თავის გადაღმა დარბაზის კუთხეს ეკითხებოდა ოსეფა და ჭრელი ბაღდადით ცდილობდა თვალთაგან ცრემლი მოეწურა — ბიჭო მე და შენ რატომ... რომ... ეჰ რა ვიცი რა ვთქო!.. ახლა, შენ რომ ხუმრობები იცოდი, შენ რომ ქეიფები იცოდი... ჩვენი გამზრდელი მამა იყავი, ძმა იყავი...

საერთო ღრინაცელში მარტო ლეონი და ბესიკი იდგნენ თავდაპირილად. ლეონს არასოდეს დიმიტრის არც ავი უნახავს და არც კარგი. მუდამ ლოვინად ჩაქარდნილი ახსოვდა და ამიტომ სულაც არ განიცდიდა მის დაქარვას. თანაც აშკარად ხედავდა, რომ ყველანი პირფერობით ტიროდნენ და გლოვობდნენ ისეთი აღამიანის გარდაცვალებას, რომელსაც უკვე თავისი ცხოვრების გზა ბოლომდე გაეთელა და სულაც არ იყო დატირების ღირსი. ამიტომ ლეონმა თავაზიანად ანუგეშა თავისი მამიდა და მაშინვე აიფანს მიაშურა, რომ ამ ტირილ-ღრინაცელისათვის თავი გაერიდებინა.

ბესიკს სურდა თავის მფარველ ბატონიშვილს მიჰყოლოდა, მაგრამ იძულებული იყო დარბაზში დარჩენილიყო და ცნობისმოყვარეთათვის სათითაოდ ეპასუხნა. ყველას სურდა პირადად დაწმენებულიყო ამ ამბის სინამდვილეში. თითქოს შესაძლებელი იყო ვინმეს განგებ მოეპორა ეს ამბავი, ხოლო ვინაიდან ცნობა ბესიკმა მოიტანა, სათითაოდ მას ეკითხებოდნენ:

— რაო, რაო? დიმიტრი გარდაცვლილია? ნამდვილად? იქნებ ტყუილია. დანამდვილებით აგრეა? შენ ვინ ვითხრა? მანდატურთუხუცესმა? სად არის მანდატურთუხუცესი?



— რაო? მანდატურთუხუცესი? — მეორეს ბოლო სიტყვა გაეგონა და კითხვას იქიდან იწყებდა: — მანდატურთუხუცესმა სთქვა? რა სთქვა? ეინაო? დიმიტრი გარდაიცვალაო? ეგ იმანა სთქვა? საიდან მოვიდა? თბილისიდან?

— თბილისიდანო? რაო თბილისიდანო. გამაგებინე შენი ჭირიშე. ვინ მოვიდა თბილისიდან? არ იცი, როგორ თუ არ იცი? მანდატურთუხუცესი? სად არის? ქვემოთ?

ამ არეულარევაში ყველაზე უფრო როსთო შეაკრთო, რომელსაც საერთოდ მულამ ეშინოდა რაიმე არაჩვეულებრივი და მოულოდნელი ამბებისა. ნაშინვე დასტაცა ხელი ნეფეს, საერთო არეულარევიტ ისარგებლა, ახლად შერთულ ცოლს მოაშორა და ყურში ჩასჩურჩულა:

— აბა, ახლა გმართებს ჭკვიანად ყოფნა, შენ შემოგველე. თავი არ მომჭრა. ვინ მომკვდარა ხომ იცი?

— იმე, ვიცი, აბა არ ვიცი! — უბასუხა ჭაბუკმა ნეფემ, — ჩემი იმის ბაბუა.

— ჰო და მიდი ახლა და მიუსამძიმრე შენი ცოლის ბებიას. ხო ცნობ რომელიცაა? ეგერ, ე, ლაშაზე ქალი რომ ზის ისაა. მოიცადე, რა უნდა ვითხრა, იცი? ჰო და ყური მიგდე. მიდი და ასე უთხარი, ჩემო დედავ, ეს რა თავზარი დაგვეცა თავს, ღმერთმა როგორ დაგვსაჯა, რომ ჩვენი მეფის ნუგეში და მარჯვენა ხელი მოგვტაცა-თქო. ეტყვი? აბა გაიმეორე.

— ვეტყვი აბა არ ვეტყვი! ახლავე მივიდე?

— ახლავე მიდი. მერე ისევე ჩემთან მოდი აქ. რაღაცა უნდა ვითხრა.

— რა უნდა ვითხრა? ახლავე მითხარი.

— რა და, შენ ხომ იცი ახლა, ერთ წელიწადს რო ვერ მიეკარები შენ ცოლს.

— რატომ?

— ნება არ გაქ. ასეა დაწერილი. ღმერთი გაგირისხდება.

— თუ აგრეა არ მინდა, მაშინ რა ექნა ახლა, — გულუბრყვილად უბასუხა ბატონიშვილმა და ანასკენ გაემართა. როსთო შორიასლო მიჰყვა ბატონიშვილს და თვალს არ აშორებდა.

ანამ შშვიდად მოისმინა დაეითის საამქმარი, ორივე ხელი დედაშვილურად მოხვია, შუბლზე ეამბორა და გულში ჩაიკრა:

— შენ იყავი, შვილო, დღევრძელი და ბედნიერი. იმდენ წელიწადს ნეტავ ჩვენ გავძლებდეთ, რაც იმან იცოცხლა, ამ შენი ბედნიერების დღეს არ მომკვდარიყო, კარგი იყო და...

— მე ახლა ერთ წელიწადს... — წამოიწყო დაეითმა, მაგრამ ამ დროს იდაყვზე ჯერ ჩქმეტა იგარძო, შემდეგ როსთოს მარწუხივით ხელი და იმ წამსვე ხმა გაკმინდა.

— ბატონიშვილო, ნუღარ შევაწუხებთ დიდებულ ქალბატონს, — შშვიდი ხმით უთხრა როსთომ და ნებას მიყოლილი დაეითი ანას მოარიდა.

პირველმა არეულარევაში მალე გაიარა. ანამ ბრძანა, რათა ღვთით ნებადართული ქორწინების ღზინი არ შეეწყვიტათ და თითონ მანაშინათვე კარის მცირე ეკლესიისაკენ გაეშურა, რათა პანაშვიდი გადაეხადა თავის ქმრისათვის. ცხადია, ღზინის გაგარძელება შეუძლებელი იყო და ყველანი ანას მიჰყვნენ.

კარის ეკლესია იმდენად მცირე იყო, რომ შიგნით სულ ათითორმეტი კაცი თუ მოთავსდებოდა, ამიტომ უმრავლესობა იძულებული გახდა გარეთ მდგარიყო. ეკლესიაში მხოლოდ სამეფო გვარის დიდებულები და ახლო ნათესავეები შევიდნენ.

ამ ამბის შემდეგ ბესიკმა ბევრი ეძება ელიზბარ ერისთავი, მაგრამ ვერსად ვერ ნახა. ბესიკს რატომღაც გულს სწყევდა ელიზბარისაკენ, თითქოს ეს მეფის მიერ ათვალისწინებული



ლი თავადი ახლო ნათესავი ყოფილიყო ისეთი უცნაური სიახლოვე იგრძნო მისდამი და ახლა სურდა კვლავ ესაუბრნა მასთან. გრძობდა რომ ელიზბარი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელთანაც თავისუფლად შეიძლებოდა გულის გადაშლა და უშიშარი საუბარი.

მთელი ციხედარბაზი დაიარა, ყველას ჰქითხა და ბოლოს ციხის კარის გუშაგმა უთხრა, ბჭეს რომ ეხურავდი, ელიზბარი ცხენზე შებრძანდა და თავისი ხელი მხლებელით აქედან წავიდაო. ეჭვი არ იყო, სანამ ამბავს შეიტყობდა, ელიზბარს არ დაეცა და გაპარულიყო.

ბესიკმა ხელი ჩაიჭნია, შემდეგ მოიხედა და აღარ იცოდა სად წასულიყო. კარის ეკლესიას აუარება ხალხი მისეოდა. ისევ სასახლეს მიაშურა, ზემო სართულში ავიდა. სანადიმო დარბაზი მთლად ცარიელი იყო. სფერა აულაგებელი იყო და ზედ არეულდარეულად ეყარა ძვირფასი ჭურჭელი, ჯერ კიდევ აუქნელი შემწვარი ბატკნები, თავდადგმული ფლაგით საესე ლანგრები, დიდი და მცირე სასამოები. დარბაზიდან ფარეშებიც კი გაკრებილიყვნენ. ბესიკმა აივანზე გაიხედა და სვეტთან მარტოდმარტო მდგარი ანიკო დაინახა, რომელიც ეზოს გადასცქეროდა.

ბესიკი წყნარად მიუახლოვდა და ჩააბეჭდა.

ანიკომ მოიხედა.

— ბესიკ, შენა?—გაეხარდა ანიკოს. შემდეგ თვალეზზე აბრეშუმის ცხვირსახოცი მიიფარა და ყრულ ჩაილაპარაკა,—ბესიკ, მე პაპა აღარა მყავს.

— „კარგსა დროსა სჯობს სიკედლი არ დროსა შემოსწრებასა“. თქვენი პაპა, ღმერთმა სასუფეველი დაუმკიდროს, საგლოვი აღარ არის. ნუ დარდობ, დედოფალო.

— შენ არ იტიროო, საყდარშიც არ წამიყვანეს და აქ მარტო დამტოვეს. არ შეიძლება, შენ რომ გლოვობდეო.

— მართალი მოუხსენებიათ, თქვენი ბრწყინვალებავ.

— შენ რისთვის არა ხარ ქვემოთ.

— ბიძა თქვენს ელიზბარ ერისთავს დავეძებდი...

— მართლა მე ხომ შენზე გაჯავრებული ვარ,—უცბად შეაწყვეტინა ანიკომ და გაბუტვით განზე გაიხედა,— დამავიწყდა, რომ ხმას არა გცემდი.

ბესიკი ღიმილით უცქეროდა ანიკოს და ხმას არ იღებდა. ცოტა ხნის შემდეგ ანიკომ უცბად მოიხედა, ეგონა ბესიკი წავიდაო და რაკი დარწმუნდა, რომ იქვე იღვა, ისევ განზე გაიხედა და თითქოს თავისთავს ელაპარაკებოდა, ისე განაგრძო:

— შშიშარი. მე კი ტარიელი მეგონა. ნეტავ ეიცოდე, აქ რისთვის მოდიოდა, იქნებ ხვარაზმას მეფის ძეს სურს რომ შეებას. — ანიკომ ვითომ უხმოდ გაიციინა ისე ჩაიჭნია თავი და ისევ მოიხედა. ბესიკი იქვე იღვა.

თვალეზი უცინოდა ანიკოს.

— მართალი თქვი, ხომ შეშინდი და მისთვის მოგონე თითქოს ყოველივე ზემოთა იყო.

— მართალია, დედოფალო.

— სცრუობ, დაიკარგე აქედან. — ვითომ გაუჯავრდა ანიკო ბესიკს და ნამდვილად კი გაუღიმა.

— შენმა გონებამ მიმამსჯავსა მიღებულ მთვარეს.

— რაო?

— სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს...

— ?

— მოდიოთ მიჯნურნო, შემობრალეთ, მოვლეთ ჩემს არეს...

— ბესიკ...

— მეკდარი ბესიკი დამიტირეთ, დამფალო სამარეს!

— ვაი...

— ვაი, სიცოცხლეო, უკუღმართო დანაცარებო!

ანამ ისეთი სისწრაფით მიიფარა თვალეზზე აბრეშუმის ხელსახოცი, თითქოს სურდა უცბად მოწოლილი ცრემლები შეეკავებინა— და გულამომჯდარი მოულოდნელად აქვითინდა. კარგა ხანს ზღუქუნებდა ასე, ხოლო, როდესაც ოდნავ დამშვიდდა და მოიზება, ბესიკი უკვე იქ აღარ იყო. ანიკოს სხეები შემოსეოდნენ და ამშვიდებდნენ. უშლიდნენ პატარძალს, გლოვა არ შეფერის ქორწინების პირველ დღესო.



ერეკლე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო იმპერატრიცასთან საფუძვლიანი მოლაპარაკება საქართველოს და რუსეთის ურთიერთობაზე და ბრძანა, რათა ლეონი და ანტონ კათალიკოსი სამგზავროდ მომზადებულიყვნენ. მეტის დაყოვნება შეუძლებელი იყო. ახალციხიდან დაბრუნებულმა მუხრან-ბატონმა და აღაბრეიშმა მაინცდამაინც სანუგეშო პევიკი ვერაფერი მოიტანეს. ახალციხის ახლადდანიშნულ ფაშას რატომღაც ახლა თავი ისე დაეჭირა, თითქოს საქართველო ეჭიდებდა მათთან ზავს და არა პირიქით. მოლაპარაკებას დიდი ვერაფერი შედეგი ვერ გამოეყო გარდა იმისა, რომ ორივე მხარე შეთანხმებულიყვნენ ხონთქარის პასუხს დალოდებოდნენ. ცხადი იყო, რომ თუმცა რუსეთის მიერ ყირიმის დაპყრას თურქებისათვის თავზარი დაეცა და სტამბოლში უკვე აუცილებლად მიიჩნდათ საქართველოსთან დაზავება, მაგრამ ფოთის მიდამოებში გენერალ სუხოტინის მარცხს მაინც იმდენად გაემხნევებინა ახალციხის ფაშა, რომ ის საჭიროდ აღარ სთვლიდა დიდ დათმობებზე წასულიყო. მართალია, მას კარგად ესმოდა, რომ საქართველოს

მეფესთან შებმა არ იყო ადვილი/საქმე, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ ლეკებისაგან თავგაბუნებულ ერეკლესათვის ახალციხის ფაშასთან ზავი უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე ომი.

მიუხედავად ამ ორქოფული შედეგისა თბილისში მაინც სწრაფად გავრცელდა ხმა ბატონი ხონთქარს დაუხვდაო. ამ ხმებს მაშინვე დაერთო ცნობა საქართველოდან რუსის ჯარის წასვლის შესახებ და ათასგვარმა ქორებმა მყრალი ბალახებით დაიწყეს აღმოცენება. განსაკუთრებით ვაჭრები აყაყანდნენ, რომელთაც გავგოთ, რომ მეფე იძულებულია საკუთარი მუდმივი ჯარი იყოლოსო და ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ ჯარის შენახვა ვაჭრებს დააწევბოდათ მხრებზე. მეფე ახალ განდასახადებს დააწესებდა.

ქალაქში ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოისმოდა:

— გაიგე?

— რაო?

— ბატონს უბრძანებია ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, ჩვენთან უნდა იმსახუროს ჯარშიო.

— ეა, ეა, ყველაშაო?

— არა, ბიჭო, სტეფანამ ფლავი მიირთოს და პოლოსამ ხელში თოფი აიღოსო.

— ეა, ეგ როგორ იქნება.

— მაშ, რუსები წავიდნენ და ჩვენ ვის ანაბარა უნდა ვიყვნეთ. ჯარი არ გვინდა?

— გვინდა რომელია, ნუ გავუშვებთ იმ რუსებს...

— გაუშვებ! შენა გკითხავენ. შენ ისა სთქვი, რომ ჯარში წაყვანას არ გაკმარებენ და ზედ კიდევ მაგარ ბეგარას დაგადებენ, წელიწადში თორმეტ თუმანს, აბა მაშინ ნახე...

ზშირად საუბარს ისე მწვავე ხასიათი ჰქონდა, რომ მოსაუბრენი უნებურად ჩურჩულით ლაპარაკობდნენ და თან აქვითიქით იხედებოდნენ, მეფის მოხელემ არ მოგვისწროსო.

განსაკუთრებით ცხარობდა ქეთხუ-  
და სტეფანე ბასტამაშვილი, რომე-  
ლიც სითამამით ცნობილი იყო და მე-  
ფის მოხელეებთანაც არ ერიდებოდა  
აშკარად ლაპარაკს.

— მეფე თეიმურაზმა ერეკლეს კახ-  
ბატონობა უბოძა, — ამბობდა გრძელ-  
წვერა ქედხუდებში ჩამდგარი სტეფა-  
ნე, — ამან კიდევ სიხარბით მამამისი  
რუსეთს გაისტუმრა და იქ მოკლა, რა-  
თა ქართლის და კახეთის მეფობა ხელ-  
ში ჩაეგდო. ტყუილია? თუ ტყუილია,  
მითხარით. ახლა კიდევ ვითომ ჯარი  
მჭირდებოდა და გადასახადით სულს  
ამოგვზღდის... რუსები წაელენ მა-  
რა იქნება. იარანალი ტოტლებენ იყო და  
წაიჩხუბა, მეორე იარანალი მოვიდა,  
რა გვარისა იყო? სუ... სუბოტინი თუ  
არ იგივე როგორაა. იმასაც ვერ შეეწყ-  
ყო და წაიჩხუბა... ორივენი ტყუოდ-  
ნენ? ახლა იძახის; რუსის ჯარი მიდი-  
სო, წაელენ მა რა იქნება. მაგას ისეთი  
ხასიათი აქვს, ვერც შინაურს და ვერც  
გარეულს ვერ შეეწყობა. სუყველას  
ხრამში გადაგვყრის. წამოდით, ხალ-  
ხო, რუსეთის ელჩს ვთხოვოთ, რუს  
ხემწიფე დედოფალს ჩვენი თავი შეა-  
ვედროს გვიბატონოს და ქართლის  
მეფობა ან თითონ ჩაიბაროს ან სხვა  
ვინმეს დაავალოს. ერთერთ შეილსა,  
ან გიორგის ან კიდევ უფრო უმჯობე-  
სი იქნება, თუ ლეონს გავგიმეფებენ.

ასეთი ლაპარაკი ჰქონდა სტეფანეს  
ქეთხუდებთან, როდესაც მას თავზე  
მოულოდნელად მიშკარბაში ბოსებ  
ბებუთაშვილი წაადგა. სტეფანეს მუხ-  
ლზე ხელი წაპკრეს, გაჩუმდით, მაგ-  
რამ მან იოსებთანაც დაურიდებლად  
გაიმეორა იგივე და ამით ქეთხუდებს  
თავზარი დასცა. მეფის დიდ მოხელეს-  
თან ასეთი თავისუფალი ლაპარაკი  
მეფის წინააღმდეგ თავის სასიკვდი-  
ლოდ განწირვას ნიშნავდა და დამფრ-  
თხალმა ქეთხუდებმა აღარ იცოდნენ  
რომელი რომელ მხარეს გატყუული-  
ყო. მათთვის სრულიად მოულოდნე-

ლად იოსებ მიშკარბაშმა სტეფანით  
მშვიდად მოისმინა სტეფანეს მოსახ-  
რებები და არც კი დატყუა მათგანით  
ურჩია, რუსეთის ელჩს მოეწვეს კო-  
ველივეს მოახსენებ, ურიგო არ იქნე-  
ბაო. იოსებ მიშკარბაში რუსეთის სა-  
ელჩოს ხშირი სტუმარი იყო და იმდენ-  
ნად დაახლოებული რუსეთის ელჩ-  
თან, რომ კაპიტან ლეონს მისი საშუა-  
ლებით მთელი ეს ამბები გაგებული  
ჰქონდა.

ლეონმა ოც ნოემბერს გრაფ პანინს  
წერილი გაუგზავნა, სადაც სხვათა  
შორის სწერდა: „...გენერალ სუხო-  
ტინთან ჩემი მიმოწერიდან, რომელიც  
ამასწინათ თქვენ ბრწყინვალეობას გა-  
მოგზავნა ჩვენს მიერ, გაიგებთ მეფე  
ერეკლეს მოქმედების, აგრეთვე ახალ-  
ციხის ფაშასთან მის მიერ დადებულ  
შავის შესახებ ყოველივეს როგორც  
ეს თქვენ ბრწყინვალეობას სურდა. ამა  
დადებული ზავით, მისმა უგანათლებუ-  
ლესობამ დაიტეხა თავისთავზე თავის  
ქვეშევრდომთა უმრავლესობის, გან-  
საკუთრებით ჩვენი მოერთვულე თა-  
ვადების აშკარა დრტვინვა, რამაც ყო-  
რიმის დაპყრობის შესახებ მოსულ  
ცნობასთან ერთად მისი უგანათლებუ-  
ლესობა მეფე ერეკლე ფრიად შეა-  
ყოყმანა და რომ ეს ფრიად ჩვენს მი-  
მართ ყოვლად უმართებულო მოქმე-  
დება რამდენიმედ გამოეწორობინა  
ეძიებდა სხვათა და სხვათა საშუალე-  
ბებს, რაიცა შედარებით გამოისყიდა  
ხერთვისზე გალაშქრებით და თურქთა  
სოფლების აკლებით“...

ერეკლემაც კარგად იცოდა, რაც  
ხდებოდა ქალაქში, მაგრამ მას ამეა-  
მად სრულიადაც არ აწუხებდა მოქა-  
ლაქეთა ან თითოთროლა თავადთა  
უქმყოფილება. შინაურებს ის ადვი-  
ლად მოუვლიდა. ყველაზე უფრო  
ერეკლეს მომავალი სახიფათო მდგო-  
მარეობა ადარდებდა, როდესაც სა-  
ქართველოდან რუსეთის ჯარი სრუ-  
ლიად გაიკრიბებოდა და ლეკთა თა-

რეშები მგლებს ხროვებით ყოველი კუთხიდან შემოესეოდა საქართველოს.

ოცდაათ დეკემბერს, ლეონისა და ანტონის გამგზავრებბს წინა დღეს, ერეკლემ თათბირი მოიწვია. თათბირს რუსეთში მიმავალთა გარდა დაესწრენ მდივანბეგები და სარდლები. ერეკლეს სურდა მათთან ერთად განეხილა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის პირობები. ეს პირობები ეოეკლეს წინასწარ შეემუშავებინა და ახლა თითონ წაუკითხა დამსწრეებს. ერეკლე მოითხოვდა ოთხი ათასი კაცის რეგულარული ჯარის გამოგზავნას საქართველოში და თანახმა იყო მიეღო რუსეთის იმპერატრიცის ქვეშევრდომობა. საქართველოს ტახტი უცვლელად უნდა სჭეროდა საქართველოს მეფეს და მის შთამომავალთ. კათალიკოსიც ხელუხლებლად უნდა დარჩენილიყო თავისი ღირსების სიმადლეზე. რუსეთს უნდა გაეთავისუფლებინა, დაებრუნებინა საქართველოში ყირიმში ტყვეობიდან გათავისუფლებული ქართველები. ჯარის შესანახი თანხები რუსეთს უნდა მიეცა საქართველოსათვის სესხის სახით, რომელიც გადახდილი იქნებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში.

ყოველივე ამ პირობების შესრულების შემდეგ ერეკლე კისრულობდა წარგზავნა რუსეთის იმპერატრიცის წინაშე მძევლად ერთერთი შვილი და რამდენიმე თავადი და აზნაური.

საქართველოში მთამადნეულის დამუშავებით მიღებული შემოსავლის ნახევარი ჩაერიცხა მისი უდიდებულესობის ხაზინაში.

ყოველ მოსახლეს გადაეხადა წელიწადში ბეგარა თოთხმეტი შაური.

ყოველწლიურად გაეგზავნა რუსეთის იმპერატრიცისთვის თოთხმეტი საუკეთესო ცხენი.

ჩაეტანა საკუთარი ქარავნით და

ყიზლარში ჩაებარებინა ორი ათასი კოკა საუკეთესო ხარისხის ღვინო.

რუსეთის ჯარის შესწავლას შემდეგ ყოველი ახლადდაპყრობილი სამსჯრქეთის ბატონობიდან გათავისუფლებული მზარეებიდან ეძლია ბეგარა იმდენივე რაოდენობით, რამდენიც რუსეთის გლეხებზე იყო დაწერილი.

და ბოლოს, როგორც კი საქართველოში მშვიდობიანობა დამყარდებოდა, გაეწვია რუსეთის იმპერატრიცის სამსახურში ჯარისკაცებად გლეხობა შეკომერთა იმ ოდენობიდან, როგორც ეს რუსეთში იყო დაწესებული.

— ზომ არა არის რა, დიდებულნო, ამ პირობებში ისეთი რამ, რაც ჩვენს ღირსებას შეურაცხყოფდეს?—კითხა ერეკლემ დამსწრეთ, როდესაც პირობების კითხვა დაამთავრა და დარბაზში სათვალეების შემოდან მიმოიხედა.

— აბა, რასა ბრძანებთ?—უპასუხა ყველას მაგიერად ქაბუამ,—ეგ იმის მეათედიც არ არის, რასაც ყაენს ვუგზავნიდით, ზოლო ყაენს ემორჩილებდით. რუსეთის იმპერატრიცას კი მფარველობას ვთხოვთ პირქით, მე ვფიქრობ ძალზე მცირე ვალდებულებას ვკისრულობთ, მეფევ, ვშიშობ ვი თუ...

— არა, ეს მცირე არ არის, — შეაწყვეტინა ერეკლემ,—არც ის ვარგა, რომ ბევრს შეჰპირდე და შემდეგ ამ პირობის შესრულებამ წელში გატეხოს. ბევრის შეპირება თავის დაბერებაა. რუსეთის იმპერატრიცას სულაც არ სურს ჩვენგან ჯიბის სარდა მოიპოვოს. მისთვის უფრო ხელსაყრელი ისაა, რომ მისი დიდი ქვეყნის საზღვარზე საქართველო აუღებელ ციხესიმაგრედ აღიმართება. ჩვენი სიძე ბატონი დავით სარდალი მაინც პირქუშად გვიცქერის, ვატყობ რაღაც არ მოსწონს. იქნებ მოგვახსენო, შეილო.

— არაფერი მეფევ, — გაიღიმა დავითმა და მეფეს შდაბლად დაუკრა

თავი,—ერთი არაკი მომავონდა და თუ არ გამირისხდებით მოგახსენებთ.

— რა არაკი?

— ზღვასა შინა სადაფი დადის პირ-შეკრული. სადაფი, როგორც მოგეხსენებათ წყალივით ან უფრო სწორად თათარასავით ლბილი და სუსტი ცხოველია. მის ღმერთმა ციხე-სიმაგრედ გარედან მაგარი სადაფის ორი ზოკერი შემოადგა, რომ მტერთაგან თავი დაიკავას. სულხან საბას სიბრძნე სიცრუვისაში რუქა არაკს ამბობს და სწორეთ ის არაკი მომავონდა; ოდეს სადაფი კირჩხიბს ნახავს თურმე პირს შეიკრავს. კირჩხიბი რა ახლოს მივა პირთან ფეხს მიადგამს. რა პირს ცოტაც არის გააღებს მაშინვე ფეხს შეუყოფს, ნელა ნელა შევა შიგა და რაც სიცოცხლე პძევს შესჭამს... ღმერთს ჩვენთვის — სხვა რომ არ ჩავთვალოთ—ეს ბუმბერაზი მთები მოუცია ციხესიმაგრედ და ვაი თუ იმ სადაფის მსგავსად ჩვენი ციხე-სიმაგრის პირს ეხსნით, რომ კირჩხიბმა ფეხი შემოჰყოს...

ერეკლემ პირველად თითქოს ვერც კი გაიგო რას ეუბნებოდა მისი სიძე და რამდენიმე წუთს სათვალეების ზემოდან დაეინებით უცქეროდა დავითს. დარბაზში საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა და ყველა იმის მოლოდინში იყო, რას ბრძანებდა მეფე ამ მოსწრებულ არაკის საპასუხოდ?

— ჰმ... ვეჭვობ, რომ ჩვენც ისეთივე ლბილი და სუსტი არსება ვიყოთ, როგორც სადაფის ზოკერებში შემალული ზღვის ცხოველი,— ერეკლეს ლაპარაკის კილოზე ოდნავ ეტყობოდა წყენა და გაჯაერებაც. — ჩვენს ციხე-სიმაგრეში კირჩხიბზე უფრო ძალიან მტერს შემოუდგამს ფეხი, მაგრამ ღვთის მადლით ჩვენ მრავალი ასეთი ფეხი მოგვეკეთეთ.

თავი დასარა და ქალაღს დახედა, თითქოს კითხვა უნდოდა განეგრძო, ნამდვილად კი ცდილობდა სიბრძნეს

მორეოდა. ერეკლე გრძნობდა, რომ დავითი მართალი იყო და თითონაც კარგად ხედავდა, რომ თავის ქვეყნის ბედს სახიფათო საფრთხის წინაშე აყენებდა, მაგრამ ყოველივე ამას განზრახ თვალს უხუჭავდა. არ უნდოდა დაენახა. ერეკლე კარგად ხედავდა რომ ეს უზარმაზარი სახელმწიფო მის პატარა სამეფოს სრულიად უმტკივნეულოდ დაეუფლებოდა და ის, რაც მტრულად განწყობილმა სამეფოებმა ათასზე მეტი წლის განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით ვერ შესძლეს, ეს მეგობრადმოსული იმპერია ერთის ხელის მოსმით, ერთი შესუნთქვით შეიძლებდა.

მაგრამ... სხვა გამოსავალიც არ იყო. გულის ტკივილით განიცდიდა ამას ერეკლე და თავისთავს ისე ინუგეშებდა, როგორც გულდაწყვეტილი ნეფე, რომლისთვისაც ბედს ულამაზო ქალი შეეტყუებინა და ახლა იძულებული იყო თავი დაერწმუნებინა, ეს რა ლამაზი ქალი მარგუნა ბედმაო. ასეთ ნეფეს თუ ვინმე შემთხვევით პირში ეტყვის, ეს რა მოიმახი ცოლი შეგირთავსო, გაჯაერდება და პირში მთქმელი შეიძლება კიდევაც გალანძლოს, თუმცა გუნებაში, ალბათ, ფიქრობს, ეგ შენ რომ მოთხრა, განა მე უკეთ არ ვიციო!

— მართალია რიტორება არს ძალი ხელოვნებითი, — განაგრძო ერეკლემ ისე, თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა, — დამარწმუნებელი სიტყვისაი საქმესა შინა სამოქალაქოსა და დასასრულ მქონებელი კეთილად მეტყველებისა. მაგრამ სამეფო საქმეთა მრჩეველობაში რიტორება გონებრივი უპირატეს არს გრძნობიერთან. განა გული ჩემი არ ეურჩება, თუმც ერთმორწმუნე, მაგრამ მაინც უცხო მბრძანებლის წინაშე ქედის მოხრას? მაგრამ გონება სხვას გვეუბნება...

— გული გრძნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან, რა გული წავა

ოგია წავლენ და მსკენ მიდიან, უგულო კაცი ვერ კაცობს კაცთაგან განაეიდიან...—დავითი აღგა მკერდზე ხელი მიიღო და მძიმედ თავი დაბარა,—მაპატიე კადნიერება, მეფევე, რა ვქნა, თუ ამ გულს ძლიერნი ცეცხლნი სწვიდიან. ნუ გამირისხდები და ნურც დამზრახავ.

— არც გზრახავ და არც გირისხდები, — უნებურად მოლბა ერეკლე და თავის სიძეს გაუღიმა, რომელიც შორილი ბავშვივით თავდახრილი იდგა მის წინ, თითქოს სასჯელის მოლადინში, — ქვეყნის სასარგებლოდ თქმული სიტყვა დეთისაგან დალოცვილია და ნება დართული. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი ქვეყანა მრავალჭირთაგან ვიხსნათ, ამისთვის ერთმანეთს ნუ დავზოგავთ. თუ რაიმეს ცუდს ჩავდივარ, ნურავინ ნუ მომერიდებით, მამხილეთ. მე რუსეთის მფარველობა იმისთვის მინდა, რომ თუნდაც ათი წელიწადი მშვიდობიანობა მოვიპოვო, და ქვეყანა აღვაშენო, სოფლები დაეასახლო, მალაროები

ავამუშაო, ქონება დაეაგროვო და შემდეგ ათასმა კირჩხიბებმაც კრავს შემოპყონ თავიანთი მტრუფთებრს ქვეს ციხე-სიმაგრეში, მაინც ველარას დაგვაკლებენ. ოღონდ სული მოეთქვით. პაპანაქება სიცხეში თუ ჩრდილს მივაშურებთ, ეს ზომ სახედარის ჩრდილი არ არის, რომ სირცხვილის აღმურმა დაგვწვას, ეს დიდი სამეფოს ჩრდილია და არავინ დაგვზრახავს. რას იტყვით, დიდებულნო, იქნებ მართალი არა ვარ.

— მართალსა ბრძანებთ, მეფევე, ღმერთმა კეთილი ჰყოს თქვენი ზრახვანი, — თითქმის ერთხმად მიიძახეს აქეთიქიდან დიდებულებმა და ყველანი უცბად ისე ალაპარაკდნენ, ახმაურდნენ, რომ მთელი დარბაზი სკასავით აგუგუნდა.

დიდებულთა უმრავლესობა მეფის აზრს იზიარებდა, გარდა დავითისა და მისი მიმდევარი ახალგაზრდობისა, რომელნიც ახლა თავის აზრს მხოლოდ დუმლით გამოხატავდნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

როლონ პოკია

## ოჯახის ბუჯი

★

ციცინო კოლმეურნეობიდან ბრუნდებოდა. ბრეიადის წვერებს ჩამოცილდა და არხისაკენ გადაუხვია. ეს არხი „კოლხიდმშენმა“ გასჭრა. არხი იყო გრძელი, ფართო, ღრმა. მწვანე წყალი ზანტად მიედინებოდა არხში, თითქოს ენანებოდა ევკალიპტებითა და დაფნით მორთული ნაპირების დატოვება. არხის კედლებზე ბაია და რძია-რძია იყო მოფენილი. ბალახის ფოთლები ალის თმებივით ჩამოშლიყო წყალში და მღორე დინება ნელა არხედა მათ.

ჩუმი და თბილი საღამო იყო. დასავალს მისული მშის სხივები თანდათან იკრიფებოდა წელამდე-მოყრილი სიმინდის ყანიდან და ბრჭყვიალა ევკალიპტების ფოთლებზე აღერსიანად ციალებდა. ხშირად, როცა კოლმეურნეობიდან ბრუნდებოდა ციცილო, ამ გზას დაადგებოდა და ამ არხის პირას ჩაყვებოდა ხოლმე. მეზობლებს არ უკვირდათ, თუ რატომ აიჩემა შორი მანძილი ციცილომ. სამამულო ომმა ქალების ხასიათში ბევრი უცნაურობა გამოიწვია და ციცილოსაც არავინ ეკითხებოდა ამ უცნაურობის მიზეზს. იტოდნენ, რომ არხისპირა გზით სიარული ციცილოს მას შემდეგ დასჩემდა, რაც შეილის დაღუპვის ამბავი მოუვიდა. დარი იყო თუ ავდარი, ადრე იყო თუ გვიან, ციცილო ხშირად დაადგებოდა ამ გზას და მიდიოდა მძიმე ნაბიჯით.

— ოჰ! ჩემს ძუკუს მაგონებს ეს გზა და ეს არხი, — ამოიოხრა ერთხელ ციცილომ, და შვილდაკარგული დედები მიუხედნენ, თუ რატომ დადიოდა ამ გზით ის.

საქმე ის იყო, რომ ამ გზაზე ქაობის ამოშრობისას ძუკუ ათისთავად მუშაობდა. წინათ აქ გაუვალი ქაობი იყო. კოლხიდელებმა ქაობზე პირველი იერიში აქ მიიტანეს. ძუკუ ვაბუკურის აღფრთოვანებით ჩაღვა ქაობთან მებრძოლთა რიგებში. ჩქარა შემანქანედ დაწინაურდა. არამც თუ დღისით, ხშირად ღამითაც არ ბრუნდებოდა შინ. სამუშაომ ისე გაიტაცა, რომ იქვე, ბარაკებში, ეძინა. დედა ხშირად ჩავიდოდა შეილთან, ჩაუტანდა საქმელს და უყურებდა, თუ როგორ ატრიალებდა მისი ძუკუ საოცარ მანქანას, რომელსაც ექსკავატორი ერქვა. დედას თავი მოჰქონდა, რომ მისი შვილი მანქანაზე მუშაობდა. შინ რომ დაბრუნდებოდა, მეზობლებში ამაყად იტყოდა:

— ჩემი ძუკუ რიზინ-რიზინით ატრიალებს მანქანას. თან არხს თხრის, თან არხი გაყავს. ინჯინერმა მითხრა, კარგი ბიჭი გაგიზრდიაო... მაგას ენაცვალოს დედა!

ამრიგად, ეს გზა და ეს არხი შეილის განსახიერება იყო დედისათვის. აქ მიწის ყოველი მტკაველი ძუკუს ოფლით იყო მორწყული. ყოველი ახალი ხის, ევკალიპტისა თუ დაფნის ფოთ-



ლებში შვილის ოცნება შრიალებდა. აქ გაშლილ სოფლის ყოველ ეზოში შვილის თვალი ტრიალებდა. იმ წუთებში, როცა ციციწო მძიმე ნაბიჯით, თვალში ცრემლით და გულში ცეცხლით, შვილის მიერ გაყვანილ გზაზე მიაბრუნებდა, თითქოს შვილის სუნთქვასაც კი გრძნობდა.

ამ მიწაზე მუშაობა იყო ის ახალი, რაც ძუკუმ დამოუკიდებლად ამოიჩინა შვიდწლეულის დამთავრების შემდეგ. ძუკუს სანუკვარი ოცნება იყო, რომ სწორედ აქ, ამ ახალ მიწაზე ახალი ოდა დაედგა. აუსრულდა კიდევ ოცნება. ჰაობი ამოაშრეს, დიდი გზა გაიყვანეს, ახალი მიწა ხალხს დაურიგეს. ძუკუმ თითონ ამოიჩინა სამოსახლო ნაკვეთი და ოჯახი ახალ მიწაზე დასახლდა. რამდენი ახალი ხე დარგო ძუკუმ... იმ ახალი ხეების სახელები ვერც კი დაიმახსოვრა ციციწომ. ეკვალიბტს ეკვალიბტს ეძახდა, კრიბტო-შერიას—კრიბტოიას, ტუნგოს—თუნგას. შვილის ხათრით დედას ეს ახალი ხეებიც შეუყვარდა და უყლიდა მათ. ციციწო ფიქრობდა: ცოტაც და რძალს შემოვიყვან ახალ დასახლებაში, ბედნიერი დედა ვიქნებიო. ორმოცი წლის ქალი ოცი წლის ქალიშვილივით გამოიყურებოდა: მხიარული, მომღერალი, მეჩინგურე.

მაგრამ ერთ შავ დღეს რადიომ საზარი ამბავი გაახმაურა ახალ დასახლებაში: გერმანია თავს დაგვესხაო. ძუკუ სამაჟლო ომში წავიდა. პირველი ორი წლის განმავლობაში ხშირად მოდიოდა წერილები. ორი წლის შემდეგ კი მეთაურმა მოიწერა: თქვენი შვილი, ძუკუ მელია, გმირულად დაეცა ბრძოლის ველზეო. დედამ წივილ-კივილით შეიცხადა შვილის დაღუბვა, მაგრამ წელში როდი გატყდა. ისევ ისე უყლიდა შვილის დარგულ ხეებს, ისევ ისე ტრიალებდა ოჯახში თუ ყანაში, ოღონდ თმა ჩქარა გაუთეთრდა, სახე ნაოჭებმა დაუღარეს, აი ასე, რო-

გორც კოლხიდის ამოშობილი გელებია არხებით დაღარული მართალია, ახლა არაფერი მჩაქვნივ ციციწონოს, არც ახალი სახლ-სახლ-სახლ-მოკლე მანდარინების ახალი ბაღი, ეზოში რომ აქოჩრდა ძუკუს შემდეგ, მაგრამ დარდს იქარებდა შრომაში, დასჩემდა დუმილი და ამ გზით შინ დაბრუნება.

2.

ვაგზალზე \* მატარებელი სწორედ მაშინ ჩამოდგა, როცა ციციწო რკინიგზის გადასასვლელს მიადგა. ერთ ხანს მოშორებით გაჩერდა. უცდიდა, სანამ ხალხი დაიშლებოდა, სადაგი დღის შესაფერისად იყო ჩაცმული და ხალხში გამოჩენა არ უნდოდა. როცა მატარებელი წავიდა და ხალხი დაიშალა, ციციწომ განაგრძო გზა. მას ჩაუარეს აჩქარებულმა მგზავრებმა. ერთი ჯგუფი იმ გზას დაადგა, ციციწო რომ მიდიოდა. ვიღაც ყავარჯნიანმა სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილმა ერთ ბავშვიან ქალს სოფლისაკენ ანიშნა ხელით და განაგრძო გზა. ციციწო დააკვირდა ყავარჯნიანს და ამოიოხრა:

— ეჰ, ჩემი ძუკუ!

რა ბედნიერი იქნებოდა ციციწო, რომ მისი ძუკუ ჩამოსულიყო, თუნდაც ასე, ყავარჯნით, ან თუნდაც ორივე ფეხი არ ჰქონოდა. შავი ფიქრები კვლავ აიშალნენ ციციწოს თავში. ფეხი აუჩქარა, ხეიბარს დაეწია, მაგრამ ზურგიდანვე იცნო ომიდან დაბრუნებული მეზობელი და ისევ შეანელა ნაბიჯი. ჩაიარეს ავტომანქანებმა და მტვრის კორიანტელი დააყენეს. ჩაიარეს სკოლიდან დაბრუნებულმა მოწაფეებმა. ბავშვიანმა ქალმა ერთი ბიჭი გააჩერა, რაღაც ჰკითხა. ბიჭმა ციციწოს სახლისაკენ გაიშვირა ხელი. ბავშვიანმა თავი დააქნია. ჩემოდანზე დაჯდა და ბავშვი კალთა-

ში ჩაისვა. ციციანოს არ მოეწონა, რომ ბიჭმა უცხო ქალს მისი სახლისაკენ მიუშვირა ზელი. დღეს ვერავის მიიღებს ციციანო. რაიონის ცენტრიდან ხშირად ჩამოდოდნენ ინდივიდუალურ ნაკვეთებზე მომუშავენი და ითხოვდნენ ღამის გათევას. ციციანოს არასოდეს გამოუხურავს მათთვის კარები, განსაკუთრებით უყვარდა ბავშვიანები, ეთამაშებოდა ბავშვებს და იქარებებდა დარდს. ქმარიც ხელს არ უშლიდა, რადგან გრძნობდა, თუ რა სიციარიელეს აესებდნენ \*სხვისი ბავშვები ცოლის გულში. მაგრამ ამასწინათ ქმარი შეეხვეწა:

— თუ ხათრი გაქვს, ნურავის მოიყვან ამ კვირას. ხომ იცი...

ქმარს სიტყვა ჩაუწყვდა, მაგრამ ციციანო მიხვდა. ახლოვდებოდა ძუკუს დაღუპვის წლისთავი.

ციციანოს დიდი ხათრი ჰქონდა ქმრისა და რამდენიმე დღე არავინ მიუღია ღამის გასათევად. ამიტომ იყო, რომ უგუნებოდ ჩაუარა ბავშვიან ქალს. მაგრამ ოცაოდე ნაბიჯი რომ გააარა, გულმა ვერ მოუთმინა და მობრუნდა. მივიდა უცხო ქალთან და რადგან შენიშნა, რომ რუსი იყო, რუსულად უთხრა:

— მომეცით ჩემოდანი, დაგეხმარებით.

რუსმა ქალმა ბავშვის მიცემა არჩია თავაზიანობის გამო, რადგან ჩემოდანი ბავშვზე მძიმე იყო. ციციანომ დაძინებული ბავშვი ჩაიხუტა და გაუდგნენ გზას. ციციანომ არაფერი ჰკითხა რუს ქალს, ეშინოდა: ვაი თუ ღამის გათევა მომთხოვოსო. ერთმა ხანმა სიჩუმეში განვლო. უცებ ბავშვმა თავი მკერდში ჩაუყო ციციანოს. ციციანოს გააყრკოლა: ასე იცოდა პატარა ძუკუმიც... მაგრად მიიკრა ბავშვი მკერდზე. ბავშვი სუნთქავდა მშვიდად, წყნარად. მისი თბილი სუნთქვა შორეულსა და დაუბრუნებელს აგონებ-

და ქალს, როცა ის ბედნიერი დედა იყო. ასე ჩაიხუტებდა ის პატარა ძუკუს, დადიოდა აივანზე და ამინებდა. რა იცოდა მაშინ ბედნიერმა დედამ, რომ გერმანული ყუმბარის დასაფლვითად ზრდიდა შვილს?.. ნეტავი დიდხანს არ გათავდებოდეს ეს გზა! ნეტავი, დიდხანს იყოს ეს რუსი ბიჭი მიკრული ციციანოს მკერდზე! მაგრამ აგერ ციციანოს სახლიც. აგერ აივანზე ქალარა ქმარიც. ციციანო რომ უცნობ ქალთან დაინახა, ქმარი მიტრიალდა და ოთახში შევიდა.

— უკაცრავად, მეგობარო, მე უკვე მივედი, ინებეთ ბავშვი — ციციანომ ბავშვი გადასცა დედას. ციციანომ იცრუა: მის სახლამდე გერ კიდევ ორი ეზო იყო, მაგრამ მიხვდა ციციანო, თუ რატომ შევიდა ქმარი ასე უცხად ოთახში.

— გონია, ღამის გამთევი მომყავს და ეწყინა, — გაიფიქრა ციციანომ.

— გმადლობ, კეთილო ქალო! — უპასუხა რუსმა ქალმა და ბავშვი მიწაზე დააყენა. ბავშვმა ტირილი მორთო, ხელზე აყვანა მოითხოვა.

— ნუ ტირი, ძვირფასო, ნუ ტირი, ჩემო სიცოცხლე! — დაამშვიდა დედამ ბავშვი, მაგრამ ბავშვი გაპირვეულდა.

— ნუ ტირი, ღზეუკუ! ჩქარა მივალო შინ! ეგერ ჩვენი სახლი! — დაამშვიდა რუსმა ქალმა ბავშვი და ხელი ციციანოს სახლისაკენ გაიშვირა.

ციციანო ეცა ქალს, ხელი ჩაბდუჯა და ჰკითხა:

— რაო? რა სთქვით? რა ჰქვიან ბავშვს?

— ღზეუკუ... ღზეუკუ, — გაიმეორა ქალმა.

— რატომ ჰქვია ძუკუ?

— რა გემართებათ? — გაუკვირდა რუს ქალს, — რატომ ჰქვია და მამამისს ერქვა ღზეუკუ.

ციციანომ თვალებში ხელი ამოისვა: მოჩვენებაა თუ სინამდვილე ეს ბავშვი? და რადგანაც ციციანოს სიტყვა

ჩაუწყდა პირში, რუსმა ქალმა განაგრძო:

— ჩვენს სოფელში გერმანელები იდგნენ და მე ერთ ხანს ვინახავდი დაქრილ ქართველს, ძუკუ მელიას. როცა წითელმა არმიამ ჩვენი სოფელი გაათავისუფლა, ჩემი ქმარი გაპყვა ჯარს. წასვლის წინ დამავალა: თუ მომკლეს, ჩვენი შვილი საქართველოში ჩაიყვანე. დედის ერთა ვარო... ჩემი ქმარი მოკლეს და მე ვასრულებ მის დავალებას. მისამართიც მაქვს. მამას ბეგი ჰქვია, დედას — ციცინო...

— შვილო, ნანა — შეჰკვილა ციცინომ, თითქოს ცას ვარსკვლავი მოს-

წყვიტაო, აიტაცა ბავშვი და გასძახა სივრცეს, იქითკენ, სადაც მისი ოდა იდგა:

— ბეგი! ბეგი! სადა ხარ, ქაცო? ძუკუ დაბრუნდა, ძუკუ!... უუუ, ბეგი-ი!

აივანზე გამოჩნდა ქალარა კაცი და ჩამოირბინა კიბე. ის მორბოდა, ხელები ჰაერში გაეშვირა, თან ტიროდა, თან იცინოდა, თან ყვიროდა:

— ძუკუ? ბაბაია, სადა ხარ? სად?

— აგერ, კაცი! აგერ პატარა ძუკუ! აგერ ჩვენი ოჯახის ბურჯი! — იძახდა ციცინო, მირბოდა ქმრისკენ და ბავშვი ისე მალდა ასწია, თითქოს გამარჯვების დროშა ააფრიალაო.

## ესთეტიკა და კრიტიკა\*



ესთეტიკას მჭიდრო კავშირი აქვს  
 ლიტერატურულ კრიტიკასთან. ეს  
 კავშირი ნაკარნახევია მათი შინაგანი  
 ბუნებით. რამდენადაც ესთეტიკა ზო-  
 გადია, იმდენად კრიტიკა კონკრეტუ-  
 ლია, მაგრამ ისინი ამავე დროს ავსებენ  
 ერთმანეთს, რადგან ესთეტიკის დასკე-  
 ნებს ძალიან ხშირად იყენებს კრიტიკა,  
 ხოლო კრიტიკის დასკვნები ასევე  
 ძვირფასია ესთეტიკისათვის. ხშირ შე-  
 მთხვევაში ესთეტიკა ძვირფას მასა-  
 ლას აძლევს კრიტიკოსს. ეს შეგვიძლია  
 ავხსნათ ტრაგედიის ორგანიული არ-  
 სის—ამაღლებულის ესთეტიკური ანა-  
 ლიზის მაგალითზე. შილერმა ამ სა-  
 კითხის ვარჩევა „სიბნელის“ განსა-  
 ზღვრიდან დაიწყო. „ამაღლებულის  
 შესახებ“ წერილში<sup>1</sup> მან მიუთითა, რომ  
 „სიბნელე“ საშიშია და სწორედ ამი-  
 ტომ ის სასარგებლოა ამაღლებული-  
 სათვისო. სიბნელე საშიშია არა თავის-  
 თავად, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ-  
 თვის ჰფარავს საგნებს და მთლიანად  
 გვაშყოფებს წარმოდგენის სამეფოში.  
 სიბნელის დროს ჩვენ უიარაღონი ვრჩე-  
 ბით, ჩვენი არსებობის პირველი გუ-  
 შავი—მხედველობა უძლეური ხდება და  
 ეს უძლეურება მთელ სხეულს გადაე-  
 დება ხოლმე. კლასიკურ მაგალითად  
 შილერს მოჰყავს ჰომეროსი, რომლის  
 შემოქმედებაში კაცობრიობა ჯერ კი-

დევ პირველყოფილი ენით ლაპარა-  
 კობს და სადაც სიბნელე ერთერთ  
 ყველაზე საშინელ უბედურებად არის  
 მიჩნეული. „ოდისეაში“ გულადი აიაქ-  
 სი ბრძოლის წინ მიმართავს ზევსს  
 და ეუბნება: ყოვლისშემძლეო, დაგვიხ-  
 სენი საშინელი სიბნელისაგან, დაგვიბ-  
 რუნე დღის სინათლე, მოგვეცი საშუა-  
 ლება ვხედავდეთ თვალებით და დღის  
 სინათლეზე თუნდაც დაგვლუბე, როცა  
 ჩვენს დაღუბვას შენ მოისურვებო.  
 ამაღლებულისათვის ჰომეროსს გამო-  
 ყენებული აქვს სიბნელე. შილერი იძ-  
 ლევა ამ ხერხის ანალიზს და ეს ესთე-  
 ტიკური პრინციპი კრიტიკოსს შეუძ-  
 ლია გამოიყენოს იმის ნათელსაყოფად,  
 თუ რა მოეთხოვება მწერალს, როცა  
 იგი სინამდვილეს გვიხატავს: ტრაგე-  
 დიაში—ტრაგიკულის ნაწილები აუცი-  
 ლებლად უნდა იყოს წარმოდგენილი,  
 ისევე როგორც კომედია ვერ შეიქმნე-  
 ბა, თუ კომიკურის საფუძველი—წი-  
 ნააღმდეგობა თავისივე თავისადმი და-  
 ვიწყებულ იქნა.

ესთეტიკა და კრიტიკა ჩვენ გვეხმა-  
 რება ღრმად გავიგოთ ხელოვნების ნა-  
 წარმოები, ჩავსწვდეთ მის შინაგან არ-  
 სებას, აზრსა და სილამაზეს. ისინი ახ-  
 დენენ ხელოვნების ანალიზს და ამით  
 გზას გვიკვლივენ შევიცნოთ შემოქმე-  
 დების ქეშმარიტება. მაგალითისათვის  
 მივმართოთ ლიტერატურულ კრიტი-  
 კას. ეს უკანასკნელი არა მარტო ახ-  
 დენს ლიტერატურული მოვლენების

\* წიგნიდან „ხელოვნება და სინამდვილე“.

<sup>1</sup> Ф. Шиллер. „Статья по эстетике“,  
 стр. 156

ანალიზს, მას მკითხველი ღრმად შეპყავს ზოგჯერ საიდუმლოებით მოცულ შემოქმედების ვრცელ სამყაროში. როცა პლენანოვი ბელინსკის დაბადების ასი წლისთავზე განმარტავდა ლიტერატურულ კრიტიკას, იგი იმეორებდა „ბობოქარი ბესარიონის“ სიტყვებს, რომ კრიტიკა სხვა არაფერია, ვარდა მხატვრული ნაწარმოების შეფასებისა. ბელინსკი გენიალური რუსი კრიტიკოსი იყო და პლენანოვს იგი მაინცდა ყველაზე საიმედო ხელმძღვანელად დიდი რუსი პოეტების შემოქმედების შესწავლაში. თუ თქვენ გსურთ შეისწავლოთ ლერმონტოვის პოეზია, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ წაიკითხოთ მისი ლექსების კრებული. მაგრამ როგორი ყურადღებითაც უნდა წაიკითხოთ, რა ძლიერი შთაბეჭდილებაც უნდა მიიღოთ, ნუ დაკმაყოფილებით. წაიკითხეთ ბელინსკის წერილები ლერმონტოვის შემოქმედებაზე, კვლავ წაიკითხეთ ის ლექსები, რომლებსაც ბელინსკი არჩევს, და თქვენ მიხვდებით, რომ ლერმონტოვის პოეზიის დიდი სილამაზე შეუდარებლად უფრო საგრძნობი იქნება თქვენთვის, ვიდრე მას კითხულობდით ბელინსკის დაუმხარებლად. პლენანოვის ამ სიტყვებში უდავოდ დიდი ჰუმანიტებაა. მართლაც, რა ფასი ექნებოდა ლიტერატურულ კრიტიკას, მას რომ არ შესძლებოდა მკითხველისათვის მიეცა იმაზე მეტი, რასაც ის კრიტიკის დაუმხარებლად შეიცნობდა მხატვრულ შემოქმედებაში? ხელოვნების დიდი სილამაზე კაცობრიობისათვის ასე გახსნეს არისტოტელემ და ლუკრეციუსმა, ბუალომ და ჰეგელმა, ლესინგმა, დიდრომ და ტენმა, ბელინსკიმ, დობროლუბოვმა და ილია ჭავჭავაძემ. ამით თითქოს შეუცნობლად შედარდება კრიტიკის ხელმძღვანელი როლი.

მაგრამ თუ კრიტიკას მკითხველის ხელმძღვანელობა ეკისრება, ამით მაინც არ შეიძლება განისაზღვროს მი-

სი წარმმართველი როლი. თუ მკითხველი ამ თვალსაზრისით შეხედავთ მას, ჩვენ აუცილებლად შევხვდებით ფიზიკამდე. კრიტიკის ხელმძღვანელი როლი არსებითად თრ ნაწილად განიყოფება: პირველი განეკუთვნება მკითხველს, მეორე—ხელოვანს. ზოგიერთები კრიტიკის როლს უმთავრესად მეორე ნაწილით განსაზღვრავენ. მათ სამართლიანად სჯერათ, რომ მწერალს აუცილებლად ესაჭიროება დიდი მხატვრული გამოცდების კრიტიკოსი, როგორც ამას ფიქრობენ ილია ჭავჭავაძე, ბუალო, ლესინგი. კრიტიკა გზას უნათებს მწერალს, ავრძნობინებს მისი შემოქმედების დადებითსა და უარყოფითს, უჩვენებს—რა არის საჭირო, რა იქნებოდა უკეთესი. მაგრამ არა გვგონია კრიტიკის ეს როლი უფრო მეტი მნიშვნელობის შემცველი იყოს, ვიდრე მისი მოწოდება—დაეხმაროს მკითხველს ლიტერატურის მთელი ძალის ღრმად შეცნობაში, გაუწიოს მას ხელმძღვანელობა სწორად გაერკვეს ლიტერატურულ მოვლენებში. ამასთან სწორი იქნება წამოვაყენოთ არჩევანი—კრიტიკის როლის ამ ორი ნაწილიდან რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, რომელი უფრო დიდი მნიშვნელობისაა — ასწავლო მწერალს, თუ ასწავლო მკითხველს? პირველი უფრო სპეციფიკური, განსაზღვრული როლის მატარებელია, მეორე—ასევე სპეციფიკური, მაგრამ განუსაზღვრელი. ესთეტიკის შესახებაც იგივე უნდა ითქვას. ამიტომ კრიტიკისა და ესთეტიკის როლის ეს ორივე ნაწილი, რომლებიც ცალცალკე არ არსებობენ და მთლიანობას განასახიერებენ, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, თუმცა მეორე ნაწილს მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ საკითხი ამით მაინც არ ამოიწურება. უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროს, როცა ხელოვნების ფორმას მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ესთეტიკის რო-

ლის პირველ ნაწილს წინ წამოსწევინ ხოლმე, მას მეტ უფლებას აძლევდნ და მხოლოდ ისეთ კრიტიკოსს აფასებენ, რომელიც მარტოოდენ ესთეტიკური (განყენებული, ცალმხრივი) ანალიზით კმაყოფილდება. მაგრამ ხელოვნება ფორმისა და იდეის მთლიანობის გარეშე წარმოუდგენელია. ამ უდავო კეშმარიტებას ესთეტიკა და კრიტიკა ვერასოდეს ვერ აუქცივენ გვერდს და ამიტომ მათი როლი არ შეიძლება ცალმხრივი ესთეტიკური მსჯელობით განისაზღვროს. ამიტომ ფრანგული კლასიკური მწერლობის ეპოქაში საესკებით გასაგები იყო ბუალოს მისწრაფება კრიტიკისათვის პირველყოვლისა დაეღვინა მხატვრული ანალიზის ფუნქცია და მისი როლი ასევე პირველყოვლისა განესაზღვრა მწერლების სწავლებით. შორს რომ არ წავიდეთ, რუსულ კრიტიკაშიც მეცბრამეტე საუკუნის დასასრულს იდეალისტი ვოლინსკიც ასეთი შეხედულებით გამოვიდა. ყოველი ეპოქათვის მოთხოვნებს უყენებს ესთეტიკას და ლიტერატურულ კრიტიკას. მათგან ხან მოითხოვენ ფორმის ანალიზს, ხან შინაარსისას, ხან მწერლის სწავლებას, ხან საზოგადოებისას. მაგრამ ამ მოთხოვნათაგან ყველაზე უფრო სწორია ჩვენი დროის თეზისი — ფორმისა და შინაარსის დიალექტიკური ერთიანობა. ჩვენი დიდი დრო ხელს უწყობს მწერლის სწავლებას და საზოგადოების განათლებას. ამიტომ ესთეტიკა და ლიტერატურული კრიტიკა მოწოდებული არიან ორივე ეს ფუნქცია შეასრულონ.

მარქსისტული ესთეტიკის ეს ფუნქცია განმარტა პლენანოვმა ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ თავის მთელ რიგ ნაშრომებში. მის ესთეტიკურ სისტემაში ერთერთი ცენტრალური ადგილი უკავია ფორმისა და შინაარსის პრობლემას. პლენანოვმა ბენისკისა და რაზნოჩინელების შემდეგ

ბრწყინვალედ დაიცვა დებულება, რომ ხელოვნებაშიც შინაარსი გადაწყვეტია. ხელოვნებაში, როგორც მწერლობაშიც, სხვა ადამიანურ საქმეში, შინაარსს აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით განიხილა მან პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, ბალზაის, გუსტავ ფლობერის, პენრიკ იბსენის, გლეხ უსპენსკის, სიმბოლისტების, იმპრესიონისტების, მთელი რიგი რუსი და ევროპელი მწერლების შემოქმედება. ბალზაის რეალისტური მეთოდის მის მიერ მოცემული დახასიათება პირდაპირ მოგვაგონებს ენგელსის შეხედულებებს ამ დიდი ფრანგი მწერლის შემოქმედებაზე. ასევე სწორია მითითება ფლობერის შესახებ — „ობიექტურობა იყო მისი მეთოდის უძლიერესი მხარე“.

შინაარსისა და ფორმის საკითხი პლენანოვმა ვრცლად განიხილა წიგნში „ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება“, აგრეთვე კრიტიკულ სტატიებში — „ოცი წლის მანძილზე“ (მესამე გამოცემის წინასიტყვაობა), „პროლეტარული მოძრაობა და ბურჟუაზიული ხელოვნება“. ამ უკანასკნელ წერილში პლენანოვი განიხილავს ვენეციაში მოწყობილ მხატვართა სურათების გამოფენას და მოუთხოვს, თუ რაში მდგომარეობს სიმბოლიზმის ბუნება. მაგალითად, სიმბოლისტი მხატვრის ტოროროპის სურათი „ახალგაზრდა თაობა“ წარმოადგენს არა სურათს, არამედ რებუსს, ვინაიდან აქ რაღაც ტყუა დახატული, რაღაც ხეები, ქალის რაღაც თავი, მაგრამ საბოლოოდ არაფერი. რაკი იდეა გაურკვეველია, ამიტომ ეს რებუსია და არა სურათი. რა იყო თვით სიმბოლიზმი, რომლის წარმომადგენლად პლენანოვმა ტოროროპი მიიჩნია? ესაა — მხატვრების უნებური პროტესტი უიდეობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს პროტესტი, რომელიც წარმოშობილია უიდეო ნიადაგზე, მოკლებულია გარ-

კვეთს შინაარსს და ამიტომ იკარგება განყენებულობის ნისლში,—როგორც ჩვენ ამას ვხედავთ ლიტერატურაში, იბსენისა და ჰაუპტმანის ზოგიერთ ნაწარმოებებში, და ბუნდოვანი, ქოთლური სახეების ქაოსში,—როგორც ეს ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ ტოროტისა და გოდლერის ზოგიერთ სურათებზე.<sup>1</sup> მაგრამ ეს უიდეობა არის თუ არა ნამდვილად უიდეობა? არა, უიდეო ხელოვნება მაინც შეიცავს გარკვეულ იდეას—უიდეობას. უიდეოდ ხელოვნებას არსებობა არ შეუძლია,—წერს პლენანოვი.

თავისი ცნობილი წიგნის — „ოცი წლის მანძილზე“ მესამე გამოცემის წინასიტყვაობაში პლენანოვი წამოაყენა მატერიალისტური კრიტიკის ორი აქტის თეორია. გამოდის რა იმ წინაპირობიდან, რომ ჰეგელის, სკოლის იდეალისტი კრიტიკოსები ცდილობდნენ მხატვრული ნაწარმოების იდეა ხელოვნების ვნიდან გადაეთარგმნათ ფილოსოფიის ენაზე, პლენანოვი მიუთითებს, საჭიროა მხატვრული შემოქმედების იდეურ ანალიზს თან სდევდეს მისი ესთეტიკური ანალიზიცო. მატერიალისტური კრიტიკის პლენანოვისეზური ორი აქტი ასე გვეხატება: ა) მხატვრული ნაწარმოების იდეური, შინაარსეული, სოციოლოგიური ანალიზი; ბ) ხელოვნების ნაწარმოების მხატვრული ანალიზი, მისი ესთეტიკურ ღირსებათა შეფასება.

ამ ორ აქტს შორის პლენანოვი არავითარ წინააღმდეგობას არ ხედავდა. პირიქით, იგი წერდა: „... მატერიალისტური კრიტიკის პირველი აქტი არამარტო არ აუქმებს მეორე აქტის საჭიროებას, არამედ გულისხმობს მას, როგორც თავის აუცილებელ დამატებას.“<sup>2</sup> შესაძლოა ფორმულირება არ

იყოს საცხებით გამართლებული, ვინაიდან „დამატება“ თითქოს ამცირებს მეორე აქტის როლს, მაგრამ მხატვრული სფეროა. პლენანოვი<sup>3</sup> მხატვრული წარმოდგენილი ჰქონდა როგორც შინაარსი და ამ შინაარსის გარკვეული მხატვრული ფორმა, მისი გადმოცემა მხატვრულ სახეებში. ამიტომ შემთავებითი არ იყო, როდესაც პლენანოვი შინაარსის დაფასება მოუწონა ჰეგელს და მიუთითა, რომ „შინაარსი იყო უდიდესი საქმე ჰეგელის თვალში“. მაგრამ მარტოდენ შინაარსი როდი ჰქმნის ხელოვნებას. თუ მხატვარი ინდიფერენტულად ეკიდება ფორმას, იგი შორდება ჰემმარიტ შემოქმედებას, ძირს უთხრის ხელოვნებას. პლენანოვი წერდა: „ვინც შესაძლებლად სთვლის ფორმა მსხვერპლად შესწიროს „იდეას“, ის აღარ არის მხატვარი, თუ კი ასეთი იყო წინათ“. ჩვენ ვხედავთ, რომ პლენანოვი მარტო შინაარსს კი არ მიიჩნევდა ხელოვნების ნაწილად, არამედ ეს შინაარსი მას წარმოდგენილი ჰქონდა გადაწყვეტი მნიშვნელობის მოვლენად, ხოლო ფორმას უცქეროდა ხელოვნების ასევე აუცილებელ ნაწილად. იდეალისტური ასახით ეს შეხედულება გარკვევით ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ ჰეგელმა თავის „ლოგიკაში“. ფორმისა და შინაარსის შესახებ ჰეგელი წერდა: „ხელოვნების მხოლოდ ის ნაწარმოებები, რომელთა შინაარსი და ფორმა იგივენი არიან, წარმოდგენენ ჰემმარიტად ხელოვნების ნაწარმოებებსო“.

მაგრამ არსებობენ ეპოქები, როდესაც ფორმა შორდება შინაარსს და პირიქით. პლენანოვის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ეს არის განსაკუთრებული ეპოქები“, როდესაც საზოგადოებრივ ასპარეზზე ახალი კლასი გამოდის თავისი იდეოლოგიით, კლასობრივი ინტერესებით, ჰქმნის თავის ხელოვნებას. ამ დროს შინაარსი შორდება ფორმას, ხელოვნებაში პატონდება შინაარსი და

<sup>1</sup> Г. Плеханов, сочинения, т. XIV стр. 77.

<sup>2</sup> Г. Плеханов, сочинения, т. XIV стр. 180.



ინრდილება ფორმა. პირიქით, როცა საზოგადოებრივი კლასი განიცდის დეგრადაციას, როცა იგი განწირულია წავიდეს ისტორიის სცენიდან, მაშინ ამ კლასის ხელოვნებაში ბატონდება ფორმა, ხდება შინაარსის იგნორირება. ხელოვნებაში ფორმის გაბატონების იდეალისტური თეორიის—„ხელოვნება ხელოვნებისათვის“ საფუძველს პლენხანოვი ხედავს კონფლიქტში ხელოვნებასა და სინამდვილეს შორის. ეს საკითხი პლენხანოვმა ვრცლად განიხილა წიგნში—„ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება“. ჩვენ ამ დაწერილებით აღარ შევეხებით მას, მაგრამ საჭიროა ითქვას, იგივე საკითხებია დასმული წერილში — „პროლეტარული მოძრაობა და ბურჟუაზიული ხელოვნება“. ამ ნაშრომში პლენხანოვი წერს: „იყო დრო, როცა უმაღლესი კლასები, რომელთათვისაც უმთავრესად არსებობს ხელოვნება „ცივილიზებულ“ საზოგადოებაში, მისწრაფოდნენ წინ და მაშინ იდეურობა კი არ ამინებდა, არამედ, პირიქით, იზიდავდა მათ. ახლა კი ეს კლასები, უკეთეს შემთხვევაში, სდგანან ერთ ადგილზე, ამიტომ იდეურობა მათ სრულებით არ სჭირდებათ ან ესაჭიროებათ მინიმალური დონით, და მათ პროტესტს უიდეობის წინააღმდეგ, პროტესტს, აუცილებელს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იდეის გარეშე ხელოვნებას ცხოვრება არ შეუძლია, —აიფრისკენ არ მივყვართ, ვარდა განყენებული და ქაოტური სიმბოლოზმისა. ყოფიერება კი არ განისაზღვრება შეგნებით, არამედ შეგნება ყოფიერებით“<sup>1</sup>

რუსულ ლიტერატურულ კრეტიკაში პლენხანოვმა ხელოვნების საკითხების გადაწყვეტა მჭიდროდ დაუკავშირა მარქსისტულ თეზისს — შეგნება განისაზღვრება ყოფიერებით და ამ მხრივ

თავის დროზე კრეტიკაში დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ. „პლენხანოვმა განავითარა და დაასაბუთა მარქსისტული მატერიალიზმის თეორია მისი ნახმაღ მარქსისტული მატერიალიზმისა, იგი ამტკიცებდა, რომ საზოგადოების განვითარებას საბოლოო ანგარიშში განსაზღვრავს არა გამოჩენილ პიროვნებათა სურვილები და იდეები, არამედ საზოგადოების მატერიალურ პირობათა განვითარება. იმ მატერიალური დოვლათის წარმოების საშუალებათა ცვლილებები, რაც აუცილებელია საზოგადოების არსებობისათვის, ცვლილებები კლასების ურთიერთობისა მატერიალური დოვლათის წარმოების დარგში, კლასთა ბრძოლა როლისა და ადგილისათვის მატერიალური დოვლათის წარმოებისა და განაწილების დარგში. იდეები კი არ განსაზღვრავენ ადამიანთა, საზოგადოებრივ-ეკონომიურ მდგომარეობას, არამედ ადამიანთა საზოგადოებრივ-ეკონომიური მდგომარეობა განსაზღვრავს მათ იდეებს. გამოჩენილი პიროვნებები შეიძლება იქცნენ არაარობად, თუ მათი იდეები და სურვილები ეწინააღმდეგება საზოგადოების ეკონომიურ განვითარებას, ეწინააღმდეგება მოწინავე კლასის მოთხოვნილებებს, და პირიქით—გამოჩენილი ადამიანები შეიძლება გახდნენ მართლა გამოჩენილ პიროვნებებად, თუ მათი იდეები და სურვილები სწორად გამოხატავენ საზოგადოების ეკონომიური განვითარების მოთხოვნილებებს, მოწინავე კლასის მოთხოვნილებებს“<sup>2</sup> ამ თვალსაზრისით განიხილა მან ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხები, გაარკვია ბევრი რთული პრობლემა, აღნიშნა, რომ ლიტერატურაში, ისე როგორც ხელოვნებაში ხდება ზოგადი იდეის კონკრეტიზაცია, რომ საჭიროა ხელოვნება, მხატვარმა „... გააინდივი-

<sup>1</sup> Г. Плеханов, сочинения т. XIV стр. 77.

<sup>2</sup> „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 18—19.

დუალურის ის ზოგადი, რაც შეადგენს მისი ნაწარმოების შინაარსს.<sup>1</sup> ეს იყო მითითება მხატვრული სახის კონკრეტულობაზე, რაც ხელოვნებაში შინაარსის იდეას ანიჭებდა აქტიურ, წამყვან როლს.

ახლა საჭიროა კრიტიკის განსაზღვრა წარმოვადგინოთ, ვინაიდან ჩვენ ზევით საკმაოდ ვრცელი განმარტება მივეციით ესთეტიკას.

ცნება კრიტიკა ბერძნული წარმოშობისაა და თუ ქართულს ენაში მისი შემცველი სიტყვა არა გვაქვს, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქმის ჩვენ ისტორიულად კრიტიკა არ გვექონდეს. თავის მეორე კრიტიკულ წერილში—„ბასუხი“, რომელიც ეურნალ „ცისკარის“ 1861 წლის მეექვსე ნომერში დაიბეჭდა, ილია ჭავჭავაძე კრიტიკის ასეთს განმარტებას იძლევა: „კრიტიკა“ — ამის თანასწორი მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულ ენაზე და არც ძალიან საჭიროა რომ იყოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა, რომ ყოფილიყო, რადგანაც ეგ დავგიმტკიცებდა, რომ ჩვენი მამა-პაპანი მაგ მხრივ განვითარებულნი ყოფილან. სადაც სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს. ეგ სიტყვა ეხლა მთელ კაცობრიობას ეკუთვნის ენაში; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს“. შემდეგ ილია იძლევა კრიტიკის საინტერესო განსაზღვრას. რა არის კრიტიკა? „კრიტიკა“ არის განხილვა, განჩხრეკაც, გარკვევა, გარჩევა და დაფასებაც ერთად. როცა რომელსამე საგანს ფასსა სდებს კაცი, ჯერ იმის ღირსებას იტყვის (თუ აქვს ღირსება) და დაამტკიცებს, მერე ამბობს, ამოდენად ღირსო, ესე იგი, შინჯავს შიგნიდან და გარედამ საგანსა, ყოველს მის თვისებასა, არჩევს ცუდსა და კარგსა და ნე-

რე სწონავს მართალ სასწორზედ, ამ ორგვარ თვისებებს საგნისა საზოგადოთი კრიტიკოსი, რა ვაძრევენ უკლებ და კარგსა, სასწორს დაუტრფობს ხოლმე თვითონ მკითხველს, ზოგიერთი თითონაც ასწონავს ხოლმე.<sup>2</sup> კრიტიკის ეს ზოგადი განმარტება ძალიან საფუძვლიანია—ნაჩვენებია მისი არსი, განსაზღვრულია მისი ფუნქცია. მაგრამ ეს არ არის კრიტიკის ისტორიული განმარტება, არ არის, ვინაიდან ეს ამოცანა იმ დროს ილიას არც აინტერესებდა. ესთეტიკის მსგავსად, კრიტიკის ისტორია შორეული წარსულიდან იწყება და როგორც აზროვნების დარგი, იგი ჯერ კიდევ არისტოტელეს ეპოქაში არსებობდა. მაშინაც კრიტიკა წარმოადგენდა განსჯას, საგნის შეფასებას, მის ანალიზს.

როცა ადამიანი მსჯელობს საგანსა თუ მოვლენაზე, იგი მათ ორგვარად ითვისებს—პოზიტურად ან ნეგატიურად. ადამიანის მიერ საგნის შემეცნება ამავე დროს არის საგნის განსჯა, ე. ი. კრიტიკული მიდგომა ობიექტისადმი, შეფასება ამ ობიექტისა. ამიტომ ამბობენ, რომ კრიტიკას განაჩენი გამოაქვს საგანზე. იგი ეძებს წესებს და მეთოდებს საგანზე ან მოვლენაზე სწორი მსჯელობისათვის. კრიტიკული დამოკიდებულება საგნისადმი ადამიანის ფიზიოლოგიურ არსშიაც არის მოცემული. ადამიანი გრძნობათა ორგანოების საშუალებით აწარმოებს საგნების აღქმას და მხოლოდ ამის შემდეგ ამქავენებს თავის დამოკიდებულებას საგნისადმი. მწარე მისთვის უსიამოვნოა, ამიტომ უარს ამბობს მის მიღებაზე, ტყბილი სასიამოვნოა, და მას სიხარულით ღებულობს. საგნისადმი ამგვარი დამოკიდებულება კრიტიკული მიდგომა და მას ფიზიოლოგიურ კრიტიკას უწოდებენ. ამ კრიტიკას არავითარი სა-

<sup>1</sup> Г. Плеханов, сочинения, т. X стр. 190.

<sup>2</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV გვ. 36—37.

ერთი არა აქვს ლიტერატურულ კრიტიკასთან, რომელიც წარმოადგენს მხატვრულ კრიტიკას, ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოების განსჯა-დაფასებას, მის იდეურ და ესთეტიკურ ანალიზს.

ისტორიულად არჩევდნენ ორგვარ კრიტიკას—კეთილს, ავტორის პატივისმცემელს, და ბოროტს, გესლიანს, რომელიც ავტორს უცქეროდა, როგორც ბრალდებულს. პირველი კრიტიკის წარმომადგენლად მიჩნეულია არისტარხი, ხოლო მეორისა — ზოილი. ისტორიულად ზოილმა სათავე მისცა „ბოროტ კრიტიკოსებს“. მან პომპროსის ებოსის განხილვის დროს მთელი რიგი არასწორი დასკვნები და ბევრი წვრილმანი შენიშვნები გააკეთა. მიუთითებენ ავრეთვე, რომ არსებობს სხვადასხვაგვარი კრიტიკა. ლუნაჩარსკის აზრით, კრიტიკის სახეობანი შემდეგია: ა) დოგმატიური ანუ მეტაფიზიკური კრიტიკა, რომელიც ხელმძღვანელობს დოგმებით, აბსოლუტურად მზამზარეული დებულებებით. დოგმატიური კრიტიკა აღიარებს, რომ არსებობენ აბსოლუტურად უცვლელი დებულებები, რომლებიც კანონმდებლობენ ლიტერატურაში. დოგმატიური კრიტიკა იმავე დროს მეტაფიზიკურია, რამდენადაც ლიტერატურულ კანონებს განიხილავს არა ურთიერთმიმართებაში, არა მათ ცვლილებებში, არამედ სტატიურობასა და მარადიულობაში. ასეთი კრიტიკა თავს იჩენს იმ კლასობრივ საზოგადოებაში, სადაც კრიტიკოსი არ საჭიროებს არგუმენტაციებს თავისი დებულებების დასამტკიცებლად; ბ) იმპრესიონისტული კრიტიკა ყველა ლიტერატურულ ფაქტს აფასებს ერთი პრინციპით: „მე მომწონს“ ან „მე არ მომწონს“. ეს არის სუბიექტური და იმავე დროს ფორმალისტური კრიტიკა, რომელსაც სათავეს აძლევს კანტის ტრანსცენდენტალური ესთეტიკა. „მსჯელობის ძალის კრიტიკაში“ კან-

ტი იძლევა მშვენიერების ანალიტიკას და განიხილავს მის ფორმებს, თავისი მოძღვრებით, კანტი ფორმალისტური კრიტიკის ერთერთი ფუძემდებელია. იმპრესიონისტული კრიტიკაც მისგან იღებს სათავეს. აღიარებს რა საგნის შეცნობის ერთადერთ საშუალებად მხოლოდ მისი ფორმა, იმპრესიონისტმა კრიტიკოსებმა სრულიად უგულვებელ-ჰყვეს შინაარსი. ისინი არ სცნობენ ფორმისა და შინაარსის დიალექტიკურ მიმართებას, მათ არ ესმით, რომ ფორმა ორგვარია—შინაგანი და გარეგანი. იმპრესიონისტული კრიტიკა ძლიერ ახლოა დოგმატიურ კრიტიკასთან. ისინი არ სცნობენ დაამტკიცონ კრიტიკიუმის სისწორე; გ) განმანათლებელი კრიტიკა მიზნად ისახავს არ დაკმაყოფილდეს მარტო ნაწარმოების ანალიზით. ზგი ცდილობს ხელოვნების საშუალებით კულტურა და განათლება შეიტანოს საზოგადოებაში. განმანათლებელი კრიტიკის წარმომადგენლები იყვნენ რუსეთში: ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, ზაიცევი, ხოლო ევროპაში: დიდრო, ლესინგი, ვოლტერი, პოლბახი, ჰელვეციუსი, მერსიე და მრავალი სხვა. ეს იყო ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც არ სცნობდა არავითარ ავტორიტეტს, არავითარ დაკანონებულ ნორმებს. იგი ებრძოდა ფეოდალურ არისტოკრატიას, მის ლიტერატურას და ესთეტიკურ იდეალებს; დ) ისტორიული კრიტიკა ცდილობდა მხატვრული შემოქმედების ანალიზი დაეკავშირებინა ისტორიულ ვითარებასთან, საზოგადოების განვითარებასთან. ასეთები იყვნენ, მავალითად, ჰერდერი, ბოკლი, ტენი, ბრუნეტიერი. მაგრამ ისტორიული კრიტიკის წარმომადგენლებს ისტორია არ ჰქონდათ დიალექტიკურად გაგებული, ისინი ეყრდნობოდნენ ბურჟუაზიული სოციოლოგიის ეკლექტიკას. ამიტომ მათ არ შეეძლოთ მოეცათ ხელოვნებისა და ლიტერატურის ნამდვილად მეცნიერ-

რული თეორია; ე) მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა თავის ისტორიას იწყებს გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან, როდესაც საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდნენ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები—მარქსი და ენგელსი. მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა ისტორიული კრიტიკისაგან რადიკალურად განსხვავდება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამავე დროს ისტორიული კრიტიკაა, იყენებს ისტორიულ მატერიალიზმს, როგორც ერთადერთ სწორ და მეცნიერულ მოძღვრებას საზოგადოების განვითარებაზე, მის კანონებზე, მის დიალექტიკურ წინსვლაზე. მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურული კრიტიკის ფილოსოფია დიალექტიკური მატერიალიზმია. ლიტერატურული კრიტიკის განვითარებაში იგი წარმოადგენს არა ჩვეულებრივ სტადიას, არამედ მთელ რევოლუციურ გადატრიალებას, უმაღლეს მწვერვალს, ჰემმარიტად მეცნიერული თვალსაზრისით განიხილავს ხელოვნებას, ხელოვნებისა და სინამდვილის დიალექტიკურ ურთიერთობას. მარქსისტული კრიტიკის განვითარებას რუსეთში ხელი შეუწყო პლენანოვმა თავისი ლიტერატურული კრიტიკული წერილებით. ლენინმა შემდგომ განავითარა მარქს-ენგელსის შეხედულებანი ხელოვნებაზე და მოგვცა რთული ლიტერატურული მოვლენების უღრმესი მეცნიერული ანალიზი. დიდი სტალინის ნაშრომებში შემდგომ განვითარებას მიაღწია მარქსიზმ-ლენინიზმში ხელოვნების თეორიაშიც.

ისტორიულად ლიტერატურული კრიტიკა ყოველთვის ასრულებდა წამყვან როლს, ხშირად იგი მსჯავრმდებელიც იყო. ერთი მხრივ ის უბე მასალას აძლევდა ლიტერატურის ისტორიკოსს, მეორე მხრივ განიხილავდა ამ ისტორიას. ლიტერატურის ყველა ისტორიკოსი ლიტერატურას იღებს მთელი მასალით, რომლის ნაწილსაც კრი-

ტიკა შეადგენს. მაგრამ ისტორიკოსის მიდგომა, მისი დასკვნები კრიტიკის საგნად უნდა იქცეს ისევე, როგორც კრიტიკოსის შრომებს ლიტერატურის ისტორიკოსი თავისებურად განმარტავს. ვერავენ იტყვის ვუსტავ ლანსონს დიდი საქმე არ გაეკეთებინოს „ფრანგული ლიტერატურის ისტორიით“. მაგრამ ვანა სადოია, რომ მისი პრინციპები კრიტიკას საჭიროებდნენ თავის დროზეც და მით უმეტეს ახლა? უკიდურესი იდეალისტის გარდა, ვერავენ გაიზიარებს ლანსონის ისტორიულ კონცეპციას, რაც ასე გულახდილად მთით აეტორმა გამოსთქვა. „ლიტერატურის ისტორიას,—წერს ლანსონი,—მიზნად აქვს დასახული ცალკეული მწერლების დახასიათება და მას საფუძვლად უდევს ინდივიდუალური ინტუიციის ინდივიდუალური-შთაბეჭდილებანი“. <sup>1</sup> დღეს ვერავენ გაამართლებს ამ თეორიას. ლიტერატურულმა კრიტიკამ დიდიზანია უარი უთხრა ლანსონის ამ პერსონალიზმს. თავისი დანიშნულებით ლიტერატურული კრიტიკა ბასრი მახვილია, რომელიც ხელოვნებას ათავისუფლებს ხორცმეტისაგან. იგი მზრუნველი გამდელია ჯანსაღ ბავშვს რომ ნანას უმღერის და გმირად ზრდის. ლიტერატურული კრიტიკა, ძაგებაცაა და ქებაც, სიძულვილიც და სიყვარულიც, მრისხანებაც და აღფრთოვანებაც. ლიტერატურული კრიტიკა ორსახიანი იანუსია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მის ორსახე სახეს ერთსადაიმევე ჯროს ვხედავთ. ჰემმარიტ შემოქმედს კრიტიკა ყოველთვის აღაფრთოვანებს, ისე როგორც ბუნებრივ ყვავილებს, კრილოვინ ცნობილ ლექსში უხარიათ წვიმის მოსვლა, ხოლო ხელოვნური ყვავილები შიშით შესცქერაიან მას. კრილოვმა შესანიშნავად გააკრიტიკა ის პოეტები, რომლებსაც კრიტიკის ეშინიათ:

<sup>1</sup> „Histoire de la litterature francaise“.

„ნებს კრიტიკა ვერას ივენებს,  
წნოს შემატებს კიდევ იმას,  
მხოლოდ უაღბო ყვაილები  
შეპყრებენ შიშით წვიმას.“<sup>1</sup>

ადვილი მისახვედრიმ, თუ ვის ეში-  
ნია, ვის არ მოსწონს, ვინ გაუტრბის  
კრიტიკას. მაგრამ კრიტიკოსს მოეთხო-  
ვება იყოს სამართლიანი თავის დასკე-  
ნებში, დამაჯერებელი და ობიექტური.  
მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ  
„არაფერი ისე იაფად არ გვეძლევა  
ჩვენ, როგორც თავაზიანობა, და არა-  
ფერი ისე ძვირად არ ფასობს, რო-  
გორც თავაზიანობა“. სერვანტესის ამ  
სენტენციას კრიტიკოსი ყოველთვის  
უნდა უწევდეს ანგარიშს, თუ მას სურს  
თავის დასკვნებში სამართლიანი იყოს  
და მკითხველმაც მოუწონოს საქციე-  
ლი. როგორც არ უნდა ააღვლავოს შე-  
მოქმედის შეცდომამ, მისმა უტოლი-  
ნარობამ თუ უნიჭობამ, სასტიკ მხილე-  
ბაშიც კრიტიკოსმა თავაზიანობის ნი-  
შეში უნდა გვიჩვენოს. ეს აამაღლებს  
მისი აზრის ავტორიტეტს, მოუბოვებს  
მკითხველის სიმპატიას, მეტ ძალას  
მისცემს კრიტიკას. ამით ზოილის სის-  
ტემას უარყოფითი წაერთმევა, ხოლო  
აღვლევება და გულისწყრომა კეთილ-  
შობილ აუცილებლობად წარმოგვიდ-  
გება. კრიტიკოსი ვალდებულია დაიცი-  
ვას მეორე სენტენციაც, პირველის სა-  
წინააღმდეგო: იყავი მკაცრი და და-  
უნდობელი, პრინციპული და შეუბო-  
ვარი. ეს ნიშნავს, შემოქმედის ნაკლი  
კი არ უნდა მიჩქმლო, უნდა გამოაჩი-  
ნო, რომ ყველასთვის ნათელი შეიქ-  
ნეს. ამ ორი სენტენციის შეერთება  
ნამდვილი კრიტიკის საუცხოო პანორა-  
მას მოგვცემს. გაიხსენეთ პლატონის  
კრიტიკა არისტოტელეს ნაწერებში,  
როცა გენიალური მასწავლებლის გე-  
ნიალური მოწაფე ცდილობს ფილოსო-  
ფიურ დავას არ მისცეს პირადული,

სუბიექტური ხასიათი. ახლო დროში  
ამის მრავალი მაგალითი გვაქვს. ბევ-  
რთ ბელინსკის დამოკიდებულება გო-  
გოლისადმი. ბელინსკის ცთხულო წყაზნ-  
და პროგრესიულ მწერლად. „მკვლარ  
სულგეს“ და „რევიზორს“ იგი თელი-  
და უკვდავ მხატვრულ ქმნილებებად,  
რომლებიც ამათრახებდნენ მეფის  
თვითმპყრობელობას და ბატონყმურ  
სინამდვილეს. მაგრამ აი გამოვიდა გო-  
გოლის წიგნი „რჩეული ადგილები  
მეგობრებთან მიწერ-მოწერიდან“. ამ  
წერილებში გოგოლი აშკარად გამო-  
დიოდა, როგორც ბატონყმური ინსტი-  
ტუტის დამცველი. ამის შემდეგ რაღა  
უნდა ექნა, როგორ უნდა მოქცეული-  
ყო ბელინსკი?

ბელინსკიმ ლიტერატურას კლასი-  
კური მაგალითი მისცა, თუ რა მოეთ-  
ხოვება კრიტიკოსს, რომელსაც მხატვ-  
რული შემოქმედებებ ანალიზი თავის  
მოწოდებად გაუხდია. ულამაზესი  
სიტყვებით ქება-დიდებასთან ერთად  
ბელინსკის წერილებში გაისმის მრის-  
ხანების დღევა, შეუბოვარი და დაუნ-  
დობელი. ის მკაცრად ილაშქრებს თა-  
ვისი საყვარელი მწერლის წინააღმდეგ.  
კვამობს და ჰკიცხავს „რჩეული ადგი-  
ლების“ ავტორს. სადღაა ის პროგრე-  
სული აზრი, ის საოცარი მამხილებელი  
სურათები, რომლებიც ბატონყმობას  
ამიშვებდნენ და მონარქიას წარმო-  
გვიდგენდნენ მთელი სიმახინჯით?  
„რჩეულ ადგილებში“ გოგოლი იცა-  
და ძველ წყობილებას, მის სამ ვეშაპს,  
რომლებიც ამ წყობილების ბურჯებს  
შეადგენდნენ. პირველი მართლმადი-  
ლებლობა — რუსეთის დასაყრდენი,  
მეორეა თვითმპყრობელობა — „ბრძნუ-  
ლი ორგანიზმი“, რომელიც მართაჟს  
ქვეყანას, და მონარქი — „ღვთის სახე  
დედამიწაზე“, მესამეა — ბატონყმობა —  
ღვთის გაჩენილი და ღვთის კურთხე-  
ული, ურომლისოდ გლეხობას თურმე  
ცხოვრება არ შეუძლია. ეს თავდაყირა-  
აყენებდა გოგოლის მთელ შემოქმედე-

<sup>1</sup> ესარგებლობთ კ. კიკინაძის თარგმანით.

ბას და ბელინსკის მიერ მოცემულ შეფასებას, უარყოფდა ყოველივე იმას, რასაც დიდი მწერლის მხატვრული შემოქმედება ჰქადაგებდა.

როგორ უნდა მოქცეულიყო კრიტიკოსი, რომელსაც ბედმა არგუნა პირდაპირ შეეხება ამ ორი, რადიკალურად დამპირისპირებული მოვლენისადმი? ბრმად მიჰყოლოდა მწერალს, ხელი ჩაექნია მისი პუბლიცისტური უწესრიგობისათვის, ვინაიდან წესრიგი ჰქონდა შემოქმედებაში, არ გაეფუჭებინა ძველი, გულთბილი მეგობრული დამოკიდებულება, თუ მოურიდებლად ეთქვა მისთვის, რომ ჩადენილია საშინელი დანაშაული? ბელინსკის საუკეთესოდ ესმოდა, რომ ლიტერატურა საჭევეყო, სახალხო საქმეა, იქ არ შეიძლება პერსონალური სიმპატი-ანტიპატიით ხელმძღვანელობა. მან სწორედ ამ თვალსაზრისით შეხედა „რჩეული ადგილების“ დაბადებას და ვიდრე იგი გაიზრდებოდა, გადასწყვიტა მასთან ანგარიში გაესწორებინა.

თუ რა ზომამდე აღაშფოთა ბელინსკი ამ წიგნმა, ნათლად ჩანს მისი „წერილიდან გოგოლისადმი“. ბელინსკი ასე აყენებს გოგოლის წინაშე საკითხს: ან მისი მხატვრული შემოქმედება, რუსული ლიტერატურის ისეთი უშესანიშნავესი ძეგლები, როგორცაა „მკედარი სულეები“, „რევიზორი“, „სალამოები ზეტორში დიკანკის ახლო“, ან მისი წერილების კრებული, სადაც მათრახისა და აღამიანის არაადამიანური ყოფის დაცვაა. ეს საკითხი რომ შეგვეხებოდეს მხოლოდ ჩვენ ორს, მიუთითებდა ბელინსკი, მაშინ შესაძლოა სიტყვაც აღარ დამეძრა მასზე, მაგრამ ვინაიდან ეს არის მთელი რუსეთის ზალხის საკითხი, ამდენად არ შემძლეა გაჩუმდეთ. ბელინსკის უყვარდა გოგოლი, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მასში საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი მოვალეობა, რომ იგი

მზად იყო უარი ეთქვა <sup>სიმპატიებზე</sup> გოგოლისადმი, თუ ეს უარასწავლი ხელს არ აიღებდა ამ ყოველგვარ მხატვრულ-მელოდრამულ წერილების კრებულში. ბელინსკიმ ხომ პირდაპირ დააყენა გოგოლის წინაშე საკითხი, რომ მას ხელი აეღო კრებულზე—„რჩეული ადგილები მეგობრებთან მიწერ-მოწერიდან“. ბელინსკი მოუწოდებდა გოგოლს ბრძოლა გამოეცხადებინა წინააღმდეგ თვითმპყრობელობისა, სადაც „არ არის არა მარტო არავითარი ვარანტია პიროვნებისათვის, ღირსებისათვის და საკუთრებისათვის, არამედ არ არის პოლიტიკური წესრიგიც კი, არის მხოლოდ სხვადასხვა სამსახურებრივი ქურდებისა და მძარცველების უდიდესი კორპორაციები“. საჭიროა ამ სიმბინჯის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა და არა „შემარტობელი ჰანგები, მით უფრო მისი დაცვა“.

ლენინმა ძალიან მაღალი შეფასება მისცა ბელინსკის ამ წერილს. ლენინის თქმით, ეს წერილი უნდა ჩაითვალოს რუსული არაცენზურული დემოკრატიული პრესის ბრწყინვალე დოკუმენტად. ლენინი წერდა: „როგორც დეკამბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი, ისე გერცენმა და მისმა „კოლოკოლმა“ გამოაღვიძეს რაჭინკოვი და ლევიტი, ლიბერალური და დემოკრატიული ბურჟუაზიის განახლებული წარმომადგენლები, რომლებიც ეკუთვნოდნენ არა თავადაზნაურობას, არამედ მოხელეობას, მეშინობას, ვაჭრებს, გლეხობას. რაზნოჩინელების მიერ ჩვენს გამათავისუფლებელ მოძრაობაში თავადაზნაურობის სრული განდევნის წინამორბედი ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს ბ. გ. ბელინსკი იყო. მისი ცნობილი წერილი გოგოლისადმი, რომელიც ბელინსკის ლიტერატურულ მოღვაწეობას ჯამს უყუთებს, არაცენზურული დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ერთი საუკეთესო წი-



ნამორბედთაგანი იყო, რომელთაც დღემდე ცოცხალი მიმწმენლობა შეინარჩუნეს“.<sup>1</sup>

ბელინსკის მაგალითი ძალიან საგულისხმა და ცხადად გვიჩვენებს, თუ რა ზომამდის მოეთხოვება კრიტიკოსს პრინციპულობა, რა დიდად საპასუხისმგებლოა მისი მოვალეობა. ამავე დროს კრიტიკოსის ნაშრომი მკითხველისათვის არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს, ვიდრე მხატვრული ნაწარმოები. შეიძლება ამის მიღწევა, თუ კარგად დაეცავთ იმ ელემენტარულ წესს, რომ საჭიროა კრიტიკოსის ნაწერი იყოს ნათელი და გასაგები, ლოგიკური აზრების თანმიმდევრობით მიმზიდველი, ენა დინამიური და მხატვრული. იმისათვის, რომ კრიტიკოსს უფლება ჰქონდეს მიიბუროს მკითხველის ყურადღება, საჭიროა ის იყოს მკითხველზე უფრო ნიჭიერი, იცოდეს თავისი ქვეყნის ისტორია და ყოფაცხოვრება უკეთესად, ვიდრე იცის მწერალმა, და საერთოდ — იყოს ინტელექტუალურად მაღლა მდგომი მწერალზე.<sup>2</sup> კრიტიკოსის მოვალეობა შინაარსის გადმოცემით ან იმის აღნიშვნით რომ ამოიწურებოდეს, თუ რა არის კარგი და ცუდი ამა თუ იმ ნაწარმოებში, მაშინ ჩვენ ძალიან ბევრი, შეიძლება უყოყმანოდ ითქვას, მილიონობით კრიტიკოსი გვეყოლებოდა ყველა ერისა და ხალხის ლიტერატურაში. მაგრამ ასე არ ხდება, ვინაიდან ეს მოვალეობა, როგორც ვხედავთ, გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ზოგიერთები მას წარმოიდგენენ. გქონდეს ნათელი და გასაგები აზრები, ასევე ნათელი და გასაგები ენა მათ გადმოსაცემად, შეგძლოს ლოგიკური აზრების თანმიმდევრობით დალაგება, გახასიათებდეს დინამიურობა და მხატვრულობა წერაში, იყო მკითხველზე ნიჭიერი, იცო-

დე შენი ქვეყნის ისტორია და ყოფაცხოვრება უკეთესად, ვიდრე მწერალმა, ამავე დროს მასზე უკეთესად ინტელექტუალურად, შეინარჩუნება სულიერი წონასწორობა შენს დასკვნებში იმ აღამიანების მიმართ, რომლებსაც იცნობ და რომელთაგან შესაძლოა ბევრი დაუმსახურებელი უსიამოვნება მიგიღია, მაგრამ შენ მაინც ვალდებული ხარ დარჩე ობიექტური პიროვნული ვნებათაღელვის საშინელ ქარიშხალში — ძალიან ძნელი საქმეა, უფრო ძნელი, ვიდრე უმძიმესი ტვირთის საკუთარი მხრებით ატანა შენობის მერყეუე ხარაჩობებზე.

კრიტიკოსი სწრაფად უნდა ეხმარებოდეს ლიტერატურულ მოვლენებს, თუმცა მისი აზრები ოდნავაც ვერ ჰპოვებენ გამართლებას, თუ სისწრაფე პარადოქსებით შეივსო ან აჩქარება ნაწერს დაეტყო. ეს სისწრაფე მხოლოდ იმიტომ არის საჭირო, რომ ლიტერატურაში ყალბი ნოტები მალე იქნას წაიკიბული, გზიდან გადახვევა — თავის დროზე შემჩნეული, მკითხველი თავიდანვე შეყვანილი ლიტერატურულ სინამდვილეში, ხოლო მწერალი — გართობილებული მისთვის შეუფერებელი სიმღერისათვის. ეს ბუნებრივად იქნება ლიტერატურის მომავალი სწორი გზის განსაზღვრა, რაც კრიტიკოსის ისეთივე კანონიერი უფლება და მოვალეობაა, როგორც მხატვრული ნაწარმოების ყოველმხრივი ანალიზი.

მრავალნაირია ლიტერატურული კრიტიკის ფორმები. ესთეტიკისა და ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი ცნობილი ფორმაა კამათი მხატვრულ შემოქმედებაში. ამ ფორმის ყველაზე დიდი წარმომადგენელი ანტიკურ საბერძნეთში არის კომედიის მამა არისტოფანე. მისი კომედია „ქალები თესმოფორის დღესასწაულზე“, რომელიც დაიდგა 411 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მიმართულია ევრიპიდეს ტრაგედიების წინააღმდეგ. არის-

<sup>1</sup> Ленин о литературе, 1941 г. стр. 183.

<sup>2</sup> М. Горький, „Материалы и воспоминания“, т. 1, стр. 287.



ტოფანე თავს ესხმის ევროპიდეს მისი-ვე ტრაგედიების ცალკეულ სცენებზე პაროდებით. ამ კომედიის მთავარი მომქმედი პირები არიან ქალები, რომლებიც გადასწყვეტენ მოსწამლონ ან რაიმე სხვა საშუალებით დაღუპონ ევროპიდე, რომელმაც თავის ტრაგედიებში ქალები ცუდად გამოიყვანა.

ღმერთქალ დემეტრას პატივსაცემად ჭოველ წელს, შემოდგომით გამართულ დღესასწაულზე თესმოფორის შენობაში ათინელი ქალები იკრიბებოდნენ. მათ კრებაზე მამაკაცების დასწრება სასტიკად იყო აკრძალული. ერთ-ერთ ასეთ კრებაზე ისინი იხილავენ ევროპიდეს საკითხს. \* დამსწრეთაგან გამოდის ქალი ვრცელი სიტყვით, ბრალს სდებს ევროპიდეს, ვინაიდან მისი ტრაგედიების ნახვის შემდეგ ქმრები აღარ ენდობიან თავიანთ ცოლებს, ოთახებში ეძებენ — ზომ არ იმალება სადმე შეყვარებულო. ამ მდგომარეობამ ქალებს სიცოცხლე გაუმწარა. მეორე ქალი, რომელმაც ქმარი ომში დაჰკარგა და ხუთი შვილის პატრონია, ამბობს: როგორც იყო, შვილებს ვარჩენდი ყვავილების ბაზარში მუშაობით; ვაკეთებდი გვირგვინებს, მაგრამ ევროპიდემ თავისი ტრაგედიებით დაარწმუნა მამაკაცები, რომ ღმერთები არ არსებობენ, ამის გამო ისინი გვირგვინებს აღარ ყიდულობენ დღესასწაულებისათვის და მე სრულიად უსახსროდ დავრჩიო. ამიტომ ქალები გადასწყვეტენ ბოლო მოულონ ევროპიდეს. კომედია თავიდან ბოლომდე წარმოადგენს ევროპიდეს ტრაგედიების პაროდიას და მის კრიტიკას. უფრო გვიან დაწერილ კლასიკურ კომედიაში „ბაყაყები“, რომელიც 405 წელს დაიდგა, არისტოფანე ეკამათება თავის ლიტერატურულ მოწინააღმდეგეებს. ამ კომედიას ჰუმარიტად შეყვავართ ჩვენს ერამდე შეხუთე საუკუნის საბერძნეთის ლიტერატურულ ინტერესთა ატმოსფეროში. არისტოფანეს კომედიის

ღირსება იმაშიც მდგომარეობს, რომ ავტორი დაწერილებით იხილავს მხატვრული შემოქმედების ფორმებს, ეს თითქოს მოსაწყენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფაბულის ოსტატური განვითარება თავიდან გვაცდენს ამ საშიშროებას. „ტრაგიკული ხელოვნების მიზნის საკითხი ნათლად არის დასმული და გაშუქებული არისტოფანეს მიერ ესქილეს შეკითხვაში და ევროპიდეს პასუხში. ესქილე ეკითხება: „რისთვის უნდა ვსცეთ პატივი პოეტს?“ და ევროპიდე უპასუხებს: პოეტებს პატივი უნდა ვსცეთ „იმისათვის, რომ ჩვენ [პოეტები] ვაუმჯობესებთ ადამიანებს სახელმწიფოში“. ხელოვნების მიზანი, — სხვანაირად რომ ვსთქვათ, — მორალურია: პოეზია მიზნად ისახავს მაღალ საზოგადოებრივ ამოცანებს: მან უნდა აღზარდოს მოქალაქეობრივობა. პოეტი, რომელიც რყენის კაცობრიობას, სიკვდილის ღირსია, — აცხადებს დიონისო. ამიტომ ის ჯანსაღად და ძვირფასად მიიჩნევს ესქილეს დიდებულ ხელოვნებას, რომელიც გვაძლევს სამოქალაქო მამაცობის მაგალითებს, ევროპიდეს ხელოვნება კი, რომელიც ბრმა ვენებებს გამოხატავს, გაიკბუნა, როგორც საზოგადოებრივად საზიანო.“<sup>1</sup>

შემდეგი დრო და ეპოქები გვაძლევენ ლიტერატურული კრიტიკის ამ ფორმის მთელ რიგ ძეგლებს. ქართულს ლიტერატურაში საკმარისია დავასახელოთ არჩილის „თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასება“, გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შეილთა“, ილია ქავკავაძის „პასუხის პასუხი“ და მრავალი სხვა ნაწარმოები. ეს ფორმა ძალიან გავრცელებული იყო მე-17 საუკუნის ფრანგულს ლიტერატურაში, როცა ბუალოს „პოეტური ხელოვნება“ გამოვიდა. ბუალო ებრძოდა თავად-აზნაურულ ლიტერატურას და მასაც

<sup>1</sup> „История Греческой литературы“, стр. 463—464.

არ ასცდენია კრიტიკა ამ უკანასკნელთაგან. მისი „სატირების“ პასუხად ხშირი იყო თავიდაუნაურული მწერლების მხრივ კონტრსატირებიც. ცნობილია, მაგალითად, კოტენის ბრძოლა ბუალოს წინააღმდეგ. „პოეტური ხელოვნების“ კრიტიკით გამოვიდნენ ძეგები პერო, განსაკუთრებით შარლ პერო, რომელიც ბუალოს კარიკატურულად ხატავს თავის „შერიან სრულყოფილებაში“, შემდეგ პოემაში „დიდი ლუდოვიკოს საუკუნე“. რუსულ მხატვრულ ლიტერატურაში გვხვდება ბევრი ნაწარმოები, რომლებშიაც ესთეტიკური და კრიტიკული იდეალებია გადმოცემული. მე-18 საუკუნის ცნობილი მწერალი ალექსანდრე სუმაროკოვი ლექსად დაწერია წიგნი — „Наставление хотящим быть писателями“, რომელიც 1774 წელს გამოვიდა, აგრეთვე მთელი რიგ თავის პაროდებში, თუ ერთის მხრივ აყალიბებდა რუსული პსევდოკლასიციზმის თეორიულ სისტემას, მეორეს მხრივ ბრძოლას უცხადებდა თანამედროვეთ — ლომონოსოვსა და ტრედიაკოვსკის. მხატვრულ შემოქმედებაში კრიტიკის ნიმუშები, გაცილებით უფრო ტიპური, დაუსრულებლად შეგვიძლია ვიპოვნოთ, მაგრამ ჩვენი მიზანი ეს კი არ არის, არამედ ნათელყოფა დებულებისა, — ესთეტიკისა და კრიტიკის ერთერთი ცნობილი ფორმა კამათი მხატვრულ შემოქმედებაში, თუნდაც ისეთი კამათი, როგორიც ვასული საუკუნის 80-ან წლებში ვახტანგ ორბელიანმა მოგვცა. ეტყობა მან კარგად იცოდა, რომ ვარკვეულ იდეას ვარკვეული ფორმა გამოხატავს. პოეტები ყოველთვის ცდილობენ თემატური არჩევანისათვის შესატყვისი ფორმა გამოიხატონ. შეგნებით თუ შეუგნებლად, ეს ყოველთვის ხდება ლიტერატურაში. ვახტანგ ორბელიანი თავის თანამედროვეს, გრიგოლ

ორბელიანს უსაყვედურებდა მუხბამბაზის კილოსადმი „მონურ სიყვერულსა დააკვირდით ამ სიტყვეთა“

„მე არ მიყვარს კილო მუხბამბაზისა, კინთო კილო, კილო შუაბაზრისა; იმ კილოთი რა იმღერო, პოეტო, თუ არ ღვინო, ტოლუშაში და კინტო; მათ დღუდუკი, დილაბიტო და ზურნა, მათ უაზრო ლაზლანდრობა, ყიფინა? მე არ მიყვარს სურათები ამგვარი, მუხბამბაზით სხვას რას იტყვი, მითხარო“.

მუხბამბაზის ნაცვლად ვახტანგ ორბელიანი მოითხოვდა რუსთაველის კილოს, რომელიც მისთვის „გაფურჩქენილია, ვით ყვავილი ველისა“, „მოკამკამე როგორც წყარო მცინარი, ვით მდინარე, მშვენიერად მომდინარი“. ამ კილოს შეუძლია გვაჩვენოს მთელი ბუნების საკვირველება, გამოხატოს ძველი დროის გმირობა, საშობლოსათვის თავდადებული ბრძოლები, გვიჩვენოს „ასული მშვენიერი“, მისი სატრფო „შორს შავს ბედთან“ მებრძოლი, ისეთი ღამაზი ასულები, როგორიც არიან შილერის ამალია ან შექსპირის ოფელია; ამ კილომ უნდა შეგვიყვანოს „გლეხი კაცის სახლში“, გვიჩვენოს „რით სწუხს, რით ხარობს გლეხი“, მოახდინოს თვითგანსჯა. „რუსთაველის კილოს“ ამ სილიადეს ვერ შეედრება მუხბამბაზი. ამიტომ:

„რისთვის მიიდა და რაში ვაქნე კინტოს, იმის დღუდუკს და იმის დილაბიტოს, ან ლომიანს ან დამიტრი ონიკოვს? ჩემი გული სხვა გვართ სურათებს ობოვს“.

ეს „სხვა გვართ სურათები“ სხვა ფორმებს გულისხმობდნენ, ახალი სინამდვილე ახალ ხელოვნებას მოითხოვდა. ამ ურთიერთობაში ყოველთვის მელანდებოდა ხელოვნების მისწრაფება — ყოფილიყო თანამედროვე.

## ამირანის ბარამი\*

★

ამ ბოლოდროს ინტერესი ამირანის ეპოსისადმი საკმაოდ გააცხოველდა. ეს გასაგებია. „ამირანიანი“ თავისი მნიშვნელობით წარმართული „ვეფხისტყაოსანი“ და ამიტომაც ის ამ ყურადღებას დამსახურებულად იპყრობს. მიხ. ჩიქოვანმა და შალვა ნუცუბიძემ ამ მოკლე ხანში თავის მოხსენებებთან ერთად რამდენიმე შრომაც გამოაქვეყნეს. უნდა ითქვას, რომ მიხ. ჩიქოვანის დებულებებმა, რომლებიც მან თავის შარშანწინ დაბეჭდილ შრომაში „ამირანიანი“ დააყენა, საოცარი სისწრაფით იცვალა სახე. ამ ორიოდ კვირის წინათ, სადისერტაციო კამათის შედეგად, მან განაცხადა, რომ თავის ნაშრომში ტაბუნიზმის თეორია გამოუყენებია, რამაც ბუნებრივი გაკვირვება გამოიწვია ჩემში. როდესაც ჩვენ ხუთიოდ წლის წინათ ამ თეორიას მივმართავდით, ეს ბუნებრივი იყო, რადგან ჩვენ „ამირანიანს“, როგორც მითოსს, განვიხილავდით, ხოლო მიხ. ჩიქო-

ვანს იგი აქამდე საგმირო ეპოსად მიიჩნდა, და ამიტომაც იყო ჩვენთვის გაუგებარი, — რა „შუაშია აქ ტაბუ, რომელიც ბარამისა და ნადირობის მითებს ეგრე ახასიათებს? ამას გარდა, მას, როგორც სჩანს, გაუზიარებია ის მოსახრება, რომელსაც ჩვენ გამოვთქვამდით, სახელობრ, — რომ დალი არ არის საკუთარი სახელი; ის ღმერთის ზოგადი სახელია და ამ შემთხვევაში ტაბუს წარმოადგენს, ე. ი. თქმულება ანუ მითოსი ვეგეტატიური ღმერთის ნამდვილ სახელს ისევე არ ახსენებს, როგორც ასეთსავე კაცთა ღვთაებას „ლეგთა ძუარს“ ოსის ქალები ვერ ახსენებენ. ამ დებულების დასამტკიცებლად ჩვენ თავის დროს მოგვეჩინა ღმერთის აღმნიშვნელი ქისტური სახელი დიალა, რაც ჩვენ მთელთა სამგლოვიარო ოზერა-რეფრენში ეგრე მკაფიოდ გაისმის: დალაჲ, დალაჲ! ამას გარდა, თვით სიტყვა „მა-დლი“ ამავე ძირის სიტყვად მივიჩნიეთ და ღვთის წყალობად განემარტეთ. მოვიგონოთ აგრეთვე: ო, დელა, დელა! ეს სახელი ძირითად საკუთარი რომ ყოფილიყო, მაშინ სევანურ ფოლკლორში მრავლობითი რიცხვით „დალები“ არ იქნებოდნენ წარმოდგენილი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს დალი იგივე ოქროსთმიანი ალია.

\* ამირანი — მითოლოგიური პოემა, განახლებული და რესტავრირებული შალვა ნუცუბიძის მიერ, რედაქტორი ა. აბაშელი, გამოც. „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1945 წ.

Amiran — грузинская мифологическая поэма, реставрировала и перевела Шалва Нуцубидзе, редакторы: А. Абашие и С. Каухчвишвили, изд. „Варя Востока“, Тбилиси, 1946 г.

შარშანწინდელ კრებულში — „ლიტერატურული ძიებანი“ № 2 — მიხ. ჩიქოვანი ამტკიცებდა, — ამირანიახი ქართული საგმირო ეპოსის გვირგვინიაო (გვ. 63), ხოლო წელს გამოცემულ „ქართულ ფოლკლორში“ 313 გვ. სწერს: „ქართული გმირული ეპოსის საუკეთესო სახეებს წარმოადგენენ: ამირანი, ცამცუმი, ბაღრი უსუპი, ყამარი, ტარიელი, აეთანდილი“ და სხვ. ცხადია, — მიხ. ჩიქოვანის ეს დებულება მცდარია და მცდარი დებულებიდან გამოტანილი დასკვნებიც მცდარი იქნება. ამ დებულების შემდეგ ჩვენი გაკვირვებაც, რა თქმა უნდა, ბუნებრივი იქნებოდა. არაფერი საერთო ამირან-ცამცუმსა და უსუპ-ყამარს ტარიელ-აეთანდილთან არა აქვს რა და არც შეიძლება ჰქონდეს. სად საგმირო ეპოსი და სად ტაბუიზმი? როგორც ამავე წიგნიდან სჩანს, მიხ. ჩიქოვანი არ ხედავს, ან ვერ ამყარებს განსხვავებას მითოსსა და საგმირო ეპოსს შორის. მას ვერ გაუგია რომ „ედლა“ და თქმულება იშთაარზე მითოსია, ხოლო „ნიბელუნგები“ და „ტრისტანი და იზოლდა“ საგმირო ეპოსი. დისერტაციის ირგვლივ გამართულ კამათში მიხ. ჩიქოვანისაგან ჩვენ სულ სხვა, ე. ი., მის მიერვე ორიოდ თვის წინათ გამოთქმულ აზრთა საწინააღმდეგო დებულებები მოვისმინეთ. ცხადია, მიხ. ჩიქოვანის „შეხედულებებში“ ამ მოკლე ხანში რაღაც ძერა მომხდარა, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც მერყეობს. თუ ამ ორიოდ თვის წინათ მას „ამირანიანი“ საგმირო ეპოსად მიაჩნდა, ხოლო წლინახევრის წინათ მას „საგმირო ეპოსის გვირგვინს“ უწოდებდა, ახლობანს ამავე თემაზე მისგან დაცულ დისერტაციისათვის მას უკვე საგმირო კი არა, „საგმირო-მითოლოგიური ეპოსი“ უწოდებია, ხოლო თვით დისერტაციის დაცვის დროს იძულებული გახ-

და განეცხადებინა, რომ „ამირანიანი“ მითოლოგიური ეპოსია და ამგვარად მან ის წინაუქმობა სწავლით ეპოსსა და ტაბუიზმს შორის ბოლოსდაბოლოს მოსპო და მით თავისივე აზრთა შორის ერთგვარი თანმიმდევრობა დაამყარა. მიუხედავად ამისა, მიხ. ჩიქოვანს დაუჯერებლად მიაჩნია, რომ ამირანი ვეგეტატიური ღვთაებაა და არსეგრა, რომ მას პურის თავთავთან რაღაც ღვთაებრივი კავშირი აქვს. სჩანს, ის ჯერ სულ არ სთმობს თავის „საგმირო“ თეორიას.

მიხ. ჩიქოვანს უნდა მოეხსენებოდეს, რომ „ამირანიანი“ შესდგება მრავალი პლასტისაგან და ერთ პლასტიკაგანდ მე მისი ვეგეტატიურობა მიმაჩნია. ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძის ვარიანტით, ამირანს შავი გველეშაპი გადაყლაპავს, ესე იგი, მიწა შთანთქავს. მუცელატკიებული გველეშაპი დედას შესჩივლებს, მიშველო. დედა თავში ხელს შემოიკრავს და შეიღს ეტყვის: „ი დაგიდგა თვალი! მკვდარი იქნება, — გაცოცხლდება, ცოცხალია და კეთილს არ დაგაყრისო“ (გვ. 378). რად უნდა გაცოცხლდეს ამირანი, თუ იგი მომაკვდავი გმირია? არა, ის ჩვეულებრივი გმირი არ არის. იგი უნდა გაცოცხლდეს, იმიტომ რომ ვეგეტატიური ღვთაებაა. იმიტომაც გამოდის იგი გველეშაპის მუცლიდან თმაწვერგაცივებული, რის შემდეგაც წყაროზე ჩადის, პირს იბანს და მით თმაწვერით ხელახლა შეიმოსება. ე. ი., ბუნება კვლავ აყვავდება. ეს წყარო უკვდავების წყალია, ის წყალი, რომელიც მასისის მთიდან მოედინებოდა და ჩვენ ამის გამო აქ სიტყვას აღარ გაავარძლებთ, რადგან ამ აზრს ჩვენ ერთ წერილში უკვე ვასაბუთებდით. საყურადღებოა, რომ გველეშაპის დედის ეს სიტყვები სხვა ვარიანტებში დაცული არ არის. ალბათ, ჩამწერს იგი შეუსაბამობად მიუჩნევია და

იმიტომ. მოვავიწყებ მის. ჩიქოვანს ასე-  
თივე ვეგეტატიურ ლეტაგებს ეგვიპ-  
ტურ მითოლოგიიდან, — ოსირისის ძე,  
გორი, რომლის გამო ერთ ცნობილ  
მანუსკრიპტში სწერია: „მე ვამრავლე  
ხორბალი, შევტრფოდი ქერის ღმერთ-  
სა და ნილოსი იყო მოწყალე ჩემი“  
და შემდეგ: „ღმერთი მარცვლისა გვაძ-  
ლევს ჩვენ მსოფლიო მარცვლოვანსა  
და საზრდოსა“ (მ. რეისნერი, *Идеология Востока*, გვ. 37). მის. ჩიქო-  
ვანს ეს დებულება სასაცილოდ იმი-  
ტომ არ ჰყოფნის, რომ მას მსგავსივე  
სხვა ნიშნები ჩვენს ფოლკლორში არ  
შეუძენია. ამას გარდა, იგი მეტად  
ჩქარა „გადიიარაღდა“. ამ „გადიიარა-  
ღების“ შედეგები მას ჯერ კიდევ  
კარგად ვერ გაუთვალისწინებია და  
თავის „გმირულ თეორიასაც“ ამიტომ  
სრულად ვერ შელევია. მის. ჩიქოვანს  
უნდა მოვავიწყოთ, რომ ეს დიდებული  
ძველი სამიათას წელზე მეტია, რაც  
ქართველი ხალხის შეგნებაში ყოფიე-  
რობს და ამ არცთუ ისე მცირე დროის  
მანძილზე მას დიდი ცვლილებანი გა-  
ხუცდია, ზედ მრავალი პლასტი და-  
ლექილა ტოტემიზმისა, ვარსკვლავთ-  
თაყვანისმცემლობისა, კერპთაყვანის-  
მცემლობისა, მაზდიანობისა, მატრიარ-  
ქატისა და მონადირეობის ყოფის გა-  
დანაშთების სახით. ბოლოს ბედს მის-  
თვის არც ეს უქმარებია და ზედ ქრის-  
ტიანობისა და შწიგნობრულ კულტუ-  
რათა ნიშნებიც დაშრევებულა. ამას  
ადასტურებს ფინალი ეპოსისა, სადაც  
ამირანის ქრისტესთან ბრძოლაა გადმო-  
ცემული. ამასვე ამტკიცებს ზოგიერთი  
სუფიერული პასაჟები, რომლებიც „ამი-  
რანიანს“ „შაჰნამე“ — „ამირან-დარე-  
ჯანიანიდან“ ან ხალხურ „როსტომი-  
ანიდან“ შეუთვისებია, ანდა, ვინ იცის,  
იქნებ ეს პასაჟები „ამირანიანში“ და  
„შაჰნამე“-„როსტომიანში“ ერთი და  
იმავე წყაროდან მომდინარეობენ და

ისინი მათ ერთერთის დამოუკიდებლად  
მოუღიათ? ცხადია, ეს საკითხები მის.  
ჩიქოვანის წინაშე არაა დასაბუთებელი,  
რადგან ასეთი საკითხებზე დასჯება  
საგმირო ეპოსის ირგვლივ შეუძლებე-  
ლია. განა „არსენას ლექსს“ შეუძლია  
ეს საკითხები გამოიწვიოს? „არსენას  
ლექსი“ ჩვენს იმიტომ მოგვაქვს, რომ  
მის. ჩიქოვანი თავის წიგნში „ქართუ-  
ლი ფოლკლორი“ ამირანსა და არსენას  
ერთ რანგში აყენებს. ამ მოსაზრების  
უარყოფის დროს მე ვემყარები მის.  
ჩიქოვანის სხვა შრომებს, რომლებიც  
„ლიტერატურულ ძიებებში“ № 1 და  
№ 2 დაიბეჭდა. ხოლო, რაც შეეხება  
მის გვიანდელ კონცეფციებს „ამირა-  
ნიანის“ მითოლოგიურობის გამო, ეს  
მისი არ არის და ამ მხრივ მის. ჩიქო-  
ვანისადმი მიმართული მსჯელობა  
უსათუოდ უმისამართო იქნებოდა.

ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივად  
ისმის საკითხი, რად მიგვანია ჩვენ  
„ამირანიანის“ მითოლოგიურობა პრინ-  
ციპულ საკითხად? პასუხი უბრალოა:  
ჯერ ერთი, მის. ჩიქოვანის განმარ-  
ტებით ყალბდება ეს შესანიშნავი  
ეპოსი და ბნელდება ისედაც ბნელი  
საკითხი ქართული წარმართობისა.  
მეორეც, „ამირანიანის“ საგმირო ეპო-  
სად აღიარებით მაზინჯდება ნამდვი-  
ლი ზუნება ქართული ფოლკლორისა.  
დროა ეს შეუსაბამობა მოისპოს  
ჩვენს ფოლკლორისტიკაში, მოისპოს  
ის ფეხმოკიდებული შეუსაბამობა  
ჩვენს ისტორიულ მეცნიერებასა და  
ფოლკლორისტიკას შორის, რასაც მის.  
ჩიქოვანი ყოველ შემთხვევაში აქამ-  
დე განაგრძობდა. თუ ჩვენი ისტო-  
რიის საწყისი მითოლოგიურია და მას  
გვერდს ვერ უვლის თვით „ქართლის  
ცხოვრებაც“, მაშინ განა უფრო უპ-  
რიანი და სამართლიანი არ არის მი-  
თოლოგიით დაწყება ჩვენი ფოლკლო-  
რისა? მაშ რისთვის იშრომეს ამდენი

ნ. შარმა, ივ. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, პ. ინგოროყვამ და სხვ., თუ ამ მონაპოვარს არ გამოვიყენებთ და მათგან სათანადო დასკვნას არ გამოვიტანთ? დროა მათგან ეგრე ბრწყინვალედ დაწყებული საქმე გავრძელდეს და ქართულ ფოლკლორის ვიწყებდეთ არა საგმირო ეპოსით, როგორც ამას სჩადის მიხ. ჩიქოვანი, არამედ მითოლოგიით. დროა ამ თვალსაზრისით იქმნეს შესწავლილი არა მხოლოდ „ამირანიანი“, არამედ „ეთერიაანი“ და სხვა ქართული ზღაპრები, რომლებიც ამ მხრივ დიდ მასალას იძლევიან თავისი სუფეტებით, მითოლოგიური მოტივებით და საგულისხმიერო პარალელებით.

ზემოთგამოთქმულ მოსაზრებათა შედეგად უნდა გახვაცხადოთ, რომ შალვა ნუცუბიძის შრომა „ამირანი“ ამ მხრივ უსათუოდ სწორ გზაზე დგას. შალვა ნუცუბიძემ ამ ორიოდე წლის წინათ გამოსცა თავისი ქართული „განახლებული და რესტავირებული“ ხაწარმოები „ამირანი“, რომელიც ახლახანს რუსულად მისივე თარგმანით გამოვიდა. ჩვენ აქ არ შევუდგებით შალვა ნუცუბიძის პოეტური ნიჭის შეფასებას. ამ შემთხვევაში ჩვენ მისი შეხედულებები უფრო გვანტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნისა“ და „ამირან-დარეჯანიანის“ „ამირანიანისაგან“ დამოკიდებულების მომხრე ვართ, ამის დასამტკიცებლად მისგან მოტანილი საბუთები მაინც არადამაჯერებლად მიგვაჩნია. არ არის საკმარისი ერთი თითქოს თავისებური შედარებით „მზე ვითა“-ს დამოწმებით ისეთი დიდი დებულების მტკიცება, რომ მეთორმეტე საუკუნის ეს საამაყო ძეგლი დამოკიდებული იყოს ამირანის თქმულებისაგან. ყალბია აგრეთვე ისიც, რომ კახეთი, ჯავახეთი, კუხეთი და სხვ., თითქოს სიტყვა ხე-ს შეიცავდეს. ჯერ კიდევ ივ.

ჯავახიშვილმა დაამტკიცა რომ მუსხი, კახი, უბიხი და სხვ. შეიქმნენ სუფიქს ხი-ს, რაც ეროვნულად და ენობრივად სავსებით და შემთხვევითი მხარეთა სახელებიც აქედან მომდინარეობენ. ძალზე გაბედულად და არადამაჯერებლად მიგვაჩნია აგრეთვე ხეთას ამავე ზის დახმარებით განმარტება. ხეთების კულტურა და ენა ჯერ ისე კარგად არ არის შესწავლილი, რომ ასეთი გადამწყვეტი დასკვნები გამოვიტანოთ.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ სუფეტურ ურთიერთობას „ამირან-დარეჯანიანთან“, ეს საკითხი არ არის ახალი და ამ შემთხვევაში ჩვენ არ დავიწყებთ ღია კარების მტვრევას. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში საამისო კვლევა კარგა ხანია, რაც უკვე ჩატარებულია და მას აქ აღარ გავიშვორებთ. ცნობილია ისიც, რომ „ამირან-დარეჯანიანი“ და ხალხური „ამირანიანი“ ურთიერთობა თავისთავად აშკარადდება. რახან ეს ასეა, ისმის საკითხი: რად მოიხიბლა შოთა რუსთაველი „ამირანიანის“ სუფეტით? შოთა რუსთაველი ქართველი ხალხის ნამდვილი შვილი იყო და ამიტომაც იგი თავისი შემოქმედებით იმპულსებს ხალხში ჰპოვებდა. ამას ვარდა, თავისი ეპოქის შვილიც იყო და მისთვის ამოდ რიდი ჩაუვლია ირანულ-ბიზანტიურ კულტურათა მონაპოვარს, რომლებთანაც ქართული კულტურა მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა. ის ერი, რომელიც არავითარ კულტურულ ურთიერთობაში არ იმყოფება შეზობელ მაღალკულტურულ ენებთან, ჩამორჩენილი ენაა და მას არავითარი კულტურული ღირებულების შექმნა არ შეუძლია. ქართველი ხალხი კი უადრესად კულტურული ენაა და ზოგადსაკაცობრიო კულტურულ ღირებულებათა შექმნაში მუდამ ცოცხალ მონაწილეობას იღებდა, მით უფრო, რომ მას საამისოდ



თვით მისი ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობაც ხელს უწყობდა. საქართველო ორ დიდ კულტურათა გზა-შესაყარზე მდებარეობდა და მათთან ურთიერთდამოკიდებულებით ჰქმნიდა თავის თვითაღსა და ღრმად ორიგინალურ კულტურას. შოთა რუსთაველის შემოქმედებაც თავისი ხალხის წიაღისაკენ სწორედ ამ გზით მიემართება. ცნობილია, რომ ქართული ეკლესია ამ დროს ბიზანტიურ-სქოლასტიკური ეკლესიის დიდ გავლენას განიცდიდა. ქრისტეს სახელით იგი ცეცხლითა და ძახვლით სპობდა წარმართობას ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს, რასაც „ქართლის ცხოვრება“ გვიდასტურებს. ვანა ყოველივე ამის შემდეგ გასაგები არ უნდა იყოს, თუ რად დევნიდა ქართული კლერიკალიზმი იოანე პეტრიწს, რომელიც იმდენად გაკადნიერდა, რომ არისტოტელესთან ერთად უადრესად წარმართი პლატონის სახელის შემოტახაც კი გააპირა საეკლესიო მოძღვრებაში? ქართველმა კლერიკალებმა კარგად იცოდნენ, რას სწავლიდნენ, როცა ისინი სდევნიდნენ შოთა რუსთაველს. მათთვის ისე საშიში არ იყო მუსულმანური ირანი, როგორც წარმართული ჰელადა. შოთა რუსთაველი კი ამ მხრივ პეტრიწის ხაზის განმარტებულად გამოდიოდა, ოღონდ განსხვავებით, — თუ პეტრიწი ბიზანტიურ ნეოპლატონიზმს ეყრდნობოდა, შოთა რუსთაველი თავისი შრობილური ხალხის დიდ ჰუმანისტურ იდეებს გამოხატავდა. ამას კარგად ხედავდა ქართველი ხალხი და აქი იმიტომაც დაიცვა მან თავისი საყვარელი შვილის ეს საკვირველი ქმნილება საუკუნეთა მანძილზე გარეშე და შინაურ მტრის მსახვრალ ბედიდან და შით იგი დალუპვისაგან იხსნა. ღრმად ადამიანური, ჰუმანისტური სულით გამსჭვალული „ვეფხისტყაოსნით“ შოთა რუსთაველმა სასტიკი ომი გამოუცხადა სქოლასტიკურ ეკლესიას

ჯერ ერთი იმით, რომ მან უარყო ბიზანტიურ-ქრისტიანული ლიტერატურის აგიოგრაფიული ქვეყნის და აღმოსავლური მალაქი კულტურის გავლენით დასწერა პირველი საერო რომანი, რომელიც ევროპაში იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა. ვფიქრობთ, რომ მან ამ აზრით უწოდა თავის რომანს „ამბავი სპარსული“ და არა იმიტომ, რომ მან რაღაც სპარსული სუფეტი გამოიყენა. მისი სუფეტი ღრმად ეროვნულია თავისი სამი ბრწყინვალე გმირის თავგადასავალითა და „ამირანიანთან“ ფაბულარული კავშირით. ვფიქრობთ, რომ მან ეს სუფეტი ქართული კლერიკალიზმის თვალისაახვევად გადაიტანა შრობილურ სინამდვილიდან აღმოსავლურ სამყაროში, მაგრამ სქოლასტიკური ეკლესია მაინც მიხვდა, რომ ეს ფანდი იყო. „ვეფხისტყაოსანი“, თუ, ერთის მხრივ, ნეოპლატონიკური იდეებით არის დავალებული, მეორე მხრივ, იგი ხაკანისა და ხიზამის პოემათა სუფეტებს უახლოვდება და ეს როდი იყო მიმბაძველობა. ეს საერთო მოვლენა იყო, საერთო ჰუმანისტური იდეების ქროლვა იყო და შოთა რუსთაველიც, რა თქმა უნდა, თავისი ეპოქის მოწინავე იდეებს ვერ გაექცეოდა. საგულისხმეოა, აგრეთვე ისიც, რომ ხაკანიცა და ნიზამიც ქართველ მეფეთა და მათ ვასალოთა კარზე მოღვაწეობდნენ, რასაკვირველია, ირანული პოეზიის საუკეთესო ტრადიციათა გაგრძელებით. ეს ტრადიციები უმთავრესად ფირდოუსიდან მომდინარეობდა, ხოლო ფირდოუსი შემოქმედებითს შთაგონებას თავის მხრივ აღმოსავლურ წარმართობაში ჰპოვებდა. ამგვარად სამი ნაკადი, ნაკადი პეტრიწის ნეოპლატონიზმისა, ნაკადი ფირდოუსის წარმართობისა და ქართულ ხალხური „ამირანიანისა“ ერთად იყრებიან და ჰქმნიან იმ ჰუმანისტურ რენესანსის წინაპერიოდს, რომელსაც



მიემხრო შოთა რუსთაველი და რომელსაც ეპოპოსიავის გამო განვითარება არ დასცალდა. საყურადღებოა ისიც, — როდესაც ქართული კულტურა მოსწყდა ბიზანტიასთან კულტურულ ურთიერთობას ოსმალურ ევლურ ურდოთა შემოტევის წყალობით, ქართული მწერლობა ყრულ, მაგრამ შინეც განაგრძობდა შოთა რუსთაველისაგან დანერგილ ტრადიციას და ქართული ეკლესიაც მის წინააღმდეგ ბრძოლას, ამიტომაც არ ანელებდა ყოველ შემდგომ პოეტს საქართველოში თავის მოვალეობად მიაჩნდა გასჯობრებოდა ბრწყინვალე შოთას, რაც აღმოსავლური პოეზიის ტრადიციას წარმოადგენდა, და მნიშვნელობას არ არის მოკლებული ისიც, რომ არც ომარ ხაიამი, არც ჰაფეზი, არც საადი და არც სხვანი არ უთარგმნიათ ქართველ პოეტებს ისე უხვად, როგორც სთარგმნიდნენ ფირდოუსისა და ნიზამის. ბოლოს საქმე იქამდეც მივიდა, რომ ს. თანიაშვილმა ხელახლა აღადგინა „ამირან-დარეჯანიანი“ ლექსად, მაგრამ ის ისეთს საშიშროებას არ წარმოადგენდა, რადგან ს. თანიაშვილი ისევე, როგორც მოსე ხონელი არ ბრწყინვალედნენ თავისი ნიჭითა და გავლენით ისე, როგორც ბრწყინვალეა შოთა რუსთაველი. არ არის მნიშვნელობას მოკლებული აგრეთვე ის მოვლენაც, რომ ხაკანი და ნიზამი საქართველოში ცხოვრობდნენ, რომ მათ ხაწარმოებებში ეგრე უხვად გამოკრთის ქართული სულიერი სამყარო და რომ ხაკანი იცოდა ქართული ენა და თავის ქმნილებებში ამ ენას გაბედულად იყენებდა. საყურადღებოა ისიც, რომ ნიზამი თავის მეტოქედ ვილაც ქრისტიან პოეტს აღიარებს, რომელიც ზოგიერთი ნიშნების მიხედვით რუსთაველი უნდა იყოს.

ამგვარად მკაფიოდ ინაკეთება საში დიდი მდინარება მე-12 საუკუნის ქარ-

თული კულტურისა: „მავთულ-ნაბრუ-ხაძე, მოსე ხონელი-სარგის, თმოგველი და „ამირანიანი“ შოთა რუსთაველი. ამის შემდეგ ბუნებრივია, თუ რად დევნიდა ქართული ეკლესია „ვეფხისტყაოსანს“ და არ დევნიდა „ვისრამიანს“ ან „ამირან-დარეჯანიანს“. „ვეფხისტყაოსანში“ იგი ხელდავა მისთვის საძულველ ჰუმანიზმის ნიშნებთან ერთად ხალხურ მოტივებს. ამიტომ გაიტაცა ქართველმა ხალხმა „ვეფხისტყაოსანი“ და მის საფუძველზე შემდეგ ხალხური ვერსიაც კი შექმნა. აი, სად იმალება ძირები ქართული რენესანსისა და ჰუმანიზმისა და არა იმაში, რომ „ამირანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ ერთი და იგივე მეტაფორა „მზე ვითა“ არის გამოყენებული.

შალვა ნუცუბიძეს ბედიც მიბადვით „ამირანიანის“ აღდგენის საინტერესო ცდა ჩაუტარებია, მაგრამ პირდაპირ უნდა განაცხადოთ, რომ ეს საქმე ჩვენ იმ თავითვე განწირულ საქმედ მიგვანჩია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ ეპოქის ხალხური ვერსიები სრულად არ არის შეკრებილი და, რაც ჩაწერილია, იმათაც დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ მსჯელობისას. ამას გარდა, ეს თქმულება არ არის პლასტების თვალსაზრისით შესწავლილი და კიდევ, ამას გარდა, შალვა ნუცუბიძე არ არის პოეტი, ავტორი ასეთი სტრიქონებისა:

(ღალმა) მისცა ბავშვის გასაზრდელად  
სულკლამახსა მან რჩევანი:  
ვით გახვისო, რათა ჰკეობს,  
და სხვა კიდევ რამე რანი... (გვ. 17)

ეს „რჩევანი“ ჩვენებურ დედათა და ბავშვთა კონსულტაციას უფრო ჰგავს, ვიდრე მითოლოგიას.

შალვა ნუცუბიძის ცდა უსათუოდ საპატიოა, მაგრამ ძალზე ნაჩქარევი. ეს ცდა ჩვენში ახალი როდია. ჯერ კიდევ პეტრე მირიანაშვილმა სცადა

მისი აღდგენა ამ ორმოციოდე წლის წინათ. არსებულ ტექსტებს მთლიანად სახე მისცა, მაგრამ არაფერი თავისი მას შიგ არ ჩაუმატებია. ამირანის თქმულებათა ვერსიები მან მხოლოდ სუვეტური თანმიმდევრობით დააღაგა და შიგ ჩართული პროზაული ტექსტები გალექსა. გალექსა ხალხური ვერსიფიკაციის მეტი ცოდნით და ამიტომაც მისი ნაშრომი უფრო სანდოა სიზუსტის მხრივ. შალვა ნუცუბიძის პოემა „ამირანი“ პირადი შემოქმედებაა და ამირანის პრობლემათა საძიებლად იგი უვარგისია. ეს იქნებოდა პოსტიფიკაცია ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ,—ფალსიფიკაცია საკვლევეო მასალისა. უნდა განვაცხადოთ, რომ მსოფლიო ფოლკლორის ისტორიაში ასეთ ფალსიფიკაციას ჰქონია ადგილი, მაგრამ იგი ისეთი ცოდნითა და ნიჭით ყოფილა შესრულებული, რომ მხოლოდ დიდი—კვლევისა და ძიების შემდეგ გაურკვეველია მისი სიყალბე. ასეთ მოვლენას თვით ლიტერატურაშიც ჰქონია ადგილი. ცნობილია, რომ ვალერი ბრიუსოვმა დაასრულა პუშკინის ერთი დაუმთავრებელი ლექსი, დაასრულა მშვენიერად, მაგრამ თავისი ლექსი პუშკინის ლექსად როდი გაუსაღებია. მიუხედავად იმისა, რომ შალვა ნუცუბიძე თავის ნაშრომს „განახლებულსა და რესტავირებულს“ უწოდებს, მას ხალხურ ეპოსთან საერთო მაინც არა აქვს რა. ხალხური „ამირანიანი“ კოლექტიური შემოქმედებაა, რომელშიც ქართველი ერის უძველესი კოსმოგონია არის გადმოცემული და, მოდი, ეს ძეგლი ისე შევინახოთ, როგორც იგი ხალხს დაუცავს! ხოლო, რაც შეეხება მის ლიტერატურულ გარდაქმნას, ეს სხვა საკითხია. შალვა ნუცუბიძის „ამირანი“ პირადი, ინდივიდუალური შემოქმედებაა, შემოქმედება თანამედროვე ადამიანისა და მათ შორის, სხვა არა იყოს რა, სამი ათასეული წლის უფსკ-

რულია გათხრილი. შალვა ნუცუბიძის განცხადება, რომ ქართველ კვლევართა „ზომიერი გონიერების“ გამო (კვ. VII) ევროპაში ოსურ „ამირანს“ იცნობენ და არა ქართულ „ამირანიანს“, საფუძველს მოკლებული საყვედურია. საქმე ის არის, რომ ოსურ „ამირანს“ ზურგს უკან ისეთი კოლონი უდგას, როგორც ნიკო მარია და მეორეც ეს შემთხვევის საქმეა.

შალვა ნუცუბიძე სჩადის ერთ წარმოუდგენელ რასმე. თავისი სადავო შეხედულებების მიხედვით გაულექსავს ახალი „ამირანი“, „განუახლებია“, როგორც თვითონვე ამბობს, შეუქმნია ახალი პოემა, რომელიც აქამდე არ არსებობდა, შეუქმნია ახალი „მითი“, რომლის ავტორიც თვითონ არის და შემდეგ თავის ქმნილებას ისე იკვლევს, თითქოს იგი მისი კი არა, ხალხის ქმნილება იყოს. გამოაქვს ის დასკვნები რომლებიც თვითონვე წინასწარ განაპირობა და ახალი პოემა ჩამოაყალიბა. ამიტომაც ჩვენი განხილვის სფეროში ეს ნაწარმოები ვერ შემოვა, რადგან ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებს ფოლკლორი და არა შემოქმედება შალვა ნუცუბიძისა. ჩვენს ყურადღებას იქცევს შალვა ნუცუბიძის მოსაზრებანი, რომლებიც ამ პოემის წინასიტყვაობაში არის გამოთქმული. ძველი ჰიპოთეზა, რომ პრომეთეს მითოსი ამირანის თქმულებისაგან უნდა იყოს შთაგონებული, ახალ საბუთებს უმატებს. მაგრამ პრომეთე, რომ ამირანისაგან არის დამოკიდებული, ამისთვის ჯერ საჭიროა დამტკიცდეს, რომ ამირანი უფრო ძველი თქმულებაა. სწორედ ამ მიზნით ვატარებდი მე ამ ხუთიოდე წლის წინათ ბარალელებს ამირანსა და თამუზ-გილგამეშის თქმულებებს შორის, რის შედეგადაც მიველ იმ დასკვნამდე, რომ ეს მსგავსება მართლაც რომ თვალსაჩინოა და, რაც მთავარია, ეს

მსგავსი მომენტები „ამირანიანისა“ არ გააჩნია პრომეთეს თქმულებას. ამის შემდეგ შალვა ნუცუბიძემაც გაატარა ეს პარალელი „ამირანიანისა“ და „გილგამეშისა“ შორის და ჰედელისა და წართობის შეტად სადავო თეორიით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თურმე გილგამეშის თქმულებაც „ამირანიანისაგან“ ყოფილა დაფუძნებული, რაც უსათუოდ დიდი ვაბეღულებია, მაგრამ, სამწუხაროდ, მოკლებული შეცნირულ საფუძველს.

პრომეთესა და არგონავტების მითებს ჩვენ იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ეს თქმულებები ქართველურ ტომთა კავკასიურ პერიოდს მიეკუთვნებიან, ხოლო ამირანი ქართულ ტომთა მოსახლეობის წინააზიურ პერიოდს სწევდება. ამიტომაც ვფიქრობთ ჩვენ, რომ პრომეთე ამირანიანისაგან არის დაპოკიდებული. ისმის მეორე კითხვა: ხომ არ არის პრომეთეს მიჯაჭვის ადგილი, — კავკასიონი, ინდოეთის კავკასიონი? არა, არ არის, რადგან აპოლონიუს როდოსელი (და არა აპოლონი როდოსელი) პირდაპირ ამბობს, რომ პრომეთე მიჯაჭვულია კუტიადის (ქუთაისის) მიწაწყალზე მდებარე მთაზე, რომელსაც ამირანტა ეწოდება და იქიდან მდინარე ფაზისი მოედინებაო. ჩვენ ვიცით, რომ მდინარე ფასისი ფასის მთიდან მოედინება და ერთი ქართული თქმულებით ვიცით ისიც, რომ ამირანი შართლაც ფასის მთაზეა მიჯაჭვული. გერგეტის მთა უსათუოდ გვიანდელია და შალვა ნუცუბიძე ცდება, როცა ეს მთა მას ამირანის მიჯაჭვის ადგილად მიაჩნია. ცდება მიუხედავად იმისა, რომ აპოლონიუს როდოსელის ცნობა ამირანის მიჯაჭვის ადგილმდებარეობის შესახებ თვითონვე შოკყავს. როგორც შემოთმობტანილ ანტიკური ცნობით დავრწმუნდით, ფასისის ანუ ფასის მთას თურმე ამირანტა ანუ ამირანტა ეწოდებოდა და ეს

ხომ ამირანის ანუ ამირანის მთა ად მთას რომ ფასის მთა ძველთაგანვე ერქვა, ამას თვით იქიდან გამოდინარე მდინარის (ძველად შალვა ნუცუბიძის მიხედვით) როგორც ნილოსს, წმინდა მდინარეს უწოდებდნენ) სახელი ფასისიც ამტკიცებს. მაშ საიდან მოიტანა შ. ნუცუბიძემ გერგეტი, რომელიც ჩერქეზთა ანტიურ სახელწოდებას კერკეტს მოგვაგონებს და შესაძლოა, ამ ადგილას მართლაც ჩერქეზული (იგივე ქართველური ტომები) მოსახლეობდნენ?

ცნობილია, რომ სომხური ამირანიც მასისის მთაზე (არარატზე) ყოფილა დატყვევებული, სადაც თურმე ბარბის მომნიჭებელი ღვთაებანი ვიშაებში, სვანური დალები ბინადრობდნენ. საყურადღებოა ისიც, რომ ქსენოფონტე თავის ცნობილ შრომაში არაქსის ფაზისს უწოდებს. გამოდის, რომ ჩვენ ორი ფასის ანუ მასისის მთა და ამას გარდა ორი მდინარე ფაზისი გვქონია. ვახა მასისის მთის ირგვლივ არ ბინადრობდნენ ერთ დროს ჩვენი წინაპრები, ურარტები? ცხადია, ქართველ ხალხს მიგრაციის დროს თავისი მთისა და მდინარის სახელები ისევე წამოუღია, როგორც ევროპელებს ამერიკაში თავისი ტოპონიმიკა. ვანა ასეთივე მიგრაციის დამადასტურებელი არ არის სვანური სოფლის სახელი ხალდე და იმერული სოფელი ტელეფა, რომლებიც ღვთაება ხალდისა და ტელეფონის სახელიდან უნდა იყოს შერქმეული?

მასისი ხომ იმგვარადვე ნაწარმოები სახელია, როგორც თბილ-ისი, ბოლნ-ისი, ქსილ-ისი და სხვა? ცნობილია, რომ მას-ისი მსოფლიო ბორცვი ანუ მწვერვალი იყო და ბიბლიური ნოესი ანუ ბაბილონური ქსესუტრის (გილგამეშის წინაპარი) კიდობანი ამიტომაც შედგა ამ მწვერვალზე. ეს მთა მას-ისი ანუ ფას-ისი ის შემეერთებული შუასეგელი, ის

მსოფლიო ბორცვი იყო, რომელიც ზესკენელსა და ქვესკენელს აკავშირებდა. ჩვენ უძველეს წინაპართა რწმენით ამ მოაზრე შრიალებდა ის ხე ცხოვრებისა, რომელზედაც მითოლოგიური ფრინველი ფასკუნჯი ბუდობდა. ეს ფასკუნჯი არც ისე უბრალო ფრინველია, როგორც ეს მიხ. ჩიჭოვანს თავისი ზღაპრების წიგნის წინასიტყვაობაში წარმოუდგენია. ტანი მას თევზისა ჰქონდა, რითაც წყლის მომნიჭებელი ქვესკენელს განასახიერებდა, ფრთოსანი იყო, — ზესკენელს განასახიერებდა, პირი ძაღლისა, მგლის ან ლომისა ჰქონდა, — შუასკენელს განასახიერებდა, ხოლო მკერდზე ქალის ძუძუები ასხდა. ამ ტოტემურმა ფრინველმა შემდეგ ანთროპომორფიზაცია განიცადა და მშვენიერი მატრიარქატული ქალღმერთის (სიყვარულის, ხადრობისა და შემართა ღვთაების) სახე მიიღო. შემდეგ იგი მტრედად იქცა და ჩვენს ხევის ბერებს და დეკანოზებს ნათლით მოსილი ეცხადებოდა. ეს მისი სახელობის დროშა იყო და მისი პირის, ლომისპირიანობის განასახიერებას წარმოადგენდა სვანური ლომის გამოხატულების სათემო დროშა, ქართველ დრაკონარიებს ბრძოლაში წინ რომ მიუძღოდათ. ამ მდროშეს სვანეთში ახლაც „შელოშე“ ეწოდება, ხოლო მის ზატს აღმოსავლეთ მთიანეთში „ლომისი“. ეს ქალღვთაება ბაბილონური იშთარია, ებრაული ესთერი, ხოლო ქართული ეთერი. ამიტომაც გასაგებია, თუ რად ზის ქართული ეთერი ხეზე. აბესალოში (სახელშეცვლილი მითოლოგიური გმირი თამუზია) მას ცხოვრების ხეზე, შემომჯდარს დაინახავს და მისი ტრფობით, ანუ იშტით შეპყრობილი ასძახებს:

ჩამოდი, ეთერო, ძირსა,  
მანდ რას უზიხარ ხესაო?  
ჩამოდი, ცოლად გამომევე,  
მანდ ნუ იღერებ ველსაო.

უკვდავების წყალი ამ ზის ფესვებიდან გამომქუხარებდა და მას ფიზიკური ანუ ვეშა წყალი ეწოდებოდა. ამიტომ არის მდინარე ტანისა და ფიზიკური ეგეთი ილუმინალი ზღაპრულობით მოცული ანტიკაში. ამიტომ ეწოდა მის ნაპირებზე გავრცელებულ ზოხბებს ბერძნულად ფაზანოი. ეს ზოხობი განასახიერებდა ფასკუნჯს ანუ ეთერიშთარს და ამიტომ ნახა ვახტანგ გორგასალმა თბილისის მახლობლად უკვდავების წყალში ორბთან ერთად ჩაფუფქული ზოხობი ნადირობის დროს. სამეგრელოში ამ ზოხობ-ფასკუნჯს ამიტომაც უწოდებენ წმინდანთანს. ეს ეთერ-ფასკუნჯი იმიტომ ჯდება სამეგრელოს ასწლოვან ხეებზე, რომ ქართველ ხალხს ეს ხე ცხოვრების ხესა და ზედ შემომჯდარ ეთერს შოაგონებს. ეს მგლის ან ძაღლისპირიანი ფასკუნჯი (გერია) ქართველი ხალხის ტოტემია და ამიტომაც „შესტრფის იგი ეგრე რაინდულად ქართველ ქალს. აქედან მომდინარეობს ქალის კულტი საქართველოში. წმინდანია ანუ ფასკუნჯი ღამეს დღესავით ანათებდა. რატომ? იმიტომ რომ ის ასტრალური ღვთაება იყო, ის იშთარი ანუ ეთერ ვარსკვლავი იყო, იგი მშეთუნახავი იყო, რადგან ვარსკვლავი იშთარი ანუ ვენერა საღამოს მზის ჩასვლის შემდეგ ამოდის და დილით მზის ამოსვლამდე ჩადის და ამგვარად მზეს ვერასოდეს ვერ ხედავს. ეს ის გოშიაა, ძახთაპირი ქალღმერთია, რომელიც თავის ტრფილს ამირანს ჯაჭვს ულოკავს და ამით მისი ქვესკენლიდან გამოხსნა უნდა, უნდა რომ იგი თამუზივით, აღონისივით მოავლინოს სამშეოს და ქვეყანა კვლავ ააყვავოს, რადგან იგი ბარაქის მომნიჭებელი ღვთაებაა. ეს ის ყურშაა, რომლის დაქარგვისაც ეგრე მოსთქვამს მონადირე „ამირანიანში“:

ყურშას ყურ-ტუი ოქროს ასხია,  
 ყურშას თვალეზი მიფარესა ჰვეანდის,  
 ყურშას ყეფილი ცის ქუხელს ჰვეანდის  
 და სხე.

ეს ზომ ძველ ირანული სენმურვია, ანუ სიმურგი, რომლის სახელიც ჩვენს ფოლკლორში შემონახულა და აქამდე მისი მნიშვნელობა განმარტებული არის:

ზთის კარზე შევიყარენით  
 სამოცდასამი ჯვარია.  
 დევებ ქონიყო ქორწილი,  
 ხიმურ ეჩქვიფა წყალია.

ეს ნაჩქეფი წყალი ზომ იგივე უკვდავების „ვიშრაპიანი“ წყალია, ფაზისია, რომელიც მისი სამ სტიქიონურობიდან, სახელდობრ, თევზისტანიანობიდან მომდინარეობს და რომელიც ვიშაბ-თელუმბას (სვანურად ვებშაის) წყალობაა. ავი ამიტომაც არის მოცული ფასისი (რიონი) ღვთაებრივი იდუმალებითა და მისნური ჯადოსნურობით და მას ანტიკაში ტიგროს-ეფრატისა და ნილოსის გვერდით ადგბლი ღირსეულად ეჭირა, რადგან იგი მიწას ამ მდინარეებზეთ ანოყიერებდა.

როგორც ვხედავთ, ბარაქის ამ ქალღვთაებას ორი სახელი ჰქონია: ფას-კუნჯი ანუ ფასკური (მეგრული ჯი უდრის რი-ს) და ეთერი. ისმის საკითხი: ზომ არ არის ეს სახელი დაცული ჩვენ ფოლკლორში? ჩვენი პასუხი ამ საკითხზე დადებითია. მონადირეთა ღმერთს ქართული ტომები ა-ფ(ა)-ათსაც (აფსათს ანუ ოესათს) უწოდებდნენ. აქედანვე უნდა იყოს ნაწარმოები აგრეთვე მდინარე ფშადის (ანუ ფსადის) სახელიც ჩერქეზეთში ტუაფსეს მახლობლად. „ა“ ჩვეულებრივი პრეფიქსია. ის ისეთივე სიტყვაა, როგორც ა-მირანი, ა-რმაზი და სხე. ზოლო „ათი“ სუფიქსია. მაშასადამე აფსათი იგივე ფას-კუნჯი ყოფილა უპრეფიქსოდ და ის, როგორც სჩანს, მას-

ისის ან ფას-ისის მითისა და მდინარეთა სახელებში დაცულა, რადგან ამ ბარაქის მომნიშვნელო მდინარეს თაქისონ (სათავით, ფასის მითით, ბარაქის ეს ღვთაება მფარველობდა, კი არ მფარველობდა, — ეს მთა მისი საბრძანებელი იყო, ზოლო მდინარე მისი წყალობა და თვით ამ სიტყვებს: წყალსა და წყალობასაც ერთი ფუძე ამიტომ გააჩნიათ. (იხ. ჩემი წერილი „ქართული ვაშა“). ფას-კუნჯი (ან მას-კური) ასტრალური ღვთაება იყო და აქედან წარმოშობილა ხალხური სახელწოდება ვარ-სკულავისა მას-კულავიც და შვეც. ვფიქრობთ, რომ არ-მას-იც აქედან არის წარმოშობილი და ამ შემთხვევაში აქ სქესობრივობას მნიშვნელობა არა აქვს. ცნობილია, რომ მატრიარქატული ქალღვთაებანი შემადგომ პატრიარქატულ კაცთღვთაებებზე იქვეოდნენ ზოლმე (მაგ. კიბელე-კოპალე). შე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ ამირანის აფხაზური სახელწოდების ამრსკილისა და ამრსკილის შესახებ. ნ. შარმა თავის დროს ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ ამრსკილი ცის შვილს, ანუ ვარსკვლავს ნიშნავს. არც იმის შესახებ გავაგრძელებ სიტყვას, რომ აქედანვე იგივე მზის ღვთაების ბარის (მარის) ანუ ბარბარ-ბარბოლის (ღვთაება შარმარ ანუ მცირეაზიური დედა ყოვლისაშა) სახელი მომდინარეობს. ვანა ბარბოლიც ასტრალური ღვთაება არ არის, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეთერ-აფსათი ვარსკვლავია, ზოლო ბარბოლი—მზე? როგორც ნ. შარი ამტკიცებს, ამ ასტრალურ კონცეპციიდანვე მომდინარეობენ აგრეთვე სიტყვები ზორ-კუი, როგორც ბინა ამ ღვთაებისა (მასისის ბორცვი) და ბურ-თი, როგორც განსახიერება მზის სიმრგვალისა. აღსანიშნავია, რომ ცის განსახიერებას ბორბალი ანუ თვალი წარმოადგენდა მართლაც, თვალი ზომ ამ

ბარაქის ღვთაების ემბლემატიური გან-  
ხაზიერება იყო? ამიტომაც ამბობენ  
ჩვენში ბარაქიანი ყანის შესახებ დღე-  
საც „ღვთის თვალი“, ე. ი. მზე ტრი-  
ლებსო. ამიტომაც ხუტყავენ თვალს  
სევანები მისდამი მიმართულ ლოცვის  
წარმოქმნის დროს. ჯერ ერთი იმი-  
ტომ, რომ მზეს თვალი განასახიერებს  
და მეორეც—მზეს თვალს ვერ გაუსწო-  
რებ. ამიტომაც არის ქისტური ბარა-  
ქის ღვთაება ელთა ცალთვალა, ხოლო  
ეს ელთა სეხნიაა ჩვენი მთიელების  
მარდაისა და ურართული არდი-არ-  
დინისა. არ შეგვიძლია აქვე არ მოვი-  
გონოთ, რომ ამ ღვთაებას, თევზს გარ-  
და, ღორიც განასახიერებდა და იგი  
მკიდრო ურთიერთობაშია ურართუ-  
ლი პანთეონის თელშბასთან. აღსანიშ-  
ნავია, რომ საკალანდო ღორის თავს  
სევანურად ვებშაა (ვეშაა), გურულ-  
მეგრულად აგუნა, ხოლო ჩერქეზუ-  
ლად აგინი ანუ აღინი ეწოდება, რაც  
ჩვენ ინდური მზის ღვთაების აგნის  
სახელს ძალზე მოგვგავონებს. ღორის  
თავს საწნებელზე იმიტომ სცემენ,  
რომ ღორი დიონისიური საწყისის,  
ბარაქის ღვთაების ტოტემური გამო-  
ხატულებაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბარ  
ანუ მარ ბარაქის ღვთაებაა (ამ ღვთა-  
ებრივ სახელს თვით სიტყვა ბარ-აქაც  
შეიცავს. ამ მხრივ მის არაქართლო-  
ბას მნიშვნელობა არა აქვს). მაშინ  
ცვალი-ც იმავე თვალი-ს სახესხვაო-  
ბაა (ისევე, როგორც ცა და (მ)თა) და  
სიტყვა მარ-ცვალიც ამ ღვთაების სა-  
ხელისა და მისი მხედველობის ორგა-  
ნოს, თვალის, შემცველია (მივაქცევ  
ამ გარემოებისადმი მიხ. ჩიქოვანის  
ყურადღებას). არ შემიძლია აქვე არ  
დავუმატო, რომ თვით სიტყვა ბროლი  
და მარმარი ამავე ღვთაების სახელის  
ფუძეს შეიცავენ და ამიტომაც არის,  
რომ ეთერი და ყამარქალი ბროლის,  
ან მარმარილოს კოშკში იმყოფებიან.

ამ შემთხვევაში ეს მინერალურ ცის  
განსახიერებას წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ამირანის კრობ-  
ლემა არც ისე უბრალოა, როგორც  
ამას მიხ. ჩიქოვანი და შალვა ნუცუ-  
ბიძე გვიამბობენ თავის შრომებში.  
ამირანი ასტრალური ღვთაებაა და არა  
არსენა ყაჩალი. ამიტომაც ბუნებრი-  
ვია და თანმიმდევრული ამირანისა-  
გან ოქროს ჩხინი ირმის ნახვა. ცნო-  
ბილია და რატომღაც დღეს დავიწყე-  
ბული, რომ ოქრო ღვთაებრივობის  
ალმნიშვნელი ლითონია. ამიტომ  
შქონდა ოქროს კბილი ამირანს, ოქ-  
როს დაღალი დაღს და ოქროს რქა  
„ამირანიანის“ ირემს. ამ გვარად ეს  
ირეში უბრალო ირეში როდია, იგი  
ოჩოპინტრეა (ვაკთაატრონი), რაჭუ-  
ლი „წილიანი“ (ე. ი. წილანყარი)  
ირეშია და იგი წილია ქართული დი-  
ნას ეთერისა და მისი მოკვლა ამიტო-  
მაც არ შეიძლება. აქედანვე მომდი-  
ნარეობს ჩვენი მონადირეთა ტაბუიზ-  
მი და მას არავითარი კავშირი არა  
აქვს საგმირო ეპოსთან, მაგალითად,  
„არსენას ლექსთან“.

ცნობილია, რომ ამირანს და მის  
ძმებს სწორედ ეს ირეში წამოუხტათ  
და ისიც მის „დანაკლიკს“ მიჰყვა. ეს  
დანაკლიკი ის „ირმის ნახტომია“,  
რომელსაც ასტრონომიაში დღეს  
„რძის გზა“ ეწოდება. გამოდის, რომ  
ამირანი „ირმის ნახტომით“, ცაში ვი-  
დოდა, რაც, რა თქმა უნდა, არც აე-  
თანდილ-ტარიელს და არც არსენა ყა-  
ჩაღს არ შეეძლოთ. ცნობილია, რომ  
ამირანს თან თავისი ძმობილნი ბადრი  
და უსუბი ახლდნენ. ვფიქრობ, ეს სა-  
ხელები შემდეგ არის არაბიზებული  
და მათ ქვემო პლასტში სულ სხვა სა-  
ხელები იფარება. ხომ არ არის ბადრი  
იგივე არდი? არდი რომ მზეა და ბად-  
რი მთვარე ამას მნიშვნელობა არა  
აქვს. აფხაზურად ა-მრა მზეს ეწოდე-  
ბა, ხოლო ა-მზა მთვარეს. ამირანის  
მეორე ძმობილს უსიბი ეწოდება, მაგ-



რამ არის ვარიანტები, სადაც მას ვი-  
სიბიცი ეწოდება. თუ „ს“ უდრის „შ“-ს  
(ქუთაისი—ჯიხაში, ტუსაბა—თუმბა),  
მაშინ ვიშბიცი შესაძლებელია და ხომ  
არ არის იგი ვიშაპი ანუ ურარტული  
თემები? მე ვფიქრობ, რომ არის.  
ბადრი არღია, ხოლო უსუბი-ვიშაპი.  
მაშინ ვინ უნდა იყოს ამირანი? ურარ-  
ტული ღვთაებრივი ტრადის მიხედ-  
ვით თავისთავად გამოდის, რომ ამი-  
რანი ხალდის მსგავსი ღვთაება უნდა  
იყოს.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ებოსს.  
ირმის ნახტომმა ანუ დანაქლიკმა  
ამირანი ბროლის კოშკთან მიიყვანა.  
უნდა აღენიშნოთ, რომ მ(თა) იგივე  
ცა არის (ისევე როგორც ცირცეას ვე-  
ლი თირთას ველია და, ვფიქრობ, რომ  
ამ სახელშიც ცის სახელწოდება უნდა  
იყოს ელინისტური სახეცვლილებით  
დაცული). როგორც ნ. მარი ერთ  
დროს აღნიშნავდა, ძველთა რწმენით,  
მთა ცის განსახიერებას, ხოლო ძალ-  
ლი ან ლომი მზის სიმბოლოს წარმო-  
ადგენდა (იხ. თხზულებანი, მე-3 ტო-  
მი, გვ. 127). ამგვარად ამირანს ცაში  
უვლია, როგორც ასტრალურ ღმერთს  
და იგი, როგორც სჩანს, თამუზივით  
ქმარიც ყოფილა და ძეც აფსათ (ბარ-  
ბოლ)-ფასკუნჯისა. თუ ეს ასეა, მაშინ  
სულკალმახი იგივე ამირანი ყოფილა!  
ვფიქრობთ, რომ ეს ასეა, მაგრამ ამა-  
ზე ქვემოთ, ისმის კითხვა, ვინ არის  
მაშინ იამანი? ვაცხადებთ (და ყველა-  
ზე აღრე მიხ. ჩიქოვანის საყურადღე-  
ბოდ), რომ არაერთარი იამანი, რო-  
გორც პერსონა, ამირანში არ არსე-  
ბობს. მას წაკითხვა უნდა და გაგება.  
აქ მოხსენებულია იამანის თვალი  
ე. ი. იამანის ქვა და სხვა არაფერი.  
ხოლო იამანის ქვა ჩვენებურად აქა-  
ტი ანუ ბერძნულად ალათია. იქნებ ეს  
თვალი სიმბოლური გამოხატულება  
იყო ღვთის თვალის ბარბოლისა და  
ამირანი მის საძებნელად ბარბოლ-  
ეთერთან მიემართებოდა?

მოვიგონოთ ისევ ჩვენი ებოსის აღ-  
ვლი:

მინდორს კვალი გაუკვლავლი  
დანაქლიკი ეშმაკისი.

რატომ დანაქლიკი ეშმაკისი, თუ ეს  
ოქროს რქიანი ირმის, ე. ი. ღვთაებ-  
რივი დანაქლიკი იყო? იმიტომ რომ ეს  
ირემი წარმართული ღვთაებაა, ღვთა-  
ებრივი ანუ „წილიანი“ ირემია და  
ქრისტიანული თეოლსაზრისით იგი  
ბილწია და ეშმაკეული. ხოლო „და-  
ნაქლიკი ეშმაკისი“ ქრისტიანული კო-  
რექტივია მიტუმელისა. იგი სწყველის  
მის ასაველდასაველს, რადგან ჯერ  
კიდევ სჯერა და თან ეშინია მისი.  
ამის შემდეგ რაა საეკირველი, თუ ასე  
ფრაგმენტალურად მოაღწია ჩვენამ-  
დე ამ თქმულებამ?

უცხო მთაზე კოშკი ნახეს,  
ანაგები ბროლის ქვანი;  
გუჟარეს გარეგნულად,  
ვერ იპოვეს კარი მისი...  
სადაც რომ მზემ პირი მოქრა,  
ამირანმა მუხლი მკლისი.

ეს ხომ განთიადის აღწერაა და  
მზის პირველი სხივის გამოკრთომა?

კოშკში ლომი წილილიყო

და ამ ლომს სახელად ცამცუმი ერ-  
ქვა. ჩვენ ვიცით, რომ ლომი მზის,  
ხოლო კოშკი ცის განსახიერებაა და  
ამიტომაც თავისთავად ვასაგებია, თუ  
რათ ერქვა მას (ცა) ცამცუმი? ეს  
ხომ იმგვარადვე ნაწარმოები სიტ-  
ყვაა, როგორც ბარბოლი?

როგორც ვხედავთ, ამირანი ასტრა-  
ლური ღვთაება ყოფილა და არა გმი-  
რი, „ამირანიანიც“ მითოსი ყოფილა  
და არა საგმირო ებოსი.

ივ. ჯავახიშვილი ერთ დროს აყე-  
ნებდა საკითხს: თუ მესხის ანუ მას-  
ხის სახელწოდებაში „ხი“ სუფიქსია,  
რას უნდა ნიშნავდეს „მეს“ ანუ  
„მას“-ო? თუ მოვიგონებთ, რომ ქარ-  
თლის სახელი ქართუ ამ ქვეყნის, სა-



ხელდობრ, იბერიის მფარველი ღმერთის სახელიდან არის წარმოებული, რასაც მართანეც აღასტურებს (ქართლის მთაზე ქართლის კერპი იდგაო), თუ მცირე აზიის ერთ კუთხეს მუსასირს ამავე ქვეყნის მფარველი ღმერთის სახელი არდინი ერქვა და მასისა და ფაზის მასისა ანუ ფასის სახელი, მაშინ, ცხადია, მესხების ანუ მასხებისა და აბასხების (აფხაზების) სახელიც აქედან არის ნაწარმოები და მათი თავდაპირველი ადგილსამყოფელი არარატის მიდამოები ყოფილა. როგორც სჩანს, ქართველებთან ერთად თავისი პირველი საცხოვრისიდან მესხებიც დაძრულან და თავისივე ქვეყნის პერიფერიებისაკენ წამოსულან. ამის შემდეგ თავისთავად ისმის საკითხი, — ხომ არ იყო მესხთა ენა, სანამ მათ ქართები შთანთქავდნენ, აფხაზური ან მეგრული ტენის მონათესავე ენა? (განა ასე არ დაერქვათ ირონთა ანუ ალანთა ქვეყანას აფსათი ანუ ოვსათი, რაც ერთი და იგივეა?).

როგორც დაინახეთ, ამ ბარაქისა და ნაყოფიერების ღვთაების კვალი სამეგრელოში, სვანეთში, აფხაზეთში და ჩერქეზ-ოსეთში თითქმის დღევანდლამდე დაცულა. თუ მესხ-აბასხნი ერთი და იმავე ღვთაების „მას“-ის ანუ „ფას“-ის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, ისმის კითხვა, — ხომ არ დაცულა მისი ნიშან-კვალი მესხეთ-ჯავახეთში? ჩვენი პასუხი ამ მხრივაც დადებითია. თუ მოვიგონებთ ნ. შარსა და ი. სპირნოვისაგან ამ მიდამოებში ნაპოვნ ვიშაპებს, რომლებსაც ჯავახეთში დღესაც ძუძუს ქვები ეწოდება, მაშინ ჩვენი დასტური კიდევ უფრო მტკიცე საყრდენს პოულობს. ამ ძუძუს ქვებს უშვილო ქალები ერბოთი და ღუმის ქონით ბოხავდნენ და თან შვილიერებას შესთხოვდნენ. რატომ? იმიტომ, რომ იგი ნაყოფიერების ღვთაება იშთარის კერპია, რომელიც ძუძუიანი ფრინველის

ფასკუნჯის სახით იყო წარმოდგენილი. თუ მოვიგონებთ იმასაც, რომ მისგან ქვესკნელიდან ამოსაყვან, ვაჟკაცს მისთვის სამაგვჯელად ცხვრის დუმა უნდა ეძლია, მაშინ ეს ორი დეტალი, ძუძუს ქვის დუმის ქონით ზელვა და ფასკუნჯისათვის დუმის ქონის მიცემა, ერთერთს საკვირველი სიზუსტით ემთხვევა.

ჩვენს ზღაპრებში ხშირია მოტივი ფასკუნჯისაგან ზურგზე შემჯდარი ასფურცელას ან სხვა გმირის ქვესკნელიდან შესკნელში აყვანისა. ასფურცელას ასეთი მოგზაურობის დროს დუმის ქონი შემოეღია და როცა სხვა გამოსავალი ვეღარ ჰპოვა, ბარკალში კუნთი გამოიჭრა და ქონის მაგიერ ის მიაწოდა. ჩვენთვის ნათელია, თუ რა კუნთი იყო ეს კუნთი და რად მოეჩვენა იგი ფასკუნჯს ეგრე ტკილად, ნათელია, რადგან იშთარი, გარდა იმისა, რომ ბარაქის ღვთაება იყო, სიყვარულის ღმერთიც იყო და ამ მხრივ იგი არც თუ ისე სანაქებო ყოფაქცევის ქალბატონი ბრძანდებოდა. ისმის კითხვა: რად ერქვა მის ტრფილას ასფურცელა? სჩანს, ჩვენს შეზღაპრეს დაეიწყებია ამ სახელის გენეზისი და რაღაც ვაშლის ნაფტქვენების ან ფურცლების გზად დაფანტვით ხსნის ამ სახელს, რაც უსათუოდ არ არის სწორი. ასფურცელას ზალბი ხარის ფაშვს უწოდებს. საყურადღებოა, რომ მას რუსულადაც ასევე „СТОЛИСТНИК“-ი ეწოდება.

რა კავშირში უნდა ყოფილიყო ჩვენი გმირი ხარის ფაშვთან, ანუ ასფურცელასთან? თუ მოვიგონებთ, რომ ამირანი ხარის ფაშვში მოამუშეს, ისმის კითხვა, ხომ არ იყო ამირანი ასფურცელა? ვფიქრობთ, რომ იყო და ჩვენ ეს ზღაპარი „ამირანის“ ფრაგმენტად მიგვაჩნია. ჩვენ ფოლკლორისტებს „ამირანის“ ფრაგმენტებად მხოლოდ ის ვერსიები მიაჩნიათ, სადაც ამირანია ნახსენები,

რაც არ არის სწორი. საჭიროა ჩვენი ზღაპრების სუფეტთა პალეონტოლოგიური შესწავლა, შესწავლა მითოლოგიური თვალსაზრისით და მაშინ ეს საკითხი სულ სხვაგვარად გაშუქდება. მაგრამ აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ ამ მუშაობის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო. ქართული ზღაპრები წმირად სარგებლობენ „ამირანიანის“ სუფეტური მოტივებით და ეს მოტივები ფრთხილად უნდა იქმნეს გამორჩეული.

მესხეთს გარდა ამ ქალღმერთის სახელი კოლხიდის ერთ ქალაქსაც დაუცავს და არ შეგვიძლია აქ ისიც არ გავიხსენოთ.

იგივე ანტიური წყაროები გვიდასტურებენ, რომ ფაზისის ზღვასთან მდინარის შესართავში ამართული იყო ფაზიანელი ვენერას (იშთარის) კერპიო. თუ იშთარს ბარბარ ერქვა, რაც იგივე ურარტული ბაჰბართუა, მაშინ ფაზიანური გენუსი ანუ ვენერა იგივე ა-ფსათი, ა-ფჰათი, ანუ ფათი იქნებოდა. ეს ღვთაება რომ ჩვეულებრივი სიყვარულის ღმერთი ყოფილიყო, მაშინ ანტიური მწერალი პირდაპირ იტყოდა ვენერა და არა ფაზიანური ვენერაო. ამ ღვთაების სახელი, როგორც ვხედავთ, ამ საზღვისპირო ქალაქის სახელში დღევანდლამდე დაცულა და მას ახლაც ფოთი ანუ ფუთი ეწოდება, ხოლო ქართლ-კახური გამოთქმით ფათი. თუ მოვიგონებთ იმასაც, რომ ამავე ღვთაებას ურარტუს პერიოდში ხეფათიც ეწოდებოდა, დავინახავთ, რომ ფუძე „ფათი“ ამ სიტყვაშიც დაცულა. თუ ეს ასეა, რას უნდა ნიშნავდეს სუფიქსი „ხე“? ხე ძველად ქალს ანუ ასულს ნიშნავდა. ეს სიტყვა დაცულია დღევანდლამდე მეგრულ მერყველებში. ხეცი-ხე, ხეციას ასული, შენგელა-ხე—შენგელაიას ასული და სხვა. თვით ცხოვრების ხეც ძველთა რწმენით ქალს წარმოადგენდა და მცენარის ანუ ხის

სახელიც აქედან უნდა იყოს წარმოებული. ამგვარად ხე-ფუფი, ფუფი-ფათს ანუ ქალ ფათს ნიშნავს და იქვე მზის ღვთაება ყოფილა. როგორც ნ. მარი ამტკიცებს და ზემოთაც აღვნიშნეთ, ზურთიც ბარბარის სახელწოდებიდან არის წარმოშობილი და იგი მზის ემბლემას წარმოადგენდა. თუ ეს ასეა, მოვიგონოთ ფოთის პირველ მისობა. ამ დღეს ხალხის მთავარი თავშესაქცევი თითქმის დღევანდლამდე ზურთის თამაში ანუ ლელოს გატანა იყო, რაც სევანურ მურყვამობას მოგვაგონებს. ლელოს გატანაში გურულ-მეგრელები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. იმ მხარეს, რომელიც ლელოს გაიტანდა, ზურთი რიონში (ფაზისში) უნდა გადაეგდო, მერე ხე ძირიანად უნდა მოეთხარა და თან გამარჯვებულის სიმღერით, სტეენით, ყიყინით წამოედოთ. რა ხე არის ეს ხე? ეს ხე ცხოვრების ხის სიმბოლოა, რომელზედაც ფასკუნჯ-აფსათი-ხეფათი იჯდა, ზურთის თამაში რიტუალური თამაშია, ლელოს გატანა და სიმღერით წამოსვლა სევანური მზის სადიდებელ საგალობელ ლილუს მოგვაგონებს, ხოლო ზურთის ფაზისში გადაგდება მისი ღვთაება ფაზის საკუთრებას ნიშნავს და მის გმბლემას მასვე უძღვნიდნენ, მის ტალღებში ისროდნენ.

ამგვარად, ჩვენ გავარკვევთ, რომ ამირანის ღვთა დალი აფსათი, ე. ი. ღმერთი აფსათი ყოფილა. ისმის კითხვა, ვინ უნდა ყოფილიყო მამა ამირანისა? თქმულებით იგი სულკალმახია, ჩემის აზრით, იგივე სულკურდ-ლელაა, რადგან ძველად თევზაობაც ნადირობა იყო და სანადირო ადგილი ჩვენს სივრცეებში სათევზაო ადგილსაც ეწოდებოდა. კალმახი მთიულური სახელწოდებაა, რადგან მთაში სხვა თევზი არ არის. ბარში მას აღბათ თევზი (თევზი) ანუ ურარტული ომისა და ნადირობის ღმერთის სახელი თევზ-ბა ანუ თევზები ეწოდებო-

და. (იხ. ჩემი წერილი „ქართული ვაშა“). თუ მოვიგონებთ, რომ თუშუბი ზტონური ღვთაება იყო, ხოლო დალი ზესკენელისა და ამ ორ სკნელს ანუ ცას მთა მასისი აკავშირებდა, მაშინ, ცხადია, რომ ის დალთან სატრფიალოდ ქვესკენელიდან უნდა ამოსულიყო და ამ მითით ზესკენელში უნდა ასულიყო. ჩვენ ვიცით, რომ ფასკუნჯს თავისი მოტრფიალე (ასფურცელა) ზესკენელში ფრენით ისევე ამოჰყავდა, როგორც ეტანა არწივს. ფასკუნჯს ასეთი ფრენის დროს ღინო და დუმის ჭონი გამუდმებით უნდა ეკამა. ასფურცელამ იშოვა ასეთი საგზალი და გაფრინდა. აი მათ ზესკენელსაც მიიღწიეს, ფრთის ერთი მოქნევაც და ისინი მალდა ავლენ, მაგრამ ამ დროს ვაჟაკს ცხერის დუმა შემოელია. რა ჰქნას? სხვა გამოსავალი რომ ვეღარ იპოვა, ბარკლიდან კუნთი გამოიჭრა და ფასკუნჯ-ეთერს საზრდოდ ის მიაწოდა. ზღაპრულ ფრინველს ეს ლუკმა ყველაზე ტბილად მოეჩვენა და როდი გადაყლაბა, ენის ძირში დამალა. როცა მალდა ავიდნენ, ფასკუნჯი შეეკითხა: ის რა ზორცი იყო, უკანასკნელად რომ მომაწოდე და ისე ტბილი რომ იყოვო? ვაჟაკმა მიუგო: ჩემი ბარკლის კუნთი იყოვო. მაშინ ფასკუნჯმა უკანვე დაუბრუნა ენის ქვემოთ დამალული ზორცი და გამოიჭრილი ადგილი ფრთის მოსმით გაუმრთელა. რა კუნთი იყო ეს კუნთი? რად მოეჩვენა მას იგი ეგრე ტბილად და რად აკურთხა ეთერმა ვაჟაკი ფრთის მოსმით? თუ მოვიგონებთ, თუ რა ავხორცი ქალბატონიც ბრძანდებოდა ფასკუნჯ-ეთერი, მაშინ ვასაგები იქნება, თუ რა ლუკმა მიაწოდა მას ასფურცელამ. ჩვენ ვიცით, რომ ვეგეტატიური ღვთაება თამუზი ქმარიც იყო და შვილიც იშთარ-ეთერისა. იშთარი თავისი მიჯნურის თამუზის დასახსნელად ქვესკენელში ეშვებოდა და მალდა ამოჰყავდა იგი. თამუზის ქვეყ-

ნად მოვლენისთანავე დადგა ქვაოდა, ბუღა ეტანებოდა ფურა, ქმარი ეტრფოდა თავის ცხელსა და გავაქვს ჩვენ საქმე აქვესკენელსა რემოებისთან? ვფიქრობ, რომ გვაქვს. სულკალმაზი იგივე ასფურცელა-ამირან-თეშუბია, ხოლო ის კლდე, სადაც სულკალმაზი ნადირობის დროს აღმოჩნდა, მსოფლიო ბორცვი მასისია. სულკალმაზმა გამოქვამულის პირას ცეცხლი დაანთო და, როგორც ვიცით, ღამე ქვაბში კი არა, ქვაბის პირას გაათია (ეს ღამე ზტონური ანუ ქვესკენელის ბნელია). რა თქმა უნდა, ყოველი ქვეთამყოფელი მონადირე პირიქით მოიქცეოდა: ღამეს გამოქვამულის პირად კი არა, გამოქვამულში გაიოივდა. როგორც ვხედავთ, სულკალმაზი პირიქით იქცევა. რატომ? იმიტომ რომ ის ამ ტყეში (ამ ქვეყნად) თავისი საბრძანებლიდან, ქვესკენელიდან, ამ ხართი ანუ ქვაბით გამოვიდა და მისგან ღამის ქვაბში გათევა უკანვე ქვესკენელში დაბრუნება იქნებოდა. მას კი უკან დაბრუნება არ შეეძლო. მას სატრფო იშთარ დალი მიელოდებოდა. დაღს ჩვეულებად სრულიადაც არ ჰქონია წიელი, როგორც ამას გვიხსნის მიხ. ჩიქოვანი. იგი ავხორცი ქალღმერთი იყო და თავის მიჯნურს ეძახდა. სულკალმაზს მისი ავხორცული წიელი მოესმა და ისიც მისკენ გაემართა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იშთარი ასტრალური ღვთაება, ესე იგი, ცის ბინადარი იყო. სულკალმაზმა კლდეში მასთან ასახვეული პალოები ჩაარჭო. ეს პალოები ვარსკვლავებია და ამ ვარსკვლავის გზით ის ისევე, როგორც ამირანი ირმის დანაკლიკით, იშთარ-დალისაკენ სატრფიალოდ გაემართა. ამ გზამ იგი ზემო ქვაბში ი, ესე იგი, დაღ აფსათეთერთან მიიყვანა. ჩვენ ვიცით, თუ რა ქალთა მოძულე ბრძანდებოდა ნადირთ პატრონი ქართული დიანა აფსათი. მონადირე, რომელიც სანადი-

როდ წასვლის წინ ცოლთან იცხოვრებდა, ან ნადირობაზე მიმავალი ქალს ხმას გასცემდა, ნადირს ვერ მოჰკლავდა. აფსათი მას ნადირს მოსაკლავად არ დაანებებდა. ვანა ასევე არ დაემართა იმ გლეხს, რომელმაც ამირანი ნაზა და ჯამბარა ქალთან ხმის გაუცემლად უნდა მოეტანა და მით ეხსნა იგი ქვესკნელის ტყვეობისაგან? გლეხმა პირობა ვერ შეასრულა. ცოლს ხმა გასცა და გზა-კვალზე ამიტომ აერია, ვერაფრით ამირანის ქებას მერე ვეღარ მიაგნო. რატომ? იმიტომ, რომ მან ტაბუ დაარღვია. ამირანი მონადირეთა ვეგეტატიური ღვთაებაა და ის მონადირული ტაბუებით უნდა იქმნეს დაცული დიაცთაგან. ეს მონადირული ტაბუ ნათლად გვიხატავს იმას, თუ რა დიდი ანტაგონიზმი სუფევდა მონადირეობის ყოფასა, რომელსაც მამაკაცი მისდევდა, და მიწათმოქმედებისა და ოჯახს შორის, რომელსაც საფუძვლად ქალის მადლი ედო. დედაკაცის დამახასიათებელ ძალას, ანუ „სიბილწეს“ მონადირეობის თვალსაზრისით მისი თვის სენი წარმოადგენდა, რომელიც არც ნადირმა და არც მისმა ღვთაებამ აფსადმა არ იცოდა. ამიტომ იღვევებიან ჩვენი მთიელი ქალები დღესაც თვეში ერთხელ სამრელოში და მათთან მიკარებან ვერაფერ ვერ ბედავს. ვანა ასევე არ წარწყმიდა გილგამეშმა მეძაეის საშუალებით თავისი დაუძინებელი მტერი ნადირთ მწყემსი მხეცისპირიანი ენკიდუ? ამიტომ არ დაჰკარგა ენკიდუმ ის უბიწოება და გაირიყა ნადირთაგან, რომლებიც მას ამის შემდეგ ახლოც არ ეკარებოდნენ. ვანა ამიტომვე არ დაიდუბა დალი სულკალმახის ცოლის ხელის შეხებისაგან. ეს ეპიზოდი „ამირანიანისა“ ჩვენ ნათლად გვისურათებს იმ ხანას, როდესაც ქალს ჯერ მონადირე ვაჟაკი საბოლოოდ არ მოეთვინებინა. როდესაც მონადირეობა ჯერ კიდევ ერთ

მთავარ წყაროს წარმოადგენდა ადამიანის დოვლათისა და ქრონიკულად მთავარი ქატიის საფუძვლად ექვემდებარებოდა იყო. თუ მოვიფიქრებთ დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ თქმულებას, რომლის მიხედვითაც ვაჟაკი ალს (-დალს) შეიყვარებს და ი. მასთან ერთად ხულის ან ბელღის თავანზე წვება ხოლმე, მოვიფიქრებთ იმასაც, რომ ალი თავის ტრფილს სამაგიეროდ დოვლათით ავსებს ხოლმე, ვფიქრობ, რომ ეს წოლა, — სულკალმახის დალთან წოლის განმეორებაა. თუ მოვიფიქრებთ ჩვენებურ სწორფრობა-წაწლობის ადათსაც, ვასაგები იქნება, რომ ეს მონადირის დალთან წოლისა და ოჯახის დოვლათით ავსების ალგორითის წარმოადგენს. იგი საძრახისად ამიტომაც არ ითვლება და წრეს გადასვლაც ამიტომ არის აკრძალული.

არ შემძლია არ მოვიყვანო ეს ზემოთნახსენები თქმულება, რომელიც მე გურიასში, სოფელ ჯუმათში გამოვიგონია: ერთ ცოლიან კაცს ალი ჰყავდა საყვარლად და მასთან ერთად ხულის თავანზე წვებოდა, იქ ტკებოდა მისი სიყვარულით. ალმა ნიშნად მადლიერებისა, დოვლათით აავსო თავისი ღარიბი მიჯნური, მაგრამ სამაგიეროდ ის მამაკაციური ძალა, რომელიც მას ცოლთან უნდა გამოეჩინა, წაართვა, რასაც გუმანს მოსული მეუღლე არად ავდებდა ანგარების გამო. ერთ დღით იგი გარეთ რომ გამოვიდა, ხედავს მის ქმარს ალთან ერთად ხულის თავანზე ისე ტკილად ჩასძინებია, რომ ორთავეს თავს დასთენებიათ. ალს ოჭროს დალალი ხულის თავანიდან ძირს ჩამოშლია და საქონლის პატივში დასვრია. დედაკაცმა მაშინვე წყალი გაათბო და მძინარე ალს თმები მოწიწებით გაკბანა. ალს გამოედვიდა. დიაცის დანახვაზე ერთი შეპკეღა და იმ ოჯახიდან სამუდამოდ გადაიკარგა.

ეს თქმულება მრავალ საკითხთა აღმძვრელი თქმულებაა. რად ეძინათ მათ უსათუოდ ხელის თევანზე? იმიტომ რომ ხელა დოვლათის ქურქულია და, ცხადია, ბარაქის ღვთაებაც იქ უნდა იმყოფებოდეს. რად წაართვა მან თავის მიჯნურს მამაკაციური ძალა? იმიტომ რომ მას ტაბუს ძალით ქალთან ცხოვრება სასტიკად ეკრძალება. რად არ ექვეინობდა ცოლი? იმიტომ რომ ეს ღვთაებრივი კავშირი იყო. რად არ წაიბილწა აღის ოქროს თმები საქონლის პატივით და წარწყმდა დიაცის შეხებით? იმიტომ, რომ იგი პირუტყვთ პატრონია, მათი ღვთაებაა და ამასთანავე მტერია დიაცისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პირველ ოჯახს და მოათვინიერა პირველი მონადირე მამაკაცი და პირველი მხეცა. განა ასევე არ მოათვინიერა გილგამეშმა დედაკაცის დახმარებით მხეცისპირიანი საზარელი ენკიდუ? რად არის ნადირთ უფალი „მტერი“ დედაკაცისა? იმიტომ, რომ ნადირი წმინდაა, ზოლო დიაცი „ბილწი“ მისი თვის სენის გამო. განა ასეთივე ტაბუიზმით არ არის გამოწვეული „სიძულვილი“ ამირანისა დედაკაცისადმი? აღსანიშნავია, რომ თვის სენით დაავადებულ ქალს დასავლეთ სამეგრელოში პურის მოზღვლა ეკრძალება, ზოლო ნანადირევის ხორცი ფეხმძიმეს არ ეკმევა, ეს ტაბუა და ტაბუს დარღვევა კი არასგზით არ შეიძლება. ამან დაღუპა დალი. დიაცის ზედწამოსწრებით ტაბუ დაირღვა და მით დაღმა ღვთაებრივობა დაკარგა (მას ღვთაებრივობის ემბლემა ოქროს დაღალი შეაქრეს). იმიტომ ითვლებოდა გრძელი თმა ქალთა მშვენიებად, იგი მუდმივი ქლოვნების ნიშანი იყო. ჩვენ აქ არ მოვიტანთ „მებადურისა და მზეთუნახავის“ ზღაპარს, სადაც მზეთუნახავი მებადურს (მეთევზეს) სარკით ეძებს. ნ. მარმა თავის დროს დაამტკიცა, რომ აქ სარკე ცის ემბლემაა. აღსანიშნავია,

რომ სულკალმახიც ამ მებადურის ორეულია. სულკალმახის ციდასკლა განმეორებაა მოტივირებული ამირანის ყამარქალთან ერთად ასევე ამირანი ეპიზოდით არის გადმოცემული. ამირანი ყამართან უმიზნოდ რომ არ ასულა, ამას თეფშების მსხვერვეც ადასტურებს. თეფშის გატეხვის ეს წესი ჩვენში დღევანდლამდე ცოცხლად არის დაცული. როგორც ვიცით, ქორწილის დამეს პატარძალთან ერთად შინ შესვლისას სიძემ კარის ზღრუბელზე დადებული თეფში უნდა გატეხოს. ამირანიც ყამართან მისვლისას ამ წესს ასრულებს, რაც ქორწინების ნიშანია, და სწორედ ეს არის, ღრუბელთ ბატონს ეგრე რომ განარისხებს. ჩვენ აქ არ გავაგრძელებთ სიტყვას, თუ ვინ არის ღრუბელთ ბატონი. ვიტყვიტ მხოლოდ იმას, რომ ფოლკლორის და მით უფრო მითოლოგიის შესწავლა ეთნოგრაფიის გარეშე, შეუძლებელია.

უზრუნდებით ისევე ტაბუს საკითხს, რომელსაც ჩვენში ვაშინერსი ეწოდება. თუ რა საშინელებას წარმოადგენდა ტაბუს დარღვევა ძველად, ამას ერთი გადმოცემაც ამტკიცებს: სოფოკლეს ერთ ტრაგედიაში ხალხმა ელეგისნური მისტერიების საიდუმლოების გამჟღავნება იაზრა. ტაბუს ასეთი უტიფარი დარღვევით განარისხებული მაცურებლები დრამატურგს მოსაკლავად დაედევნენ, მაგრამ სოფოკლე გაიქცა და თავი სიკვდილისაგან მით იხსნა, რომ ტაძარში დაიმალა. ამ საკითხის გამო სიტყვას ამით დავასრულებთ. სათქმელი კი ბევრია, ძალზე ბევრი! ჩვენი ფოლკლორი და ეთნოგრაფია ამ მხრივ ულევ მასალას იძლევა. სანამ წერილს დავასრულებდეთ, მაინც მოვიტანთ რამდენიმე მოსაზრებას, რომელთაც „ამირანიანი“ აღძრავს. ამ ზუთითოდე წლის წინად შემთხვევა მქონდა განმეცხადებინა და ახლა ისევე ვაცხადებ, რომ მკვლევები არ არიან მტრები ამი-

რანისა. ეს დანამატი იმ დროისაა, როდესაც რკინა ხალხის ცხოვრებაში უკვე განმტკიცებული იყო. „ამირანიანის“ მკედლები გრდემლზე უროს დაკვირით ამირანის ჯაქეს კი არ ამრთელდებენ, პირიქით, თანაგრძობას გამოხატავენ მისდამი. დუბროვინი აღწერს ჩერქეზეთში დაცულ წესს. სანამ დაჭრილს შინ შემოხუცანდნენ, ისეთმა გოგონამ, რომელმაც ვერ თვის სენი არ იცის, სახლს საქონლის პატივით წრე უნდა შემოაგლოს და დაჭრილს შიგ მერე შეიყვანენ. ამას გარდა, წინკარში უროს და სახნისს ან რკინის რაიმე ნაჭერს დადებენ და ყოველი მნახველი ვალდებულია დაჭრილთან შესვლამდე გრდემლს ურო დაჰკრას. რატომ? იმიტომ, რომ ავადმყოფი არ აღგვსო? რა თქმა უნდა, არა. ამირანის მკედლებიც სწორედ ამ რიტუალს ასრულებენ.

ჯერ კიდევ ჰაინრიხ ჰაინე აღნიშნავდა, რომ წარმართული ღვთაებანი ავსულებად ქრისტიანობამ აქცია, ხოლო ნ. მარმა დაამტკიცა, რომ გველშაპები ერთ დროს წყლის მიმტაცებელ ბოროტი ქმნილებანი კი არ იყვნენ; არამედ კეთილი ვიშაპები, რომლებიც, პირიქით, წყლის მომნიჭებელი ღვთაებებს წარმოადგენდნენ და მეფის ასულს (ეთერს) კი არ სჭამდნენ, მიჯნურობდნენ. ცნობილია ისიც, რომ დევი ლათინური დეუსია, ე. ი. ღვთაებაა და იგი საზარელ არსებად მხოლოდ ქრისტიანობამ აქცია. მათი ღვთაებრივობის ნიშანწყალი „ამირანიანშიც“ სჩანს. ამირანი ხანდახან დევებთან თითქოს კეთილ განწყობილებაში იმყოფება და ყველას როდი მუსრავს. თუ ისინი წარმართული ღვთაებანი არიან, მაშინ ისმის საკითხი: რად არიან ისინი მრავალთავიანები? მიხ. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ ეს მრავალთავიანობა მათ ახასიათებთო. („ლიტ. ძიებანი“, № 1, გვ. 214). ის ამბობს: „ეპოსის საყვარელი ციფრებია: ერ-

თი, სამი, შვიდი, ცხრა და ორმოცეტი“, და — ხუთიც, დავძენთ, ჩვენ კი მაგრამ რად უყვარს ჩვენს ენებს ეს რიცხვები? ხომ არ არის ამაში დაფარული რაიმე აზრი? მიხ. ჩიქოვანი ამის პასუხს ვეღარ იძლევა და მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით კმაყოფილდება. ჩვენ კი ვიცით, რომ ხალხურ ეპოსში ყველაფერი გააზრებულია და ამ შემთხვევაში ეს რიცხვებიც უაღრესად გააზრებულია და ისინი შემთხვევითობას სრულიადაც არ წარმოადგენენ. ჩვენი პასუხი ამ საკითხზე უბრალოა: ეს რიცხვები საკლარული, სიმბოლიური რიცხვებია და ეს თავები მართლა თავები კი არა, ღვთაებრივი სათავეები ან საწყისებია ამათუიმ ღვთაებისა. ჩვენ ვიცით, რომ იშთარი სამსაწყისიანი სამი სენელის ანუ სამი ცის მფლობელი იყო და ამიტომაც იგი სამეზღლემატიურ სახეს ატარებდა; ხუთი თავი ზღონური ღვთაების ეას ანუ თუშების ხუთი ზოდიაკალური საწყისია, რომელიც შვილიერებას, სიბრძნეს, სიცოცხლეს, ძალღონესა და მკურნალობას განაგებდა; შვიდთავიანი დევი დანარჩენ შვიდ ციურ ზოდიაკოთა გამგებელი ღვთაებაა; ცხრა ქართული „დეუნიია“ (ერთი ცხრა, ორი ცხოაო, ახლაც ამბობენ ჩვენში); თორმეტი თავი წლის ან თორმეტი თავი ზოდიაკის მცველი ღვთაებაა. „ამირანიანში“ ყურადღებას იქცევს აგრეთვე ორი დევი. ერთი ცეცხლზე წვეს და ვერ იძინებს, ხოლო მეორეს წისქვილის ქვაში ნაძვისზე თითისტარად გაუყრია და ძაფსა რთავს. ეს ორი დევი ერთი-დიამვე ღვთაების ორგვარი გამოხატვაა. იგი დროს ღვთაებაა, ქართული კრონოსია. ოსურ „ამრანში“ ამ დევს მესამე ნაირი გამოხატულება აქვს: იგი თავჩაქინდრული ზის და ხელში შუბლისაკენ წვერით მიღერებული ხანჯალი უჭირავს. რამდენს ჩასთვლემს, იმდენჯერ ხანჯლის წვერს შუბლს დაკრავს და ელვიძება. ამგვარად „ამი-



რანიანი“ ამ მხრივაც მჭიდროდ არის დაკავშირებული მითოლოგიასთან და არა საგმირო ეპოსთან.

აღარ შევეხებით კიდევ მრავალ საკითხებს. მაგალითად, ვეშა წყალს, უშტარს, სამირს, მუქაროს, ამბრის, ივრისა და სხვებს. ზოგ ამ საკითხებზე პასუხი უკვე გაცემული მაქვს ჩემს წერილებში და ზოგს კი შემდეგისათვის გადავდებთ, აღენიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ამირანის ტრაგედია ქრისტესთან ჭიდილითა და ახალი დმერთისაგან მისი პალოზე მიჯაჭვით დასრულდა. ქრისტემ მას ესეც არ აკმარა და თავს ლოდი წააფარა. ამირანი ვეგეტატიური ღვთაება იყო და იგი ქვეყანას ყოველ განაფხულს ფასკუნჯის შემწვობით მოეგლინებოდა ხოლმე სამშუოს ქვესკნელიდან და დედამიწა ყვაოდა. შემოდგომით იგი კვლავ ქვესკნელში (მომავალ განაფხულამდე) ინთქმებოდა. ახლა იგი საბოლოოდ დაინთქა ქვესკნელში ქრისტესაგან და მისი ჭიდაობაში დამარცხება სიმბოლიური გამოხატვაა წარმართობის ქრისტიანობისაგან დამარცხებისა. ასე დაინთქა იგი ქვესკნელში სამუდამოდ და მისი კვლავ მოვლინების იმედი ზოგიერთებს ამაოდ ასაზრდოებდა. ეს პლასტიკ გვიანდელია, მაგრამ მას მაინც დაუცავს ამირანის ვეგეტატიურობის ზოგიერთი მომენტები. ქრისტემ იგი პალოზე კი არა, იმ ცხოვრების ხეზე მიჯაჭვა, რომელიც მის ღვთაებრივობასთან ეგრე იყო დაკავშირებული, ამ ხის ადგილსამყოფელს „სადაშლეთი“ ეწოდებოდა და მას დევი იცავდა. ამ ხესთან მოვიდა ირმისა და ეს ირმისაც ამირანის სახეობაა. ამიტომ არის ვაშლი ქართულ ზღაპრებში ეგრე ჯადოსნური და ამიტომაც ანიჭებს იგი შეილიერებას უძეო ცოლ-ქმარს. კლდე, რომელიც ქრისტემ თავის მეტოქეს თავს წააფარა, მასისის ბორცვია და სხვა არაფე-

რი. ამგვარად ქრისტიანობამ დიდებულნი ხე ცხოვრებისა პალოდ აწვია, ხოლო მსოფლიო ბორცვიც მხოლოდ ლოდად. ხომ არ არის ეს ლოდი ის ცნობილი ქვა, რომლის ქვემოდანაც ეშმაკი გამოხტა და ღმერთს დახრჩობა გაუპირა? ჩვენი პასუხი ამ შემთხვევაშიც დადებითია. ქრისტემ ამირანს გოშია მიუჩინა, რომელიც მის ჯაჭვს ლოკავს. ეს ხომ ძახთაპირი ეთერფასკუნჯია, ტრფიალია ამირანისა, რომელიც მას განაფხულობით სამხეოზე ამოჰყავდა ხოლმე! ქრისტიანობის წარმართობაზე გამარჯვების იდეა ქართულმა ეკლესიამ შემდეგ კიდევ უფრო წარმტაცად გამოხატა. ქართველი ხალხის განმანათლებელ ქალწულს, წმინდა ნინოს, ხელში მან დიონისიური ჯვარი მისცა და ზედ ეთეროს ოქროს თიშები შემოახვია. ამ ჯვარის ძალით მოიჭრა მცხეთაში ხე ცხოვრებისა და მისგან გამოთლილი ჯვრები საქართველოს ბორცვებზე აღიმართა. ასე დაასრულა თავისი არსებობა ქართულმა წარმართობამ, ასე დაასამარა იგი ახალმა საქართველომ და მით იგი ახალ გზას დაადგა. ამიერიდან იწყება ახალი ერა საქართველოს სახელმწიფოებრივ - ეროვნულ შეგენებაში. ამ დღიდან იგი სამუდამოდ გაემიჯნა ფანატიკურ აღმოსავლეთს და ამ დღიდან მოყოლებული ქართველი ხალხი ჯვრით ხელში აბრძოდა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. როგორც ვხედავთ, ამ თვალსაზრისს არაფერი საერთო არა აქვს არც მიხ. ჩიქოვანის გამოკვლევასთან და არც შალვა ნუცუბიძისაგან „განახლებულ და რესტავირებულ“ „ამირანთან“.

დასკვნა: საჭიროა ამ თქმულების ყველა ვერსიის შეკრება და გულდასმით შესწავლა, საჭიროა მისი „ეთერიანთან“ და სხვა ზღაპრებთან შეჯერება არა იმის მიხედვით, ნახსენებია შიგ

ამირანი თუ არა, არამედ იმ კოსმოგონიის მიხედვით, რომელიც ჩვენ აქ ზოგად შტრიხებით მოვხაზეთ.

მიხ. ჩიქოვანი ასევე, გავკადნიერდებით და ვიტყვით, — ზერელედ განიხილავს ცხოველთა ეპოსს თავის მშვენიერად გამოცემულ ქართული ზღაპრების წინასიტყვაობაში. ცხოველთა ეპოსი (ზღაპრები, თავაზრაკები) ერთ დროს დრმა მითოლოგიური აზრით იყო აღსაქვე და იგი ადამიანს ბავშვთა გასართობად როდი შეუქმნია. ცნობილია, რომ სანამ წარმართული ღმერთები ადამიანის სახეს მიიღებდნენ, ზოომორფულ, ე. ი., ცხოველთა სახით იყვნენ წარმოდგენილი. ისინი ტოტემს წარმოადგენდნენ. ცნობილია ისიც, რომ ეს ღვთაებანი განკაცების შემდეგაც ატარებდნენ ტოტემისტურ ნიშნებს. მაგალითად, თეშუბი ღორის ზურგზე იყო შემდგარი, იშთარი ფრინველს წარმოადგენდა. ეს ფრინველი შემდეგ არწივად იქცა, ზოხბად იქცა, ორბად იქცა, ფრთოსან ღომად იქცა, ორბის ნაშობ გოშიად ანუ ყურშად იქცა, შემდეგ მან მამლის სახე მიიღო და სასახლის კარის მასხარების განუყრელ არსებას წარმოადგენდა (მოვიგონოთ ამბერდის აბანოს გათხრებისას ნაპოვნი მასხარის საფლავი, რომელთან ერთად მაშალიც დაუშარხავთ) და ბოლოს ეს დიდებული ფრინველი ისე დაკნინდა (ქრისტიანობის ზეგავლენით), რომ ჩვენი ზღაპრების ერთ საცოდავ ღობემძვრალა ფრინველად ჰინჭრაქად იქცა.

ეს ის დიდებული ფრინველია, რომლის გამო „ამირანიანის“ მონადირე ეგრე მოსთქვამს:

ყურმა გამიჭრა შეღამითა;

ვა, თუ გვიადროს, — ვაქარს მიპყვანდე,

ვა, თუ გვიადროს, — ქაჯს მოვპარე.

ყურმას ყურ-ტუჩი ოქროს ახნია,

ყურმას თვალები მთვარესა მკვანდის,

ყურმას თათები კალოს ოდნე,

ყურმას ნახტომი დიდი მიწდორი,

ყურმას სიკმელი პური, ჭაბაბი,

ვა, თუ გვიადროს ქერის წაპურჯი!

ყურმას სასმელი ღვინო-ბადავი,

ვა, თუ გვიადროს ნამღერავი წყალი!

ყურმას ლოგინი, — საბან-ბუმბული, —

ვა, თუ გვიადროს ბურდის ნაძომი!

აღმა ლომი ხარ, ჩაღმა კაკაბი,

ხმელეთს ფაღმანდი, ზღვასა ხვალმანდი.

ჩემო ყურშო, ყურშა ვიტრე,

ყურშა ვიგლოვე ერთ წელსწადსა!

ეს ხომ იგივე ფასკუნჯია, სენმურჯია, ჩვენი ზღაპრული მზეთეარაა ვინ იცის, იქნებ ასე მოსთქვამდა ვახტანგ გორგასალი თავის დაკარგულ ორბის გამო თბილისის სანახებში? მოსთქვამდა ნადირობის დროს, ერთსხეულად ქცეულ ორბისა და ზოხბის დაკარგვის დროს, რომელნიც თბილისის უკვდავების წყალში ერთად ჩაფუჭებულიყვნენ?

ძველ წარმართულ ღვთაებათა ზოომორფულ ხასიათს ყველაზე ნათლად ეგვიპტური ღმერთები წარმოგვიდგენენ, რომლებსაც თავი ცხოველისა აქვთ და ტანი ადამიანის. ამიტომაც არის, რომ ზღაპრებში ცხოველები ადამიანებივით ლაპარაკობენ და ადამიანს დახმარებას უწყევენ. ცნობილია, რომ ეგვიპტური ზღაპრების ნიანგი ტოტემური გამოხატულებაა თვითონ ეგვიპტისა, ხოლო ნ. მარმა დამტკიცა, რომ ეგრისის მფარველი გერია (მგელი) ისეთივე ტოტემი იყო, როგორც რომელისა და რემის ძე მგელი რომაელებისათვის. ნ. მარი ამ ცხოველის სახელიდან აწარმოებდა თვით ე-გ(ე)რიისის სახელწოდებასაც. ამგვარად, ცხოველთა ეპოსსაც სულ სხვაგვარი თვალსაზრისით უნდა განხილვა და ამ გზით სულ სხვა, დრმად დამაფიქრებელსა და მოულოდნელ დასკვნებს მივიღებთ, რომლებიც ახალ შექმს მოჰყენენ ჩვენ უშორეს წარსულს.



# ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა უ ი ა



ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი, მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი.

გ ა მ ო მ ე ე მ ლ ო ბ ა „ს ა ბ ჰ ო თ ა მ წ ე რ ა ლ ი“, 1946 წ.

სანდრო შანშიაშვილი ჩვენი თანამედროვე მწერლობის უფროსი თაობის ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისი შემოქმედებითი გზა რთულია და საინტერესო. მისი ქნარი 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ჩამოვარდნილ ბნელ რეაქციის დროს ავლერდა და მის შემოქმედებას ამის გამო იმთავითვე დაჰყვა მძვინვარეობა სამოქალაქო ომის დროს. მან რევოლუციური ინტელიგენციის ეს კეთილსმყოფელი ზეგავლენა, მალე, რეაქციის დროსვე, მოხად-შემოსულ სიმბოლისტურ-დეკადენტური ტროლის გამო მის შემოქმედებაში თანდათან შენედა. თავისი ზარკი ამ მიმართულებისადმი მანაც გაიღო. სხანს, ეს მიმართულება არ იყო მისთვის ორგანიული, რადგან მისი პოემები „ქალი გრძნეული“, „ბერდო ზმანია“ და სხვა არ იყო წმინდა სიმბოლისტური მწერლობა, ეს უფრო ალეგორიული, პირობითი ლიტერატურული მოვლენა იყო, რომელსაც შანს აგრეთვე დიდი გავლენა ჰქონდა მომდევნო ევროპისა და რუსეთის მწერლობაში სტ. პშიბჰშევისკისა, ფრანკ ვედეკინდისა და ლეონიდ ანდრეევის ევრეთწოდებულ „პანფსიბისტური“ ეპიგონური მიმართულების აღიარებით. ამ პერიოდთან აღსანიშნავია აგრეთვე ს. შანშიაშვილის გატაცება მითოლოგიურ-ბიბლიური თემებით: „ამირანი“, „სულამიტ“, „იასონ და რენო“ და სხვა.

სანდრო შანშიაშვილი მრავალწახანოვანი მწერალია. ლექსები, პოემები, დრამა, მოთხრობები, მოგონებები, კრიტიკული წერილები, ერთი სიტყვით, არ არის თითქმის არცერთი ლიტერატურული ეპირი, რომლისთვისაც მას არ მიემართოს, მაგრამ მის სტილს მანაც პოეზია წარმოადგენს. ამ მხრივ მისი მოთხრობები იმ მაღალ მხატვრულ მწვერვალს ვერ აღწევენ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი ლექსები,

როგორც არის „დედისერთა ლენინთან“, „ახეთი“, „კახეთის დედოფალი“, „მეზის დაემა ჭიურის ტყეში“ და სხვა. რადესაც მწერალზე მსჯელობენ, მხედველობაში იღებენ მის შემოქმედებითს მწვერვალს და ამ შემთხვევაში ეს ნაწარმოებნი მისი მწვერვალებია. სანდრო შანშიაშვილი ისეთი პოეტია, რომელმაც იცის არწივისებური აფრენა. მის მოთხრობებში ასეთ არწივისებურ სილალს ჩვენ ვერ ვხედავთ. მიუხედავად ამისა, ის მანაც მუდამ იცავს იმ სასურველ ლიტერატურულ დონეს, რომელიც მწერალს მოეთხოვება, იცავს თავისი მწერლურ ღირსებას იმით, რომ არასოდეს მდარე ნაწარმოებს არ დასწერს.

ს. შანშიაშვილის ამ ახალი წიგნის განხილვის დროს ჩვენ უმოთარესად მხედველობაში გვაქვს მხოლოდ მოთხრობები, თუმცა მისი მოგონებებიც იმდენად მძლავრია მხატვრულ შემოქმედებით, რომ ჩვენ მათაც გვერდს ვერ ავუვლით. მაგალითად, მისი ნატურ-მორტი და სახეები ხალხისა, რომელიც მას კალმის ერთი მარჯვე მოსმით აქვს დახატული, საბუთია იმისა, რომ მას შეუძლია ამ მხრივაც თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენს პროზაში. აქვე უნდა განვიხილოთ, რომ ბევრ პროზაიკოსს ჩვენში ასე მსუფუდ წერა არ ეხერხება. მისი მოთხრობათა ზოგიერთი ადგილები ჩვენ ნიდერლანდური მხატვრების ტილოებს მოგვაგონებენ. მიუხედავად ამისა, რომ მე არ მინდა შევეხო მის მოგონებებს, მისი მხატვრული ძალის საილუსტრაციოდ მაინც მოვიტან თითქმის მთლიანად მოგონებებს „იროდიონ ევლიშვილი“, რადგან სხვადასხვა მოთხრობებიდან მოტანილი საილუსტრაციო მასალა უფრო კრული იქნება და არამთლიანი. ეს მოგონება თავისი შემოქმედების ძალით მხატვრული ნაწარმოე-

მა და არა მხოლოდ ლიტერატურული დოკუმენტო.

„სოფელ ტბანში, სადაც დედაჩემის შობა-ღობა — სოსანა და თონა თოფნიშვილები ცხოვრობდნენ, დიდი დღეობა — „წმინდა სტეფანობა“ იყო გამართული. პაპანემი, სოსანა თოფნიშვილი, ძალზე შეძლებული ოჯახიშვილი იყო. ის იყო ცამეტი ქალიშვილის მამა, რომელთაგან იმ დროისათვის მხოლოდ სამი-ღა იყო ცოცხალი. სამივე გათხოვილები იყვნენ. ამ ამ ოჯახში დღეობა დღეს დიდი სტუმრობა იყო.

...სუფრაზე — თამადად ოჯახის უფროსი იყო. ის იჯდა მეთაქაზე, მოკეცილი სუფრის თავში. ტანად უზარაზარი იყო, ახოვანი, შავ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი. მას და მისი პასაის სტუმრებს ბუხრის ქუდები ეხურათ, მგინ, სუფრაზედაც არ იხდიდნენ.

დღეობისათვის სამი დეკლავი დაკლეს, ამდენივე თახლი. ქათამსა და ინდურს ეილა დათვლიდა გარეთ, სათარნეში, სამხარეულ იყო და ზედდგრებზე ათი-თორმეტი ვეებერთელა ქება იდგა, დეიდები და შინაკაცები თავს დატრიალებდნენ. დღეობა მართო ერთ დღეს არ ვრძელდებოდა. რაი ნათესავები თავს მოიყრიდნენ, ერთმანეთი აღარ ეთმობოდათ და თითქმის კვირაზე მეტხანს ვრძელდებოდა ღზინი და პურობა.

ჩიტებით მოხატულ ლურჯ სუფრაზე ამტკიცული შოთი პურები, ხინჩინზე და ტბაქებზე ძროხის ხაშლამა გროვა-გროვად ელაგა. მოაღობდა სხედასხვა საჭმელი. მაშინ ჭიჭები იშვიათი იყო. სეამდნენ ჯამებით, ხის ფიალებით ან კიდევ ყველას საკუთარი ზეულადა ედგა; რიცა თამადა დაიღვდა, ყველას უნდა გამოეცალა. ზელახლა შემოქონდათ ქვევრებიდან სველსველი ზელალები. თამადა არაიეს აძალენდა, მაგარამ დღინო თავისთავად იხებოდა.

ერთდონ ევლოშვილმა და ოჯახის სიმეებმა აღარ აცალეს დარბაისელ თამადას, კამათი ასტეხეს. სუფრას უჯდა შეეიფიანებულ თუში, ქიდაგიმე, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელი შეიეცარიამი დამეთავრებინა. ის ხშირად ურთავდა ლამაჯეში უტხო სიტყვებს. ამეხებულა ჭქონდა სიტყვა — „საყრამენტო“. სუფრაზე ისმოდა სიტყვები: ნაცია, დემოკრატია, ინტერნაციონალი, აეტრონომია, მონარქიზმი, რესპუბლიკა. შე პავშვი ეიყავი და, ცხადია, ეს ლამაჯი და ეს სიტყვებიც ჩემთვის გაუგებარი იყო. აღმათ არე პაპანემს ესმოდა არაფერი, რადგან მოსაუბრეებს ეუბნებოდა: „შვილო, გასაგებად ილაპარაკეთ,

არა და მე დამაცალეთო“, მაგარამ ამქდას აღარავინ აცლიდა.

მამაჩემის უფროსი ქვისღობა დღეობა სუფრაზე ზედელაშვილი, სულ მამს — „მამის ქვა-პარაკით არაფერი გამოვა. იარალი, იარალი!“.

რატომაც მომეჩვენა, რომ ერთდონ იმ სუფრაზე დაჩაგრეს. ის მართო ერთი უმაღლესობა მოკამათებს.

თუშმა მას „მოეცნებ და უნადაგო“ უწოდა, ხოლო ევლოშვილმა თუშს „ბობოლა“ დაუძახა... კამათი ჩხუბად ვადაიქვა. საჭმე იქამდე მივიდა, რომ ერთდონი სუფრადან გაიქცა. დეიდებმა და ნათესავებმა ორღობიდან ძლივეღობით მოაბრუნეს.

გარალდა ისევ ღზინი. ევლოშვილმა სიტყვა სადღერძეული და მთავილა რომელიდაც ლექსი, რასაც ყველა აღტაცებით შეხვდა. მართო თუში იჯდა ზამამოუღებლივ და წარბშეკმუჭებით.

ეს სურათი ისეთი მძლარი ფერებით არის დახატული, რომ იგი რეპინის „ზაბორეველებსა“ და გიგო ვაბაშვილის „ხვეურტებს“ მოვკვაგონებს. ეიმეორებ ასე მსუვედ, ასე სადად და ფერვანად წერა, სამწუხაროდ, ახლა ჩვენს მწერლებში ბევრს არ ეხერხება.

ასეთი აღვლები მრავლად მოიპოვება სანდრო შანშაშვილის ამ წიგნში. კითხულობთ მის მოთხრობებს, სადაც ეს კულაკები ანუ ბობოლანი, მიეიტნები და სოფლის წურბელები არიან აღწერა, და მათი სახენი ისე მკაფიოდ, რეალისტრად და ამობურთით არიან ნაქედნი, რომ გული მათდამი მჭულვარების ვრძობით ვევესება. გახსენდება ის რევოლუციამდელი სოფელი, რომელიც სიღატაკეში და სიბნელეში იხუთებოდა. აქ ყველაფერი ნამდვილია, ყველაფერი ცოცხალია და მით უფრო შემზარავი ეს შევეიარიაში აღზრდილი თუში და მისთანანი... ისინი ანადგურებდნენ, აბეჩაებდნენ, წელში წყვაბდნენ ზვენს ლალ გლეხობას. საზოზლარი ჩარჩული, უღმობელი, კაცობამეღური სულსკვეთებით აღძრული ბობოლები სოფლის ბნელში ახრბობდნენ. ბობოლა, მიკიტანი, კულტის მსახური, მკითხავი, აი ის ვეშაები (და არა მხოლოდ სამი ვეშაბი), რომლებზედაც მაშინდელი სოფლის არსებობა დაყრდნობილიყო. ვადიკითხებო სანდრო შანშაშვილის მოთხრობა „მოკამათებო ვაბო“, რომელშიც პირველად იგრძნო, რომ ის მათ ზელში უპატრონოდ არ არის მიტოვებული, რომ მას პატრონად თავისივე ზელისუფლება გასჩენია, მოიგონეთ, როგორ მეღურად მოდრეკილა მისი ზნედაცემული, მაგარამ ცბიერი ბობოლა ამ ძალის წინაშე, მოიგონეთ მოთხ-

რობა „ერთი მრავალთაგანი“, ვახსენეთ კულაკების პარპაშისაგან გათავისუფლებულ ბათო როგორ იქცა კაცად და სახელმწიფოს სათავეში როგორ ჩაუდგა. გადაიკეთებთ მისი „მებრუნველ ამბაკო“ და „პირველი ტრაქტორი“ და თქვენ კიდევ უფრო ნათლად დაინახავთ, თუ რა დიდი ძვრები მომხდარა ჩვენს სოფელში, რანაირად ვარდაუქმნია სოფელი საბჭოთა ხელისუფლებას! და აი, ფაქტურად გარეწრებს ამ სოფლის მოსპობა უნდოდით, იმ საშინელი ბნელეთის კვლავ გამოფებას უნდა და ამას შემდეგ ვანა გასაგები არ არის წყარო იმ ძალისა, რომლითაც ჩვენმა მშვენიერმა ამ სიბნელის განადგურება შესძლო?

მიუხედავად ამისა, ჩვენ არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ სანდრო შანშიაშვილის ის დიდი ნაკლი, რომელიც მის ნაწარმოებებს ხელს უშლის, რომ ისინი მისივე ზემოთმოტანილ ლექსების სიმაღლეზე იქმნენ აბინილინი. მისი თბრობა ხშირად რეზონანსობაში გადადის. მიუხედავად იმისა, რომ მისი გმირები კოლორიტულად არიან მოხაზულნი, მას მაინც ხშირად ავიწყდება მათი სახისა და

ვარგენტობის დახატვა, მათი მარტოობისა და ვარემოცვის ვადმოცემა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის იმდენ უნდა იყოს განუგავს პროზას, რამდენსაც იმდენს ბოქსიტების, რაც უსათუოდ სამწუხაროა, რადგან სანდრო შანშიაშვილს აქვს ყველა შესაძლებლობა, რომ უფრო სრულად დაგვიხატოს დღევანდელი სოფლის ვაჟაკები და აგვიწეროს მათი საქმენი საგმირონი, რადგან მან ბრწყინვალედ იცის ახალი სოფელი. ჩვენ გვიდა ისეთივე სანდრო შანშიაშვილი პროზაში, როგორც გვყავს პოეზიასა და დრამატურგიაში. გვიდა იმიტომ, რომ მას ამისი შესაძლებლობა აქვს.

მიუხედავად ჩამოთვლილი ნაკლებობებისა სანდრო შანშიაშვილის წიგნის გამოცემა სასიამოვნო მოვლენაა. ამ მოთხრობებს წაკითხვის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო სრული წარმოდგენა გვექმნება მასზე, როგორც მრავალმხრივად საინტერესო მწერალზე.

დემნა შინგელია

**შინაარსი**

გაბრიელ ჯაბუშანური — ლექსები . . . . .	23-3
კონსტანტინე გამსახურდია — ვერცხლის ბეჭედი, ნოველა . . . . .	6
იულიუს ფურტიკი — აღმიანებო, მე თქვენ მიყვარდით! თარგმანი ი. რ. ქავთაძისა . . . . .	40
ანდრო თიშვასძე — სამი ლექსი . . . . .	97
სერგო კლდიაშვილი — კარაფი ზეამლის ძირში, მოთხრობა . . . . .	100
ნიკოლოზ ჩახავა — ორი ლექსი . . . . .	107
აკაკი ბაღიაშვილი — თავდასაყვანი ზესიკ ვაბაშვილისა, რომანი, გაგრძელება . . . . .	109
როდინი მონაქანი — ოჯახის ზურჯი, მოთხრობა . . . . .	132
—	
გიორგი ჯიბლაძე — ესთეტიკა და კრიტიკა, წერილი . . . . .	136
დემან შინგელაია — ამირანის გარემო, წერილი . . . . .	149
—	
დემან შინგელაია — სანდრო შანშიაშვილის მოთხრობები, ბიბლიოგრაფია . . . . .	169

პასუხისმგებელი რედაქტორი  
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშვილი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროძე, სერგო კლდიაშვილი, ალიო მირცხულავა (მასუაშვილი), ბისარიონ ქაიხანი, ბალატიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დემან შინგელაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VIII-47 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10 ფ. 12 გვ. ში 02948.  
შეჯ. № 1328. ტირაჟი 5.300.

საქ. სსრ მინისტრთა სამკომისიონო არსებული პოლიგრაფიისა და გამოცემლობის საქმეთა  
სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.  
რედაქციის მისამართი: შაბაძის ქ. № 13.